ISSN 0132-6023
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

25 წლისაა

12
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

306

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

12

დეკემბერი

1982

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი
თედო ბექიშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე
გივი გეგეჭკორი
გურამ გვერდწითელი
რისმაგ გორდეზიანი
გიორგი გუგლია
ნოდარ დუმბაძე
მერაბ ელიოზიშვილი
ვაჟა ლორთქიფანიძე
ოტია პაჭკორია
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
ტარიელ ჭანტურია
რეზო ჭეიშვილი

# შინაარსი

3. საბჭოთა ერების ზეიმი

**25 — „ცისკარი" — 25**

10. ნოდარ დუმბაძე — „ცისკარს" გაუმარჯოს! ვახტანგ ჭელიძე — „ცისკრის" პირველი რედაქცია, პირველი ავტორები და პირველი ნომერი; ჯანსუღ ჩარკვიანი — „ცისკარი" რომ დაიბადა... გურამ ფანჯიკიძე. მორის ფოცხიშვილი — გწამდეს! გჯეროდეს! ტარიელ ჭანტურია — საქართველოს მოამბე; ემზარ კვიტაიშვილი — ჩვენი პირველი სიყვარული; ბადრი ჭოხონელიძე — გმადლობთ.

**სსრკ 60 წელი**

27. ჯაბირ ნოვრუზი — ხიროსიმა... ნაგასაკი... წყნარი ოკეანე — ლექსი. თარგმნა ლეილა ერაძემ; ხოლორონბაი ჯუსოევი — რუსთაველი მეტალურგები — თარგმნა ამირან ახანიძემ; მარგარიტა ვალიევა-რობაქიძე; ანაიდა სევაკიანი — ლექსი, თარგმნა კონსტანტინე ამირიძემ

**პოეზია და პროზა**

30. მურმან ჯგუბურია — ლექსები
34. ჯემალ ქარჩხაძე — ქარავანი. რომანი. პირველი ნაწილის დასასრული
63. ვაჟა ხორნაული — ლექსები
66. ჯანო ჯანელიძე — ლექსები
69. ირინე ტალიაშვილი — მოთხრობები
76. თამაზ ბაძაღუა — ლექსები
80. ნუგზარ კოზერიძე — ლექსები

**სსრკ 60 წელი**

82. იან პეტერი — ალავერდი სტუმარს. ლატვიურიდან თარგმნა უშანგი სალთხუციშვილმა
91. მიხეილ ქვლივიძე — საუბარი ბულატ ოკუჯავასთან

**„ცისკრის" კალენდარი**

96. სერგი ჭილაია — 70
97. მურმან ლებანიძე — 60
98. გიორგი ციციშვილი — 60

**წერილები**

100. გრიგოლ მარგიანი — ხევსურული საუნჯე
104. გიორგი გაჩეჩილაძე — ასოციაციური პარალელები
113. ნიკო ანდრონიკაშვილი — „საშინელი ფილოსოფოსი"
119. დავით მჭედლური — გადავიხედოთ გალავნის შიგნით
122. მაკა მიქაძე — მალკოლმ იქსი, ელდრიჯ კლივერი, ჯეიმს ბოლდუინი, ალექს ჰეილი

**სპორტი**

126. გურამ ფანჯიკიძე — ფორცა, იტალია!
146. ჟურნალ „ცისკრის" 1982 წლის ნომრების შინაარსი
160. ცოტა რამ „ცისკრის" ახალგაზრდა ავტორებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ერების ზეიმი

სამოცი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

კანონიერი სიამაყის გრძნობით გვევსება გული, რომ ამ მძლავრი და დიადი ოჯახის ღირსეული და სრულუფლებიანი წევრია ჩვენი ქვეყანაც — მრავალჭირვარამგადანახადი ჩვენი საყვარელი საქართველო! მან ხომ საბჭოთა კავშირის შექმნამდე ერთი წლით ადრე იზეიმა რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება! მზამზარეულად არ მორთმევია ეს სანუკვარი ნობათი — ბრძოლითა და სისხლით მოიპოვა სანატრელი მშვიდობიანობა, დიდი ლენინის პარტიის მხარდაჭერითა და უშუალო დახმარებით შეძლო ღირსეული წევრი გამხდარიყო დიადი საბჭოთა ოჯახისა!

კანონიერი სიამაყის გრძნობით გვევსება გული, როცა გავიხსენებთ ქართველი ბოლშევიკების სახელებს, დიდი ლენინის პარტიის ერთგულ და თავდადებულ წევრებს...

კანონიერი სიამაყის გრძნობით გვევსება გული, როცა გავიხსენებთ, რომ ქართული პოეტური სიტყვა, ქართული მწერლობა თავიდანვე დადგა იქ „სადაც ქარიშხალი იყო“, „ახალი გრიგალების“ სუნთქვით ფრთაშესხმული აღტაცებული შეეგება ქვეყნად სიმართლის გამარჯვებას, „ჯერ არნახული“, „ჯერ არგაგონილი“, „უდიდესი“ რევოლუციის მზის ამოსვლას.

ამ მზის ამოსვლას ამოჰყვა ბედი ახალი, რევოლუციური საქართველოსი. ამ მზემ გააბრწყინა ახალი ყოფა ჩვენი ერისა და სულ სხვა კალაპოტით, სხვა სადინარი მისცა ჩვენი ეროვნული ცხოვრების დედა-მდინარეს. ცარიზმის ბორკილებით გულშელონებული მაშინდელი საქართველოსათვის რევოლუციის ზარების რეკვა გადარჩენის მაუწყებელი სამახარობლო ზარების რეკვა გამოდგა. ორმაგი უღელი — ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელი, საბოლოოდ გადაიგდო ქედიდან ჩვენმა ქვეყანამ და სხვა მოძმე ერებთან ერთად, ახალი, სოციალისტური წყობილების შენებას შეუდგა. ადვილი არ ყოფილა ეს გზა. ვარდ-ყვავილებითა და ფიანდაზით არ ყოფილა იგი მოფენილი!

ადვილი არ იყო გარდაქმნა საუკუნეობით ხალხის ფსიქიკაში გამჯდარი ცხოვრების წესისა, დაძლევა იმ წინააღმდეგობებისა, წარმავალი, სულთმობრძავი კლასი რომ უქმნიდა მუშათა და გლეხთა ახალ წყობილებას. მაგრამ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანამ გაუძლო ყველა უმძიმეს გამოცდას, სამოქალაქო ომების ქარცეცხლს, უცხოელ ინტერვენტთა დივერსიებს და ეკონომიურ ბლოკადებს, გამარჯვებით დააგვირგვინა მეორე მსოფლიო ომი და მანამდის ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა უმძლავრესი პოტენციის სახელმწიფოდ აქცია.

მაინც ამ დიადი სახელმწიფოს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველაზე შთამბეჭდავი მონაპოვარი ერებსა და ხალხებს შორის ძმობა და თანასწორობაა! კაცობრიობის სანუკვარმა მიზანმა აქ შეისხა ხორცი და ერთიანი ოჯა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხის გრძნობით აშენებენ პლანეტის მომავალს რუსი და უკრაინელი, ყაზახი და ყირგიზი, თურქმენი და უზბეკი, ტაჯიკი და სომეხი, ბელორუსი და აზერბაიჯანელი, ქართველი და ლიტველი, ლატვიელი და მოლდაველი, ესტონელი და თათარი, კალმიკი, ოსი თუ აფხაზი, ჩუვაში თუ უდმურტი...

სამოცი წელი ერთი ამოსუნთქვაა ისტორიის გრძელ გზაზე, მაგრამ რაოდენ დიდი და შთამბეჭდავია ის გამარჯვებები, რაც ამ მცირე ხნის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფომ მოიპოვა! როგორ აყვავდა და გაიფურჩქნა თითოეული ერის ეკონომიკა და კულტურა, როგორ ძირფესვიანად შეიცვალა ხალხთა ყოფა-ცხოვრება!

საბჭოთა სახელმწიფოს წინსვლა და ძლიერება მასში შემავალი თითოეული ერის ძლიერებაზეა დაფუძნებული, ამ დიადი შენობის კედლები სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დუღაბითაა ჩაკირული. ერთა თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის იდეამ ხორცი შეისხა, განმტკიცდა კონსტიტუციურად და ჩვენი ცხოვრების, სოციალისტური ქვეყნის ცხოვრების წესად იქცა.

ვრცელი და ამოუწურავია ეს თემა. იგი მოიცავს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, ყველა უბანს. უბრალო ჩამოთვლაც კი შეუძლებელია იმ გრანდიოზული წარმატებებისა, რომელიც შედეგად საბჭოთა სახელმწიფოს შექმნას მოჰყვა. ჩვენი ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის ფურცლებიდან ალბათ ყველაზე მართებული იქნება იმ მიღწევებზე ვილაპარაკოთ, რაც ქართულმა მწერლობამ ამ სამოცი წლის მანძილზე მოიპოვა, ოღონდ ეს საუბარიც, რაღა თქმა უნდა, ფრაგმენტული და არასრული იქნება. ქართული მწერლობის მემკვიდრეობით მიღებული ძვირფასი ტრადიციები, ტრადიციები მეცხრამეტე საუკუნის პატრიოტული და რეალისტური მწერლობისა, საბჭოთა პერიოდში თვისობრივად განახლებული და აღორძინებული, ახალ სიმაღლეებს იპყრობს. ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე იქმნება გალაკტიონ ტაბიძის პირწყინვალე ლექსები, რომლებიც საეტაპო გამოდგა როგორც თვით პოეტის, ასევე მთელი უახლესი ქართული პოეზიისთვისაც. ეს ლექსები ჩვენ ყველამ ზეპირად ვიცით და ალბათ საჭირო აღარცაა მთელი ციტირება. რევოლუციური განწყობილებები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ახალ, სრულიად განსხვავებულ პოეტურ ფორმებად ჩამოყალიბდა და თანამედროვე ქართული პოეზიის მწვერვალად მოგვევლინა:

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არ გაგონილს,
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს უალრესს,
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს,
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს...

მკრეხელობას ჰგავს ამ ლექსის ციტატებად დაშლა. იგი თვითნაბადი ოქროს ზოდივით მკვრივი და შეკრულია. სტრიქონებში მოქცეული პოეტური ენერგია განსაცვიფრებელ ძალას აღწევს, მთლიანად გიპყრობთ მასშტაბური სახეები. ჩვეულებრივი სუნთქვაც აღარ ყოფნის ამ ლექსის წაკითხვას... ბუნებრივია, პოეტის ეს ამაღლებული განწყობილება იმ დროითა და სინამდვილითაა შთაგონებული, რომელშიც პოეტს მოუწია ცხოვრება. აკი თვითონვე წერს საპროგრამო სიტყვებს: „დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს, ეს წელიწადი, დღე და საათი..."

დროის, საბჭოთა სინამდვილის უტყუარი ტვიფარი, რაღა თქმა უნდა, არა მარტო გალაკტიონის, — მთელი ქართული მწერლობის თავფურცელს ამშვენებს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი, ბაქო და ერევანი,
რა კარგი თქმაა, რა დიდებული!
ეს ერთი ვაზის სამი მტევანი
ძმურ მარანშია დაკიდებული. —

წერს იოსებ გრიშაშვილი და ამ ხატოვანი პოეტური ფორმულით შესანიშნავად გადმოსცემს საბჭოთა სინამდვილის არსსა და ხასიათს. ჯერ კიდევ გუშინ, ეს სამი ხალხი, ეს სამი ქალაქი დაშნაკურმა, მუსავატურმა და მენშევიკურმა პარტიებმა სამტროდ გადაჰკიდეს ერთმანეთს და ძმათა სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩაითრიეს. ზღვარი დაედო ამ უაზრო მტრობას და პოეტის მუზა ალტაცებული უმღერის ხალხთა მეგობრობის ზეიმს.

ან ვის არ ახსოვს ტიციან ტაბიძის აღმსარებლური სტრიქონები: „საბჭოთა მიწავ გიკოცნი ფესვებს, ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი“... ვის არ ახსოვს საბჭოთა სომხეთისადმი მიძღვნილი მისი ბრწყინვალე ლექსების ციკლი!

საბჭოთა ხალხების მეგობრობა მხოლოდ აბსტრაქტული ცნება არასოდეს ყოფილა. იგი თავიდანვე კონკრეტულ ურთიერთობებზე, კონკრეტული ადამიანების ძმობასა და მეგობრობაზე იყო დამყარებული. ამ ძმობის სათავეებთან დგანან ძვირფასი სახელები ნიკოლოზ ტიხონოვისა და გიორგი ლეონიძისა, ბორის პასტერნაკისა და სიმონ ჩიქოვანისა, ნიკოლოზ ზაბოლოცკისა და ტიციან ტაბიძისა...

კულტურათა მეგობრობა ალბათ უმაღლესი ფორმაა ხალხთა მეგობრობისა. რაა იმაზე ძვირფასი, როცა ერთი ხალხის სულიერი მონაპოვარი, მეორე ხალხისათვისაც ახლობელი და საყვარელი ხდება. საბჭოთა კავშირის შექმნის პირველივე წლებიდან სწორედ ამიტომ გაიშალა ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობა და ქართული მწერლობის, ქართული პოეზიის მიღწევები სხვა ხალხებისთვისაც ხელმისაწვდომი და მახლობელი გახდა. რუსული ენა ყველა განათლებული ქართველისათვის გასაგები ენაა, მაგრამ სულ სხვა ფასი აქვს, როცა გენიალური პუშკინის ლექსებს ქართულად ვკითხულობთ. რა გატაცებითა და სიყვარულით თარგმნიდა მათ პაოლო იაშვილი! რა დიდი ტრადიცია შექმნა პუშკინის ლექსთა თარგმნისა! რა ტიტანური შრომა გასწიეს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად და სხვა ენაზე მთარგმნელებმა! ამ დიდებული პოემისადმი ინტერესი სწორედ პირველი რუსული თარგმანების მეშვეობით გაღვივდა, სწორედ ამის მერე მოჰკიდა ხელი მას ბევრმა მთარგმნელმა და თუ დღეს რუსთაველი ამაყად მიაბიჯებს მსოფლიო გენიოსი პოეტების რიგში, ეს იმ შესანიშნავი რუსი მთარგმნელების დამსახურებაცაა. ამ დამსახურებისა და აღიარების, საბჭოთა წყობილების მაღალჰუმანიურობის დასტურად დგას დღეს საბჭოთა სახელმწიფოს გულში — მოსკოვში შოთა რუსთაველის ძეგლი, დგას როგორც სიმბოლო გენიალური პოეზიის უკვდავებისა.

რა დიდი ბედნიერებაა, რომ საბჭოთა ერების ამ დიად ზეიმს კვლავაც ჯანღონით სავსე ესწრება ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი, ხალხთა ძმობის დაუღალავი ტრუბადური, მიკოლა ბაჟანი! ამ ძვირფასი ადამიანის მთელი ცხოვრება ნათელი ფურცელია უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა. თუ არა ამაღლებული სიყვარული ქართველი ხალხისა, სხვანაირად ასე ხმამაღლა ვერ აჟღერდებოდა უკრაინულად ქართული სიტყვა. რუსთაველის პრემიის ლაურეატის სახელი, ჩვენი უმაღლესი ეროვნული ჯილდო, დიახაც რომ ღირსეულად შვენის მიკოლა ბაჟანს!

ამ დღეებში დიდი ინტერესით წაიკითხა ქართველმა ხალხმა მიკოლა ბაჟანისა და ირაკლი აბაშიძის გაზეთ კომუნისტში დაბეჭდილი წერილები. რაოდე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნი სითბო და სიყვარულია მათში ჩაქსოვილი, რა შთამბეჭდავად გადმოსცემს ეს წერილები ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობის არსსა და ხასიათს!

საყოველთაოდ ცნობილია დიდი რუსი პოეტის ბორის პასტერნაკის მეგობრობა ტიციან ტაბიძის ოჯახთან.

საბჭოთა ერების მეგობრობის ამ დიად დღესასწაულზე არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ გავიხსენოთ ძვირფასი სახელი ნიკოლოზ ტიხონოვისა. რუსული საბჭოთა პოეზიის ამ ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ჭაბუკობის წლებშივე შემოიარა მთელი საქართველო და ლექსების მთელი ციკლი უძღვნა ამ თემას. ეს ციკლი მთელ მის შემოქმედებაში გამოირჩევა მაღალმხატვრულობით, საბჭოთა ინტერნაციონალიზმის მაღალი გრძნობით, კარგად გვიმჟღავნებს დიდი პოეტის გულის სითბოს, გულისა, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე სათუთად ატარებდა საქართველოს სიყვარულს.

საქართველოს იმდენი მეგობარი შესძინა ახალმა სინამდვილემ, რომ შეუძლებელიც კია ყველას ჩამოთვლა, მაგრამ დღეს არ შეიძლება არ გვიხაროდეს დაღესტნელი პოეტის რასულ გამზათოვისა და ბალყარელი ყაისინ ყულიევის სახელების ხსენება. წრფელი და სანიმუშოა ჩვენს პოეტებთან, ჩვენს ხალხთან მათი ურთიერთობა. ამ სიწრფელითაა განმსჭვალული ქართული სინამდვილისადმი მიძღვნილი მათი ლექსები, ჩეგემისა და ცადასას აულებიდან ეხმიანებიან ისინი თავიანთ ქართველ თანამოკალმეებს, რევაზ მარგიანსა თუ ირაკლი აბაშიძეს. გამქრალა ძველი შუღლი და ჩვენს ხალხებს შორის ახლა სამტრო, საავაზაკო ბილიკების ნაცვლად ფართო სამეგობრო გზებია გაჭრილი.

სიმბოლურია, რომ სწორედ ამ დღეებში მიიღო ქართველმა მკითხველმა რასულ გამზათოვის შესანიშნავი წიგნი „ჩემი დაღესტანი“. პოეტმა შეძლო წიგნის ფურცლებში მოექცია თავისი ერის მდიდარი ისტორიული გამოცდილება, ხალხური სიბრძნე, დაღესტნური ადათ-წესები; შეძლო დაეხატა სული თავისი ხალხისა. ამ წიგნთან გაცნობა დაღესტანის გაცნობის ტოლფასია. თუ არა საბჭოთა სინამდვილე, ვერ დაიწერებოდა ვერც ეს წიგნი და ვერც მისი ავტორი იქნებოდა ესოდენ პოპულარული მწერალი მთელს კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. უაღრესად საყურადღებოა ამ წიგნის სულისკვეთება — მსოფლიო მერიდიანებზე გასული პოეტის უმთავრესი ფიქრი თავის სამშობლო მხარეს დასტრიალებს და დანარჩენი მსოფლიოც იმიტომ უფრო უყვარს და ეძვირფასება, რომ არსებობს მისი მშობლიური დაღესტანი, თავისთავადი, თანასწორუფლებიანი და საბჭოთა სინამდვილეში აყვავებული მხარე.

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობას, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის მეგობრობას განა არ განამტკიცებს ის ფაქტი, რომ ციმბირის მიუვალ ველებზე ოფლს ღვრიან ქართველი მშენებლები, ყაზახეთის ყამირებს სხვებთან ერთად ჩვენი ახალგაზრდობის მარჯვენაც ტეხდა, ხოლო ენგურის მშენებლობაზე ორმოცამდე ეროვნების წარმომადგენელნი იღვწიან... რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. დღეს შორეულ ყაზახეთში ხალხთა ამ მეგობრობის ზეიმს არ შეიძლება ჩვენთან ერთად გულით არ განიცდიდნენ, შოთა და თინათინი, „ვეფხისტყაოსნის“ ყაზახურ ენაზე მთარგმნელის, პოეტ ხამზა აბდულინის შვილები. მან თავის ქალ-ვაჟს ქართული სახელები დაანათლა და ამით კიდევ ერთხელ გამოხატა სიყვარული და პატივისცემა რუსთაველისა და მისი მშობელი ხალხისადმი. არა მარტო ხამზას შვილებს, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის შემდეგ ყაზახეთში ხშირად შეხვდებით ბავშვებს, რომელთაც ქართული პოემის გმირთა სახელები ჰქვიათ. თვით ხამზას 1966 წლის მერე მკერდიდან არ მოუშორებია შოთა რუსთაველის მედალიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ წინათ ქართული მწერლობის ნიმუშები ბწკარედებიდან და რუსული თარგმანების მიხედვით ითარგმნებოდა, ბოლო ხანს იმდენად გაიზარდა ინტერესი ქართული ენის, მწერლობისა და კულტურისადმი, რომ გამოჩნდნენ მთარგმნელები, რომელთაც საგანგებოდ შეისწავლეს ქართული ენა. ესენია უკრაინელი გრიცკო ხალიმანენკო, და ოლექსა სინიჩენკო, ესტონელები მერიკე პაუ, იუტა ბედია და უნო უსისოო, ლატვიელები მაია გუსარე და მარგარიტა ნიედრე. დიდი ამაგი დასდეს ქართული მწერლობის პოპულარიზაციას ამ შესანიშნავმა მთარგმნელებმა და მათს კვალზე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მთარგმნელი მოდის. ჩვენს რესპუბლიკაში პირველად დაარსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია დიდ მუშაობას ეწევა როგორც ახალგაზრდა ნიჭიერ მთარგმნელთა გამოვლინება-დაოსტატების საქმეში, ასევე წარმატებით ამყარებს კავშირებს მოძმე რესპუბლიკების მწერლებთან, იმართება სიმპოზიუმები, თეორიული კონფერენციები მთარგმნელობითი საკითხების ირგვლივ. ამგვარი ხასიათის შეხვედრები კოლეგიამ განსაკუთრებით გააფართოვა საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის შესახვედრად. საქართველოში კოლეგიის მოწვევით უკვე იმყოფებოდნენ ბალტიისპირელი და შუა აზიის მოძმე რესპუბლიკების მწერალთა და მთარგმნელთა დელეგაციები. ისინი უფრო ახლოს გაეცნენ, როგორც ჩვენს მწერლობას, ასევე ჩვენს ხალხს, ჩვენი რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებს, ინტელიგენციისა და მშრომელი ადამიანების წარმომადგენლებს.

ისევე როგორც „მთავარი სარედაქციო კოლეგია“, მთელი კავშირის მასშტაბით ერთადერთია, ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში პირველად გახსნილი ხალხთა მეგობრობის მუზეუმი. მუზეუმმა მოკლე ხანში დიდი მუშაობა გასწია და თავის ფონდებში თავი მოუყარა დიდძალ ძვირფას, ამაღელვებელ მასალას. მხოლოდ ამ მუზეუმის ფონდების გაცნობა შეუქმნის მნახველს ნათელ წარმოდგენას იმის თაობაზე თუ რა ღრმა და ურღვევია, რა ძვირფასი მაგალითებითაა შედუღაბებული ჩვენი ერების ძმური კავშირი.

აღტაცებულ განწყობილებას ძირითადად პოეზია გამოხატავს ხოლმე, მაგრამ არც პროზა დარჩენია ვალში ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს. გაფართოვდა თვალსაწიერი ქართველი მწერლისა. ეროვნულ თემატიკასა და პრობლემატიკასთან ერთად ჩვენს პროზაში თამამად შემოიჭრა ახალი, საბჭოთა წყობილებისათვის ნიშნეული ელემენტები. ქართველი მკითხველისათვის მშობლიურივით მახლობელი გახდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის დიდი მწერლური ოსტატობითა და შთაგონებით დაწერილი „ბელორუსული მოთხრობების“ ციკლი. მოხუცი ვასილ ჟიგას სახე ერთ-ერთი საუკეთესოა მწერლის მიერ დახატულ მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის. განივრცო და გაფართოვდა თემატიკა და თვალსაწიერი ქართველი მწერლისა და რაც ყველაზე მთავარია, ეს ნაწარმოებები მოვალეობის მოხდის მიზნით კი არ დაუწერია მწერალს, გულითაა ნაგრძნობი, სიწრფელითა და უშუალობით ხიბლავს მკითხველს.

ნამდვილი მწერლობა უტყუარად უნდა წარმოსახავდეს სინამდვილეს, რომელშიც ვცხოვრობთ. ეს სინამდვილე კი უხვ მასალას აძლევს მწერლის ფანტაზიას. როცა გვერდიგვერდ ცხოვრობენ და ილვწიან რუსი და ქართველი, სომეხი და უკრაინელი, არ შეიძლება ამ ჰარმონიული თანაცხოვრების სურათი ნამდვილი მწერლის თვალს გამოეპაროს. სწორედ მწერლის სიყვარულიანი თვალით არიან დახატულნი „სოსოიას რუსი“, „პულიკა“ თუ „ართავაზა“ ნოდარ დუმბაძის რომანებში. მკითხველს ხიბლავს ამ პერსონაჟების ცოცხალი, დამაჯერებელი პორტრეტები, მათი ადამიანური სიკეთე და უშუალობა.

ქართველი ერი თავისი ბუნებით ყოველთვის იყო ინტერნაციონალისტი. შოვინიზმსა და რელიგიურ ფანატიზმს არასოდეს დაუბნელებია ქართველ[illegible]ცის გონება, ჩვენს დედაქალაქში მუდამ გვერდიგვერდ მდგარა ქართული და სომხური ეკლესიები, თათრული მეჩეთი და ებრაული სინაგოგა. თუ კაცი გეტყვის ძმობასა, ის უკეთესი ძმა არი, ჩვენსა და სომხებს შუა განყოფილება რა არიო“, — ამბობს ქართული ხალხური ლექსი! „ვეფხისტყაოსანი“ ხომ აპოთეოზია ხალხთა ძმობისა და მეგობრობისა. სწორედ ეს უმთავრესი თვისება შენიშნა გალაკტიონ ტაბიძემ თავის ბრწყინვალე ლექსში, ახალ სინამდვილეს ისტორიული ფესვები მოუსინჯა და ნაფიქრი უკვდავ სტრიქონებად ჩამოქნა:

...მწერალმა ჩვენი ველის, ჩვენი მთისა და გორის,
ჩვენ რუსთაველმა გვითხრა: კავშირი გულთა შორის!..
იყოს ერთისთვის ყველა და ყველასათვის ერთი,
რომ მიარღვევდეს ბურუსს გაკაჟებული მკერდი.
ვერავინ დაამარცხოს მგრძნობი მიზანის სწორის,
მარადჟამს მზიანია კავშირი გულთა შორის!
კავშირი გულთა შორის! როცა გულს იცნობს გული,
რაა ამაზე უფრო მშვენიერი და სრული!

მარად სიცოცხლეს უდგა და ისტორიის მდორის
ამფეთქებელი იყო კავშირი გულთა შორის!

უძლეველია ციხე ბუდე ორბის და ქორის
რაიც ააგო დიდმა კავშირმა გულთა შორის!

დიდო არმია! მძლეა ფიცი ტოლის და სწორის!
კავშირი გულთა შორის! კავშირი გულთა შორის!

გალაკტიონის•ეს ძვირფასი ანდერძი, ძველი თაობის მწერალთა დიდებული ტრადიციები ჩვენს დროშიც ღირსეულად გრძელდება. დაუვიწყარია ცნობილი უკრაინელი პოეტის ვიტალი კოროტიჩის საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები, საკავშირო პრესაში გამოქვეყნებული მისი პუბლიცისტური წერილები საქართველოზე. სანიმუშოა ვიტალი კოროტიჩის, ივან დრაჩის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ოთარ და თამაზ ჭილაძეების მეგობრული და ლიტერატურული ურთიერთობანი.

ოცდაათიან წლებში დაწყებული დიდი მთარგმნელობითი საქმიანობა, როცა ქართული პოეზია თამამად გავიდა საკავშირო ასპარეზზე, ორგანულად ჩაერთო რუსული პოეზიის ცოცხალ პროცესში და მისთვის გარკვეულად ტონის მიმცემიც კი აღმოჩნდა. მთარგმნელობითი ტრადიციები ბორის პასტერნაკისა, ნიკოლოზ ზაბოლოცკისა და ნიკოლოზ ტიხონოვისა — ჩვენს დროში განავრცეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს ცნობილმა რუსმა პოეტებმა მიხეილ დუდინმა, ალექსანდრე მეჟიროვმა, ბელა ახმადულინამ, ევგენი ევტუშენკომ, ანდრეი ვოზნესენსკიმ, ვლადიმერ სოლოუხინმა, ვლადიმერ სოკოლოვმა, ვლადიმერ ლეონოვიჩმა, მიხეილ სინელნიკოვმა... მრავლისმთქმელია ბელა ახმადულინასა და ევგენი ევტუშენკოს სიყვარული ჩვენი ქვეყნისადმი, საქართველოსადმი მიძღვნილი მათი ლექსთა ციკლები ესაა არა ეგზოტიკური მხარის ხილვით გამოწვეული ზერელე პოეტური შთაბეჭდილებანი, არამედ ჩვენი ერის, ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში ჩახედვის, ჩვენი ტკივილისა და სიხარულის დანახვის წარმატებული ცდები. მათმა მუზამ აქ თითქოს მეორე სამშობლო იპოვა, უფრო ლაღად გაშალა ფრთები. „სიზმრები საქართველოზე“ — ასე ჰქვია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელა ახმადულინას, ამ უნიჭიერესი პოეტი ქალის მოზრდილ პოეტურ კრებულს და წიგნის სათაურიშვე მჟღავნდება მთლიანი კრებულის სულისკვეთება.

ძველი თბილისის განახლებულ უბნებში შინაურივით დადის ევგენი ევტუშენკო, მას თითქოს ამ ქალაქის სტუმარი აღარც კი ეთქმის, აქაური მოქალაქის თვალით უყურებს ყველაფერს, რაც ამ ქალაქში გულგასახარი ხდება. ეს განწყობილებანი ჟონავს მისი მრავალი ლექსიდან.

ვლადიმერ სოლოუხინის საქართველოსადმი მიძღვნილ „სონეტების გვირგვინში“ ჩვენი ერის ისტორიისა და დღევანდელობის ისეთი ორგანული ცოდნა და განცდაა გამჟღავნებული, ძნელია მადლიერებისა და სიხარულის გრძნობით არ აღივსოს გული.

თბილისი ისტორიულად ყოველთვის იყო ინტერნაციონალური ქალაქი, თბილისში ჰქმნიდა თავის სიმღერებს საიათნოვა სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ხალხთა ამ ძმობის დასტურია, რომ ყოველწლიურად პოეტის საფლავზე ხალხმრავალი მიტინგები იმართება, ერთმანეთს ერწყმის ქართული სომხური და აზერბაიჯანული სიტყვა.

თბილისის მიწაში განისვენებს ბრძენი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის ცხედარი, ხოლო დიდი უკრაინელი პოეტის, ლესია უკრაინკას საფლავს სათუთად უვლიან სურამელი მოქალაქენი. სწორედ ჩვენს დროში, საბჭოთა პერიოდში გახდა შესაძლებელი დავით გურამიშვილის საფლავის პოვნა. ამ საქმეს დიდი ამაგი დასდო უკრაინელმა სწავლულმა დმიტრო კოსარიკმა. დავით გურამიშვილის ძეგლი მირგოროდში მხოლოდ პოეტის ძეგლი არ გახლავთ. იგი ქართველი და უკრაინელი ხალხების მარადიული მეგობრობის სიმბოლური გამოხატულებაცაა. მარადიულია ეს მეგობრობა, როგორც მარადიულია პოეზია დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკასი, აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოსი!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკის წყალობით ხალხთა მეგობრობა სიტყვიდან საქმედ იქცა. ამ მეგობრობის ვრცელ მატიანეს ცხადია, მარტო მწერალთა და ლიტერატურათა მეგობრობა არ ამშვენებს. კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში იმდენად დიდია კონტაქტები საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს შორის, რომ დღეს თითქმის წარმოუდგენელია რომელიმე ერის იზოლირებულად ცხოვრება. ქუთაისში გამოშვებული ავტომანქანები მთელი კავშირის გზებზე დაჰქრიან, ხოლო უკრაინისა და ყაზახეთის ველებზე მოწეული პური ცხვება საქართველოში; ქართული ჩაი და ღვინო, ხილი და ციტრუსები მთელი კავშირის მასშტაბით იგზავნება და თან მიაქვს სითბო ჩვენი მშრომელი ხალხის გულისა. ჩვენი მადლიანი მიწისა!

დღეს, საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავზე, კიდევ ერთხელ გონების თვალით ვწონით და ვზომავთ იმ უზომო სიკეთეს, რაც საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს ამ სამოცმა წელმა მოუტანა და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ განუზომელია ეს სიკეთე! როგორც მდინარე ხდება გზადაგზა წყალუხვი, წელთა სრბოლასთან ერთად ეს სიკეთეც თანდათან უფრო მატულობს, ივსება და ფართოვდება მისი კალაპოტი...

ჩვენი მწერლობა, როგორც მის ტრადიციებს შეეფერება, ამ მდინარის ფსკერიდან კვლავაც არა ერთ მარგალიტს ამოიტანს და გამოაბრწყინებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 25 — „ცისკარი“ — 25

## „ცისკარს“ გაუმარჯოს!

ჩემს წინ შავ ლიდერინგადაკრული კარი იღებოდა და იხურებოდა, იღებოდა და იხურებოდა. კარს მიღმა, ჯადოსნურ ოთახში, უჩინონი და არაფრის მქონენი შედიოდნენ, ხოლო იქიდან ჩინიანნი და უსაშველოდ ამაყნი გამოდიოდნენ:

პირველი რეზი თვარაძე გამოვიდა ჯადოსნური ოთახიდან პასუხისმგებელი მდივნის ჩინით.

მეორე — გიორგი შატბერაშვილი, პროზის განყოფილების გამგის ჩინით.

მესამე — გიორგი ბედინეიშვილი, კრიტიკის განყოფილების გამგის ჩინით.

მეოთხე — მუხრან მაჭავარიანი, პოეზიის განყოფილების გამგის ჩინით.

მეხუთე — მედეა კახიძე, ლიტმუშაკის ჩინით.

მეექვსე — ციალა ჩხეიძე, ლიტმუშაკის ჩინით.

მეშვიდე — ჯანსუღ ჩარკვიანი, კორექტორის ჩინით.

მერვე — რაულ ჩაჩანიძე, გამომშვების ჩინით...

მეცხრე — ნანული ქორქოლიანი, მდივან-მემანქანის ჩინით.

მეათე — ალექსანდრე ბანძელაძე, მხატვრის ჩინით.

— დუმბაძე! — დამიძახეს მე. შევედი.

— ეს რაღად გინდათ? — ჰკითხა ჯადოსნური ოთახის ერთმა ბინადარმა მეორეს.

— ლიტმუშაკად! — უპასუხა მეორემ.

— გაუძლვება? — დაეჭვდა პირველი.

— რა ვიცი, თვითონ ამბობს, გავუძლვებიო და... — გაეღიმა მეორეს.

ოთახიდან ლიტმუშაკის ჩინითა და 90 მანეთიანი ხელფასით გამოვედი. სულ ბოლოს იმ ჯადოსნური ოთახიდან ის მეორე ბინადარი, ბატონი ვახტანგ ჭელიძე გამოვიდა ახლად დაარსებული, ახალგაზრდული ჟურნალის „ცისკრის“ მთავარი რედაქტორის ჩინით.

ის ჯადოსნური ოთახი, კომკავშირის ცეკას პირველი მდივნის ბატონ თამაზ ჯანელიძის ოთახი გახლდათ.

...და რადგან ჯერ არც სახლი, არც კარი, არც ქაღალდი და არც სკამი არ გაგვაჩნდა, ბატონმა ვახტანგ ჭელიძემ თავის სახლში წაგვიყვანა, დილამდე გვაქეიფა და გარიჟრაჟზე, როდესაც მზემ თბილისის აღმოსავლეთის კარი შემოაღო, ადგა და ასე დაილოცა.

— ცისკარს გაუმარჯოს!

ასე დაიბადა 1957 წლის მაისში ჟურნალი „ცისკარი“ და ასე გაჩნდნენ შემდეგ ცისკრელებად წოდებული მთელი თაობები.

იმ დღიდან „ცისკარმა“ იარა, იარა, იარა და მთელი მსოფლიო შემოიარა. ბევრი სახელოვანი მწერალი გაზარდა ამ მოგზაურობაში „ცისკარმა“, ზოგიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მათგანის სახელს ახლა არა მარტო საქართველო და დიდი საბჭოთა კავშირი, არამედ მთელი მსოფლიოს ლიტერატურული სამყარო იცნობს.

ახლა „ცისკარი“ 25 წლისაა. ოცდახუთ წელიწადში მან იმდენი რამ მოასწრო, რასაც სხვა ერთ საუკუნეს მოანდომებდა.

ვერ ვიტყვი, სულ დალხენილი ცხოვრება ჰქონდა-მეთქი, როგორც ყველა მრავალშვილიან ოჯახს სჩვევია, „ცისკარსაც“ ხან პური აკლდა, ხან მარილი, ხან ტანთ არ ეცმოსა, ხან ფეხთ... რაც მთავარია ავადმყოფობა და ჭირი არ დარევია არასდროს, მუდამ ჯანსაღი და იმედიანი იყო.

ეს სიჯანსაღე და მომავლის იმედი ნუ მოუშალოს „ცისკარს“ ბუნების ძალამ.

ჩვენს „ცისკარს“ გაუმარჯოს!

**ნოდარ დუმბაძე**

# „ცისკრის“ პირველი რედაქცია, პირველი ავტორები და პირველი ნომერი

„ცისკარს“ 25 წელი შეუსრულდა. ასეთ დროს იტყვიან ხოლმე — რა სწრაფად გაურბენია წლებს, თითქოს გუშინ იყოო... მე, პირიქით, — როცა იმ წლებს ვიგონებ, ასე მგონია, საუკუნეები გავიდა. საოცარი კია — ძალიან კარგად მახსოვს ყველაფერი, გაუხუნარი სიცხადითა და გაუნელებელი სიმძაფრით ცოცხლდებიან ცალკეული ფაქტები და მოვლენები, ერთხელ განცდილსა და დანახულს, თითქოს კვლავ პირვანდელის სიმწვავითა და სიმკვეთრით განვიცდიდე და ვხედავდე, მაგრამ გრძნობა, რომ ეს ოდესღაც, საუკუნეების წინათ მოხდა და უკვე დასრულებული ცხოვრების ერთი მონაკვეთია, მაინც არა მშორდება და მძაფრად მეუფლება.

ახლა ბევრსა წერენ იმ წლებზე, ჟურნალის იმ პირველ პერიოდზე... ვერ ვიტყვი, ყოველთვის ზუსტი იყოს ფაქტები, რასაც დროდადრო გვთავაზობენ ხოლმე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ზოგჯერ მეხსიერება ღალატობდეთ, როცა თავიანთ მოღვაწეობას, — თუნდაც კერძოდ ამ საქმეში თავიანთ ღვაწლს, საქმისადმი თავიანთ დამოკიდებულებას თუ ადამიანებთან ურთიერთობას, — ცოტა უფრო სხვაგვარად წარმოაჩენენ, ვიდრე სინამდვილეში იყო. თითქოს წესად იქცა უკვე განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შელამაზება-„შექეთება“. ამას წინათ ერთი კაცი ისეთი სიმწრით იგონებდა — მეტად მძიმე და რთული ცხოვრების გზა გამოვიარეო, და ისე გამწარებით თხოულობდა მსმენელთა თანაგრძნობას, თითქოს თავად სხვებისთვის არ დაემძიმებინოს და არ გაერთულებინოს მუშაობაცა და ცხოვრებაც...

პირველი რედაქცია ვთქვი და ერთბაშად თვალწინ დამიდგა 11 სახე, თერთმეტი წყვილი თვალი — ისინი ძალიან უშუალოდ, მაგრამ ყველანი თავისებურად გამოხატავდნენ სიხარულს, წყენას, გაკვირვებას, გულისწყრომას, შეშფოთებას, აღფრთოვანებას, მოუთმენლობას, მოლოდინს, იმედის გაცრუებას... ეს განცდები იმ წლებში ძალიან ხშირად ცვლიდნენ ერთმანეთს... ძველი სათეატრო აფიშებისა არ იყოს, ჯერ პირველი რედაქციის მანდილოსნებს გაგაცნობთ — ციალა ჩხეიძე, მედეა კახიძე, ნანული ქორქოლიანი, შემდეგ — გიორგი შატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერაშვილი. რევაზ თვარაძე, გიორგი ბედინეიშვილი, ნოდარ დუმბაძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსულ ჩარკვიანი, ალექსანდრე ბანძელაძე (მალე იგი ჯემალ ლოლუამ შეცვალა), რაულ ჩაჩანიძე... ამ პირველი თანამშრომლების თანამდებობებსა და სამსახურებრივ მოვალეობას არ ჩამოვთვლი, რადგან მტკიცედ განსაზღვრული არა გვქონია განაწესით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობა — იმხანად განყოფილების გამგე, ლიტმუშაკი თუ კორექტორი, ყველანი ერთნაირად მონაწილეობდნენ ავტორების მოწვევასა და მასალების შეგროვებაში, ნომრის დაგეგმვაში, წერილების გასწორებასა თუ კორექტურის კითხვაში... რა თქმა უნდა, ვისაც როგორ შეეძლო და გული როგორ შესტკიოდა.

ამრიგად, ადრიანი გაზაფხულის დილაა, ჯერ ისევ ცივა, გარეთ წვიმს, მოღრუბლულია. მთელი ჩვენი რედაქცია კომკავშირის ცეკას სხდომათა დარბაზში ერთ დიდ მაგიდას შემოსხდომია... ჯერ არა გვაქვს არც შენობა რედაქციისა, არც მაგიდები და სკამები, კომკავშირის ცეკამ შეგვიკედლა და ეს დიდი დარბაზი დაგვითმო... ჯერ არც საბეჭდი მანქანა გვაქვს და ძალიან სჭირს მოპოვებული მასლების სტამბაში ჩასაშვებად მომზადება. ჯერ ჩვენმა მემანქანემ — პატარა გოგონამ, რომელმაც ხელად აუღო საქმეს ალღო და მალე რედაქციის სული და გული შეიქნა — ბეჭდვაც არ იცის, და ახლა იქვე, მეზობელ ოთახებში, კომკავშირის ცეკას აპარატის მემანქანე ქალებთან სწავლობს, იწვრთნება...

საბოლოოდ ვათვალიერებთ და ვალაგებთ მასალებს, რომლებიც მალე სტამბაში უნდა ჩავუშვათ, და მოუთმენლად ველით ნოდარ დუმბაძეს, რომელიც მასალის მოსაპოვებლად არის წასული — მოთხრობები უნდა მოიტანოს „ჭაშნიკისათვის“. მოუთმენლად იმიტომ ველოდებით, რომ დარწმუნებული არ ვართ, მოახერხებს თუ არა ნოდარი იმ ავტორის მიგნებას და რედაქციაში მოყვანას. უკვე მერამდენე დღეა დაეძებს...

იღება კარი და შემოდის ნოდარ დუმბაძე, სახე პირველალმოჩენის სიხარულით უბრწყინავს. რაკი ასეთი გახარებული დავინახეთ, თვალებით იმასაც ვეძებთ, ვინც ნოდარმა უნდა მოიყვანოს; მაგრამ ისე მიიხურა კარი, რომ აღარავინ გამოჩენილა: და ახლაღა დავუნახეთ ხელში რვეულები. მოვიდა მაგიდასთან და რვეულები პირდაპირ კი არ დამილაგა, გადამიშალა და ისე დამიწყო — ჯერ ის მიჩვენა, როგორი ხელით იყო დაწერილი!... მას წუხელ გვიან ღამით მიეგნო ამ მოთხრობებისათვის, წუხელვე წაეკითხა და ახლა, ერთგვარი შიშით, იმას ეშურებოდა, პირველივე შთაბეჭდილება კარგი ყოფილიყო. ხელწერა მართლაც ძალიან შთამბეჭდავი იყო და არ შეიძლებოდა, მაშინვე არ დაეინტერესებინე: იგი თითქოს უკვე გაცნობდა ავტორის ხასიათს; თავიდანვე გინერგავდა მისი ძალის რწმენას... როდესმე ალბათ საშუალება მექნება დაწვრილებით ვილაპარაკო ამაზე — ამ მოთხრობებსა და მათ ავტორზე. ახლა კი მთავარი დამავიწყდა მეთქვა: ეს გახლდათ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები, და მათი მოპოვება იმიტომ გაძნელდა, რომ ამ ახალგაზრდა კაცს უკვე მოესწრო გულისგატეხა... მერე გაირკვა, რომ ამ მოთხრობებით, უკვე ყველა რედაქცია მოევლია და ყველგან ცივად და ამრეზით შეხვედრიან. მისი არსებობა კი ედიშერ ყიფიანმა გაგვაგებინა...

და როცა „ცისკრის“ პირველ თანამშრომლებზე ვლაპარაკობ, არ შეიძლება ედიშერ ყიფიანიც არ ვახსენო, რომელთანაც მაშინ უკვე, ჩვენი ასაკის განსხვავების მიუხედავად, გულითადი მეგობრობა მაკავშირებდა. და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რედაქციის შტატში არასოდეს ყოფილა, იგი თავიდანვე, დაარსების პირველი დღიდანვე, ერთგული მეგობარი და ჭირისუფალი იყო „ცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკრისა“; მხოლოდ იმიტომ ვერ გადმოვიდა ჩვენთან შტატში, რომ სხვა რედაქციაში მუშაობდა და იქაური რედაქტორისა მოეხათრა...

ახლა უკვე პირველი ნომერი „ცისკრისა“ თითქმის შევსებული იყო... მაგრამ ვიდრე მას გაგაცნობდეთ, ჯერ ის უნდა ვთქვა, რომ ჟურნალს „ცისკარი“ ერა რქმევია, როცა დაარსდა. მაშინდელი გაზეთები რომ მოძებნოთ, ალბათ ნახავთ, დადგენილებაში ეს ახალი ჟურნალი დასახელებულია როგორც „ჩვენი თაობა“. და როცა რედაქტორად დამნიშნეს, ჯერ საშტატო ერთეულებისათვის ჩვეულებრივი ბრძოლაც კი არ დამეწყო საფინანსო ორგანოებთან, რომ პირველივე ჩემი საზრუნავი ის გახდა, როგორმე ჟურნალის სახელწოდება შეცვლილიყო. ისე მეჩვენებოდა, რომ ეს სახელწოდება თავიდანვე ზღუდავდა ჟურნალის პროფილსა და მოქმედების სივრცეს, სუნთქვას უხშობდა, ხელოვნურ არტახებში ჰკრავდა. ეს უნდა ყოფილიყო ახალგაზრდული ჟურნალი, მაგრამ არა მხოლოდ ერთი თაობისათვის (ჟურნალის სახელწოდება კი თითქოს საგანგებოდ მიუთითებდა ამაზე). არა მხოლოდ ახალგაზრდებისა და დამწყები მწერლებისათვის. ეს უნდა ყოფილიყო მეორე სამწერლო ჟურნალი, რომელიც მხარში ამოუდგებოდა „მნათობს“. თითქოს გული მიგრძნობდა, რომ დაიწყებოდა თაობათა შორის ხელოვნური დაპირისპირება, და ამას ჟურნალის სახელწოდებაც შეუწყობდა ხელს. ასე რომ, სანამ შტატებზე ზრუნვას დავიწყებდი (თუ ამის პარალელურად), საჭიროდ ჩავთვალე ჟურნალის სახელწოდებისა და ფორმატის შეცვლაზე მეზრუნა (ფორმატი დადგენილებაში არ იყო მითითებული, მაგრამ ისე კი ჩამოყალიბებული იყო საზოგადოებრივი აზრი, ახლადდაარსებული ჟურნალი უფრო დიდი ფორმატისა და დასურათებული ყოფილიყო).

ეს საქმე, რომ არ ველოდი, ისე ადვილად მოგვარდა. ჩვენ თავიდანვე ორი პატრონი გვყავდა — მწერალთა კავშირი და კომკავშირის ცეკა — და გავრცელებულ ანდაზას თუ ვერწმუნეთ, ასეთ პირობებში თითქოს ძნელი უნდა ყოფილიყო მუშაობა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს სიძნელე ჩვენ არასოდეს არ გვიგრძვნია; ახლაც, ირაკლი აბაშიძეცა და კომკავშირის ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი თამაზ ჯანელიძეც მოწონებით შეხვდნენ ჩემს წინადადებას ჟურნალის სახელწოდების შეცვლის თაობაზე. რაც მთავარია, მხარი დაგვიჭირა პარტიის ცეკას კულტურის განყოფილების გამგემ მიხეილ კვესელავამ, და სანამ შტატს დავაკომპლექტებდით და მუშაობას შევუდგებოდით, მიღებული იქნა მეორე დადგენილებაც ჟურნალის სახელწოდების შეცვლის შესახებ. ასე დაერქვა ახალ ჟურნალს „ცისკარი“.

მთავარი სიძნელე მაინც წინ იყო — „ცისკრის“ პირველივე ნომერს მტკიცედ ჩამოყალიბებული საკუთარი სახე უნდა ჰქონოდა, მაშინვე უნდა გამოეცხადებინა თავისი პოზიცია; თავიდანვე, პირველი ნომრიდანვე აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალი კარს უღებდა და თანამშრომლად იწვევდა ყველა თაობის ნიჭიერ მწერალს; რომ ჟურნალი ახალგაზრდული იყო, მაგრამ არა მხოლოდ ერთი თაობისათვის; ამასთან იგი მრავალფეროვანი იქნებოდა — გარდა ორიგინალური მხატვრული ლიტერატურისა, ჟურნალში ფართო ადგილი უნდა ჰქონოდა დათმობილი კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებას, ჟურნალი მკითხველს გააცნობდა ახალ თარგმანებსაც, ნარკვევებსაც; ექნებოდა ხელოვნების, სპორტის და იუმორის განყოფილებაც; ეს არ იქნებოდა ნახატებიანი ჟურნალი, მაგრამ ილუსტრირებული უთუოდ უნდა ყოფილიყო და ამიტომ მხატვრებიც უნდა მოეწვია. როგორც ცნობილია, რედაქცია არა მხოლოდ მოთხრობების დასასურათებლად იწვევდა მხატვრებს, არამედ მან მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ახალგაზრდა ქართველ მწერალთა და მხატვართა მეტად სასურველ შემოქმედებით და პირად მეგობრობას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს ჟურნალის პირველივე ნომერს უნდა ეცნობებინა მკითხველისათვის, თანაც ისე, რომ მკითხველისადმი საგანგებო მიმართვა, ჟურნალის საპროგრამო წერილი არ ყოფილიყო საჭირო. თითქოს წინასწარ ვგრძნობდით, რომ ასეთი წერილი გამომწვევი და გამაღიზიანებელი იქნებოდა.

ახლა გაგაცნობთ პირველი ნომრის შინაარსს.

პოეზიის განყოფილებაში წარმოდგენილი იყო გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, მურმან ლებანიძის, არჩილ სულაკაურის და თამაზ ჭილაძის ლექსები (დააკვირდით, როგორ საგანგებოდ შეეცადა რედაქცია, ყველა თაობის ქართველი პოეტი წარმოედგინა. მურმან ლებანიძე მაშინ ჯერ ისევ ახალგაზრდა მწერალი იყო, ხოლო თამაზ ჭილაძე და არჩილ სულაკაური ის-ის იყო ფეხს იკიდებდნენ მწერლობაში); პროზის განყოფილებაში — ლევან გოთუასა და გიორგი ნატროშვილის მოთხრობები...

პირველსავე ნომერში რედაქციამ „ჰაშნიკის“ განყოფილებაც შესთავაზა მკითხველს და საგულისხმო და სასიხარულო ის იყო, რომ ეს განყოფილება ძალიან საინტერესო გამოდგა. ასევე მიიღო მკითხველმაც. აქ წარმოდგენილი იყო გურამ რჩეულიშვილის ხუთი მოთხრობა, ანზორ სალუქვაძის ლექსები და ზურაბ გეგეშიძის ერთი მოთხრობა.

მარემ აქვე შევნიშნავ, რომ სწორედ ჰაშნიკის განყოფილებამ გამოიწვია თანდათანობით გამწვავებული დავა, თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ნამდვილი მიზეზი მწერალთა ერთი ნაწილის გაღიზიანებისა არა მარტო „ჰაშნიკი“ — და არა იმდენად „ჰაშნიკი“— არამედ უფრო სხვა მასალები იყო.

თარგმანის განყოფილება წარმოდგენილი იყო რობერტ ბერნსის ლექსების თამარ ერისთავისეული თარგმანებით. თამარ ერისთავი მაშინ სავსებით ახალგაზრდა იყო.

პირველ ნომერშივე შემოვიღეთ განყოფილება „მწერლის არქივიდან“, მაგრამ თავისთავად ეს ფაქტი კი არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი; საგულისხმო ის გახლდათ, რომ რეაბილიტაციის შემდეგ პირველად ქვეყნდებოდა დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებები. თანაც, მწერლის არქივში აღმოჩენილი შესანიშნავი მოთხრობა „მიწის ყივილი“; აქვე გამოვაქვეყნეთ ფოტორეპროდუქცია მწერლის ერთი დიდებული ჩანაწერისა (ავტოგრაფი), რომელსაც „ჩვენი დროის ათი მცნება“ ჰქვია და მწერალი თავის შვილს უძღვნის, მაგრამ ფაქტიურად მიმართვაა საერთოდ ახალგაზრდობისადმი. და სწორედ რომ ზედგამოჭრილი გამოდგა ახალგაზრდული ჟურნალის პირველი ნომრისათვის. ამ მასალას ძალიან მოუხდა ფოტოსურათიც — დიდი მწერალი თავის შვილთან ერთად, თანაც ისეთ ვითარებაში, თითქოს სწორედ ახლა წერდეს იმ „ათ მცნებას“; ეს იმიტომაც იყო მნიშვნელოვანი, რომ იმ თაობის ადამიანებმა პირველად იხილეს მწერლის სახე. ეს მასალები ჩვენი თხოვნით გადმოგვცა მწერლის ქალიშვილმა ქალბატონმა ქეთევან ჯავახიშვილმა, რომელმაც მეტად რთულ ვითარებაში მამის არქივის მოვლა-პატრონობით დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას. როგორც ცნობილია, ქალბატონი ქეთევანი ბოლომდე დარჩა ჟურნალის ერთგული თანამშრომელი.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, — ამის დაფარვა საჭიროდ არ მიმაჩნია, — რომ ამ საარქივო მასალებმა ძალიან გააღიზიანა მწერალთა ერთი ჯგუფი: რეაბილიტაცია მოხდა მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც მოქალაქისა და არა როგორც მწერლისაო, თავგამოდებით ამტკიცებდნენ ისინი, და რედაქციას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრალდებად გვიყენებდნენ ამ „გაუმართლებელ სითამამეს“... უფრო დაწვრილებით ამაზე ამჟამად აღარ შევჩერდები.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში წარმოდგენილი იყო მაშინ ჯერ ისევ სავსებით ახალგაზრდა მწერლის გურამ ასათიანის საინტერესო სტატია „შენიშვნები თანამედროვე ქართული პოეტიკის შესახებ“. წერილი საკითხის განხილვის წესით დაიბეჭდა, და ამან მკითხველთა ინტერესიც აღძრა და ზოგიერთი რატომღაც გაანაწყენა კიდეც; ნიკო ჭავჭავაძის „ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხის გამო“; სარგის ცაიშვილის სტატია „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო და თინათინ კოპლატაძისა და ზურაბ ჭუმბურიძის „რუსულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა დადგენისათვის“ (ეს მასალა მეორე ნომრისა იყო, მაგრამ პირველ ნომერში გადმოტანა მოგვიხდა).

ხელოვნების რუბრიკით დაიბეჭდა აკაკი ბაქრაძის „სცენარისტი და რეჟისორი“. ირაკლი აბაშიძის ცნობილი ნარკვევი „ინდოეთის გზებზე“ დაიბეჭდა „მოგზაურის დღიურის“ რუბრიკით. პირველივე ნომერში დავბეჭდეთ შალვა დემეტრაძის პუბლიკაცია „სერგეი ესენინი საქართველოში“ — კერძოდ, ესენინის იმდრომდე უცნობი პირადი წერილი ტიციან ტაბიძისადმი, სადაც კარგად ჩანს ორი პოეტის მეგობრობისა და ურთიერთობის ამბავი, რუსი პოეტის გულითადი სიყვარული საქართველოსადმი და საერთოდ ის ატმოსფერო, როცა ოციან წლებში ქართველ და რუს კულტურის მოღვაწეთა მეგობრობისა და შემოქმედებითი ურთიერთობის ახალი ერა იწყებოდა.

პირველივე ნომერში გვქონდა ნარკვევი რუბრიკით „ჩვენი ადამიანები“ და იუმორის განყოფილება, სადაც დაბეჭდილი იყო ნოდარ დუმბაძისა და ედიშერ ყიფიანის შესანიშნავი იუმორისტული მოთხრობები, თენგიზ გოგოლაძის ორიგინალური შარჟები ქართველი მწერლებისა, სადაც ავტორი კარგად ახერხებს ცალკეულ მწერალთა ხასიათის გადმოცემას; და ჯემალ ლოლუას ჩვეული დახვეწილი ოსტატობით და სოციალური სიმახვილით გამორჩეული ნახატიხუმრობები. ეს დიდებული მხატვარი და ასევე შესანიშნავი ადამიანი მაშინ სავსებით ახალგაზრდა იყო, მაგარმ, ასაკის მიუხედავად, უკვე პირადი მეგობრობა მაკავშირებდა, და ჩემი თხოვნით მალე დაიწყო კიდეც ჩვენთან მხატვრად მუშაობა. სწორედ მას მიუძღვის დიდი ღვაწლი შესანიშნავი ახალგაზრდა ქართველი მხატვრების — დიმიტრი ერისთავის, თენგიზ მირზაშვილის, ზურაბ ნიჟარაძის — რედაქციაში მოწვევასა და დაახლოებაში, რაც მალევე გახდა მტკიცე საფუძველი იმ თაობის მწერალთა და მხატვართა განუყრელი მეგობრობისა. ვფიქრობ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „ცისკრის“ დიდი როლი, საერთოდ, კულტურის სხვადასხვა დარგში მოღვაწე ახალგაზრდა შემოქმედთა რედაქციის გარშემო შემოკრებასა და დაახლოებაში.

პირველივე ნომერში გვქონდა დაგეგმილი მემუარების განყოფილება — შალვა დადიანმა ხალისით მიიღო ჩვენი თხოვნა, ჟურნალისთვის დაეწერა მემუარები, მაგრამ პირველი ნომრისათვის ვერ მოასწრო; მეორე ნომერში დავიწყეთ და გაგრძელებებით ვბეჭდავდით — მწერალი თანდათანობით წერდა და გვაწვდიდა ხოლმე. საერთოდ, არ შეიძლება დიდი მადლიერების გრძნობით არ გავიხსენო მისი ჩვეული გულისხმიერება და მხარდაჭერა.

მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს „ცისკრის“ პირველივე ნომერში წარმოდგენილ ავტორებს. ერთი მხარე რედაქციის პოზიციისა სწორედ ეს იყო, რომ ჩვენი მწერლობა მთლიანობაში წარმოედგინა, ეჩვენებინა, რომ მას ქმნის ყველა თაობის ნიჭიერი შემოქმედი, და მიენიშნებინა, რომ ჟურნალი სწორედ ასე აპირებდა თავისი სარედაქციო პოლიტიკის განგრძობას.

არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, რომ ჟურნალის ერთ-ერთ განხილვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზე, რასაც ძალიან ფართო საზოგადოება ესწრებოდა (ასეთი „განხილვები“ კი საკმაოდ, ხშირად ხდებოდა; კერძოდ, ეს განხილვა ორ დღეს გაგრძელდა), უფროსი თაობის ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა ახალგაზრდული ჟურნალის რედაქციას ერთ-ერთ სერიოზულ ბრალდებად ისიც წამოუყენა, რომ იგი, ახალგაზრდობის გარდა, ჟურნალში აქვეყნებდა უფროსი თაობის მწერლებს. გასაკვირი ის იყო, რომ რამდენიმე ხნის წინ ამ კაცმა თავად მოგვიტანა საკუთარი მასალა რედაქციაში, და რაკი გასაგები მიზეზების გამო ჩვენი ჟურნალისათვის შეუფერებლად ჩავთვალეთ, უკანვე გავატანეთ. მაგრამ ეს ფაქტი მარტო მე ვიცოდი, და ალბათ რედაქციის კიდევ ერთმა თუ ორმა მუშაკმა. ფართო საზოგადოებამ, ვინც განხილვაში მონაწილეობდა, ეს არ იცოდა. ასე რომ, ადვილი შესაძლებელი იყო, იმ კაცის სიტყვები, იქნებ მართებულად არა, მაგრამ გულწრფელად მიეჩნიათ. არ ვიცი, იქნებ უტაქტოდ მოვიქეცი, მაგრამ ჩემს სიტყვაში მოურიდებლად მოვახსენე დამსწრე საზოგადოებას ეს ფაქტი, განვაცხადე, ამ კაცს თავად ჰქონდა მოტანილი ამას წინათ მასალა, რომელიც ადვილად ასახსნელი მიზეზების გამო ვერ დავბეჭდეთ, და გასაკვირია ასე მალე როგორ შეეცვალა ამ საგანზე თავისი შეხედულება-მეთქი. და მასვე ვთხოვე, დაედასტურებინა ჩემი სიტყვები. ეტყობა ამას არ მოელოდა ის კაცი, და შემცბარმა და დაბნეულმა, დამიდასტურა, ამან, რაღა თქმა უნდა, სიცილი გამოიწვია.

ჟურნალის პოზიციაზე ვლაპარაკობდი; ვშიშობ, ძალიან პრეტენზიული და ხმამაღალი არ გამოვიდეს ეს განცხადება, მაგრამ ფაქტია, რომ ჟურნალის პირველივე ნომერში გამოჩნდა ეს. ახლა არ არის ამაზე დაწვრილებით ლაპარაკის ადგილი და საშუალება, ეს სხვა დროისთვის გადავდოთ. მაგრამ, ვინც დაკვირვებით გაეცნობა ჟურნალს, უსათუოდ იგრძნობს ამას.

და ეს თავისი დამოკიდებულება მწერლობისა და ცხოვრებისადმი, — თვით ცხოვრებისავე ნაკარნახევი, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, — გამოხატული იყო თითქმის ყველა მასალაში, იუმორისტულ მოთხრობებშიაც კი. ამან ეტყობა, ბევრი გაალიზიანა. ეს მოსალოდნელიც იყო. როცა, მაგალითად, ნიკო ჭავჭავაძის წერილში მთელი სიმკაცრით, თუმცა სათანადო ტაქტით, იყო ნაჩვენები ესთეტიკური აღზრდის ცალკეული მანკიერი მხარეები, რაც ხელს უშლიდა და აფერხებდა ჩვენი დროის, თანამედროვე სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებას, როცა იქვე გაკრიტიკებული იყო აშკარად ვულგარულ-სოციოლოგისტური მიდგომა მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დროს, და ამის დამამტკიცებელი კონკრეტული ციტატებიც იყო მოტანილი სასკოლო სახელმძღვანელოებიდან, ეს, რაღა თქმა უნდა, გააღიზიანებდა იმ სახელმძღვანელოების ავტორებს; ასეთ დაუფარავ კრიტიკას ისინი დაჩვეულნი არა ყოფილან; როცა იუმორისტულ მოთხრობებში ძალიან ცოცხლად და მწვავედ იყო დახატული თითქმის დაკანონებული უბადრუკი წესი მხატვრული ნაწარმოების განხილვისა, და იქვე მოტანილი იყო თითქმის ტრაფარეტად ქცეული კრიტიკული წერილის ასლი, როგორც უპრინციპობისა და სიყალბის ნიმუში აქ, რაღა თქმა უნდა, ბევრი საკუთარ თავს იცნობდა და განაწყენდებოდა, ისინი დაჩვეული არ იყვნენ ასეთ კრიტიკას.

ასე რომ, ჟურნალმა თავიდანვე ძალიან ბევრი მეგობარი და კეთილის მსურველი გაიჩინა, მაგრამ, თავისდაბუნებურად, ზოგი გაანაწყენა და მტრადაც მოიკიდა. ეს იქნებ რედაქციისავე ბრალი იყო — იქნებ სათანადო ტაქტი ვერ გამოვიჩინეთ. ყოველ შემთხვევაში, ახლა ეს ყველაფერი ისტორიაა და მხოლოდ კეთილი ღიმილით მოვიგონებთ.

სამწუხაროდ, ცალკეული მასალების შინაარსი საზოგადოების გარკვეული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაწილისათვის ჟურნალის ბეჭდვის პროცესშივე გახდა ცნობილი.

ახლა ძნელია თქმა, როგორ და რანაირად...

დამავიწყდა ჟურნალის პირველი სარედაქციო კოლეგიაც გამეცნო მკითხველისათვის: თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ. მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია. სამართლიანობა მოითხოვს, აქვე შევნიშნო — ისინი, ვისაც ჩვენი ჟურნალი უშუალოდ ეკუთვნოდა, უხეშად არ ჩარეულან სარედაქციო კოლეგიისა და, განსაკუთრებით სარედაქციო შტატის დაკომპლექტების დროს. ნახევრად ხუმრობით მითხრეს — თითო, ან დიდი-დიდი ორ-ორ კაცს შემოგთავაზებთ, დანარჩენი შენ თვითონ შეარჩიე და მერე დაგიმტკიცებთო. მართლაც ასე მოხდა, და რედაქცია, როგორც ვნახეთ, შესანიშნავი ახალგაზრდებით დაკომპლექტდა. იშვიათად შეხვდებით ისეთ ერთსულოვან კოლექტივს, როგორადაც სულ მალე ჩამოყალიბდა „ცისკრის“ რედაქცია...

ერთი სიტყვით, ზოგიერთი მასალის შინაარსი ადრევე გახდა ცნობილი გარკვეული წრეებისათვის.

და, აი, ახლა, წინ მიდევს „ცისკრის“ პირველი ნომრის ორი დაბეჭდილი და აკინძული ცალი. ისინი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ განსხვავება მაინც არის. პირვანდელ ვარიანტში, მაგალითად, გარეკანზე დაბეჭდილია ალ. ბანძელაძის ნახატი — თბილისის უნივერსიტეტი (გვინდოდა, ყდაზევე გამოგვეტანა რაიმე ახალგაზრდული თემა). მაგრამ ვიღაცას ეს ნახატი ფორმალისტურად მოეჩვენა. თუმცა, ნამდვილ ფორმალისტს რომ აჩვენო, იქნებ სწორედ იმიტომ დაიწუნოს, რომ უკიდურესად ნატურალისტური მოეჩვენება... პირველ ვარიანტში დაბეჭდილია ზურაბ კაკაბაძის წერილი „საბჭოთა ხელოვნების შეუფერხებელი განვითარებისათვის“, მეორე ვარიანტში კი ეს წერილი აღარ არის და ამის მაგივრად მოთავსებულია თ. კოპლატაძისა და ზ. ჭუმბურიძის წერილი. ამაზე ზემოთაც ითქვა. ზ. კაკაბაძის წერილში კი მკრეხელურს ვერაფერს შეხვდებით. სტატია დაწერილია სავსებით ჯანსაღი, თანამედროვე ცხოვრებით ნაკარნახევი სულისკვეთებით. აღარ დავინტერესებულვარ, შემემოწმებინა მერე შეიტანა თუ არა ავტორმა ეს წერილი თავის სტატიების კრებულში. ისე კი იმ დროისათვის აქტუალური და საჭირბოროტო მასალა იყო.

ასეთია განსხვავება პირველი ნომრის იმ ორ ვარიანტს შორის. ოდნავი ცვლილება განიცადა ნიკო ჭავჭავაძის სტატიამაც. მეორე ვარიანტში ზოგიერთი ადგილი შემცირებულია და სამაგიეროდ რამდენიმე აბზაცი ემატება. სხვა განსხვავება მგონი აღარ არის. ძირითადი მასალები, რა თქმა უნდა, იგივეა.

პირველ ნომერს ივნისი აწერია, მაგრამ ცოტა უფრო დაგვიანებით გამოვიდა. და, აი, ზაფხულის ერთ დღეს, როცა „ცისკრის“ პირველი ნომრის სასიგნალო ცალი მგონი მხოლოდ მე მქონდა რედაქციაში და მკითხველი ჯერ, რაღა თქმა უნდა, ვერ მიიღებდა, მწერალთა კავშირიდან შეგვატყობინეს, რომ დღესვე, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე დანიშნული იყო „ცისკრის“ პირველი ნომრის განხილვა. ეს მოულოდნელი და უპრეცენდენტო მოვლენა გახლდათ და ძალიან გაგვიკვირდა — აკი ითქვა, ჟურნალი ჯერ არც ხელისმომწერლებს მიეღოთ და არც კიოსკებში გამოეტანათ გასასყიდად. საერთოდ, არავის ენახა. და გასაკვირიც სწორედ ის იყო — რამ გამოიწვია ასეთი თვალშისაცემი აჩქარება... უსიამოვნო ფაქტი იყო. თუმცა მაშინ იმას ვერც ვიფიქრებდით, რომ ამ განხილვით იწყებოდა მთელი ციკლი ასეთივე „განხილვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბისა"; ვერ წარმოვიდგენდით, რომ მოგვიხდებოდა გადაკეთება უკვე საბეჭდად გამზადებული მეორე და მესამე ნომრებისა.

ერთი სიტყვით, ასე სასწრაფოდ დაენიშნათ ჟურნალის განხილვა. მაშინვე გავეშურე მწერალთა კავშირში, რათა მეთხოვნა ცოტათი გადაედოთ, სანამ ჟურნალი გავრცელდებოდა და მკითხველამდე მიაღწევდა. მაგრამ როცა მივედი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კაბინეტში უკვე იკრიბებოდნენ მწერლები. გადადება უხერხულიაო, მითხრეს; მომხსენებელი უკვე მზად არის და მერე იქნებ ვეღარ მოიცალოსო... არაფერია, მეგობრული საუბარი გვექნებაო... და ასე სიცილ-სიცილით და ტკბილი მუსაიფით დავეშვით კიბეზე, მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზისაკენ გავემართეთ, სადაც ჟურნალის პირველი ნომერი უნდა განეხილათ.

ასე დაიწყო „ცისკრის" ცხოვრება.

ვახტანგ ჭელიძე

# „ცისკარი" რომ დაიბადა...

რამდენიმე თვის დამთავრებული გვქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჟურნალისტიკის განხრით. ჩვენი ჯგუფის ჟურნალი, ტარიელ ჭანტურიას ლექსისა არ იყოს, ასე იკითხებოდა: ოთარ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, თამაზ ბიბილური, ზაურ ბოლქვაძე, ვახტანგ ჯავახაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რევაზ ინანიშვილი პარალელურ ჯგუფში გვყავდა. მე თქვენ მწერალთა კავშირის წევრები ჩამოგითვალეთ, თორემ ჩვენი ჯგუფი რომ ჯგუფობდა დღეს ყველაზე ძლიერ ეტყობა ქართულ მწერლობას, ჟურნალისტიკას, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობას. ახლა „პირველ სხივს" არ იტყვით?! მოკლედ, უნივერსიტეტში დაზრდილ-დაფრთიანებულების ქედზე დღეს მყარად დგას ჩვენი დიდი მწერლობის მძიმე და საპატიო უღელი.

მომწიფდა, დიდი ხნის ნანატრი მომწიფდა და ახლა ყვითელი გულაბივით ჩამოვარდნაზე იყო. ასე რომ საქმითა და ერთგულებით მოსულმა ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ გადაწყვიტა ბედი ნანატრისა, მოსწყდა ნატვრის ხეს, ყველაზე ძვირფასი ნაყოფი, „ცისკარი" მოსწყდა ნატვრის ხეს.

მე ისე ვიცოდი, რომ ვიწყებდი „ცისკარში" მუშაობას, ლიტმუშაკად, მაგრამ კორექტორის შტატზე. უკვე ცოლშვილიანი კაცი არც კი ვფიქრობდი შვიდას ოთხმოც მანეთზე, ესე იგი, სამოცდათვრამეტ მანეთზე, როგორ უნდა მეცხოვრა, მთავარი იყო „ცისკარი", ახალგაზრდობის ნანატრი ჟურნალი.

ბატონ ვახტანგ ჭელიძეს რამდენიმე დღით ადრე შევხვდი მაჩაბლის ქუჩაზე, მორიდებით, მაგრამ მაინც ვკითხე — „ბატონო ვახტანგ, როგორ არის ჩემი საქმე?! შენი საქმე შენ თვითონ უნდა იცოდე, მიპასუხა ბატონმა ვახტანგმა და კოვზი ნაცარში ჩამივარდა, ცივი წყალი გადამესხა და სხვა მისთანანი... ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი საქმე მართლა მე უნდა მცოდნოდა, მივხვდი და შევუდექი მუშაობას ბატონ ვახტანგთან ერთად ჟურნალ „ცისკარში".

რა ხალხი მუშაობდა?! ვახტანგ ჭელიძე, გიორგი შატბერაშვილი, ნოდარ დუმბაძე, მედეა კახიძე, გიორგი ბედინეიშვილი, მუხრან მაჭავარიანი, თამაზ ჭილაძე, რეზო თვარაძე, ოტია პაჭკორია, ეთერ თვარაძე, ვივი გეგეჭკორი, ტარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელ ჰანტურია, გიგლა ხუხაშვილი, გიორგი ქავთარაძე. ერთი უხერხული ამბავი გამახსენდა, დღევანდელი, ხომ წარმოგიდგენიათ, გიორგი შატბერაშვილისთვის და ვახტანგ ჭელიძისათვის რომ გვეთქვა, როდის წაბრძანდებით, ჩვენ უნდა დავჯდეთ თქვენს ადგილზე, პირიქით, ბედნიერი ვიყავი, მიხაროდა, რომ ასეთი ნათელი და ჭკვიანი ადამიანები სათავეში ედგნენ ჩვენს ახალგაზრდულ მწერლობას, ხოლო თუ „ცისკარს" ზურგი არ ექნებოდა, „მტრები" წააქცევდნენ, „მტრებში" რაღა თქმა უნდა ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებს ვგულისხმობ, რომელთა ცუდკაცობა კულმინაციას აღწევდა.

გაჩნდნენ „ცისკრელები", ერთი კაცი ისე იყო შეშინებული, როგორც ერთ დროს „ისკრელებისა" ეშინოდათ. ერთხელ მწერალთა თავყრილობაზე გამოვედი და დავაწყნარე „ის კაცი" — ნუ გეშინიათ, ბატონო იმანო და მავანო, ჩვენ „ცისკრელები" ვართ და არა ისკრელები", თუმცა ახალი რევოლუციის მომხრენიც ვართ მწერლობაში.

რევოლუცია ხმამაღლა ჟღერს, მაგრამ თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ „ცისკრელთა" რაინდული ცდა შექმნილიყო რაღაც ახალი, იქნებ ქართული მწერლობის კლასიკურ და უძველეს ნიადაგზე, მაგრამ მაინც ახალი.

იყო გრიალი მწერლური სიცოცხლისა, ჭიპამდე ჩახსნილი შავი პერანგით, გაუხედნავი კვიცის კისრით, ცისფერი ძარღვები რომ აჩნდნენ, შემოვიდოდა გურამ რჩეულიშვილი, ცოტახნის მერე ფერად ფოტოებს მოიტანდა პირმშვენიერი, მერცხალივით ბიჭი გურამ თიკანაძე, ნოდარ ჩხეიძე და არ მთავრდებოდა კამათი „ცისკარში". „ცისკარში" ცხოვრება მაშინ იწყებოდა, როცა იგი წესისამებრ უნდა დამთავრებულიყო განსაზღვრულ დროს.

თაობა მოდიოდა ძლიერი, ერთგული, ზრდილი, განათლებული, მორიდებული, თუმცა სავსე შინაგანი პრეტენზიებით...

საგამოფენო დარბაზებს იპყრობდნენ ზურაბ ნიჟარაძე, დიმიტრი ერისთავი, თენგიზ მირზაშვილი, ჯემალ ლოლუა, ვახტანგ ონიანი, ხოლო გარედან ძალით იღებდნენ საგამოფენო დარბაზებს განათლებული გოგო-ბიჭები, ოცდასამი, ოცდახუთი წლის გოგო-ბიჭები.

„ცისკარში" იუმორის განყოფილებაში პეტიტით იწყობა და იბეჭდება ნოდარ დუმბაძის „მე ბებია, ილიკო და ილარიონი". („თუ არ ვცდები თავიდან „სოფლელი ბიჭი ერქვა"). პეტიტითა და იუმორის განყოფილებაში მისთვის, რომ იმ ერთი-ორი ვიღაცისათვის თვალი აგვეხვია. ახლა თვალს ვინ იხვევს, ან მაგ გუშინდელ ტოლმას ვინ მიირთმევსო, თქვა ამხანაგმა იმანომ და ასტეხა ვაი-უბედურება, ვიღუპებითო, ეს რა თაობა მოდისო, ცოცხლად შეგვჭამენო და რა ვიცი, ყველაფერი ითქვა, ქარავანი კი მიდიოდა ვახტანგ ჭელიძისა და გიორგი შატბერაშვილის დაკვირვებული თვალით, და რაღა თქმა უნდა იმ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების დახმარებით, ზემოთ რომ ჩამოვთვალე.

მომხრეც ბევრი გვყავდა, ყველგან იყვნენ ისინი, მწერალთა კავშირშიც და კომკავშირის ცეკაშიც, ჩვენ ორთავეს ვეკუთვნოდით, ორთავე ძალიან გვეხმარებოდა, თორემ მართლაც რა გაუძლებდა...

1957 წლის ერთ მშვენიერ დღეს, იქნებ მოღრუბლულს, მაგრამ მაინც მშვენიერს, კომკავშირის ცეკამ დაგვითმო თავისი ერთი დიდი ოთახი და გვითხრა: წააწერეთ გარედან, რომ ესაა ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია.

ამ ოთახში იჯდა რედაქტორიც, კორექტორიც, მოადგილეც, ლიტმუშაკიც და განყოფილების გამგეც.

მორიგეობით ვმუშაობდით, სახლში მიგვქონდა მასალები და იქ ვმუშაობდით. ახლა საქმე შორსაა წასული, ახლა „ცისკარს" ცხრა ოთახი აქვს, მაგრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთახები რაღა თქმა უნდა, არაა მთავარი, მთავარია გამოსწორდეს ის ნაკლი, რომელზედაც ამასწინათ ერთ ინტერვიუში მიუთითებდა ჩემი სეხნია, „ცისკრის“ რედაქტორი ჯანსუღ ღვინჯილია. კონკრეტულად არ ვიცი რომელ მონაკვეთზეა საუბარი, მაგრამ ფაქტია, ნაკლი უნდა გამოსწორდეს. მთავარი ნაკლი „ცისკარისა“ კი ჩემის აზრით ისაა, რომ ხშირად არ იბეჭდება მაღალმხატვრული ნაწარმოები, ხშირად ვერ ვბეჭდავთ მწვავე ხასიათის პუბლიცისტურ წერილებს, ნაწარმოებში არა სჩანს მებრძოლი სული ახალგაზრდა მწერლისა, აი თუ ამ ნაკლზეა საუბარი და ამის გამოსწორებას აპირებს ახალი რედაქცია, ვაშა, მივესალმები, ვითარცა ძველი „ცისკრელი“. მისი ყოფილი კორექტორი, ლიტმუშაკი, პასუხისმგებელი მდივანი და მთავარი რედაქტორი.

რაღა თქმა უნდა, მიესალმებიან მაში ყოფილი რედაქტორები და დღევანდელი ჭირისუფლები: ვახტანგ ჭელიძე და კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ხუტა ბერულავა, გურამ ფანჯიკიძე და მორის ფოცხიშვილი, ისინი ღამებდნენ და ათენებდნენ „ცისკარზე“ ფიქრში, დღესაც დიდი საქმეები აბარიათ, მაგრამ მე ვიცი, რომ გუნებაში ისევ იმდროინდელი ნათელი და სევდიანი წუთებით ცხოვრობენ.

„ცისკრის“ხელა სახელი და ავტორიტეტი, ნურავინ მიწყენს და იშვიათად ჰქონდა რომელიმე ბეჭდვით ორგანოს ჩვენში, ერთი თერთმეტი წელი მეც მომიწია რედაქტორობამ „ცისკარში“ უფრო ლამაზი და უფრო მშვენიერი, უფრო დიადი დღეები არა მქონია სიცოცხლეში. შევიკრიბენით და მე ჩემს მეგობრებს ვუთხარი, ისეთ ჟურნალს გამოვცემთ, რომ ხალხმა თქვას: ეს რა კარგი ჟურნალი გამოუციათ მაგათი ოჯახი აშენდაო, ანდა, ეს რა საშინელი ჟურნალი გამოუციათ მაგათ დაექცა ოჯახიო; მოკლედ, მხოლოდ ჩემს თავზე არ ვკისრულობ არც ავსა და არც კარგს, ერთნაირად გავიყოთ ჭირიც და ლხინიც, ერთნაირად დაგვლოცონ ან ყველას ერთნაირად გვაგინონ. გაჭრა ამ საუბარმა, ჩვენ ყველანი ერთად ვაკეთებდით ჟურნალს, ოტია პაჭკორია, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ეთერ თვარაძე, გივი ძნელაძე, რეზო ჭეიშვილი, ემზარ კვიტაიშვილი, კიდევ მრავალი შემდგომ მოსულნი და ახალ-ახალნი.

ერთხელ ბელინსკის კუთხეში სპირიდონ ციციშვილი შემხვდა, სტამბის კაცი, გვერდზე გამიყვანა და მითხრა, რაღაც „ცისკრელის“ პირადობის მოწმობა დაგირიგებიათ და ნუთუ მე და დათო ბოსიკაშვილი და ჯუმბერ გოგიჩაშვილი ღირსი არა ვართ მაგ მოწმობისაო, შე კაი კაცო, ყველა ჟურნალს ვაჩერებთ და სულ „ცისკარზე“ ვმუშაობთ, ჩვენ რა, „ცისკრულები“ არა ვართ თუ? მე გაოცებული დავრჩი, რა მოწმობა, რი ატამი-მეთქი. მერე გავიგე ჩემი მეგობარი გივი სამსონაძე შეხვედრია და უთქვამს, ჩარკვიანი „ცისკრელის“ მოწმობებს არიგებს და თქვენ არ გაძლევთო, — ეს მშვენიერი ხუმრობა ვაკის პარკით დავაგვირგვინეთ, წავედით და კაი პური ვჭამეთ, მე, სპირიდონ ციციშვილმა, ჯუმბერ გოგიჩაშვილმა, დათო ბოსიკაშვილმა, რამაზ ცხვარაძემ, გივი სამსონაძემ და ტარიელ ჭანტურიამ.

ჩვენ და სტამბაში მოღვაწე ჩვენი მეგობრები გაუყოფელ სახლში ვცხოვრობდით, დაავადებულნი ვიყავით მშვენიერი ავადმყოფობით „ცისკრელობით“.

ერთხელ არჩილ გოგელიასთან საუბარში, (ინტერვიუს ვგულისხმობ) ვთქვი, რუსის ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც „ცისკარს“, მაგრამ გავუძელით.

დიდ მწერლობაშიც და პატარა ლიტერატურულ კულუარებშიც ისეა მოწყობილი ცხოვრება, რომ თუ ვაჟკაცი ხარ და შენი გზის გჯერა, უნდა გაუძლო. მწერლობა სიმართლეს ემსახურება, სიკეთეს ემსახურება. მე მიხარია, რომ არსება სიკეთისა დაუსაბამოა, რომ ბოლო კეთილია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეეჰ, მოსაგონარის მეტი რა მაქვს, მაგრამ მოგონებისთვის ჯერ არ მცალია. ჯერ კიდევ „ცისკრელი“ ვარ, თუ ვიცოცხლე, მე ვიცი რასაც მოვიგონებ, ვისაც მოვიგონებ და როგორც მოვიგონებ (ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, ქადილის მიღმა).

„ცისკარს“ გაუმარჯოს, ოცდახუთი წლის ჭაბუკს, „ცისკარი“ რომ დაიბადა მე ოცდახუთი წლისა ვიყავი.

ჯანსუღ ჩარკვიანი

თითქოს გუშინ იყო, ჟურნალი „ცისკარი“ რომ დაარსდა.

ოცდახუთი წელი გასულა მას შემდეგ.

თითქოს გუშინ იყო, პირველი მოთხრობები რომ დავბეჭდე „ცისკრის“ მესამე ნომერში.

დაარსების დღიდანვე „ცისკარი“ გახდა ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. უფრო სწორედ, მე გავხდი ჟურნალ „ცისკრის“ მუდმივი თანამგზავრი.

რაც კი რამ აქამდე დამიწერია, თითქმის ყველაფერი „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.

ეს მე, ერთი, მაგრამ რამდენმა ქართველმა მწერალმა, პოეტმა თუ კრიტიკოსმა აიდგა ამ ჟურნალში ფეხი, რამდენი შემოქმედის სულისა და გულის ნაწილად იქცა ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალი!

წლების მანძილზე ვიყავი „ცისკრის“ პასუხისმგებელი მდივანი, შემდეგ — მთავარი რედაქტორი, — ამჯერად კოლეგიის წევრი...

ეტყობა, სანამ ცოცხალი ვარ, ამ ჟურნალთან განშორება არ მიწერია. წლები ნელნელა გვემატება, მაინც არ გვინდა დავშორდეთ „ცისკარს“, მის მარად ახალგაზრდულ სულს.

ღმერთმა ნურც დაგვაშოროს!

ბურამ ფანჯიკიძე

# გწამდეს! გჯეროდეს!

„ცისკარო“ ჩემო!
წვითა და დაგვით მოპოვებულო... მოვლინებულო იმედად ჩვენდა!
მე მახსოვს შენი დაბადება. მახსოვს შენი პირველი თრთოლა,
პირველი ცრემლი და პირველი გზნება შენი ალმაფრენისა.
მე ისიც მახსოვს, ვინ იბრძოდა შენთვის, შენს გამო, —
ვინ გითავმდება, ვინ გელოდა, ვინ არ გელოდა, ვის სჯეროდა და
ვინ გიჭვრეტდა იჭვით, როდესაც იყო იმედი, იყო რწმენა
შენი ხილვისა.

თაობა ჩვენი შენთან ერთად იდგამდა ენას და შენთან ერთად
მიიკვლევდა გზას მკითხველისკენ.
იყო სვლა ჯიქურ, იყო ხშირად უკანდახევაც, იყო ყოყმანი,
იყო ღელვა და დაეჭვება, მაგრამ ღალატი შენგან არვის არ ახსოვს
ბედად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიჭირდა, გაკლდა საფანელი, ხანდახან „პური შენი არსობისა —
ქაღალდიც“ გაკლდა, ხან ვერ გაწყობდნენ თავის დროზე, ხან ვერ
გსტამბავდნენ ისე, როგორც შენ გშვენოდა, შენ შეგფეროდა, მაგრამ
არასდროს დაგიჩივლია და არც არავის გაუგია „ბუზღუნი“ შენი,
რადგან უმთავრეს უმთავრესზე შენ არ გაკლებდნენ —
ეს იყო დიდი ინტერესი შენდამი მუდამ... და სიყვარული,
ურომლისოდაც ალბათ ვერასდროს გაიკვლევდი ბილიკს „მრევლისკენ“,
რომელსაც შენი სიყვარული თვით სჭირდებოდა და მრევლი იგი
იყო მარად შენი ერთგული, შენივე შუქის სიჭაბუკედ რომ იწოდება —
შნო და ჯავარი ჩვენი ქვეყნისა!

დღეს მთელი დედა-საქართველო გკითხულობს ალბათ და ეს უკვე რაღაცას
ნიშნავს.
ხორცი ხარ მისი, ღვიძლი ხარ მისი, ფიქრი, სურვილი, სულისკვეთება!

მრავალ ჩვენთაგანს შენ პირველმა შეაშველე ხელი კეთილი და მეგზურო-
ბაც გაუწიე... ხარ ამაგდარი!
ვისაც შენ ზრდიდი, მერე თავად შენ გპატრონობდა. ეს იყო შენი
უკვდავების პირველი წყარო.

აწ ყველა შენი გზისგამკვლევი ამაყობს შენით...
და ყველა შენი „ხელისმომკიდე“ არ ჰკარგავს იმედს,
რომ იქნები ღირსეული მემკვიდრე იმის, რაც უკვე მოხდა,
რაც უკვე იყო.

შენს მკერდზე ვლანდავ ყველა იმ ჯილდოს, შენმა მრავალმა
ავტორმა რომ დაიმსახურა შენსავ ფურცლებზე დასტამბული
ნაწარმოებით... და მაინც ვამბობ: ყველა ჯილდოზე უფრო
ძვირფასი ეს არის ალბათ აღიარება,
აღიარება შენი „ცისკარო“!
შენს სადროშოში ჩვენი მწერლობის ყველა თაობა ერთ მუშტად
იყო შეკრული მუდამ, როცა ბრძოლა იყო საჭირო, ბრძოლა
ახალი საქართველოს საკეთილდღეოდ.
იმედით ვცოცხლობთ, — კვლავაც ასე რომ გაგრძელდება!
კვლავ და კვლავ შენი „გაზრდილები“ გიპატრონებენ!
იყავ „ცისკარი“ და „ცისკრადვე“ დარჩი ნიადაგ!

იარე, გასწი, შენი გზით ვლიდე და თავი შენი „შენ გეყუდვნოდეს“
შენს სათქმელს სხვას ნუ ათქმევინებ, შენ თქვი
თვითონვე!
შენს ჩანგს ნურავის ნუ დაუთმობ, შენვე აჟღერე!

თუ რამე სტკივა შენს ქვეყანას, უნდა გტკიოდეს.
თუ რამ აცოცხლებს, შენც გაცოცხლებს აწ და მარადის, უკუნითი
უკუნისამდე!
გწამდეს! გჯეროდეს!
და გიყვარდეს, როგორც ყოველთვის!!!

მორის ფოცხიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს მოამბე

გამოვიდა და ხელისმომწერთ უკვე დაურიგდათ „ცისკრის“ 300 წიგნი!

ოცდახუთი გრძელი და ქარტეხილებით აღსავსე წელი დასჭირდა ქართული კულტურის ამ დიდი განძის შექმნას!

ოცდახუთი წლის „ცისკარი“ ოცდახუთი წლის გოგო-ბიჭების ასპარეზია. ოცდახუთი წლის წინათაც ახლად დაარსებული „ცისკარი“ ოცდახუთი წლის გოგო-ბიჭების ჟურნალი იყო.

დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ თავისი მნიშვნელობით „ცისკარი“ მეტია ქართული კულტურისათვის, ვინემ ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურული ორგანო.

ყველას გვახსოვს: ერთი ცნობილი კრიტიკოსი ვერ შეურიგდა ტერმინებს“ სამოციანელი“ და „ცისკრელი“. სამოციანელთა გაგონებაზე უსაფუძვლოდ ილიას, აკაკისა და ვაჟას ღვთაებრივ ლანდებს გამოიხმობდა და სარბიელზე ახლად ფეხშედგმულ დებიუტანტებს დაუმსახურებლად აწითლებდა, „ცისკრელი“ კი მკრეხელობად მიაჩნდა, თითქოს ვინმეს ახალი, განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელთა მოსვლა ეგულისხმოს ამ უწყინარ სიტყვაში, კრიტიკოსთა ერთ ნაწილს ერთნაირ ესთეტიკურ პოზიციაზე მდგომი ახალგაზრდების გაერთიანების აღსანიშნავად უფრო მარჯვე რომ ეჩვენებოდა. არადა, უბრალო ადამიანური ლოგიკით ყველაფერი რა იოლი ასახსნელია! — მეოცე საუკუნესაც ისევე ჰყავს თავისი სამოციანელები, სამოცდაათიანელები და ა. შ., როგორც მეცხრამეტეს ჰყავდა. ვისი რა ბრალია, თუკი საზოგადოებას არ შეუძლია, არ ჰყავდეს მწერლები ყოველ დროში!

„ცისკარი“ „ცისკრის“ ანტიპოდია — თავისი შორეული სეხნის ანტიპოდი. ამ თვალსაზრისით „ცისკარი“ თავისი შორეული წინაპრის ოპონენტს უფრო ჰგავს — „საქართველოს მოამბეს!“

თავიდანვე ისე მოხდა, რომ „ცისკრის“ ირგვლივ თავმოყრილი თაობა საქართველოს უკეთეს ფიქრს გამოხატავდა. „ალავერდობა“, „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“. „შუადღე“; „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“; „ოქროს თევზი“ „თვალი პატიოსანი“; „რწმენის კედელი“; „დათა თუთაშხია“; „თუთარჩელა“; „სეზამ, გაიღე“!; „სათავეებთან“; „გახლეჩილი გული“; „ხმა იდუმალი“; ანასეული საგალობლები; „ვახტანგი“; „ანისის ალება“; „შურისგება“; „იგი“; „ჭკვდრის მზე“; „ცაბუნია“; „ნადირობა“; „პირამიდა“; „ბებერი მეზურნეები“; „დედები“; „დედას ლევანა“; „ბიჭები“; „იყალთოელი ბიჭები“; „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“; „დედა, ზამთარი, შუაცეცხლი“; „გაზაფხული ივრის ჭალებში“; „ციხე-ტაძართა საგალობლები“; „ბორიაყი“; „საფლავი ვენახში“; „მთლიანი საქართველოს მესიტყვე“; „ქართული ასომთავრული“; „გადარჩენილი სალამური“; „გობელენი“; „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“; „ციცქას თოვლი“; „მეათე მოწმე“; „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“; „რას გვპირდება გაზაფხული“; „სიტყვების დატირება“; „თორღვა ძაგანი“; „ბებერი ცაცხვი“; „გვალვა“; „უცხოური შთაბეჭდილებები ჩვენებური შეცდომებით“. ჰომეროსის, შექსპირის, ფრანსუა ვიიონის, პლატონის, პოლ ვალერის, კიპლინგის, ედგარ პოს, ემილი დიკინსონის, აპოლინერის, პუშკინის უბადლო თარგმანები; გრაფიკული თუ თავისუფალი ლექსი; უკომპრომისო წერი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლები; სტატიები: სატირა, იუმორი; შესანიშნავი მეცნიერული გამოკვლევები...!— რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო კაცმა!

მეხსიერების მიერ აბნეულად ნაკარნახევი ეს პანორამა საკმარისი საბუთია იმის სამტკიცებლად, რომ „ცისკარი“ მართლაც იყო და არის საქართველოს მოამბე.

შესაძლოა, კაცი წარამარა იბეჭდებოდეს „ცისკარში“ და არ იყოს ცისკრელი.

შესაძლოა, კაცს სტრიქონიც არ დაესტამბოს „ცისკარში“ და თავისი მწერლური პოზიციითა და ხასიათით ცისკრელი იყოს!

შესაძლოა, კაცმა წლები გაატაროს „ცისკრის“ რედაქციაში თანამშრომლად, თქვენ წარმოიდგინეთ, იყოს მისი თვით რედაქტორიც კი, და არ იყოს ცისკრელი!

და პირიქით — შესაძლოა, კაცი მუშაობდეს, ვთქვათ, „მნათობში“ და იყოს თავგამოდებული ცისკრელი!

მაინც რა არის ეს მისტიური **ცისკრელი!** რა შინაარსია, ბოლოს და ბოლოს, ჩადებული ამ საჩოთიროდ ქცეულ ტერმინში! — აი, კითხვა, ამგვარ საუბარს ბუნებრივად რომ მოსდევს!

ცისკრელი ლიტერატურულ სიახლეთათვის ფართოდ და თამამად გაღებული გულისა და გონების კაცია, ექსპერიმენტზე კადნიერებამდე მისული სიჯიუტით წამსვლელი ლიტერატორია, ნოვატორული ბუნების შემოქმედია, კაბედული და უკომპრომისო ახალგაზრდაა! კიდევ? კიდევ აქვს მას რამდენიმე თვისება ალბათ, რითაც მის წინამავალ თაობას გამოერჩევა, ოღონდ ეს ყველაფერი არ იძლევა იმის საბაბს, იგი სხვა პლანეტიდან, სხვა ქვეყნიდან, სხვა იდეოლოგიიდან და სხვა ესთეტიკიდან მოსულ საშიშ ელემენტად მივიჩნიოთ და ვებრძოლოთ, როგორც ამ ოციოდე წლის წინათ აკეთებდნენ ამას მავანნი!— ხომ გამოირკვა, რომ ნოვაციად მიჩნეული ზოგიერთი ნაბიჯი, რისთვისაც ლამის იყო ჯვარს აცვეს თავის დროზე რამდენიმე ცისკრელი, თურმე ტრადიციის არტახებს არც ყოფილა გაცილებული...

იმ მოზარდივით, მამას მხარში რომ ამოუდგა და დიდი ტვირთის აწევაში უშველა, „ცისკარი“ იმთავითვე თამამად დაუდგა გვერდით „მნათობს“ და მისი საფიქრალი და სატანჯველი გაინაწილა. ასე რომ, თუმცა დღეს „ცისკარი“ ისევ რჩება ოცდახუთი წლის გოგო-ბიჭების ასპარეზად, იგი არც უფრო დიდი ტვირთის აწევაზე იტყვის უარს, მით უმეტეს, რომ ამის ღონეც საკმარისზე მეტი აქვს და გამოცდილებაც.

ვულოცავ მე ჩემს საყვარელ „ცისკარს“ — საქართველოს მოამბეს — ამ მოკრძალებულ იუბილეს! ათასწლეულებს გასწვდენოდეს მისი სიტყვა და საქმე.

თანდათან დაპრძენდა „ცისკარი“. ახლა მას, გარდა საკუთარი აკვნებისა, საკუთარი საფლავებიც აქვს...

მინდა, ამ საზეიმო დღეებში სინანულის ზარივით გაისმას რამდენიმე სახელი: გიორგი შატბერაშვილი. გურამ რჩეულიშვილი. ედიშერ ყიფიანი. ნოდარ ჩხეიძე. გელა გაბუნია. კარლო ქილარჯიანი. ფილიპე ბერიძე. არლი თაყაიშვილი. შოთა ჩანტლაძე. ყარამან კიკვიძე. გულდა კალაძე. ლაშა ჯანაშია. გურამ აათიანი...

**ტარიელ ჭანტურია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი პირველი სიყვარული

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომლის უმრავლესობა პირველი ლექსისა თუ მოთხრობის გამოქვეყნების თარიღად 1957 წელს ასახელებს. ეს „ცისკრის" დაარსების წელია და მუდამ სასიამოვნოდ დაგვრჩება იმის გახსენება, რომ ჩვენი სიჭაბუკე ჩვენი უსაყვარლესი ჟურნალის დაბადებას დაემთხვა. ალბათ „ცისკარში" მიღებული წრთობა თუა იმის მიზეზი, რომ ჯერაც მის ავტორებად მიგვაჩნია თავი და ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს სიყრმის ბედნიერი წლები ახლაც გრძელდება.

მუდამ სიხარული და გამარჯვება ვის ჰქონია. დროდადრო „ცისკარს" ძნელბედობის ჟამიც დადგომია, მაგრამ ძალა ჰქონდა, კეთილმოსურნენიც ავისგანმზრახველებზე მეტი ჰყავდა და პატიოსანი ლიტერატურული ბრძოლა არავისთან წაუგია.

ჩვენმა ერთმა მეგობარმა ყველა ჩვენთაგანის დამოკიდებულება გამოხატა ამ ჟურნალისადმი, როცა თქვა, „ცისკარი" ჩვენთვის სამუშაო შტატს და ხელფასს არასოდეს ნიშნავდაო. „ცისკარი" რაინდული შემართება, ნათელი სულისკვეთებაა.

„ცისკრის" სათავე წმინდა იყო და არც არავის მიეცემა მისი ამღვრევის უფლება, მის წიაღში აბლაბუდა და ხავსი ვერასოდეს დაიდგამს ფესვს, მუდამ სიახლის ქარი იქროლებს.

ცისკრელებს ასაკის მიხედვით არასოდეს დაუყვიათ მწერლობა. აქ ერთ უღელში იყვნენ შებმული გიორგი შატბერაშვილი და გურამ რჩეულიშვილი. ყმაწვილს ყოველთვის რიდი და პატივისცემა ჰქონდა მასზე უფროსისა და ჭარმაგიც არასოდეს უგვიანებდა უმცროს თანამოკალმეს ყურადღებასა და თანადგომას.

ოცდახუთი წელიწადი შემოქმედებისათვის საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთია და „ცისკარს" თამამად, უშელავათოდ შეუძლია წარსდგეს ჩვენი ხალხის წინაშე, უთხრას თუ რა გარდახდა და რა გააკეთა ამ ხნის მანძილზე, მაგრამ ჯერ შედეგების შესაჯამებლად არავის სცალია, ჯერ ისევ დამკლავებული და მუხლჩაუხრელი გარჯა მართებს „ცისკარს", რომ უნაყოფო, ბერწი ხის ადგილზე სასიკეთო, მსხმოიარე ნერგი ახაროს, კვლავაც დაუღალავად იზრუნოს ჩვენი მწერლობის ხვალინდელ დღეზე, ფართო გზა მისცეს ნიჭს, სიმართლესა და გაბედულებას.

„ცისკარში" მრავალი წლის მუშაობაცაა ალბათ იმის მიზეზი, რომ აქ დაბეჭდილ ყოველ ულიმღამო ლექსსა თუ მოთხრობას უფრო მტკივნეულად განვიცდი, ვიდრე სხვაგან და „ცისკარშივე" გამოქვეყნებული ხალასი ნაწარმოებიც ორმაგად მახარებს.

„ცისკარი" ჩვენი ერის ყველაზე სანუკვარ, უჭკნობ იმედებს გამოხატავს და მის ფესვებს არასოდეს მოაკლდება სინორჩის მაცოცხლებელი წვენი. იგი გავს იმ უბერებელ საკულტო ხეს, რომელსაც ვერ შეატყობ — როდის იცვლის სამოსელს და მნახველის თვალს მუდამ მწვანედ აშრიალებული ეგებება.

ჩვენი პირველი, გულიდან ამოუღებელი სიყვარული „ცისკარს" ეკუთვნის.

**ემზარ კვიტაიშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გმადლობთ

ჩვენი თაობის, დღევანდელ იუბილარ ჟურნალზე ათი-თხუთმეტი წლით უფროსების აღზრდაში, თამამად შეიძლება ითქვას, „ცისკარმა“ გარკვეული წვლილი შეიტანა.

და აი რატომ:

„ცისკარმა“ გაგვიღვივა სამშობლოს სიყვარული.

„ცისკარი“ შეგვახსენებდა ხოლმე მოყვასის სიყვარულს.

„ცისკარმა“ გვასწავლა ლიტერატურის სიყვარული.

და საერთოდ, სიყვარული, პატივისცემა, ურთიერთგატანა გვასწავლეს „ცისკარმა“ და ცისკრელებმა.

„ცისკრის“ პირველი ნომრების მკითხველი ასაკის გამო არ ვყოფილვარ. მახსოვს, მერე და მერე მოვიძიე და მაშინ აღმოვაჩინე (ჩემთვის, თორემ ისე რა აღმოჩენა ჭირდებოდა) გურამ რჩეულიშვილი.

ყველას ახსოვს „ცისკრის“ გაცვეთილი ნომრები ხელიდან ხელში რომ გადადიოდა. ამ ფურცლებზე ენერგიითა და ვნებებით სავსე გმირები ცოცხლობდნენ. და ჩვენც მოუთმენლად ველოდით მომავალ თვეს, გვაინტერესებდა ამ გმირების ბედი.

გავიდა დრო და დაიწყო პირადი ურთიერთობა ჟურნალთან და მის თანამშრომლებთან.

ხშირად შემიტყვია „ცისკრის“ რედაქციაში მისულს კითხვა დამბადებია, რა მინდოდა, რატომ მოვდიოდი. და მხოლოდ უფროსი მეგობრების, იმდროინდელი ცისკრელების დანახვისას მიგრძვნია, რომ მომნატრებია ეს ხალხი, მომნატრებია მათი სიახლოვე, მათი საუბარი. საუბარი კი გაგიხარიათ, რაზე აღარ იყო...

დღეს სწორედ ამიტომ მინდა, მადლობა ვუთხრა მათ, ვინც პირველად მიგვიღო, ვინც ერთი ორი სტრიქონი გამოგვიმზეურა. არა მარტო გამოგვიმზეურა, გაეცნო, დაგვარიგა, გვირჩია.

რამდენად უმადური უნდა იყოს კაცი, რომ მათ მიმართ ეს გრძნობა ხმამაღლა არ გამოხატო ან უარესი, ამ ხალხს უღალატო.

ახლა კი გაახალგაზრდავდა ჩვენი „ცისკარი“.

თუმცა ჭაბუკური ხალისი და ენერგია არასოდეს დაკლებია.

ფენიქსივით დაწვა და დაფერფლვა არ დაჭირვებია, რომ თავიდან, მთელი შემართებით გაეშალა ფრთები.

გასაკვირი არც ის იქნება, რომ სულ უკეთესი და უკეთესი გვინდოდეს.

ამ ცოტა ხნის უკან გაგრის სემინარის მონაწილეები ალბათ თავს ვაბეზრებდით ჩვენი სურვილებით (ზოგჯერ რჩევებით) „ცისკრის“ დღევანდელ მესვეურებს. დარწმუნებულები კი ვართ, მათ იციან, თუ რატომ განვიცდით და რატომ მიგვაქვს გულთან ასე ახლოს „ცისკრის“ ბედი.

რატომ?

შეიძლება ისევ თავიდან ჩამოითვალოს...

იმიტომ, რომ „ცისკარმა“ გაგვიღვივა და გვასწავლა კიდეც უდიდესი და უსათუთესი გრძნობა — სიყვარული.

ბადრი ჭოხონელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სსრკ 60 წელი

## ჯაბირ ნოვრუზი

აზერბაიჯანი

### ხიროსიმა...
### ნაგასაკი...
### წყნარი ოკეანე....

ხიროსიმა... ნაგასაკი... წყნარი
ოკეანე....
დავივიწყე ყველა მხარე, რაც კი
მოვიარე.
დღე დღეს მისდევს, სიცილს —
ცრემლი, ჟამი მგლოვიარე.

დავივიწყე ჩემი ყრმობა, სიხალისის
ხანა,
ვერც ვიხსენებ თუკი მენთო ცეცხლი
იმისთანა...
დავივიწყე ფიქრი, გრძნობა,
აშვებული აფრა,
იყო, არა იყო რა... და
უგზო-უკვლოდ გაქრა.

დავივიწყე აღტაცება
იმ პირველი ლექსის,
აღარც პირველ სიყვარულის
თავბრუსხვევა მესმის...

დავივიწყე ფიცი-მტკიცი,
სიხარულიც, სევდაც,
დავივიწყე თუკი როსმე
სიხალისე მდევდა.

დავივიწყე ტანჯვაც, ჯვარცმაც,
ტკივილი თუ დარდი,
დავივიწყე ფეხბედნიერს
თუ ოდესმე ვგავდი.

მხოლოდ მთელს ჩემს არსებაში
ერთი ხსოვნა გაჩნდა,
ჩემს გულს, ძარღვებს ტვინის
უჯრედს
დამღად რომ დააჩნდა.
იგი — ყველა ცრემლზე მწველი,
რაც ოდესმე ვღვარე,
ხიროსიმა... ნაგასაკი.. წყნარი
ოკეანე...

თარგმნა ლეილა ერაძემ

## ხოორონბაი ჯუსოევი

ყირგიზეთის სახალხო პოეტი

### რუსთაველი მეტალურგები

ფოლადს ადნობენ მარტენებში გმირთა სწორები,
დუღს ღუმელებში მოთუხთუხე ცეცხლის მორევი,
და მობრიალე ალხის როკვას თვალს უსწორებენ,
მოგებული აქვთ მათთან უკვე ორთაბრძოლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რარიგ ხელმარჯვედ წარმართავენ ლავის მდინარეს,
შუბლზე უბრწყინავთ მარგალიტი პირმომცინარე,
ყადრი იციან საკუთარი, მძლავრი სხეულის,
გამოგიწვდიან დაძარღვულ ხელს და არ ინანებ.

მათი მარჯვენა ცეცხლს აკვესებს ხოლმე თვითონვე
ჩამოგართმევენ — ნალდი არის, განა — ლიტონი,
მათ შეუძლიათ გულწარმტაცი ენით მოგითხრონ,
თუ რა იდუმალ გზნებას იტევს უტყვი ლითონი.

ცეცხლთან, ფოლადთან ფალავნობა წილად რგებიათ,
და ფოლადივით ნებისყოფა დაბედებიათ,
ლუმელებიდან გადმომსკდარი რვალის ნაკადი,
მათი შექმნილი ლექსები და პოემებია.

სამშობლოს, ძმებო, მატებთ ღონეს და ძლიერებას,
იგი ხომ დღემდეც განადიდეს თქვენმა ხელებმა
და, სიამაყედ, რუსთაველო მეტალურგებო,
შემატებიხართ საქართველოს ბედნიერებას.

თარგმნა ამირან ახანიძემ

მარგარიტა ვალიევა-რობაქიძე და ანაიდა სევაკიანი ჩვენი ქალაქის მკვიდრნი არიან; მარგარიტა ოსია, ანაიდა — სომეხი. მათი ლექსები წრფელად, უშუალოდ გვიმჟღავნებენ საქართველოსა და ჩვენი დღევანდელობის სიყვარულს. ეს ლექსები კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმ განწყობილებებისა, ოქტომბერმა რომ დაამკვიდრა ერთა შორის.

## მარგარიტა ვალიევა-რობაქიძე

●

ქათული მიწაა
        ჩემი საფიცარი,
თავზედაც ქართული
        დამნათის ზეცა...
მე მთელი სიცოცხლე
        ქარსა თუ ავდარში
ქართული მინდვრების
        სიმწვანე მეცვა.

შოთამ მაზიარა
        სიბრძნეს და სიყვარულს,
ტატოს ჩაუქრობი
        სურვილით ვიწვი,
ვაჟამ მკერდს ჩამიდგა
        სული მწვერვალების

და გალაქტიონმა
მასწავლა ფიქრი...

თვალებში მინთია
ქართული სიკეთე,
მაცვია ქართული ფარჩა...
და მაინც, ძვირფასო,
ნუ გაგიკვირდება,
გული თუ ნართების დამრჩა.

## ანაიდა სევაკიანი

### სიყვარულის ზღვასთან

ჩვენს შორს ვართ,
შორს ვართ ერთმანეთისგან —
შენ ოკეანე,
მე — ნაკადული.
ნეტავ როდემდე ვიჩურჩულო
ოცნებით, მითხარ,
როდემდე ვიყო
სანუკვარი სახის ნატრული.

ხან ზეცად ავალ,
ეგებ თვალი შეგავლო ციდან,
ჩამოვალ, მხრებზე წვიმასავით
დაგესხურები...
შენ ხან მთვარე ხარ,
მე უჟმური ღამის ფსკერიდან
დავღალე თვალი, სანატრელო,
შენსკენ ყურებით.

ო, ზღვაო ჩემო,
შერთე შენთა უძირო მორევს
ეს ნაკადული —
მარადიულ ტრფობით ავსილი...
გემუდარები, ნუ გამწირავ,
ნუ განმიშორებ,
ისმინე გულის უწრფელესი
გადაძახილი.

მომეცი ნება,
შენს ტალღებში რომ ჩავიკარგო,
რომ ამ ოცნებას უსასრულოს
დავუდო ზღვარი!
ვდგავარ ჯიუტად შენი გულის
დაკეტილ კართან
გემუდარები, გამიღე კარი!

თარგმნა კონსტანტინე ამირიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პოეზია და პროზა

მურმან ჯგუბურია

## დედა-ენა

*რამაზ პატარიძეს*

მე მიყვარს ეს ხმა, ყველა ხმაში გამორჩეული
და ოკრო-ბოკრო ასოებით სავსე რვეული;

დამრიგებელი ჩემი წყნარი, თმაშევერცხლილი, —
ლიდა ნანავა, დედა-ენა, ყდა გაცრეცილი.

იწყება წიგნი უწმინდესი, ნაზი იათი,
ჩიტის ჭიკჭიკით და ტოროლას ტია-ტიათი.

ანი — მიწაა, ჰაე კიდევ სულ ცაში მიდის
და იმათ შუა სამყაროა უსაზღვროდ დიდი.

მე მიყვარს ეს ხმა, ყველა ხმაში გამორჩეული,
და ოკრო-ბოკრო ასოებით სავსე რვეული...

●

ხეა მწვანე, ჩიტ-ბატონა სტვენს,
ირგვლივ სიო გაზაფხულის ფრენს,
ავიკრიფავთ გუდა-ნაბადს ჩვენც,
წავიმძლვარებთ მოსაკითხავ ძღვენს
და გზა-შარას გავუყვებით გრძელს.

დაემთხვევა ის დღე აპრილს, ანდა
დაემთხვევა კვლავ მაისის პირველს,

ღმერთს ვხედავდით, რადგან
ღმერთი გვწამდა,
და ვუსმენდით მლოცველსა და
მწირველს, —

გაიხსენე, ჯიხაშკარი, გენ!
ხეა მწვანე, ჩიტ-ბატონა სტვენს!

●

— აი, აქ იყო გალაკტიონი...
— გალაკტიონი არ იყო აქ...
მეტი წონა აქვს ამ სიტყვებს ახლა,
ვიდრე ზოგ-ზოგის ცხოვრებას აქვს.

ასე იყო და იქნება ასე,
ვერას გააწყობს ვერავინ აქ;

ჩვენ ერთმანეთის არ ვიცით ფასი,
ეს ჩვეულება ქართველებს გვაქვს.

— აი, აქ იყო გალაკტიონი...
— გალაკტიონი არ იყო აქ...
მეტი წონა აქვს ამ სიტყვებს ახლა,
ვიდრე ზოგ-ზოგის ცხოვრებას აქვს.

## ფოთი. გემების სასაფლაო

როგორც ქვეყანანანახი გემი,
დრო რომ მოჭამა უკვე თავისი,
გაუქმებული რომ დგას ყურეში
და ჟონავს წყალი...

აი, ასეთი გემი მგონია
ხანდახან, ჩემი თავი...

●

ჩვენი ხალხური ცეკვა და
ჩვენი ხალხური ლექსი,
ჩვენი ხალხური სიმღერა,
ჩვენი ძირი და ფესვი.

ჩვენი ხალხური ჭირი და
ჩვენი ხალხური ლხინი,
ჩვენი ხალხური ხმალი და
ჩვენი ხალხური ძილი!

●

დღეს ჩემი სტრიქონი კვლავ გადაკრულშია,
ასე რომ ყვავილობს... ალუჩის ბუშია.

დათვრა დედამიწა და მზით გაიჟღინთა,
აღარც მაგონდება თუ რამე მიჭირდა.

მზე ყველა წვეთშია და ყველა კვირტშია
ხარობს დიდ-პატარა, სოფელი — ლხინშია.

ო, ამ ხარებისთვის, მაღალო ციერო,
ნუთუ შენ არ მოგვთხოვ ჩვენ სამაგიეროს?

●

სულ ბედნიერი აქ ვინ ყოფილა,
შენ რომ იყო და — მარტო,
სულ უბედური აქ ვინ ყოფილა,
მე რომ ვიყო და — მარტო.

დროულად მოდის დარიც, ავდარიც,
უბედობა და ბედიც,
დროულად მოდის ზაფხულ-
ზამთარიც,
ასე იცვლება ხედი.

რა ვრცელი არი, ხედავ ცარგვალი,
და რანაირი ფართო,
სულ უბედური აქ ვინ ყოფილა,
ან ბედნიერი — მარტო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

აგერ კრიალა. სუფთა ფურცელი, —
ისევ გათენდა დილა ახალი...

წერე და ხატე, წერე და ხატე,
და ამოავსე სუფთა ფურცელი,
ეს ცარიელი დიდი კალათი,
ოღონდ გახსოვდეს, რაც მთავარია,
დამპალი ხილი სხვასაც აფუჭებს,
ამოარჩიე ნაღდი სიტყვები.
ამოარჩიე ნაღდი ფერები,
ხატე პორტრეტი და პეიზაჟი,
ხატე სოფელი, ხატე ქალაქი,
ხატე იმედი, ხატე ოცნება,
გასძელი ვიდრე დაღამდებოდეს,
და მოაგვარე ისე ყოველი,
რომ დღე დღეს ჰგავდეს და არა
ღამეს.

აგერ კრიალა, სუფთა ფურცელი,
ისევ გათენდა დილა ახალი...

●

წიგნიდან „ხევსურმა მიქო ფშაველს“

შენ, არაგვს გაღმა, ირაკლი
ფუტკარი გაგიშვია;
აღარც სათიბი გჭირდება,
აღარც ქერი და შვრია.

ასე მეგონა მანამდის
ამ უმეცარი გონით,
ვინემდის არ წავიკითხე
მე მეტერლინკის ტომი.

ფუტკარს თუ ზრუნვა მოაკელ
თაფლს ვერ აიღებ მისხალს,
ისე კი რა ბუნებრივად
ივსება თითეო ფიჭა.

## (ფშაველი ბერიკაცის ნათქვამი)

თევზს უყვარს წყალი, ცხადია,
მდინარეს უყვარს ჩრდილი,
კაცს თევზის გახსენებაზე
ნერწყვით ევსება პირი.

თევზს უყვარს წყნარი ტირიფი,
თხმელა და ნეკერჩხალი,
ერთი გუნების არიან
თითქმის თევზი და წყალი.

ვისაც კალმახის ხსენებით
ნერწყვით ევსება პირი:
იმას ტყეც უნდა უყვარდეს,
როგორც მდინარეს — ჩრდილი.

●

— ქისტი, აქ, არ მოვარდება,
ქვეყნად სხვა დროა აწი,
ქისტს და ფშავს შუა რუსი დგას,
როგორც სამართლის კაცი;

ასე ამბობდა ფშაველი,
ერთნახადა უჯდა ვინაც,
ჩვენს დროშიაც და სხვა დროშიც
მიკერებული ბინას.

ცუდი ვის არ გაერევა,
სიტყვას ვინ იტყვის ლიტონს?
ცუდაო, რა გაქვს, რომ შიშობ,
რას წაგართმევენ ვითომ?

●

მალაროსკართან მობუზული ძროხები დგანან,
წვიმს და აქედან მოჩანს ფერდზე პატარა ყანა.

ძროხები შევლენ ეზოს კარში, დარჩება — ხედი,
რასაც თვით ვაჟაც, (არც ნაკლები და აღარც მეტი) ,—

ხედავდა როსმე, როცა ადგა გზის ამ მონაკვეთს,
იქნებ ეს ღობე შეიცვალა და შემორაგვეს,

სხვა ყველაფერი ისე არის აქ, როგორც იყო,
დიდი ფშაველი კი არაა ამქვეყნად თვითონ...

თუმც რაც ჩანს ირგვლივ, — ვაჟას თვალის მონავლებია...
ო, ღმერთო, მისი წასვლითაც კი არ დაჰკლებია
ფშავს არაფერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

# ქარავანი

რომანი

## თავი მეათე

ჩვეულებრივი დღე გათენდა, როგორიც იყო გუშინ, გუშინწინ, სამი დღის წინ. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ისეთი ჩანდა, განსაკუთრებულს არავის არაფერს უქადდა.

ხევში თეთრი ნისლი იწვა და მისი სქელი საფარველის ქვეშ ბუნდოვანი, ცოტა იდუმალი და არარეალური მდინარე ჩუმად მიედინებოდა. ციოდა, როგორც უნდა ციოდეს შუა დეკემბერში. ცა უკვე ორი კვირაა სათოვლედ ემზადებოდა, მაგრამ რაღაც აკავებდა და საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ვერ მიეღო. გზატკეცილის პირას ჩამწკრივებულ ხეებს ფოთლები სულ მთლად დასცვენოდათ და იდგნენ ასე იარაღაყრილი ტყვეებივით გაძარცულები, შემცივნულები, მოწყენილები.

დილა ყოველთვის ჩვეულებრივი თენდება და თავის გეგმებს საიდუმლოდ ინახავს. ან გულთმისანი უნდა იყო, რომ წინასწარ გაიგო, რა იმალება ამ მოჩვენებითი ჩვეულებრიობის ნიღაბქვეშ, ან არადა, ქვეწარმავლის მგრძნობიარობა უნდა გქონდეს, რომ მიწისძვრის მოახლოება არ გამოგეპაროს. ხოლო თუ გულთმისანი არა ხარ, თუ ქვეწარმავალი არა ხარ, თუ მხოლოდ ახალბედა მსახიობი ხარ და თანაც წუხანდელი ნადიმის შემდეგ თავი დამძიმებული და გაბრუებული გაქვს, ცხადია, წინასწარ ვერ მიხვდები, რას გიმზადებს დღევანდელი დღე.

არიოსტო ხოფერიასთან შეტაკება რომ არ ასცდებოდა, ეს ნათელი იყო, მაგრამ, გადამწყვეტი ბრძოლა თუ დღეს გაიმართებოდა, არ იცოდა, რადგან კონფლიქტი ჯერ კიდევ არ ეგონა სათანადოდ მომწიფებული. სხვაფრივ ბრძოლისთვის მზად იყო. ბოლო ხანებში მათი ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა. მართალია, პირველ რეპეტიციაზე არიოსტო ხოფერიამ დაუყვავა და მფარველის პოზა მიიღო, მაგრამ მერე ისევ იარაღი აისხა და მტრულ პოზიციაზე დაბანაკდა. აბელი მალე მიხვდა, რომ არიოსტო უპრინციპო კაცი იყო. ის ხმაური, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ტეხდა, ულოგიკო ჭირვეულობა და დროდადრო ხმამაღლა, რიხით წარმოთქმული ისეთი მრისხანე სიტყვები, როგორიცაა, ვთქვათ, „ინტერპრეტა-

პირველი ნაწილის დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 9, 10, 11.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცია“, სხვა არაფერი იყო, თუ არა გაცნობიერებული უნიჭობის გულუბრყვილო შენიღბვა. გარდა ამისა, არიოსტოს ჩუმი ომი ჰქონდა გაჩაღებული რომან ადეიშვილის წინააღმდეგ და თავის სიმპათიებსა და ანტიპათიებს ამ ცივი ომის პოზიციიდან არიგებდა. მას, როგორც აბელმა თეატრის მრავალრიცხოვანი ჭორიკანებისაგან შეიტყო, თავის დროზე მთავარი რეჟისორობის პრეტენზია ჰქონია, ერთი ხანობა თურმე სხვანაირად თავაღერილი დადიოდა, გადაჭრით ერეოდა თეატრის ცხოვრების ყოველ წვრილმანში და, საერთოდ, ისე ეჭირა თავი, თითქოს უკვე მთავარი რეჟისორი ყოფილიყოს. სწორედ ამ დროს დაუნიშნავთ მთავარ რეჟისორად რომან ადეიშვილი. ეს არიოსტოსათვის მძიმე ტრავმა გამომდგარა. ხოლო როდესაც ბოლოს და ბოლოს მარცხს შეჰგუებია, შიში დასჩემებია, რომ რომან ადეიშვილი ეცდებოდა იგი, როგორც პოტენციური მეტოქე, თავიდან მოეშორებია. სწორედ ამიტომ, შეშინებულმა და ამ შიშით წაქეზებულმა, გამოუცხადა ფარული ომი. „ინტერპრეტაცია“ არ აინტერესებდა და, რამდენადაც აბელი ატყობდა, არც ესმოდა. მისთვის მთავარი იყო მომხრეები და მოწინააღმდეგეები. აბელი მოწინააღმდეგე იყო. თავიდან ეცადა მიემხრო (სწორედ ამას ისახავდა მიზნად მხარზე ხელის მოთათუნება პირველი რეპეტიციის ბოლოს), მაგრამ, რაკი ხშირად ხედავდა რომან ადეიშვილთან, მოწინააღმდეგედ ჩათვალა და მტრად გაუხდა.

რეპეტიციების დროს რამდენჯერმე წალაპარაკდნენ. არიოსტო მშრალ მითითებებს იძლეოდა, აბელი კი დასაბუთებას ითხოვდა და თავის შეხედულებას იცავდა.

ერთი სიტყვით, კონფლიქტი მწიფდებოდა და იმ უცნაურ, თარს დღეს, რომელიც გარეგნულად სხვა დღეებისაგან არ გამოირჩეოდა და თითქოს განსაკუთრებულს არავის არაფერს უქადდა, არიოსტომ, ბოლოს და ბოლოს, იფეთქა.

ღამით, როდესაც აბელი ნირწამხდარი, დაღილავებული და გამოფიტული შინ დაბრუნდება, გულში დარწმუნებით იტყვის, რომ ყველაფერი, რაც იმ დღეს მოხდა, დილით უკვე ტრიალებდა ჰაერში, როგორც შფოთიანი განწყობილება, მაგრამ ასეთ ნაგვიანევ მიხვედრას ფასი არა აქვს. არც იმ მოსაზრებას აქვს ფასი, თითქოს დღევანდელი მღელვარე დღე ამ დილით კი არ დაწყებულა, არამედ გუშინ დაიწყო, ნადიმზე, როცა ახალ კერიას ულოცავდნენ და თან თვალს არიდებდნენ. ასეთ საეჭვო ჯაჭვს რომ რგოლი-რგოლ გავყვეთ, შეიძლება პირველმა რგოლმა აბელის დაბადებასთან მიგვიყვანოს, ხოლო თუ სულ მთლად ავიღებთ ხელს გონიერებაზე და იმ პაწაწინა რგოლებს გამოვეკიდებით, რომლებისგანაც ჯაჭვის დიდი რგოლები შედგება, მთლად აბსურდამდე მივალთ: ეს დღე მაშინ დაიწყო, როცა ქვეყნად პირველი ადამიანი გაჩნდა. ასეთი დასკვნა კი, სწორიც რომ იყოს, მაინც სისულელეა. უნიადაგო შესაძლებლობათა ლაბირინთში, სადაც აბელს არა ერთხელ დაბნევია გზა, ჩვენც დაგვებნევა გზა და დავიკარგებით. ამიტომ მოვეშვათ ამას და ფაქტებს მივდიოთ. ფაქტი საიმედოა, ნამდვილი და მყარი.

იმ დღეს, რეპეტიციის დაწყების წინ საოცარი და, როგორც მოგვიანებით აბელს მოეჩვენა, ცოტა საეჭვო სიზუსტით განმეორდა მერისა და ყვითელი კოლიას დაგვიანების სცენა. განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად მოქმედება დარბაზში ხდებოდა. თერთმეტს უკვე გადაცილებული იყო და ტანადი ტექნიკური რეჟისორი წამდაუწუმ შემოსასვლელ კარს გასცქეროდა. თორმეტის ათ წუთზე გამოჩნდა მერი. მაშინდელივით სწრაფად შემოვიდა, მაშინდელივით მოიბოდიშა და, როცა არიოსტოსაგან მაშინდელივით მიიღო პასუხი, მოდი, მერი, მოდი, გენაცვალეო, მაშინდელივით ღიმილით მიესალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას. ერთი წუთის შემდეგ, თითქოს მერის მოსდევდაო, კოლიაც შემოვარდა და კარიდანვე დაიწყო მობოდიშება, მაგრამ არიოსტომ სიტყვა შუაზე შეაწყვეტინა, დამცინავად გაიღიმა და თქვა:

— აგერ, კოლიასაც გაუღვიძია, — მერე თავად კოლიას მიუბრუნდა, საეჭვოდ დაუწია ხმას და შემპარავი, ავისმომასწავებელი კილოთი უთხრა: — რა გეჩქარებოდა, კოლია, გენაცვალე, ასე გამოუძინებელი რა რეპეტიციას გაივლი ახლა შენ?

კოლიამ მხრები აიჩეჩა და გაბუტულმა წაიბურტყუნა:

— რა იყო, პირველ სურათში მაინც არა ვარ.

— არ ვიწყებ მე პირველი სურათით! — იფეთქა არიოსტომ და ახოვან თანაშემწეს მიუბრუნდა: — დაწერ მოხსენებით ბარათს და მიართმევ დირექტორს! — აქ იაევ კოლიას შეხედა. — სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით უკვე მიიღე ამას წინეებზე. ახლა მოგხსნით სამსახურიდან და იძინე მერე, რამდენიც გინდა.

— ვნახავ ერთი, რომელი სურათით დაიწყებ, — წაიბურტყუნა კოლიამ.

— კოლია, არ ჩამაშლევინო რეპეტიცია! — მთელი ხმით დაიღრიალა არიოსტომ.

აი, ამ დროს, დაძაბულ, სამარისებურ სიჩუმეში გაისმა აბელის მშვიდი ხმა:

— ძველქართულად ამას თვალღებას ეძახდნენ.

ღამით, როდესაც ნირწამხდარი, დაღილავებული და გამოფიტული დაბრუნდება შინ, დიდხანს იფიქრებს, მაგრამ ვერაფრით ვერ მიხვდება, რამ გაახსენა ეს „თვალღება“. მაშინ კი, დილით, დარბაზში, რეპეტიციის დაწყების წინ, მისმა ნათქვამმა სიჩუმე თითქოს კიდევ უფრო დაძაბული და კიდევ უფრო სამარისებური გახადა. ბოლოს არიოსტო, ცოტა დაბნეული, ცოტა გაკვირვებული, ცოტა შემკრთალი, მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რას?

— ტენდენციურობას, — აბელმა არიოსტოს შეხედა, თვალი თვალში გაუყარა. სიბრაზის ქაოტურად მბრუნავი ბურუსით გარშემორტყმული საოცრად მკაფიოდ გრძნობდა, რომ ზედმეტად მშვიდად ლაპარაკობდა: — იმას, რომ ერთი და იმავე დანაშაულისათვის ზოგი ისჯება და ზოგი — არა.

სიჩუმე უკვე ფიზიკურად საგრძნობი, მტკივნეული გახდა. აბელს ისევ სიბრაზის ბურუსი ერტყა და ამ ბურუსს იქით მაინც საოცრად ცხადად ხედავდა გახევებულ სახეებს, რომელთა პატრონები ვერ მიმხვდარიყვნენ, აბელის ნათქვამი კოლიას უფრო ეხებოდა თუ მერის.

არიოსტომ დაძაბული ჩურჩულით, ოდნავ აკანკალებული ხმით თქვა:

— შენ ვინ გირჩია, სხვის საქმეში ჩარგე ცხვირიო?

— არავინ, — სიბრაზის მბრუნავი ბურუსი აბელს თვალებზე გადაეფარა და ცოტა ხედვას უშლიდა. — ვინც იოლი დასაჩაგრია, უნდა დაჩაგრო. ორმაგად უნდა დაჩაგრო, რათა იმის ჯავრიც იყარო, ვისზედაც ხელი არ მიგიწვდება.

არიოსტო მსახიობებს მიუბრუნდა. გაფითრებული იყო, მაგრამ ხმა მშვიდი ჰქონდა:

— თავისუფალი ხართ ყველანი. რეპეტიცია არ ჩატარდება, — მერე წამით ისევ აბელს შეხედა. შეკავებული გააფთრებისა და უსაზღვრო ზიზღის უკან თითქოს ხელჩაქნეული კაცის სიმწარეც ჩანდა. წამით შეაჩერა მზერა მის სახეზე და რაღაც უცხო კილოთი გამოსცრა კბილებშუა: — შე ღლაპო, შენ! — და დარბაზიდან სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გავიდა.

დარბაზში დარჩა სიჩუმე. აუტანელი, გულის გამაწვრილებელი სიჩუმე, რომელიც თითქოს ფეხისგულებში გიღიტინებს და ეს ღიტინი ისე გადაეცემა მთელ სხეულს, ყველა ასოს, ყველა უჯრედს, რომ აღარ იცი, თავს როგორ უშველო. აბელი გაუნძრევლად იჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრაზის ქაოტური ბურუსი უხმოდ, მაგრამ დიდი სისწრაფით, ქარბორბალასავით ტრიალებდა ირგვლივ და თავის გზაზე მიაქანებდა ფიქრებსა და აზრებს, რომლებიც დაბადებას აპირებდნენ. შესაძლებელია, ეს სულაც დაფანტული, ბუდიდან გადაცვენილი ფიქრებისა და აზრების ქარბორბალა იყო. ცოტა ხნის შემდეგ ღრმა და გაუვალ სიჩუმეში აბელს ყრუ ხმა შემოესმა. ჯერ გაუკვირდა და ყური მიუგდო, მერე იცნო და, რაკი იცნო, მიხვდა, რომ სიჩუმე მოჩვენებითი იყო, მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი გული თურმე ასე სწრაფად, ასე აშკარად, ასე ყრუ ბაგაბუგით სცემდა. აბელმა ახლომახლო მსხდომნი უჩუმრად დაზვერა. უანგარიშო შიში ჰქონდა, მისი გულისცემა არ გაეგოთ და მისი მღელვარება არ გამჟღავნებულიყო. გაუაზრებლად გრძნობდა, რომ ამით თავმოყვარეობა შეელახებოდა.

კიდევ ცოტა ხნის შემდეგ დაქუცმაცებულმა აზრებმა შეკოწიწება და ნელნელა მათთვის განკუთვნილ ადგილას დალაგება დაიწყეს. მაგრამ ამ პროცესში უცნაური ის იყო, რომ რაც უფრო ლაგდებოდნენ აზრები და რაც უფრო ფხიზლდებოდა ტვინი, აბელს მით უფრო მკაფიოდ ეჩვენებოდა, თითქოს თვითონაც დანარჩენების გვერდით იჯდა, დანარჩენებივით მაყურებელი იყო, დანარჩენებივით შეშფოთებული, აღგზნებული და დაინტერესებული სახე ჰქონდა, გარედან უყურებდა საკუთარ თავს და ვერ მიმხვდარიყო, მისი ნათქვამი კოლიას უფრო ეხებოდა თუ მერის.

მერი მარცხნივ, განაპირა სკამზე იჯდა ორი რიგით წინ. აბელი გამუდმებით გრძნობდა მის მზერას და ცდილობდა იქით არ გაეხედა.

ბოლოს ამდენ დაძაბულობას ველარ გაუძლო, ნელა წამოდგა და ფოიეში გამავალი კარისკენ წავიდა. ამაოდ ცდილობდა თავისუფალი ნაბიჯით ევლო და უდარდელი გამომეტყველება ჰქონოდა. სხეული შიგნით სულ ერთიანად უთრთოდა, თითქოს უდუღდა, დაიცოდა, გაფითრებული იყო.

ფოიეში გავიდა და ბოლთის ცემა დაიწყო.

ამასობაში დარბაზში დარჩენილები თანდათან გამოფხიზლდნენ და ამ უსიამოვნო ამბავში თავიანთი უეჭველი სარგებელი დაინახეს. ცხადია, მათ კარგად ესმოდათ, რომ ყოველი სკანდალი თეატრში, მიუხედავად იმისა, ვინ მტყუანია და ვინ მართალი, გულთან ახლო უნდა მიეტანათ და უნდა განეცადათ, რადგან ამას მათი პროფესიული ერთგულება მოითხოვდა, და ასეც მოიქცნენ. მაგრამ, თუ სკანდალი უშუალოდ შენ არ გეხება, გულისტკენისა და განცდის ვადა რომ გავა, უკვე სინდისის ქენჯნის გარეშე შეგიძლია შეუდგე იმ რამდენიმე გაუთვალისწინებელი საათის გამოყენებას, რომელიც რეპეტიციის ჩაშლამ საჩუქრად მოგიტანა.

პირველად ისინი წამოიშალენ და გამოვიდნენ ფოიეში, რომლებსაც თეატრში აგდებით (შესაძლებელია, ცოტა შურითაც) შემთხვევით ხალხს უწოდებენ და რომლებზედაც ამბობენ, ხელფასისთვის მუშაობენო.

ამ მეწინავე რაზმის ერთ-ერთი წევრი წამით აბელთან შეჩერდა, ერთი ქურდულად მიმოიხედა, მერე მაჯაში ჩაავლო ხელი, მაგრად მოუჭირა და სწრაფადა ჩაუჩურჩულა:

— ყოჩაღ შენ! კარგად მიაწექი მაგ ნაგავს!

ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ მიმოიხედა და სწრაფად გაშორდა.

რაც დრო გადიოდა, აბელს უფრო და უფრო ეუფლებოდა ისეთი გრძნობა, თითქოს რაღაც სამარცხვინო რამ ჩაიდინა და ამის გამო საქვეყნოდ გამოაჭენეს და გაამასხარავეს. ახლა ამ ქურდულმა მილოცვამ ეს გრძნობა კიდევ უფრო გაამძაფრა და გააძლიერა.

აბელი ნელი ნაბიჯით მიმოდიოდა ვრცელ ფოიეში და საკუთარი სიმხურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალის ოხშივარი თითქოს ღრუბლის რკალივით ეკრა ირგვლივ.

როდესაც მაყურებელთა დარბაზიდან ბოლოს და ბოლოს თანმიმდევრობით იწყეს გამოსვლა ნაკლებ შემთხვევითებმა, საქმის ერთგულებმა და თეატრისთვის თავგადაკლულებმა, მეორე სართულზე ამავალი კიბიდან, რომელიც კუთხეს ეფარებოდა და აქედან არ ჩანდა, ვიღაცის ხმა მოისმა:

— აბელ!

— ბატონო! — გაეპასუხა აბელი.

— დირექტორი გეძახის.

ფოიეს იმ ნაწილს რომ მიაღწია, საიდანაც კიბე ჩანდა, აბელმა თვალი მოჰკრა არიოსტო ხოფერიას. არიოსტომ სწრაფი ნაბიჯით ჩამოათავა კიბე და მარჯვნივ, გასასვლელისაკენ გაუხვია. სახე აჭარხალებული ჰქონდა, გეგონებოდათ, ცეცხლი უკიდიაო.

მაყვალა საბეჭდ მანქანას უჯდა და ზანტად აკაკუნებდა.

— გამარჯობა, მაყვალა, — მიესალმა აბელი.

— ხო, — თავაუღებლად მიუგო მაყვალამ და კაკუნი განაგრძო.

კაბინეტში დირექტორი და მთავარი რეჟისორი დახვდნენ. რომან ადეიშვილი სავარძელში იჯდა, ფეხი ფეხზე შემოედო და ხელები ჯვარედინად დაეკრიბა მკერდზე. დირექტორსაც მკერდზე ჰქონდა დაკრებილი ხელები, მაგრამ არ იჯდა. სადირექტორო ადგილიდან გამოსულიყო და მაგიდის წინ იდგა.

აბელმა სალამი თქვა და შუა ოთახში შეჩერდა.

— დაჯექი, — უთხრა დირექტორმა და, როცა აბელი დაჯდა, ჰკითხა: — რა იყო, რა მოხდა?

— არაფერი... — ყოყმანითა და ისეთი კილოთი თქვა აბელმა, როგორითაც ვამბობთ ხოლმე ამ სიტყვას, როცა მის ნამდვილ შინაარსს კი არ ვგულისხმობთ, არამედ უბრალო მასალად ვხმარობთ, ერთგვარ შესავლად, რომელსაც დაწვრილებითი ახსნა-განმარტება უნდა მოჰყვეს. მაგრამ აბელი ამ შესავლის მერე გაჩუმდა და უეცრად მიხვდა, რომ ჩიხში იყო მოქცეული და არაფრის თქმა არ შეეძლო იმის შესახებ, რაც დარბაზში მოხდა. მარცხისა და შერცხვენის გაუგებარი და თითქოს უმიზეზო გრძნობა, ცოტა ხნის წინ რომ გაუჩნდა, ახლა კიდევ უფრო მჭიდროდ ჰქონდა შემოკრული, როგორც არტახები, და საშინელი ძალით აწვებოდა ყოველი მხრიდან. ოღონდ ტკივილს კი არ აყენებდა, არამედ უცნაურად ჩხვლეტდა და უხიცინებდა. დირექტორის ერთი შეხედვით მარტივი და ბუნებრივი კითხვა ამ არტახებს ირგვლივ რკინის სალტესავით შემოერტყა. აბელისათვის ახლა სავსებით ნათელი იყო, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობდა, რადგან, რაც არ უნდა ეპასუხა, ყველა პასუხი ტყუილი იქნებოდა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი საქციელის ნამდვილი მიზეზი და ნამდვილი მიზანი არ იცოდა. არა. რომც სცოდნოდა, ვერ იტყოდა. და რომც სცოდნოდა და რომც ეთქვა, ისიც ტყუილი იქნებოდა. აბელი ბუნდოვნად გრძნობდა, იდუმალი გუმანით წვდებოდა ნამდვილ მიზეზს და იდუმალი გუმანითვე ხვდებოდა, რომ ეს მიზეზი ისეთი რამაა, რაც შემთხვევით და წამიერად, ქარის სისინივით, შემოვარდება შენი არსების ყველაზე ღრმა, ყველაზე ბნელ ჯურღმულში და, სანამ გაქრებოდეს, შეიძლება მართლა გახდეს რაღაცის მიზეზი, მაგრამ იგი მხოლოდ იქ არსებობს გამოუთქმელად და უჩინრად, ხოლო როგორც კი ზემოთ ამოიყვან, როგორც კი სიტყვაში მოაქცევ, როგორც კი მზის სინათლეზე დადებ, მაშინვე სახეს იცვლის, სულ სხვა რამედ იქცევა და სრულიად შეუძლებელია იმის მიზეზი იყოს, რისი მიზეზიც იყო. ის, მყისიერი და ნამდვილი, რაც ქარის სისინივით გაივლის შენს არსებობაში, მიუკვლეველი საბუდრიდან მოდის და შენ არ გეხება, მაგრამ თუ მისი შეპყრობა და განსაზღვრა დააპირე, უკვე შენია და პასუხსაც აგებ. ყოველ ნორმალურ კაცს სი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოცხლეში ერთხელ მაინც დაემართება ისეთი რამ, როცა, ვთქვათ, უსაყვარლეს ადამიანს დროის ერთი მოუხელთებელი დაკვესების განმავლობაში კუბოში მწოლარეს წარმოიდგენს, მაგრამ არც ერთი ნორმალური ადამიანი ამ თვალშეუვლებ, თითქმის არარსებულ მომენტს ცნობიერებაში არ შემოუშვებს და აზრის ძაფით არ მოქსოვს, რადგან ეს ბნელი გაელვება აზრად ქცევისთანავე ნიშან-თვისებებსაც იძენს და არა მხოლოდ ზნეობრივ მახასიათებლად, შესაძლებელია, სახიფათო რეალურ ძალადაც იქცეს. აბელი შეშფოთებული და დაბნეული უყურებდა დირექტორს და თანდათან მიხვდა, რომ ამ მიზეზს, რომელიც გადაულახავი, მაგრამ ამავე დროს გამოუთქმელი იყო, ემატებოდა მეორე მიზეზიც, უფრო რეალური და პროზაული: მის მიერ დატრიალებულ ამბავში მერიც იყო გარეული და შეუძლებელი ჩანდა აქ, თეატრის ხელმძღვანელთა წინაშე ისე წარმოედგინა ეს ამბავი, რომ ეს მერის მიმართ ელემენტარული მაბეზღარობა არ ყოფილიყო. ამიტომ მცირე ყოყმანის შემდეგ უკვე ნათქვამ „არაფერს“ ესლა დაუმატა: — გეტყოდათ ალბათ თვითონ...

— ის, რაც არიოსტომ გვითხრა, — თითქმის შეუმჩნეველმა ღიმილმა გადაურბინა დირექტორს სახეზე. — ძირითადად შენი დახასიათება იყო. შეიძლება რაღაც-რაღაცებში არც შემცდარა, მაგრამ, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ, რაც იმან თქვა, ყველაფერი მართალი გამოდგეს.

აქ რომან ადეიშვილსაც გაეღიმა. აბელს უცებ საშინლად მოუნდა სიტყვა-სიტყვით გაეგო ყველაფერი, რა ილაპარაკა არიოსტომ მის შესახებ, მაგრამ ეს სურვილი წამსვე დათრგუნა.

— მაგას მონა სჭირდება და არა მსახიობი.

— ის რაც არის, ვიცით, მაგრამ შენც მოეშვი ამ დონკიხოტობას, — მშვიდად და გულგრილად თქვა რომან ადეიშვილმა. — მონა კი არ უნდა, მიზეზს ეძებს, რომ სკანდალი ატეხოს. დაჯდება ახლა სახლში და გამოგვიცხადებს ომს.

დირექტორმა მაყვალას მოუხმო და კოლიას გამოძახება დაავალა. მერე დაფიქრებული სახით გაიარ-გამოიარა ოთახში, ბოლოს აბელს მოუბრუნდა და უბოროტო კილოთი უთხრა:

— ამ თვეში რომ სპექტაკლი ვერ გამოვუშვათ, შენც მოგხსნი და არიოსტოსაც, — აქ უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, მარჯვენა ხელის ზურგი მარცხენა ხელისგულს დაჰკრა, — არ შეიძლება, ძმაო, კვარტალის ბოლოს არიოსტო ხოფერიას გალიზიანება. ოქტომბერში დაეტაკე, ნოემბერში დაეტაკე. ეს ოხერი დეკემბერი დაანებე, მისი იყოს.

— ნუ გეშინია, — თავისი გულგრილი კილოთი უთხრა რომან ადეიშვილმა. — სპექტაკლის დამთავრებას ხუთიექვსი რეპეტიცია უნდა. წინ კი მთელი ორი კვირა გვაქვს. რამდენ ხანს იქნება გაბუტული?

— მოვხსნი, — თქვა დირექტორმა. — არადა, მე მომხსნიან. წინა კვარტალი ვერ შევასრულეთ და საყვედური მტკიცეს. მე მინდობენ, რომ სხვა დავინდო?! ხვალ თუ არ მოვიდა რეპეტიციაზე, მოვხსნი.

რომან ადეიშვილს პოზა არ შეუცვლია, ოღონდ ეს იყო, ფეხის წვერი ოდნავ ააქიცინა ჰაერში.

—ვერ მოხსნი. ასე ვერ გააგდებ კაცს, — აქ წამით შეყოვნდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა, და დაუმატა: — ვანო როსტიაშვილი მოხსნეს გუშინ.

დირექტორმა მოხედა. მთავარი რეჟისორი მშვიდად იჯდა, ფეხის წვერს აქიცინებდა და კედელს უყურებდა.

ამ დროს კარი გაიღო. კოლია ზღურბლზევე შეჩერდა. ღია კარი ხელით ეჭირა, განზე იყურებოდა და ცდილობდა თვალებში არავისთვის შეეხედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბელს იგი კიდევ უფრო გამხდარი და პატარა ეჩვენა.

— მოდი, — უთხრა დირექტორმა და, როცა კოლიამ კარი მიხურა და ისე ფრთხილად წამოვიდა, თითქოს ეშინოდა, მისი ფეხის ხმას ვინმე არ შეეწუხებინა, დაუმატა: — დაჯექი.

კოლია დაჯდა. თვალებს ერთ ადგილას არ აჩერებდა. გამუდმებით აქეთ-იქით აცეცებდა.

— მოგვიყევი, ერთი, კოლია, რა მოხდა რეპეტიციაზე, — უთხრა დირექტორმა.

და კოლიამ სრულიად მოულოდნელად (ამ მოულოდნელობას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს მისი წელანდელი ფრთხილი, ფეხაკრეფილი სიარული) მაღალი, მკივანა ხმით და გაცხარებული ჟესტიკულაციით დაიწყო:

— რა მოხდა და, არაფერი ისეთი არ მომხდარა...

დირექტორმა შეაწყვეტინა:

— წყნარად ილაპარაკე, კოლია.

კოლია, თითქოს რაღაცას დაეჯახაო, წამით დაიბნა. მერე განაგრძო:

— ბოდიში. არაფერი ისეთი არ მომხდარა. ცოტა შემაგვიანდა და ბატონმა არიოსტომ შენიშვნა მომცა. — აქ, ეტყობა, დირექტორის მითითება დაავიწყდა და ისევ აყვირდა: — არავის აპეკუნობა არ მჭირდება მე! თუ შემაგვიანდება, მე და არიოსტო მოვრიგდებით. დამცველები და ვექილები...

დირექტორმა ისევ შეაწყვეტინა:

— რას ქვია, შენ და არიოსტო მორიგდებით! ეს შენი და არიოსტოს დუქანი კი არაა!

— ბოდიში, — წამით შეცბა კოლია. — თქვენ, რა თქმა უნდა და, აგერ, პატივცემული რომანი, რა თქმა უნდა... მაგრამ ვისაც არ ეკითხება, ის რას ეჩრება მეცამეტე... მე სხვას არ ვედრები და მე თუ დავიგვიანებ, რაც მეკუთვნის... როგორც მეკუთვნის... თუკი დავიმსახურე...

— შენ ხომ იცი, კოლია, — უთხრა დირექტორმა. — რომ მოსახსნელების სიაში პირველი ნომერი ხარ?

— კი, ბატონო; — რაღაც უცნაური, თითქოს ამაყი მორჩილებით დაუკრა კვერი კოლიამ.

— კარგი. თავისუფალი ხართ ორივე. მაგრამ გეგმა რომ ჩაგვივარდეს, არც ერთი არ ელოდეთ დანდობას.

რომან ადეიშვილი ფეხიფეხშემოდებული, გულხელდაკრებილი იჯდა სავარძელში და მდუმარედ, გულგრილად ადევნებდა თვალყურს ამ საუბარს.

აბელი და კოლია ადგნენ. აბელი კართან წამით შეყოვნდა, კოლია წინ გაატარა და მერე გავიდა. მაყვალა ზანტად, უხალისოდ უკაკუნებდა.

დერეფანში კოლია შეჩერდა და აბელს დაელოდა. როცა ეს უკანასკნელი წამოეწია, უთხრა:

— კი არ გეწყინოს. ხომ იცი, დირექტორი... ხელმძღვანელობა.

— ვიცი, კოლია, — მიუგო აბელმა. — დირექტორი... ხელმძღვანელობა.

კარისკაცის სკამზე, კარისკაცის მაგიდასთან, იჯდა მერი, ჩაცმულ-დახურული და ერთი შეხედვით წასასვლელად გამზადებული. მის დანახვაზე აბელი შეკრთა. წამით მტკივნეული სიცხადით ჩაუქროლა თვალწინ ყველაფერმა, რაც დღეს მოხდა. მოაგონდა თავისი სულელური მდგომარეობა, მარცხის მწარე, ჟრჟოლისმომგვრელი გრძნობა, არიოსტო ხოფერიას ღრმა ზიზღითა და მწარე, უიმედო ტკივილით ნათქვამი — „შე ლლაპო“, მერის დაჟინებული მზერა, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც შემდეგ რომან ადეიშვილმა ჩვეული გულგრილი, უემოციო კილოთი დონკიხოტობა უწოდა. ამ გახსენებამ გულმუცელი გაუხურა, სისხლი სახეს მოაწვა და ალმურის წითელ ორთქლად გამოჟონა. მერე მოულოდნელად გონების თვალმა რომან ადეიშვილზე გადაინაცვლა. რომან ადეიშვილი იჯდა უშფოთველი სახით, როგორც შორეული მაყურებელი, ხელები მკერდზე დაეკრიბა და ფეხი ფეხზე არხეინად შემოედო. და აბელი ახლაღა მიხვდა, რომ ამ კაცს არც გარეგნობა ჰქონდა და არც ხასიათი. ზოგი მაღალია, ზოგი დაბალია, ზოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამაზია, ზოგი უშნოა, ზოგი კეთილია, ზოგი ბოროტია, ზოგი ხელგაშლილია, ზოგი ხელმოჭერილია... რომან ადეიშვილი არანაირი არ იყო. არავითარი თვისება არ ჰქონდა, არავითარი ნიშანი. ზოგს ნიშანი და თვისება რომ არა აქვს, სწორედ ეს არის ნიშანი და თვისება, მისთვის კი არც უნიშნობა და უთვისებობა იყო რაიმე ნიშანი და თვისება. იგი ისეთი ჯურის ხალხს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც ათჯერ ნახავ და მეთერთმეტედ, ქუჩაში რომ შეგხვდება, მაინც ვერ იცნობ.

გონების თვალი რომან ადეიშვილს დასტრიალებდა, მხედველობის არეში კი მთელი ამ ხნის განმავლობაში მერი იყო.

— შენ გელოდი, აბელ, — წამოდგა მერი.

აბელს აზრად არ მოსვლია, რომ შეიძლებოდა მერი დალოდებოდა, თორემ ალბათ რამე ღონეს იხმარდა ამ შეხვედრის თავიდან ასაცილებლად. დირექტორთან როგორც გადაურჩა ახსნა-განმარტების მძიმე და შეურაცხმყოფელ პროცესს, ახლა ვეღარ გადაურჩებოდა. არადა, ერჩივნა ათასი საშინელი უბედურება დასტყდომოდა თავს, ვიდრე დღევანდელი საქციელი აეხსნა და თავი ემართლებინა.

მაგრამ სინანული საქმეს ვეღარაფერს არგებდა და აბელი, ძარღვებმოდუნებული და ბედს შერიგებული, მერისთან ერთად გამოვიდა თეატრის შენობიდან.

ზამთრის ცას ბოლოს და ბოლოს მიელო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: უხვად ბარდნიდა. მსხვილ-მსხვილი ფანტელები უწყვეტად ეშვებოდა ძირს და მიწას უკვე დამჩნეოდა თოვლის თეთრი კვალი.

აბელს ერთი წამით ყველა დარდი გაუქარდა და სახე ხარბად შეუშვირა ჰაერში მოფარფატე ფიფქებს.

— საახალწლოდ დიდი თოვლი გვექნება, — თქვა მერიმ. — გიყვარს თოვლი?

მერი იმიტომ არ ელოდა ამდენ ხანს, რომ თოვლის სიყვარულზე ელაპარაკა. და ამ ფორმალურმა შესავალმა აბელი ცოტა გაალიზიანა. გაღიზიანება რომ დაემალა, ერთხანს შეყოვნდა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

— ისე, რა.

თეატრის ეზო უხმოდ გადაიარეს და ქუჩაში გავიდნენ. ასფალტზე თოვლი ჯერჯერობით ვერ იკიდებდა ფეხს.

აბელს ერთი სული ჰქონდა, როდის დაიწყებდა მერი ლაპარაკს. მერიმ კი ხელი მკლავში გამოსდო და რატომღაც საჭიროდ დაინახა ეს საქციელი აეხსნა:

— მეშინია, ფეხი არ დამიცურდეს...

აბელს მოეჩვენა, თითქოს მერი განზრახ აჭიანურებდა საქმეზე გადასვლას და თავი ძლივს შეიკავა, რომ კბილები არ გაელრჭიალებია.

ბოლოს, როგორც იქნა, მერიმ ჰკითხა:

— რას ერჩი იმ საწყალ არიოსტოს?

ეტყობა, ძალიან შორიდან აპირებდა შემოვლას. ამიტომ აბელმა გადაწყვიტა დაესწრო და თავად გადავიდა შეტევაზე:

— ვერ ვიტან, ხალხს რომ „ბარაბაძის ქალებად“ და „არა ბარაბაძის ქალებად“ ჰყოფენ.

მერიმ შემოხედა და გაიღიმა. მარტო თვალებით იღიმებოდა. თბილად, შემპარავად და ალერსიანად.

— აბა რა ქნან?

— ადამიანი ადამიანია. — თქვა აბელმა.

— ერთ თარგზე უნდა გამოიჭრას ყველა?

— შენ სხვა რამეს ამბობ, მე სხვა რამეს ვამბობ, — აბელს მოეჩვენა, რომ ეს ფრაზა, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ცივად თქვა, გამოსწორებაც კი დააპირა, მაგრამ სათქმელი ვერაფერი მოიფიქრა.

— მამაჩემი ყველაზე მდიდარი კაცია ამ ქალაქში, — მერიმ თავისუფალი ხელი ჰაერში გაიწოდა და თოვლს შეუშვირა. დიდი, თეთრი ფანტელი ხელისგულზე ისე დაეშვა, როგორც დიდი თეთრი პეპელა. — და ამიტომ ყველაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავლენიანიც. ეშინიათ მისი, ანგარიშს უწევენ. ერთადერთი კაცი. — სახეში შეხედა და ხაზგასმით თქვა, — ჩემს გარდა, — მერე ისევ ძველებური, წყნარი ხმით განაგრძო: — ვინც მამაჩემის გავლენას არ ცნობს და დამოუკიდებელია, არის გედეონ რევია.

— სამსონი?

— სამსონი ვინაა?

— სამსონი. თეოსოფი. წიგნების გამყიდველი.

— აა! — მერის გაეღიმა. — უკვე გაიცანი? სამსონიც დამოუკიდებელია, მაგრამ მის დამოუკიდებლობას ფეხები უკან რჩება. როგორც სახლიდან გაგდებულ ძაღლს, და პატრონის დაწრუპუნებას ელოდება. რას მიყურებ? ავი ვარ, ხომ?

— ჭკვიანი ხარ, — ღიმილით უთხრა აბელმა.

— ადამიანი ადამიანია. — ირონიული კილოთი თქვა მერიმ. — აბელიც ადამიანია. ამიტომ ერთს ფიქრობს და მეორეს ამბობს. — აქ შეჩერდა, მთელი ტანით მოტრიალდა აბელისაკენ, ისე კი, რომ მკლავში გამოდებული ხელი არ გაუშვია, თვალი თვალში გაუყარა და ცოტა მკაცრად და გულმოსულად თქვა: — ავი არა ვარ, გაავებული ვარ. — მერე ისევ წყნარი, ოღონდ ცოტა ირონიული კილოთი განაგრძო: — მე დედისერთა ვარ, განებივრებული, გათამამებული. მამაჩემს მზე და მთვარე ჩემზე ამოსდის. მეც ბოროტად ვისარგებლე მისი სიყვარულით და სრული თავისუფლება მოვიპოვე. რასაც მინდა, იმას ვაკეთებ. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს არ კმარა. თურმე ნუ იტყვი, არიოსტოს თავისუფლებაც მე უნდა მოვიპოვო, კოლიას თავისუფლებაც და, საერთოდ, ყველას თავისუფლება, ვისაც კი თავისი სიბრიყვის გამო, მამაჩემის ეშინია. რა ჩემი ბრალია, რომ, საცა ბუჩქი შეირხევა, ბატკანს ყველგან მგელი ელანდება! რა ესაქმება მამაჩემს არიოსტოსა და კოლიას თავისუფლებასთან? სამსახურიდან რომ მომხსნან დაგვიანებისთვის, მამაჩემი ყურს არ შეიბერტყავს. იცის, რომ ჩემს საქმეში არ უნდა ჩაერიოს. რა ვქნა მე, არიოსტოს თუ ჩრდილის ეშინია? მე ისიც მეყოფა, რომ ყველას ვუყვარვარ. წარმოიდგინე ერთი თავი ჩემს ადგილას და ნახავ, როგორი ასატანია, როცა ყველას უყვარხარ და ყველას უყვარხარ მხოლოდ იმიტომ, რომ „ბარაბაძის ქალი“ ხარ! შენ კი სკანდალს ტეხ და, ადამიანი ადამიანიაო, გაიძახი. არიოსტოს სიამოვნებს, კოლიას რომ სჯის და მე „ხელს მაფარებს“. უფრო მეტს გეტყვი: კოლიასაც სიამოვნებს. არა გჯერა?

ამ დროს ქუჩის მეორე მხარეს ვანო როსტიაშვილი გამოჩნდა. მოდიოდა ზემოდან ჩქარი ნაბიჯით, პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, საყელოაწეული, კაშნეში ნიკაპჩარგული, თავჩაღუნული. მერი და აბელი არ შეუმჩნევია. აბელი თვალგაშტერებული, გაუგებარი ყურადღებით მისჩერებოდა ვანოს, სანამ ეს უკანასკნელი მათ არ გასცდა.

— მჯერა, თუმცა, ცხადია, ყველაფერი ეს ცოტა გადაჭარბებულია... — თქვა აბელმა. აქ უეცრად მოტრიალდა და უკვე კარგა შორს მიმავალ ვანოს ხმამაღლა გასძახა: — ვანო!

ვანო მოტრიალდა.

— ა! გამარჯობათ! — ნაძალადევი მხნეობით დაუკრა თავი ორივეს.

— დამიცადე, საქმე მაქვს შენთან! — დაუძახა აბელმა.

ვანომ ცალი ხელი ამოიღო ჯიბიდან, კაშნე გაისწორა, ნიკაპი უფრო ღრმად ჩარგო შიგ და მერე ხელი ისევ ჯიბეში ჩაიყო.

მერიმ აბელს შეხედა, უყურა, უყურა და ოდნავ გაიღიმა. მერე ეს ღიმილი ნელ-ნელა მთელ სახეს მოედო. ბოლოს მკლავში გამოდებული ხელი გამოაცალა და უთხრა:

— დიდხანს ნუ ალოდინებ. თხელი პალტო აცვია და გაცივდება. — ამ სიტყვებით ხელი გაუწოდა და ისევ ისე თბილი, შემპარავი, ალერსიანი ღიმილით გაუღიმა. — ნახვამდის.

— ნახვამდის. — უთხრა აბელმა, სინდისის ქენჯნა იგრძნო და ცოტა გაჭირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებით, ნაძალადევად დაუმატა: — მართლა გადაუდებელი საქმე მაქვს.

მერი წავიდა. აბელი მოტრიალდა, სწრაფი ნაბიჯით მივიდა ვანოსთან, ხელი გაუწოდა და მაგრად, გულითადად ჩამოართვა.

— მომილოცავს, ვანო! გავიგე, თურმე სამსახურიდან დაგითხოვეს.

ვანომ თვალები გადმოქაჩა.

— მილოცავ, კაცო?! მილოცავ?!. — ხმა აუკანკალდა და მწუხარე სახეზე, რომელსაც გრძელი, ჩამოკიდებული ცხვირი კიდევ უფრო მწუხარე იერს ანიჭებდა, შეკავებული ბოღმა წითლად მოაწვა.

— კი, გილოცავ. — მშვიდად უთხრა აბელმა. — სულითა და გულით გილოცავ. სამსახური თოკსა ჰგავს. მთელი სიცოცხლე გაქვს კისერში ჩაბმული. სულ იმის ნატვრაში ხარ, როგორმე ეს თოკი გადაიგდო, მაგრამ ხელფასს ვერ შელევიხარ და გადაგდების მაგივრად უფრო მაგრად იჭერ. ასე იწვი ორ ცეცხლს შუა ნელ-ნელა და გამუდმებით. ერთი ნუგეში ისღა რჩება, რომ იქნებ ბედმა გაგიღიმოს, როგორც შენ გაგიღიმა, ვინმე ღვთისნიერი კაცი გამოჩნდეს და სამსახურიდან გამოგაპანღუროს. უცებ მიხვდები, როგორ აგეხსნა ბორკილები და შვებით ამოისუნთქავ. თოკი გაწყდება, ბეკეკა ერთს მხიარულად დაიკიკინებს. თავისუფლების ჰიმნს და კუნტრუშ-კუნტრუშით გაიქცევა, საითაც მოესურვება.

— ეგეც კი არის, ხომ იცი... — ვანო როსტიაშვილს მწუხარე თვალებში წამით მოულოდნელი აღმოჩენის გაკვირვება და აღტაცება ჩაუდგა. ეს გაკვირვება და აღტაცება, მართალია, მაშინვე გაქრა, მაგრამ მისი ცისფერი მოგონება ჯერ კიდევ ელეოდა, როგორც შორეული და უიმედო ოცნება მომდევნო ფრაზაში, რომელიც უკვე ნაღვლიანი კილოთი და მწარე რეალიზმით ითქვა. — ეგეც კი არის, მაგრამ... ფულის შემომტანი თუ არა ხარ, ისე ვის რად უნდოხარ ოჯახში...

ვანომ თავი ჩაჰკიდა. გამხდარი, ნაღვლევად დანაოჭებული სახე თითქოს კიდევ უფრო დაუნაოჭდა. მარჯვენა ფეხი ისე მოიმარჯვა, გეგონებოდათ, იმით რაღაცის დაწერას აპირებსო. ყვითელი, გაქუცული ფეხსაცმლის ქვინტი სველ ასფალტს დააჭირა და ჩიჩქნა დაუწყო.

აბელი მიხვდა.

— გამოგაგდეს სახლიდან?

ვანოს მთელი ყურადღება მარჯვენა ფეხზე ჰქონდა გადატანილი. ფეხსაცმლის ქვინტი უფრო ენერგიულად აამუშავა, თითქოს სიგარეტის ნამწვი გასრისაო. ბოლოს თავი ასწია, მოწყენილი მზერა ფიფქებით სავსე სივრცეს მიაპყრო და ყრუ, ჩავარდნილი ხმით თქვა:

— გამომაგდეს, — აქ ცოტა შეყოვნდა და დაუმატა: — სიდედრმა გამომაგდო.

— გცემა? — მექანიკურად წამოისროლა აბელმა და მერეღა ინანა.

ვანომ ცალი მხარი აიჩეჩა. შესაძლებელია, ეს აჩეჩვა, კი არა, უბრალოდ ნერვული თრთოლა იყო. მერე თავი ჩაჰკიდა და საკუთარ ფეხებს დაუწყო ცქერა. ერთხანს ასე იდგა. ბოლოს თავი ისევ ასწია, სასოწარკვეთილის ხელჩაქნეული გადაწყვეტილებით პირდაპირ თვალებში შეხედა აბელს და უთხრა:

— ორჯერ დამარტყა ცოცხი. ერთხელ ბეჭში და ერთხელ კისერში. ტკენით იმდენად არ მტკენია, მაგრამ მაინც... — უცებ გაიმართა, თვალებში უცნაური, თითქოს ვიღაცისგან ნანათხოვრები სიამაყე ჩაუდგა და ხმამაღლა, პათოსით განაგრძო: — სიდედრი როგორ მომერევა ამხელა კაცს, მაგრამ ქალს ხომ არ შევუბრუნებ ხელს! — აქ პათოსი ისევ ისე მოულოდნელად ჩაქრა, როგორც აინთო, და კვლავ მწუხარე, ჩავარდნილი ხმით დაამთავრა: — სახლი მისია და...

— აქეთ სად მიდიოდი?

ვანომ კეფა მოიფხანა.

— არსად... თქვა გაუბედავად და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაირცხვინა. — ერთი ნაცნობი მყავს სანახავი.

— თუ ძალიან არ გეჩქარება, ლუდხანაში შევიდეთ, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ.

ვანო მოცოცხლდა.

— რა მეჩქარება... იმის ნახვას მერეც მოვასწრებ.

ლუდხანაში თბილოდა.

აბელმა ორი ბოთლი ღვინო და საჭმელი შეუკვეთა. მომტანი, გამხდარი, ქერა, ცისფერთვალება ახალგაზრდა ბიჭი, ჯარასავით დატრიალდა და თვალის დახამხამებაში გააწყო სუფრა.

დარბაზში ხალხი ცოტა იყო. აბელმა ჭიქები შეავსო, ვანოს მიუჭახუნა, გაგვიმარჯოსო, და დალია. მერე, ვანომაც რომ დალია, ჰკითხა:

— რისთვის მოგხსნეს?

— გაგიკვირდება, რომ გითხრა, — ვანო უკვე კარგ ხასიათზე იყო. — ლოთობისთვის. — და, სანამ აბელი მოიფიქრებდა, რა იყო ამაში გასაკვირი, აუხსნა კიდეც: — ყველაზე გვიან მე ვჯდები სუფრასთან და ყველაზე ადრე მე ვდგები. ლოთი მაინც მე მქვია. მითხარი ერთი, ოცდაოთხი საათი რომ სვამენ, ისინი არ არიან ლოთები და მე ვარ?

მესამე ჭიქაზე ვანო სულ მთლად გახალისდა და ენერგიულად შეუდგა სიდედრის გინებას. გუდიანიაო, მე მაგის დედა და მამაო, ეგ მირევს ოჯახს, თორემ ცოლი უბატონოდ ხმას როგორ გამცემდაო...

აბელმა კიდევ ორი ბოთლი მოატანინა.

ცოტა მოშორებით რამდენიმე კაცი ქეიფობდა. ჭრელი ხალხი ჩანდა, სხვადასხვა წრისა და სხვადასხვა ასაკის. აბელმა თავიდანვე შეამჩნია, რომ ვანო როსტიაშვილის დანახვაზე ერთმანეთს რაღაც უთხრეს და გაიცინეს. მერეც, დროდადრო, მოიხედავდნენ, რაღაცას იტყოდნენ და გაიცინებდნენ. განსაკუთრებით ორი, შედარებით ახალგაზრდა კაცი აქტიურობდა. სიცილით იჭაჭებოდნენ, ხანდახან თითსაც იშვერდნენ მათი მაგიდისაკენ. აბელმა ჰკითხა კიდეც ვანოს, ვინ არიანო, მაგრამ ვანომ, რა ვიცი, ერთი მაგათი დედაცო, ხელი ჩაიქნია და ოდნავ შეიცვალა პოზა, რათა მოქეიფეებისაკენ სულ მთლად ზურგშექცევით მჯდარიყო. ბოლოს იმ ორი ახალგაზრდიდან ერთი წამოდგა, სავსე ჭიქა აიღო და მათკენ წამოვიდა. დიდმუცლიანი იყო, წვრილთვალებიანი და წვრილწარბებიანი. სახე ბუნჩულა და კეთილი ჰქონდა. სულ ახლო მოვიდა, გამობერილი მუცელი მაგიდას მიაბჯინა, წვრილი თვალების ეშმაკური მზერა ვანოს მიაპყრო და ღიმილით უთხრა:

— ვანა, შე ბედოვლათო! მიაგენი ხომ, როგორც იქნა, იმ შენს ნაცნობს, დილიდან რომ დოლის ცხენივით დარბოდი და გამწარებული ეძებდი? — ვანომ ერთი მწუხარე ზიზღით ამოხედა და თეფშში ჩარგო თავი. — ბიჭო, შე წყალწაღებულო, შენი დღე და მოსწრება რომ ნაცნობებს ეძებ და სხვის პურ-მარილზე პარპაშობ, ერთი შენი პურ-მარილიც გვაჩვენე. დაგვიძახე ტოლიკ-ტოლიკ ბიჭებს, დაგლოცავთ, კაი სიმღერას გეტყვით, მოგალხენთ და გაგახალისებთ. — აქ, ეტყობა, აბელის მზერა იგრძნო, წამით მიუბრუნდა. — ბოდიშს ვიხდი, თუ მყუდროება დაგირღვიეთ, — ისე სასხვათაშორისოდ, იქნებ ცოტა სალაღობოდაც კი მოიბოდიშა, რომ მობოდიშებას არც ჰგავდა. აბელს ხელი თავის სავსე ჭიქაზე ეკიდა და აწვალებდა. უცნობი კი განაგრძობდა: — რაღაცა აღნიშნე, შე მამაცხონებულო. შენი დაბადების დღე ვიღას ახსოვს, შენი დაბადების დღე დაიქცეს, მაგრამ ცოლი გყავს, შვილები გყავს... სიდედრს მაინც გადაუხადე, ბიჭო, დაბადების დღე. კაცმა რომ გკითხოს, მისი ფასი ქვეყანაზე არაფერი გყავს, მზე და მთვარე იმაზე ამოგდის. მოიხედე აქეთ, შე ლოთო და გადაგვარებულო, რომ გელაპარაკები! შენი სადღეგრძელო მინდა დავლიო. ერთი მოიხედე, იმ კაი სიდედრს გაფიცებ...

აქ აბელმა შეაწყვეტინა. სწორედ იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, როდესაც წვრილთვალებიანმა სიდედრი დააფიცა ვანოს, აბელის სხეულში დამთავრდა გაუგებარი ბრძოლა. ეს ბრძოლა, რაკი მასში ცნობიერი აზრი არ მონაწილეობდა, ისეთი იყო, უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვები რომ უთავბოლოდ დაერევიან ერთმანეთს. საბოლოოდ (მაშინ, როდესაც ვანო როსტიაშვილს სიდედრი დააფიცეს) თითქოს ყველაფერი დაიწმინდა, ბრძოლა დამთავრდა და ერთი მოუხელთებელი წამის განმავლობაში მთელმა დღევანდელმა და, შესაძლებელია, არა მარტო დღევანდელმა სიმწარემ ამ წვრილთვალებიან, კეთილ სახეზე მოიყარა თავი. აბელმა ერთი კი ახედა ამ სახეს მანძილისა და მიმართულების დასადგენად და სავსე ჭიქა ელვის სისწრაფით, მოწყვეტით, მთელი ძალით გაიქნია.

მიზანმა არ უმტყუნა. უცნობს ღვინო ტყლაშანით შეესხა შიგ ცხვირ-პირში და იქიდან ახლეტილი შხეფები შორს გაიფანტა.

წვრილთვალებიანს რეაქცია დაუგვიანდა. უკან კი გადახტა ინსტინქტურად. მაგრამ ამ ნახტომს აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ღვინო უკვე წურწურით ჩამოსდიოდა პირისახიდან. მისი თანამესუფრეები მყისვე მოტრიალდნენ, თითქოს უნდა წამოცვენილიყვნენ კიდეც, მაგრამ რატომღაც არ წამოცვივდნენ და განცვიფრებულები ერთ ადგილას გაშეშდნენ.

ცისფერთვალებიანი ოფიციანტი და სქელი, ოთხკუთხა მებუფეტე თვალის დახამხამებაში გაჩნდნენ აბელისა და ვანო როსტიაშვილის მაგიდასთან. ორივე დაძაბული იყო, გაფითრებული და გასაშველებლად გამზადებული.

- დარბაზში ხალხი ცოტა იყო, ვინც იყო, ყველამ შეწყვიტა ჭამა-სმა, მობრუნდა და მოსალოდნელი ჩხუბის საყურებლად მოემზადა.

მთელი ამ დავიდარაბის მიზეზმა, წვრილთვალებიანმა ბუნჩულამ, ორივე ხელით ჩამოიწმინდა სახიდან ღვინო, მერე ცხვირსახოცი ამოიღო და ახლა იმით შეუდგა უფრო საფუძვლიან წმენდას. თვალის უპეები ამოიმშრალა, შუბლი მოიწმინდა, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი, და ის იყო პიჯაკზე აპირებდა გადანაცვლებას, რომ მისი ყურადღება რაღაცამ მიიპყრო. ყოველ შემთხვევაში, გაკვირვებით გაიხედა დარბაზის შემოსასვლელისაკენ, თითიც გაიშვირა და უცებ ხითხითი აუტყდა. მისი თანამესუფრეებიც თითქმის იმავ დროს ახარხარდნენ. აბელმა, პირველ ყოვლისა, ის იფიქრა, რაღაც ოინს მიწყობენო, მაგრამ თვალი მაინც გაექცა.

ვანო როსტიაშვილის მოხრილმა, შეშინებულმა ზურგმა ერთი გაიელვა გასასვლელში და გაუჩინარდა. აბელი ინსტიქტურად მოტრიალდა ვანოს სკამისკენ, თითქოს საკუთარ თვალს არ დაუჯერაო, მერე ბუნჩულა მოწინააღმდეგეს შეხედა, რომელიც ლამის ჩაბჟირებულიყო სიცილისაგან, და თვითონაც გაეცინა.

მებუფეტე და ოფიციანტი მიხვდნენ, რომ მთავარმა ქარიშხალმა გადაიარა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, გამოიდარა თუ არა. ამიტომ ფეხი არ მოუცვლიათ პოსტიდან, თუმცაღა თავისუფლად კი ამოისუნთქეს. ამ დროს ოოქეიფეთა მაგიდიდან ნელა წამოდგა ერთი კაცი. მაღალი იყო, ტანადი, ბეჭებგანიერი. მოკლედ შეკრეჭილი, წინ ჩამოვარცხნილი ჭაღარა თმა ჰქონდა, აზიდული წარბები და არწივისებური ცხვირი. თუმცა შესახედავად ყველაზე ხნიერი ჩანდა, ათლეტის აგებულება ჰქონდა: ჩამოსხმული ტანი, მაღალი მკერდი, წვრილი წელი და დიდი ხელები. იგი ბუნჩულასთან მივიდა, ლოყაზე თბილად მოუთათუნა ხელი, სიყვარულით მიატრიალა და თავისი მაგიდისაკენ გაუშვა. თვითონ კი დოინჯი შემოიყარა და აბელს მიაჩერდა ისეთი სახით, რომელზედაც გარკვევით არანაირი განზრახვა არ ეწერა. ერთხანს ასე უყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, მერე უხმოდ შებრუნდა და თავის მაგიდას მიაშურა.

აბელი ერთხანს უაზროდ მისჩერებოდა ორ სავსე ბოთლს, რომლებიც საცოდავად, თითქოს ცოტა მოწყენილები იდგნენ, რადგან ერთი მომხმარებელი გაიქცა და მეორე მარტო დატოვა. მერე ჭიქა აივსო, ნალა, ყლუპ-ყლუპად დალია, ბოლოს ცისფერთვალებიან ოფიციანტს ხელით მოუხმო, ანგარიში გაუსწორა, წამოდგა და გასასვლელისაკენ წავიდა.

გარეთ ბარდნიდა და ბარდნიდა. მსხვილად, მშრალად, უხვად. არემარე გადათეთრებული იყო. ქუჩებსაც უკვე თოვლის თხელი ფენა დასდებოდა.

ციოდა. აბელმა ქურთუკის საყელო აიწია და დაბლა დაეშვა. სანამ სამსონის მაღაზიას გაუსწორდებოდა, დარწმუნებული იყო, შინ მიდიოდა. სამსონის მაღაზიას რომ გაუსწორდა, მაშინღა მიხვდა, შინ წასვლას არ აპირებდა, თურმე სულ სხვა გეგმა ჰქონია.

მაღაზიაში შევიდა. სამსონი, მაღალი, აწოწილი, გამხდარი, დახლთან იდგა და ახალგაზრდა ქალს ემსახურებოდა. ქალმა წიგნი გამოართვა, გადაშალა და სათვალე შიგ ჩარგო.

— გამარჯობათ, სამსონ, — მიესალმა აბელი.

— ა! გამარჯობათ! — გაუღიმა სამსონმა, დიდი კბილები გამოაჩინა და ხელი გამოუწოდა. — დიდი ხანია არ გამოჩენილხართ.

— ხომ არაფერი მიგიღიათ საინტერესო?

— სათქვენო არაფერი. ჯერჯერობით არაფერი.

— ავიღებ, — თქვა ქალმა და ფული გაუწოდა. სამსონმა ხურდა დაუბრუნა და ქალი წავიდა.

სამსონი ისევ აბელს მოუბრუნდა.

— ჯერჯერობით არაფერი, — გაიმეორა ერთხელ უკვე ნათქვამი. მერე გადმოიხარა, იდაყვებით დახლს დაეყრდნო, სახე ახლო მოუტანა. — აქ რა უნდა მივიღო საინტერესო! — ცერა თითი უკან, მხარზემოთ გაიშვირა. — ათასში ერთხელ თუ გამოჩნდება რამე საზეირო. — აქ ხმას დაუწია. — სახლში მაქვს ნამდვილი ლიტერტურა. — და კიდევ უფრო დაუწია ხმას: — სულიერი ლიტერატურა. თქვენ ჯერ კიდევ დაგაინტერესებთ.

— ჯერ კიდევ? — ვერ მიუხვდა აბელი.

— სანამ ამ ბილწ ქალაქს თავის აშმორებულ ჭაობში არ ჩაუთრევიხართ. თუ ჩათრევა მოასწრო, მერე მორჩა, შმორის სუნი გაგიტკბებათ. ეს ქალაქი კაცუნების ქალაქია. — აბელს, ღმერთმა იცის, რა ასოციაციით, უცებ მოაგონდა, წუხელ რომ ალის დაჰპირდა, ხვალიდან ღვინოს აღარ დავლევო და სინდისის ქენჯნა იგრძნო. სამსონი კი ჩუმად, საიდუმლოდ განაგრძობდა: — ეს სათამაშო ქალაქია და ავტომატური, სამართავი კაცუნებითაა დასახლებული.

— ვინ მართავს? — აბელი გულწრფელად დაინტერესდა.

— რა ვიცი, ვინ მართავს! ვითომ საყვარელიძე, ვითომ ბარაბაძე, ვითომ ძაღლი და ვითომ მამაძაღლი. სინამდვილეში არიმანის ბოროტი ნება მართავს. საყვარელიძის საშუალებით იქნება ეს, ბარაბაძის საშუალებით, პეტრეს საშუალებით, თუ ივანეს საშუალებით, მაგას რა მნიშვნელობა აქვს! ერთადერთი კაცი კაცუნების ამ ხროვაში გედეონ რევიაა, — აბელმა გაკვირვებით შეხედა. გედეონ რევიას ქებას მისგან არ მოელოდა. სამსონმა განაგრძო: — მაგრამ ისიც გზასაცდენილია. განათლებამ დაღუპა და ააცდინა გზას. თვითონაც კი ატყობს, რომ გზასაცდენილია, მაგრამ არ იმჩნევს. ხომ შეგინიშნავთ, როგორ არიდებს ჩემთან კამათს თავს? რატომ, თუ იცით? ეშინია. ეშინია, სწორ გზაზე არ დავაბრუნო. მთელი სიცოცხლე მრუდე გზით იარა და მრუდე გზის მტვრად იქცა. ახლა, ამ სიბერეში, მტვრიდან წამოდგომას და ახალი ცხოვრების დაწყებას ისევ ბრუნდად სიარულს ამჯობინებს. თავს აღარ უტყდება, რომ ტყუილ-უბრალოდ გალია სიცოცხლე. ვითომ ცო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოსია, ვითომ მატერიალისტია, ვითომ მართლა სჯერა თავისი განათლების. მე რას მომატყუებს! მე ხომ ვიცი, რომ უკუღმართად გავლილი ცხოვრება ჩუმად ტანჯავს და გულში შიში აქვს. ძალიან კი ცდილობს ის შიში ცხრაკლიტულში გადამალოს, მაგრამ ტყუილი იმედია. ერთხელაც იქნება, ეს ჩვენი გედეონი მე თუ არა, თავის თავს მაინც გაუმხელს, რომ ბრუნდი და უკუღმართი გზით იარა. ასეა... გისმენთ, ქალბატონო! არა, სახელმძღვანელოები საერთოდ არ გვქონია. სკოლებში გაიყიდა... სხვებზე ხომ რაღა გითხრათ: მთელი ეს თქვენი მოწონებული გორდაძეები და როსტიაშვილები და ადეიშვილები და გიორგობიანები და წამალაშვილები და ბანძელაძეები და რა ვიცი, მთელი ეს კაცუნები ხორცზე არიან დაგეშილები და ხორცის გარდა ვერაფერს ხედავენ. ხორცს უვლიან, ხორცს ეფერებიან, ხორცს ჭამენ, ხორცით სუნთქავენ, ხორცი უყვართ და ხორც არიან. სულის ხსენებაზე სიცილით იჭაჭებიან, ამიტომაც არიან ბრიყვები. რევიას რომ ეცინება სულის ხსენებაზე, რევიას თავისი განათლება მაინც შეუძლია დაგიპირისპიროს. ამათ ესეც არ შეუძლიათ, ამ უბადრუკებს. მალე ოთხზე დადგებიან. ზოგი კი დადგა უკვე. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როსტიაშვილმა რომ ლუდხანიდან სასტუმროს კუთხემდე ოთხით იარა... გისმენთ, ქალბატონო! მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში მიბრძანდით, ქალბატონო, იქ ექნებათ. არაფერს... ახლა ისეთი პერიოდია, უჭირს ქვეყნიერებას. სამყარო არიმანის ბატონობის ხანაშია. სულიწმიდამ დროებით მიგვატოვა და ადამიანი გადაგვარების გზაზეა დამდგარი. ახლა გვმართებს ვაჟკაცობა, რომ არ გავკირკაჟდეთ და მარტო ხორცის ამარა არ დავრჩეთ. სულიწმიდას მალე ნიშნი მიეცემა მაღლით და ისევ დაგვიბრუნდება, მაგრამ, თუ ამასობაში საბოლოოდ წავიწყმიდეთ, არიმანს თუ ჩავბარდით და სულის ნატამალი აღარ შეგვრჩა, წასულია ჩვენი საქმე. მძორით ხომ ვერ მივიღებთ სულიწმიდას? ლეშით ხომ ვერ მივიღებთ? ამიტომ მზად უნდა ვიყოთ. სული უნდა გადავარჩინოთ. შემოიარეთ ჩემთან სახლში, ვილაპარაკოთ. ოღონდ ძალას ნუ დაატანთ თავს. ძალდატანებით არაფერი გამოვა. ტვინით ღმერთთან ვერ მივალთ. ღმერთთან გულით უნდა მივიდეთ... გისმენთ, ბატონო: კი, ბატონო, ინებეთ, მანეთი და ათი კაპიკი. ხურდა არა გაქვთ ათი კაპიკი? ჰოო, ძალიან კარგი... აგერ დაგიწერთ ჩემს მისამართს. გქონდეთ და, თუ დაატყობთ, რომ გჭირდებით, მოდით. ძნელი მოსაგნები არაა. ბოლო სახლია მაგ ქუჩაზე. სულ ზედა სართულზე ვდგავარ.

— საღამოობით ხართ შინ?

— კვირას — მთელი დღე, ისე — საღამოობით. მალე მივატოვებ სამსახურს და მთლიანად ჭვრეტაზე გადავალ. მაშინ უკვე სულ სახლში ვიქნები. აბელმა ქაღალდი გამოართვა, გაკეცა და ქურთუკის გულჯიბეში ჩაიდო.

— აბ, მაშ ნახვამდის.

— ნახვამდის, — სამსონმა გულკეთილად გაუღიმა, დიდი კბილები გამოაჩინა და ხელი გამოუწოდა.

აბელი მაღაზიიდან გამოვიდა და აღმართს შეუყვა. ახლა იცოდა, რომ სახლში არ წავიდოდა, მაგრამ სად მიდიოდა, არ იცოდა.

გადაუღებლად თოვდა. ყინვამ მოუჭირა, ფეხქვეშ მშრალი თოვლი აჭრაჭუნდა და რაღაც ბუნდოვანი და საამო მოგონებები გააღვიძა.

სასტუმროს გასცდა. ზემოთ აუხვია. ნელა მიაბიჯებდა, გულისყურით უსმენდა თოვლის ჭრაჭუნს, ხანდახან კვალსაც აკვირდებოდა და, თუ კვალი მკაფიო აღმოჩნდებოდა, როგორც კარგად დაბეჭდილი ფოტოსურათი, ბავშვივით უხაროდა.

ქუჩა რკალად უხვევდა მარცხნივ. მანქანები ნელა, ფრთხილად მოძრაობ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დნენ მოლიპულ გზაზე. ხალხი საყელოამოწეული, ქუდჩამოფხატული დადიოდა.

იარა აბელმა, იარა და მაშინღა გამოერკვა, როცა ქუჩის პირას მერი ბარაბაძის სახლი იცნო. გაკვირვებით შედგა და მიიხედ-მოიხედა. ვერ მიხვდა, რა უნდოდა აქ, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ რაღაც შეუცნობელმა იმპულსმა წამოიყვანა ამ გზით. „ბარაბაძის ქალი“, — გაიფიქრა და გუნებაში გაეღიმა, — „ნეტა სამსონსაც თუ უყვარდა?“

თოვლში ბუნდოვნად ჩანდა მეორე სართულის თაღოვანი ფანჯრები. „ხომ არ შევიდე?“ — გაიფიქრა აბელმა, იმავ წამს გზა განაგრძო და ერთბაშად მიხვდა, რომ გორდაძეებთან მიდიოდა, თუმცა გორდაძეებთან მისვლა უფრო მოკლე გზითაც შეიძლებოდა.

გზა რომ განაგრძო, უცებ ისევ გაახსენდა არიოსტო და წამით თვალწინ დაუდგა მისი სახე, რომელზედაც ზიზღი, ტკივილი და სიმწარე იყო აღბეჭდილი. და ისე მკაფიოდ მოესმა კბილებშუა გამოცრილი „შე ღლაპო“, რომ მოულოდნელობისაგან შეკრთა და მიმოიხედა. მერე არიოსტოს გამწარებული სახე თითქოს სხეულში ჩაუსახლდა და მთელი გზა ისე განვლო, ვერანაირად იქიდან ვერ გამოაძევა. მხოლოდ მაშინ, როცა ასლანის სახლს მიუახლოვდა, არიოსტოს უსიამო ჩვენება გაქრა და ისეთი გრძნობა გაუჩნდა, როგორიც შეიძლება გაუჩნდეს კაცს, რომელმაც შიშითა და ხიფათით სავსე, ავად გატრუნული ტყე გამოიარა და სამშვიდობოს გამოვიდა.

ჭიშკარი შეაღო თუ არა, შიგ შუბლში თოვლის გუნდა მოხვდა და იმავ წამს გოგიტა და ტყუპები საომარი ყიჟინით დაესხნენ თავს.

აბელმა რის ვაი-ვაგლახით მოიგერია შემოტევა, თავი დააღწია გაავთრებულ მოწინააღმდეგეს, ნინიკოს მიაშურა, რომელიც ნეიტრალურ პოზიციაზე იდგა და შორიახლოდან ადევნებდა თვალს ბრძოლას, ხელი მოხვია, საფეთქელზე აკოცა და უთხრა:

— ომის წესები არ იციან ამ ურჯულოებმა, — მერე ბიჭებს მიუბრუნდა, რომლებიც ახალი იერიშის წამოწყებას აპირებდნენ, ენერგიული და მოკვეთილი მოძრაობით თითი გაიშვირა მათკენ და მკაცრად თქვა: — ომის წესები არ იცით თქვენ, ურჯულოებო!

„ურჯულოებმა“ აშკარად ვერ აუღეს ალღო მოწინააღმდეგის ხმის კილოსა და ჟესტიკულაციას. დაიბნენ, შეკრთნენ, შედრკნენ, შეჩერდნენ და საბოლოოდ მონუსხულებივით მიაჩერდნენ მათკენ მრისხანედ და თეატრალურად მიშვერილ თითს. აბელმაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ჩამოვარდნილი სიჩუმით, პარალიზებულ მოწინააღმდეგეს გონს მოსვლა აღარ აცალა და სასწრაფოდ წაუკითხა პატარა პათეტიკური ლექცია იმის თაობაზე, რომ ომის გამოუცხადებლად თავდასხმა ლაჩარი და გულდედალი ხალხის საქმეა. ომში მთავარია მოწინააღმდეგის რაინდული პატივისცემა. სანამ შეტევაზე გადახვიდოდე, საჭიროა მოწინააღმდეგეს ნოტა გაუგზავნო და აცნობო, ომს გიცხადებ და, თუ ვაჟკაცი ხარ, დამიხვდიო. მაგრამ თუ ომის წამომწყები მხარე ისეთი უწიგნურებისა და ჩერჩეტებისაგან შედგება, როგორებიც არიან აბელის ამჟამინდელი მოწინააღმდეგეები, რომელთაც არც წერა იციან, არც კითხვა იციან, საერთოდ, ინჩი-ბინჩი არ გაეგებათ. და მაშასადამე, ვერც ნოტას შეადგენენ, ასეთმა უწიგნურებმა და ჩერჩეტებმა თავიანთ განათლებულ დას უნდა მიაკითხონ, მისი დახმარებით შეადგინონ ნოტა და ასე გამოაცხადონ ომი. ლაპარაკის დროს აბელი დროდადრო ნინიკოს იმოწმებდა და ისიც ღიმილით ემოწმებოდა.

ამ დროს აივანზე ასლანი გამოჩნდა, ვინც მოვიდა, გაუმარჯოსო, გაბადრული ღიმილით გადმოსძახა ზემოდან და შესაგებებლად წამოვიდა.

აბელმა ამაყად, ღირსებით ჩაუარა საგონებელში ჩავარდნილ და თავიანთი უვიცობის გამო, ცოტა არ იყოს, დარცხვენილ მოწინააღმდეგეებს და კიბის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ წავიდა. გოგიტამ მაინც ვერ მოითმინა, ყველა წესი და ყველა კანონი დაარღვია და უკვე კიბეზე მიმავალ აბელს ომის გამოუცხადებლად და ნოტის გაუგზავნელად მიაყოლა ზურგში ერთი დიდი გუნდა.

ნანოსა და ასლანს აბელის სტუმრობა გულით გაუხარდათ. ასლანი ხშირ-ხშირად წამოუტყაპუნებდა ბეჭზე, ხელს და ღიმილით აქებდა, კარგი ბიჭი ხარ, რომ გაგვიხსენეო. ნანომ, როგორც უფროს დას შეეფერება, წვრილად გამოიკითხა მისი ამბავი და, თუმცა აბელი, რაც შეეძლო, ნათელ ფერებში უხატავდა თავის ცხოვრებას ახალ სახლში, სკეპტიკურად იქნევდა თავს.

— გაიყინები იქ ამ ზამთარში.

— რა გამყინავს! ბუხარი მაქვს, ელექტროქურები მაქვს.

— გათოშილი რომ მიხვალ, შენ შენი დაგემართება, სანამ ის ბუხარი და ელექტროქურები სახლს გაგითბობდეს.

დათოვლილი ეზო ახლა უფრო ლამაზი ჩანდა. სოფლური იდილია როგორღაც უფრო გამოკვეთილი და ხელშესახები გამხდარიყო. თოვლით თანაბრად, მშვიდად დაფარულ ეზოს რომ უყურებდა, აბელს სილაღისა და მოსვენების გრძნობა ეუფლებოდა.

ფარდულის წინ ურმის თვალი აღარ იყო და აბელმა ასლანს ჰკითხა:

— ურმის თვალი რა უყავი?

— შიგნით შევიტანე, თოვა რომ დაიწყო. რაზე მეკითხები?

— ისე. დღეს არიოსტოს ვეჩხუბე.

— რას მელაპარაკები! რამე სერიოზულია?

— რა ვიცი. შე ღლაპოო, მითხრა და რეპეტიცია ჩაშალა.

— სერიოზული ყოფილა. მაინც რა მოხდა?

აბელმა უამბო.

— არ უნდა გექნა, — თავი გაიქნია ასლანმა. — არ იყო შენი საქმე. — აქ ღიმილით დააცქერდა და დაუმატა: — მერე? მაგის აღსანიშნავად დალიე ამ შუადღისას?

— დავლიე?

— იქნება არ დაგილევია?

— დავლიე. ვანო როსტიაშვილი ნაცნობს ეძებდა და ცოტა დავლიე.

— შენ ისეთი სტარტი აიღე, მალე ყველას უკან მოგვიტოვებ.

— ვანო როსტიაშვილმა მართლა იარა ოთხზე ლუდხანიდან სასტუმროს კუთხემდე?

— ვანო როსტიაშვილი ხშირად დადის ოთხზე.

— მოხსნეს.

— ვიცი.

— სიდედრს გაულახავს და სახლიდან გამოუგდია.

ასლანმა აბელს შეხედა. უყურა, უყურა და უთხრა:

— ამ ქალაქში ვინც მოკვდება, ყველა შენი დასამარხი ნუ გეგონება.

— კარგი. დღეის ამას იქით მაგ ბრძნულ რჩევას არ გადავალ.

ასლანმა ამაზე გულკეთილად გაიცინა და მხარზე დაჰკრა ხელი.

ნანო ძველებურად ციბრუტივით ტრიალებდა, თუმცა უკვე მეცხრე თვეში იყო.

სადილად სამნი დასხდნენ. ნანოს დედმამა სტუმრად ყოფილიყვნენ წასული. ასლანმა დოქით ღვინო მოიტანა, მაგრამ აბელმა იუარა, ღვინო არ მინდა, თუ კიდევ დაგრჩა, ის შენი ფირმის არაყი დამალევინეო. ასლანს ბავშვივით უხაროდა, აბელი რომ ასე თავისუფლად და შინაურულად გრძნობდა თავს. ღვინო გვერდზე გადადგა და არაყი მოიტანა. ნანო ცოტას, მორცხვი პატარძალივით იცინებოდა და ალერსიანი ღიმილით უყურებდა აბელს. ბოლოს უთხრა, უნდა დაგაქორწინოო. აბელმა გაიცინა, დამაქორწინე, ოღონდ ისეთი ქალი შემირჩიე, იმ დასაკარგავში წამომყვესო. ნანომ უთხრა, ისეთ ქალს შეგირჩევ, იმ დასაკარგავისკენ აღარც კი გაიხედავო.

მთელი დღე ერთად გაატარეს, დიდხანს იმუსაიფეს, აბელმა ბავშვებთან თამაშითაც იჯერა გული და ღამის ათ

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათზე შეჭიკჭიკებული და გუნებაგახსნილი წავიდა.

რამდენს არ ეხვეწა ასლანი, მანქანით წაგიყვანო, არაფრით არ ქნა.

რატომ უარობდა ასე ჯიუტად, არ იცოდა. ყოველ შემთხვევაში, თავის საქციელში ბედისწერის ხელი არ შეუმჩნევია.

## თავი მეთერთმეტე

თოვამ გადაიღო და ყინვამ კიდევ უფრო მოუჭირა. სიჩუმე იყო, ჩქამი არსაიდან ისმოდა. თეთრად გადასუდრული მიწა გატრუნული იწვა ძილის მოლოდინში. ცა შავი იყო და ამ სიშავეს თითქოს საგანგებოდ უხვამდა ხაზს ოქროსფრად მოკიაფე ვარსკვლავები, რომელთა სხივები ცივ, გამჭვირვალე ჰაერში ნაზად ირწეოდა, ცახცახებდა და უცხო ნამსხვრევებად იმსხვრეოდა.

აბელმა გადაწყვიტა, ბაღის გავლით წასულიყო. ბაღში მრავალი დიდი და პატარა ნაძვი იდგა და ეს ნაძვები ახლა თოვლის ლამაზ, აშოლტილ ზვინებად ქცეული, ქვეშ დაგებული თოვლის ხალიჩის ფონზე, ელექტრონის შუქით აკიაფებული ალბათ ზღაპრული სანახავი უნდა ყოფილიყო.

ქუჩებში კაცი არ ჭაჭანებდა. ყინვას ხალხი თბილ-თბილ ბუდეებში შეერეკა. აბელს არ სციოდა. ქურთუკის გრძელბეწვიანი სარჩულისა და ასლანის საფირმო არყის წყალობით თბილად, მყუდროდ გრძნობდა თავს და საყელოაწეული, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, არხეინად მიაბიჯებდა.

ბაღს რომ მიუახლოვდა, პირველად მაშინ შემოესმა ადამიანის ხმა. რამდენიმე ბგერა გაიგონა. ცალკეული, ყრუ, გაურკვეველი. ეტყობოდა, ხმა ბაღიდან მოდიოდა, რადგან თანდათან მკაფიო და მკაფიო ხდებოდა. ბოლოს, როდესაც რკინის ფართო და მაღალი ღია ჭიშკარი გაიარა, სიტყვებიც გაარჩია.

— მორჩი ახლა გრეხას და, რომ გეუბნები წამოდი!

ბიჭის ხმა იყო, ჯერ კიდევ პატარა, ახლად დაყვინჩილებული ბიჭის ხმა, პირველ ყიყლიყოს რომ წარმატებით გაართმევს თავს და გახარებული ვარიებზე სანადიროდ გაეშურება.

აბელს გაეღიმა. ამ დროს მეორე ყვინჩილას მუქარიანი და ჭიჭყინა ხმა მოისმა:

— ხომ იცი, ძალით წაგათრევთ.

აბელი შეჩერდა და მიიხედა, მაგრამ სიბნელეში მოქმედი პირები ვერ გაარჩია. იმავ წამს პასუხიც გაისმა:

— თქვენი წასათრევი სახლში გეგდებათ, თქვე დამპლებო!

აბელი შეკრთა და სხეულში წამით ისეთმა ტკივილმა გაუარა, თითქოს იქ შეკუმშული ზამბარა ერთბაშად, მოულოდნელი ბიძგით გაიხსნა და გაიშალა. თვალებიც კი დახუჭა და გაირინდა, სანამ ტკივილი გაუვლიდა. მერე, ტკივილმა რომ გაუარა, ისევ გაახილა. და მაშინღა მიხვდა თავისი უცნაური შეკრთომის მიზეზს: რაღაც ღრმა და საშიში უფსკრული, საბედისწერო და გაუგებარი შეუთავსებლობა იყო ხმასა და სიტყვებს შორის. თითქოს ვიღაცის ბოროტმა ნებამ ორი მაგნიტი ძალისძალად შეაერთა ერთნაირი პოლუსებით და ეჭირა ასე ჯიბრიანი, ავი ღიმილით.

ხმა რბილი იყო, ფაფუკი, ღრმა, თანდაყოლილი სითბოსა და ალერსის გარსში გახვეული, წრფელი, ბავშვური, გულუბრყვილო. სიტყვები კი მჭახე, ველური, ტალახში ამოთხვრილი.

აბელი გაშეშებული იდგა და ძარღვებგაყინული იყურებოდა იმ მხარეს, საიდანაც ლაპარაკი ესმოდა.

— წამოდი, შენი!... — შეკავებული ბრაზით თქვა ჭიჭყინა ხმამ და იმავ წუთს მოქმედებამ სცენის შედარებით განათებულ მხარეს, მაღალი ნაძვის ძირას, გადმოინაცვლა.

ნაძვი მართლა ისეთი იყო, როგორსაც აბელი ვარაუდობდა: შუბის ვეებერთე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლა, თეთრ ბუნიკს ჰგავდა, რომელიც ასეთივე თეთრი, ქათქათა ხალიჩიდან ამოშვერილიყო. და ყოველივე ეს, უკნიდან ირიბად დაცემულ ელექტრონის შუქზე, ზღაპრის ცოტა საშიშ, მაგრამ იდუმალსა და მაცდუნებლად მომხიბლავ სამყაროს ქმნიდა.

ნაძვის ძირას ჯერ ჩრდილები გამოჩნდა: ორგანზომილებიანი თავები, ორგანზომილებიანი ტანები, ორგანზომილებიანი ფეხები. ჩრდილები თანდათან გრძელდებოდნენ, იზრდებოდნენ და ზამთრის გატრუნული ღამის ცივ ფონზე თითქოს რაღაც ჩუმი სიჯიუტით, ფარული მუქარით მოიწევდნენ აბელისაკენ. ბოლოს, ჩრდილებმა რომ აბელს მიაღწიეს, მათი დედნებიც გამოჩნდნენ: ორი ბიჭი და ერთი გოგო. ის ბიჭი, რომელსაც მკლავში ხელი ჩაევლო გოგოსთვის და მთელი ძალით ეწეოდა, ჭიჭყინა ხმის პატრონი უნდა ყოფილიყო. მსუქანი იყო, ჩამრგვალებული, შეუფერებლად წვრილი თავი ჰქონდა, მეზურნესავით დაბერილი ლოყები. გამხდარი არც მეორეს ეთქმოდა, მაგრამ პირველთან შედარებით, მაინც უფრო თხელი იყო, ცოტა უფრო მაღალიც, კაშნე რამდენიმე ფენად შემოეხვია ყელზე. მარცხენა ლოყაზე მოზრდილი ტყირპი ჰქონდა. იგი ცოტა შეცბუნებული ჩანდა და ოდნავ უკან მოჰყვებოდა გოგოსა და პირველ ბიჭს.

გოგო აბელმა ერთი შეხედვისთანავე იცნო. ამ ქალაქში ალბათ სხვას არავის ექნებოდა ასე მყვირალა წითელი ფერით მოთხუპნილი ტუჩები, ასე ულმერთოდ მბზინავი საღებავით ჩაშავებული თვალის უპეები და წამწამები; ასეთი გაურკვეველი ასაკი, რომლის გაურკვევლობას ახლა კიდევ უფრო გაუსვა ხაზი ხმისა და სიტყვების შეუთავსებლობამ.

სინათლეზე გამოვიდნენ თუ არა, გოგომ მსუქან ბიჭს მუშტი დაჰკრა მაჯაში.

— ხელი გამიშვი, შენი დედა!.. — და თავისი თბილი, ლმობიერი, ბავშვური ხმით უწმაწურად შეაგინა.

— უხ, შენი! — კბილები გაალრჭიალა მსუქანმა, მაგრამ ხელი არ გაუშვია.

— გაუშვი, თავისით წამოვა, — თქვა ტყირპიანმა.

გოგო ახლა იმას მიუტრიალდა.

— ბებიაშენისამ, წამოვალ, როგორ არა! ჯერ, რაც მერგება, ის მომეცით.

— რა გერგება?! — მსუქანმა ჭიჭყინა ხმა მოგუდა, გააბრტყელა, გაახელოვნურა და გაშლილი საჩვენებელი თითი ცხვირწინ დაუტრიალა გოგოს.

— არ მერგება? — გამომწვევად იკითხა გოგომ.

ტყირპიანი, ეტყობა, ძალადობის მეთოდს ნაკლებად ენდობოდა. ვინ იცის, იქნებ ეშინოდა კიდეც.

— გერგება და, ერთად მოგცემთ მერე, — შემრიგებლური კილოთი უთხრა გოგოს.

— როდის მერე? დიდი რომ გაიზრდები და სამსახურში ჩადგები? — გოგოს ალერსიან, ღუღუნა ხმაში ღვარძლიანი დაცინვა მოისმა. — დედიკომ რაო? არ მოგცემ ბოზებში სასიარულო ფულსო, ხომ?

მსუქანმა გოგოს მკლავი მოწყვეტით დაიქნია. გოგომ შეჰყვირა, წონასწორობა დაკარგა, მთელი სხეულით გადმოიხარა და, რომ არ დაცემულიყო, მეორე ხელით მასვე ჩაავლო მხარში. ბიჭმა უკანვე უბიძგა, ისევ გაასწორა, თავისუფალი ხელი მომუშტა და მოუღერა.

— თუ გლეწე ერთი!...

გოგომ ზლუქუნი დაიწყო.

— ჩემი ფული მომეცით, თქვე დამპლებო, და თავი დამანებეთ, თორემ მილიციას დაგაყენებთ თავზე!

ტყირპიანი შეკრთა და მიიხედ-მოიხედა.

მსუქანმა პირის ჭრილი ირიბად დააქანა და სახეზე დამცინავი ღიმილი აღებეჭდა.

— დაგვაყენე, დაგვაყენე, ვნახოთ ერთი, შენ წაგაბრძანებენ სამორიგეოში თუ ჩვენ.

აქ აბელი ჩაერია საქმეში. ნაძვის ჩრდილიდან სინათლეზე გამოვიდა და თქვა:

---

**ჯემალ ქარჩხაძე**
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძილის დროა, ბიჭებო.

მოულოდნელობისაგან სამივე სახტად დარჩა. თუმცაღა დაუპატიჟებელი სტუმრის გამოჩენას სხვადასხვანაირად შეხვდნენ. ტყირპიანს თვალები გაუფართოვდა, შიგ შიში ჩაუდგა, ტუჩი მოიკვნიტა და ნაბიჯიც კი გადადგა უკან. მსუქანს ხელი არ გაუშვია გოგოსთვის და, პირველმა დაბნეულობამ რომ გაუარა, ისეთი სახე მიიღო, როგორიც შეიძლება მიიღოს საკბილოსთან მარტო დარჩენილმა მგელმა მეორე მგლის გამოჩენაზე. გოგომ ტირილი შეწყვიტა და გულწრფელი გაკვირვებით, პირდაღებული მოაჩერდა აბელს.

აბელი ნელა გაემართა მათკენ, სულ ახლოს მივიდა და შეჩერდა. „ორმოცი წლისაა“, — თავისდაუნებურად გაივლო გულში.

ხანმოკლე მუნჯური სცენის შემდეგ, პირველმა გოგომ ამოიღო ხმა.

— შენ ვიღასი ტიკი-ტომარა ხარ? იკითხა გაკვირვებით, ზიზლით და თბილი, ალერსიანი ხმით.

— ენა ჩაიგდე! — წყნარად უთხრა აბელმა და გაიფიქრა: „ოცისაც არაა“. მერე ასევე წყნარად მიუბრუნდა მსუქანს: — გაუშვი ხელი და წადით აქედან.

მსუქანმა კბილები გააკრაჭუნა და ღრჯოდ თქვა:

— ვინ გკითხავს, ბალი ათი..

აბელმა შეაწყვეტინა:

— კიდევ ნახევარ სიტყვას იტყვი და პუტკუნა ლოყებს ჩაგიჩუტავ.

მსუქანმა ცოტა ხანს უყურა აბელს, მერე ნელა გაუშვა ხელი გოგოს, ერთხელაც გააკრაჭუნა კბილები, შეტრიალდა და ტყირპიანთან ერთად, რომელიც მისი გადაწყვეტილებით აშკარად ნასიამოვნები დარჩა, უკანვე გაბრუნდა, იმ მხარეს, საიდანაც მოვიდნენ.

გოგო მიმავალ ბიჭებს გასცქეროდა, მერე, როცა ისინი თვალს მიეფარნენ, აბელს შეხედა, ერთხანს დაკვირვებით, მუშტრის თვალით უყურა და უცებ ისევ ტირილი მორთო.

— რას ეჩრები სხვის საქმეში უტარო კოვზივით? — მოთქვამდა ზლუქუნ-ზლუქუნით. — ვინ დაგნიშნა უფასო ვექილად? ვერ წაეთრევი შენი გზით?.. ფულის მომცემი არიან აწი ეგენი?.. დაგაყენებ თავზე მილიციას და ნახავ, როგორ უნდა ხალხის დაშინება!..

აბელს გაეღიმა. გოგომ თავისი მბჟუტავი ჭკუით ვითომ ფსიქოლოგიური შეტევა წამოიწყო. ეტყობა, აბელის გარეგნობაში ან ლაპარაკში რაღაც ისეთი შენიშნა, რომ მისი მილიციით შეშინება იოლ ხრიკად მიიჩნია.

— იცი, რას ჰგავხარ? — უთხრა აბელმა და თუმცა, ცხადია, პასუხს არ მოელოდა, გოგო ტირილით შეეხმიანა:

— რას?

— შეღებილ საფრთხობელას. ქვაზე დახატულ ეშმაკს. ღამის მოჩვენებას.

— შენ ხომ მყავხარ აპოლონ ბულდოზერელი!

ეჭვი არაა, სასაცილოა ამის მოსმენა დეკემბრის ღამეს, თოვლის თვალისმომჭრელი სითეთრითა და ელექტრონის შუქით იდუმალ-ზღაპრულად განათებულ დათოვლილ ბაღში, როდესაც ძირს უცნაური ფორმის ჩრდილები ოდნავ ირხევა და ზემოდან ვარსკვლავებით მოოჭვილი შავი ცა დაგყურებს.

სასაცილოა. მაგრამ აბელს არ გასცინებია. ამ საშინელი გოგოს პოზაში, გამომეტყველებაში, კილოში იმდენი სიამაყე იყო, ცოდნის, განათლების ფუჭი და უგუნური სიამაყე, თავის გამოჩენის ისეთი სურვილი, ისეთი ბავშვური, გულუბრყვილოდ გამომწვევი ტრაბახი და ამავე დროს ისეთი ღრმა რწმენა იმის უმცდარობისა, რასაც ამბობდა, რომ აბელს გულზე რაღაცამ მწარედ უკბინა.

— რამდენი გერგება?

გოგომ ერთბაშად შეწყვიტა ტირილი.

— ოცი მანეთი. ათი ერთისგან, ათი მეორისგან.

— მე მოგცემ, — აბელმა ხელი ჯიბეში ჩაიყო. გოგო ხარბად მისჩერებოდა. აბელმა ფული ამოიღო და დახედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თხუთმეტი მანეთია. მეტი არ მქონია.

— იყოს, — გოგო სწრაფად წაეტანა ფულს, თითქოს შეეშინდა, არ გადაიფიქროსო. დაითვალა, პალტოს ჯიბეში ჩაიდო და მერე უკვე წყნარად, შემრიგებლური კილოთი ჰკითხა: — შენ ვინ ოხერი ხარ?

— მე ღმერთი ვარ, — მიუგო აბელმა. — ეს წუთია ჩამოვფრინდი ციდან, ცოდვილები უნდა დავსაჯო.

— ღმერთი არა, ფეხები. — ჩაიცინა გოგომ, წითლად შეთითხნილი ბაგეები გახსნა და, თუმცა ლამაზად ჩაწიკწიკებული კბილები გამოუჩნდა, ამ სიცილის წყალობით მისი შეღებილი სახე უფრო შემზარავი გახდა. — ღმერთი ხარ და ოცი მანეთი არა გაქვს?

— შენ ადუღებულ კუპრში ჩაგაგდებ.

— ადუღებულ კუპრში ბებიაშენი ჩააგდე, — გულკეთილი კილოთი უთხრა გოგომ. მერე უცებ დაუმატა: — ფული აღარა გაქვს, თორემ წაგიყვანდი.

აბელს გაეცინა.

— შენისთანა მახინჯთან რა მინდა! მე ქათქათა ანგელოზებში დავდივარ. წადი სახლში, პირი დაიბანე.

ამ სიტყვებით შეტრიალდა და წავიდა. გოგო გაუნძრევლად იდგა და თვალმოუშორებლად უყურებდა. ამას ისე მკაფიოდ გრძნობდა აბელი, თითქოს კი არ გრძნობდა, ხედავდა.

ბაღი რომ გადაიარა და გასასვლელს მიუახლოვდა, ბილიკის ორივე მხრიდან სიბნელეს რამდენიმე ბიჭი გამოეყო. რამდენი იყვნენ, ერთი შეხედვით ვერ დაადგინა, მაგრამ, როგორც კი მათ შორის წელანდელი ყვინჩილები დაინახა, გულმა რეჩხი უყო და თვალი ინსტინქტურად გაექცა უკან, ხოლო როცა იქაც ბიჭები შენიშნა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ალყაში იყო მოქცეული, გაიფიქრა: „თუ არ მომკლეს, არა უშავს.“ იმავ წამს გონებაში მკაფიოდ იგრძნო რაღაც უცნაური ცვლილებები, თითქოს ტვინი მუშაობის ახალ რეჟიმზე გადაერთო.

მსუქანსა და ტყირპიანს შუაში ერთი მაღალი ბიჭი ედგათ. თბილი ქუდი უკან, კეფაზე გადაეწია, მოკლე პალტო გაეხსნა და ამ ყინვაში მკერდი ერთიანად მოეღეღა. იდგა დოინჯშემოყრილი და კმაყოფილი ღიმილით უყურებდა აბელს. დგომის მანერით, უტიფარი და თავდაჯერებული მზერით, ჩაცმულობითაც კი მასში უშეცდომოდ გამოიცნობდით ფარის ყოჩს. ამ მოსაზრებას ნათლად ადასტურებდა ფონიც — თავად ფარის უსახური ერთსახოვნება.

ახალ რეჟიმზე გადართული ტვინი ისეთი სისწრაფით მუშაობდა, რომ მისი სიგნალების აზრად გაშიფრვა ვერ ესწრებოდა და ცნობიერებაში ზოგადი განწყობილების ბიძგებადღა შემოდიოდა. აბელმა თვალი თვალში გაუყარა ყოჩს და თქვა:

— ეტყობა, ისტორია ტყუის. ჩვენი წინაპრები რომ მართლა ისეთი ვაჟკაცები ყოფილიყვნენ, როგორც გვეუბნებიან, თქვენისთანა მემკვიდრეებს არ დატოვებდნენ.

ყოჩს ძარღვი არ შეტოკებია სახეზე. უხმოდ და მშვიდად მოუსმინა და, მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდა, რომ აბელმა ლაპარაკი მოათავა, უთხრა:

— შენ ახლა დაიჩოქებ, ფორთხვაფორთხვით მიხვალ ამ ორ ბიჭებთან, — მსუქანსა და ტყირპიანს აქეთ-იქით გადახვია ხელები. — ჯერ დაუკოცნი ბათინკებს და მერე კარგად, ლამაზად გაულოკავ. ამ საქმეს ისე თუ გააკეთებ, რომ თავი მოგვაწონო, იქნება მაგარ გალახვას დაგჯერდეთ და მეტი არაფერი გიქნათ. აბა ჰე, დავიწყოთ. ერთი, ორი და სამი!

— უბედურება ის არის, — თქვა აბელმა, — რომ, სანამ თქვენ არსებობთ, მე საყდარში არ შემიშვებენ. თქვენ საქართველოს აბრკოლებთ, ბიჭებო.

ყოჩმა მსუქანსა და ტყირპიანს მხრებზე მოხვეული ხელები მსუბუქად უბიძგა და ორივე წრეში შეაგდო. თვი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თონ ისევ დოინჯი შემოიყარა.

„სულელი ვარ“, — გაიფიქრა აბელმა, როდესაც მსუქანმა ყბაში შემოჰკრა. ხელის შებრუნება არც უფიქრია, ტვინიდან წამოსულ ბუნდოვან სიგნალებს ემორჩილებოდა და გააზრების გარეშე ატყობდა, რომ ასე იყო საჭირო.

მესამე თუ მეოთხე დარტყმაზე წაიქცა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ლოყაზე და საფეთქელზე თოვლის სისველე რომ იგრძნო, გადაიფიქრა. თავი და სახე ხელებით დაიფარა და დარჩა ასე. ბიჭები ყოჩაღად ურტყამდნენ. ფარა თანდათან ახმაურდა, გახალისდა და ეშხში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ მსუქანის დარტყმებს ძალა მოაკლდა. ან დაიღალა, ან მობეზრდა. სამაგიეროდ ტყირპიანი ციბრუტივით ტრიალებდა და თავს არ ზოგავდა. როგორც ჩანს, წელანდელი შიშის, სიფრთხილის, თავდაჭერილობის, აქეთ-იქით დამფრთხალი ცქერისა და, საერთოდ, თავისი განუკურნებელი გულდედლობის ანაზღაურებას ახლა ცდილობდა. წლების განმავლობაში უჩუმრად ნაგროვებ ბოღმას, ყველასა და ყველაფრის ჯავრს ერთად იყრიდა. გამეტებით ურტყამდა „ბათინკებს“, შეუსვენებლად იგინებოდა და სულ იმას ცდილობდა, სახეში დაემიზნებინა. ამასობაში ფარა საბოლოოდ გახურდა და აბელმა უცნობი ფეხებიც იგრძნო. ცხადია, ყოჩი არ იქნებოდა, ყოჩი თავის ღირსებას ბოლომდე შეინარჩუნებდა. ეს ფარის რიგითი წევრები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც ყოველდღე და ყოველ ფეხის ნაბიჯზე არა აქვთ კაცის ასე უხიფათოდ და უმტკივნეულოდ გალახვის საშუალება.

აბელი ტკივილს უკვე ველარ გრძნობდა. ტკივილის ადგილას ახლა იყო უსაშველო. გაუსაძლისი დაღლილობა. დარტყმებს შორეულ, ყრუ ხმად აღიქვამდა და ერთადერთი სურვილი, რომელიც ჯერ კიდევ ბოგინობდა ჩაქრობის პირას მისულ ცნობიერებაში, იყო სურვილი იმისა, რომ რაც შეიძლება მალე გათავებულიყო ყველაფერი ეს. დასასრული მართლა ახლოს უნდა ყოფილიყო. აბელი ყოველ დარტყმაზე მოელოდა, რომ ახლა კი დაკარგავდა გონს.

უეცრად იქაურობა სასტვენის მჭახე ხმამ გააყრუა. აბელს ეგონა, ალბათ უკვე გულწასული ვარ და მეჩვენებაო; მაგრამ, ფარამ რომ გაფანტვა დაიწყო, რაზედაც ფეხების სწრაფი ბრაგაბრუგი მეტყველებდა, თვალი გაახილა.

ფარა გარბოდა. ყოჩი ჯერ კიდევ თავის ადგილას იდგა, ოღონდ უკვე შეტრიალებული და წასასვლელად გამზადებული. აბელთან მისი უშუალო მტრებიღა იდგნენ. ტყირპიანი იმდენად იყო ეშხში შესული, რომ სასტვენის ხმა, ეტყობა, არც გაუგონია.

— დავითესეთ! — უთხრა მსუქანმა და მაჯაში ჩაავლო ხელი.

აბელი მარტო დარჩა. თავი ოდნავ წამოსწია, გვერდზე გადაბრუნდა, ორივე ხელით დათოვლილ მიწას დაეყრდნო და ძლივძლიობით წამოჯდა. მთელი სხეული დამტვრეული ჰქონდა. სველ ტუჩებზე ხელი მოისვა. ქვედა ტუჩი გახეთქოდა. სისხლიანი ხელი თოვლით გაიწმინდა. მერე კიდევ აიღო თოვლი, მოსრისა და სველი ხელები შუბლზე მოისვა. ტუჩს ისევ მოედო სისველე და ის იყო, გაიფიქრა, სად არის აქამდე ეს მილიციელიო, რომ უკნიდან ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. ეს მილიციელის ხელი არ იყო. თუმცა მთელი სხეული დამტვრეული და დაბუჟებული ჰქონდა, მაინც მკაფიოდ გრძნობდა, რომ ეს პატარა ხელი იყო, მსუბუქი, და როგორც გამადიდებელი შუშა კრებს მზის სხივებს ერთ ფოკუსში, ასე შედიოდა მხარში ამ ხელიდან გამომავალი სიმხურვალის წვრილი ძაფი. აბელმა ცერად ჩამოხედა უცხო ხელს და მყვირალა წითელი ფერის ფრჩხილები რომ დაინახა, შეცბუნებულმა მკვეთრად მოატრიალა თავი, თუმცა ეს მწვავე ტკივილის ფასად დაუჯდა. ერთხანს გაკვირვებით უყურა კლოუნის გაფერადებულ სახეს, მერე, როდესაც დაინახა, როგორ გამოჟონა ნილაბქვეშ თანაგრძ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნობამ და სიბრალულმა, გაეცინა. გამსკდარი ტუჩი კიდევ უფრო გაიწია, ჭრილობამ პირი დააღო და სხეულში ძლიერმა ტკივილმა დაუარა, მაგრამ სიცილი ვერ შეიკავა. თან სტკიოდა, თან იცინოდა. იცინოდა ამ მოულოდნელ სიბრალულზე და თანაგრძნობაზე. ბოლოს თქვა:

— ღამის მოჩვენება! შენ დაუსტვინე?

წამით ყველაფერი დავიწყებას მიეცა, ტკივილიც, სისხლიანი ტუჩიც, სქელი საღებავის ნიღაბიდან მორიდებით გამომზირალი სიბრალულიც. და სადღაც დროისა თუ სივრცის ულრმესი ფენებიდან როგორც ძველისძველი, ფერგადასული ნახატი, ამოტივტივდა შორეული მეკონდიტრის ბუნდოვანი ხილვა. მერე ეს ხილვა ისევ გაქრა, რადგან ღამის მოჩვენებამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გამოუწოდა.

— მოიწმინდე.

ცხვირსახოცი ზედ თვალებთან ფრიალებდა და აბელმა თავი უნებურად გასწია.

— სუფთაა, — თქვა ღამის მოჩვენებამ. — სულ ახალი გარეცხილია.

შორს, გადასაკარგავში, მრავალი სქელი, უხეში და ჭუჭყიანი ქანის ქვეშ პატარა, კლოუნური თავმოყვარეობა მწუხარედ შეიშმუნა. შეიშმუშნა მალულად, მორიდებით. მაგრამ თავი მაინც გასცა, რადგან მისი ბიძგი მისდა უნებურად სიტყვებსაც გადაედო მსუბუქ თრთოლად.

აბელს გული შეეკუმშა და წამით ყველა სხვა ტკივილი დაავიწყდა. ცხვირსახოცი გამოართვა, შუბლი მოიწმინდა, თვალები მოიწმინდა, გახეთქილი ტუჩი მოიწმინდა და თქვა:

— ადუღებულ კუპრში ჩაგაგდებ.

— მაინც მოგდის სისხლი. — თქვა გოგომ. — სიგარეტი არა გაქვს?

— ეწევი?

— თუთუნი დაიდე. სისხლს შეგიჩერებს.

აბელმა მის მოთხუპნილ სახეს შეხედა. ვერაფრით ვერ დაადგინა, საიდან ყონავდა ეს თანაგრძნობა. მერე სიგარეტი ამოიღო, ერთი ღერი გადატეხა, თამბაქო გამოაცალა, ტუჩის კუთხე კიდევ ერთხელ მოიწმინდა ცხვირსახოცით, ზედ თამბაქო დაიდო და ხელი დააჭირა. სისხლის დენა მალე მართლა შეუჩერდა. მაშინ აბელი წამოდგა. წამოდგა წვალებით, ტანჯვით, ერთი დაკვნესება ქვეყანას ერჩივნა, მაგრამ ეს შეღებილი საფრთხობელა მაინც ადამიანი იყო და მოერიდა.

— წამოგყვები, თუ გინდა, — უთხრა საფრთხობელამ.

აბელს გაეცინა.

— ძაღლს შემიშინებ. ჩემს ძაღლს ნატიფი გემოვნება აქვს. შენ რომ დაგინახოს, ყმუილი აუტყდება.

გოგომ აგდებულად შეხედა და თანაგრძნობა და სიბრალული გაუქრა.

— კისერი გიტეხია!

— წადი, პირი დაიბანე, — უთხრა აბელმა. — რაც წყალმა არ ჩამოგრეცხოს, დანით ჩამოიფხიკე. თმას წელიწადში რამდენჯერ ივარცხნი?

— არაა შენი ჭკუის საკითხავი.

აბელი წავიდა. ნელა მიდიოდა, მძიმედ, გაჭირვებით. ორიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, მოუტრიალდა გოგოს და უთხრა:

— შენ მახინჯი ხარ, მაიმახი, გონჯი, უშნო, მათხოჯი, ბოსტნის საფრთხობელა, კლდის ეშმაკი, ცირკის მასხარა, საღებავში ამოვლებული ვირთხა, ლენჩი, უტვინო, უვიცი, უზრდელი...

გოგო გატრიალდა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა: — ურცხვი, უტიფარი, — უფრო ხმამაღლა მიაძახა აბელმა, ძერე, რაკი გოგო უკვე საკმაოდ შორს იყო, თავი დაანება.

შინ გვიან ღამით დაბრუნდა. ალის მიეფერა, ბუხარი აანთო, ელექტროქურები ჩართო, სველი ტანსაცმელი გამოიცვალა, სარკის წინ დაჯდა და თავის მოწესრიგებას შეუდგა. მთელი სხეული სტკიოდა, მაგრამ ამას არ დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძებდა. მთავარი იყო, სახისთვის მოევლო, რათა ხვალ ცნობისმოყვარეობისა და ჭორიკნებისათვის მაინცდამაინც დიდი სულიერი საზრდო არ მიეცა. სახე კარგა ძნელი მოსავლელი გამოდგა. გახეთქილი ტუჩი გასიებული ჰქონდა, მარჯვენა თვალი — ჩალურჯებული და შეშუპებული, მარცხენა ლოყა და ცხვირი — გადაქლეტილი. გაჭრილი ადგილები სპირტით მოიწმინდა და იოდი წაიცხო, თვალზე ჩაის საფენი დაიდო, საკუთარი თავი ლანძღვით აიკლო იმის გამო, რომ ამ ადამისდროინდელ სახლში დასახლდა და უარი თქვა წესიერ ბინაზე, სადაც ახლა ცხელი აბაზანის მიღება შეიძლებოდა.

ბოლოს, როდესაც ყველა ხელმისაწვდომი მანიპულაცია მოათავა და თავს, ასე თუ ისე, დამაკმაყოფილებელი სახე მისცა, დაწვა და დაიძინა.

## თავი მეთორმეტე

ადამიანურ ურთიერთობათა გვარი და სახე უსასრულო და ამოუწურავია. ადამიანი არ მეორდება. ისევე როგორც შეუძლებელია ორი იდენტური გარეგნობა, შეუძლებელია ორი იდენტური ურთიერთობაც. ეს ყველამ ვიცით. ისიც ყველამ ვიცით, რომ საქმის გასაიოლებლად და წესრიგისაკენ თანდაყოლილი მისწრაფების დასაკმაყოფილებლად ლოგიკური შაბლონი შევქმენით და ურთიერთობათა მრავალფეროვანი სიმრავლე კლასებად დავყავით. ეს დაყოფა, ცხადია, პირობითი და ფორმალურია, რადგან ამდაგვარი კლასიფიკაციისას ვხელმძღვანელობთ რამდენიმე საერთო ნიშნით და არავითარ ანგარიშს არ ვუწევთ სხვა, უთვალავ ნიშანს, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამიტომ, როდესაც ვახსენებთ, ვთქვათ, მტერს ან მოყვარეს, ამ განსაზღვრებაში ყოველთვის ვგულისხმობთ იმ რამდენიმე საერთო ნიშანს, თორემ ყველა მტერი იმდენად სხვადასხვანაირი მტერია და ყველა მოყვარე იმდენად სხვადასხვანაირი მოყვარეა, რომ ხშირ შემთხვევაში მათ შორის არც კი ხერხდება მკაფიო საზღვრის გავლება.

ეს ყველაფერი ვიცით და მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული გვაქვს. მაგრამ ეს მხოლოდ შედეგის გაცნობიერებაა. ურთიერთობათა ხასიათი დავადგინეთ, ან ვეცადეთ დაგვედგინა. იმის შესახებ, კი, თუ რა არის თავად ეს ურთიერთობა, როგორ ხორციელდება, რა ფიზიკური მექანიზმი მოქმედებს, არაფერი ვიცით.

მერე და მერე აბელი ამ საკითხზე ბევრს იფიქრებს და გედეონ რევიასთან ერთად არაერთ მცდარ ჰიპოთეზას განიხილავს. იმ დილით კი, როდესაც ტანში საშინლად ამტვრევდა და დიდი ჯაფა ადგებოდა სიმისოდ, რომ გამართულს ევლო და ტკივილისაგან არ ეკვნესა, როდესაც მარჯვენა თვალის ირგვლივ სილურჯე ჯერ კიდევ არ გამქრალიყო და, თუ კარგად დააკვირდებოდით, გახეთქილ ტუჩსა და ლოყასაც შეამჩნევდით, ამ დილით მას ადამიანურ ურთიერთობათა ფიზიკურ საფუძვლებზე ჯერ კიდევ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა. ამიტომ თეატრში მისულს (გზაში, სიარულისას, ტკივილს ნელ-ნელა შეეჩვია და მტვრევამაც თითქოს გაუარა.) ჯერ ის გაუკვირდა, რომ მერი ბარაბაძე უკვე იქ დახვდა, მერე (უფრო მეტად) ის, რომ, როდესაც მერი მისკენ გამოეშურა, სულ ახლოს მოვიდა, შემპარავად ამოხედა და თვალებში ალერსიანი ღიმილი ჩაუდგა, აბელმა თითქოს სხვა თვალით დაინახა მისი მკერდი, რომელიც სხეულის სრული პერპენდიკულარი იყო.

მერის შემპარავი მზერა და ალერსიანი ღიმილი არ მოშორებია, ისე ჰკითხა:

— ხომ კარგადაა ვანო როსტიაშვილი?

აბელმა მკერდს თვალი მოსწყვიტა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში სწრაფად და კმაყოფილებით გაუელვა აზრმა, რომ მერის მის სახეზე არაფერი შეუმჩნევია, და გაიცინა.

— გამექცა.

მერიმ შუბლი შეიჭმუხნა და თანაგრძნობის გამომხატველი სახე მიიღო. მერე ისევ გაიღიმა, მარჯვენა თვალში დაკვირვებით ჩახედა, საჩვენებელი თითი მოულოდნელად ტუჩის კუთხესთან მოუსვა და თქვა:

— სანამ გაიქცეოდა, კარგად კი უმუშავია, თუ ეს მისი ნამუშევარია.

აბელს მოეჩვენა, თითქოს მერის არსებაში გაუგებარი გულწრფელობა შენიშნა და, როდესაც თავის მიამიტურ რწმენაზე, რომ მის ნაცემ სახეს ვერავინ შენიშნავდა, გუნებაში გაეცინა, ასე ეგონა ამ სიცილსა და მერის გაუგებარ გულწრფელობას შორის უხილავი კავშირი არსებობდა.

არიოსტო ხოფერია რეპეტიციაზე არ მოვიდა.

დირექტორს და მთავარ რეჟისორს მორიგეობით უცდიათ ტელეფონით დალაპარაკებოდნენ და ან ტკბილი სიტყვით, ან მუქარით როგორმე მოეყვანათ, მაგრამ ვერც ტკბილი სიტყვის თქმა მოუსწრიათ და ვერც დამუქრება. როგორც კი მათი ხმა გაუგონია, არიოსტოს უსიტყვოდ დაუკიდია ყურმილი. მაშინ გედეონ რევიასთვის უთხოვიათ, შენ დაურეკე, შენ ხათრს ვერ გაგიტეხავსო. კულისებში ფიქრობდნენ, რომ არიოსტოს მხრივ „ხათრის გაუტეხაობის“ იმედი იმდენად არ ჰქონდათ, რამდენადაც გედეონის სიბრძნისა და ტაქტის. გედეონს მართლაც გამოლაპარაკებია. კერძოდ, უთქვამს, შენც მაგათი ლაქია გახდი ხომ, შენი სწავლა-განათლება კი...-ო და მხოლოდ ამის შემდეგ დაუკიდია ყურმილი.

რეპეტიციის მომლოდინე მსახიობებს მოთმინება გამოელიათ და რეჟისორის ახოვან თანაშემწეს მოთხოვეს, გაერკვია ვითარება და დაედგინა, ჩატარდებოდა თუ არა რეპეტიცია. თანაშემწემ მთავარ რეჟისორს დაუწყო ძებნა, დირექტორის კაბინეტში მიაგნო, მალე დაბრუნდა და ორი ცნობა მოიტანა: ერთი, რომ რეპეტიცია არ ჩატარდებოდა და ხალხი თავისუფალი იყო, მეორე, რომ აბელს დირექტორი ეძახდა.

სამივენი, ვინც ამაოდ სცადა არიოსტო ხოფერიასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, დირექტორის კაბინეტში იყვნენ. შეაღო თუ არა კარი აბელმა, დირექტორმა შორიდანვე დაიწყო:

— შენი გაფუჭებული საქმე შენვე უნდა გამოასწორო.

ამ დროს გედეონ რევიამ, რომელიც თეთრ, ფუნჩულა წარბებს ქვემოდან დაკვირვებით მოსჩერებოდა, ჰკითხა:

— ვინ გაგლახათ, აბელ?

აბელს გაეღიმა.

— კაენმა, ბატონო გედეონ.

— მოიხედე! — გაკვირვებით და ცოტა მწყრალად უთხრა დირექტორმა, და როცა აბელმა სახე მისკენ მიატრიალა, ჰკითხა: — მართლა გაგლახეს?

— არა, — მიუგო აბელმა და კმაყოფილებით შენიშნა, რომ უაღრესად ბუნებრივად ცრუობდა. — ფეხი დამიცურდა ყინულზე და ცუდად დავეცი.

— ჰოო... — თქვა დირექტორმა და მერე, ეს თემა რომ მოეშორებია, ვალმოხდის კილოთი დაუმატა: — ყინულზე ფრთხილად უნდა იარო — და ისევ საქმეზე გადავიდა: — გამოასწორე, ძმაო, შენი გაფუჭებული საქმე. მიდი სახლში არიოსტოსთან და დაელაპარაკე.

რომან ადეიშვილი ფეხიფეხშემოდებული იჯდა და ისეთი სახით უყურებდა, რომელიც არაფერს არ გამოხატავდა.

— ასეთი რა დავაშავე, — თქვა აბელმა. — რომ ვეახლო და ბოდიში მოვუხადო?

— ბოდიშის მოხდას არავინ გავალებს, — მშრალად მოჭრა დირექტორმა.

— არიოსტო მგრძნობიარე კაცია, — თქვა გედეონ რევიამ. — მტერი რომ სახლში მიაკითხავს, ბოდიშის მოუხდელადაც მოულბება გული.

---

**ჯემალ ქარჩხაძე**

ქარავანი

 აბელმა ვერაფრით ვერ წარმოიდგინა, როგორ უნდა მისულიყო არისტოსთან და, რომც მისულიყო, რა უნდა ეთქვა.

— ხვალაც რომ ჩაიშალოს რეპეტიცია, — თითქოს მის ფიქრებს უპასუხა დირექტორმა. — ორივეს მოგხსნით და მერე პრეტენზიები ნულარ გექნებათ.

წუხანდელი ცემის შემდეგ აბელი ჯერ კიდევ გამწარებული და ყველაფერზე გულაყრილი იყო, ამიტომ დირექტორის მუქარას არ შეუშინებია. სამაგიეროდ უცებ მიხვდა, როგორ მივიდოდა არისტოსთან და რას ეტყოდა. თამამად მივიდოდა და ეტყოდა ყველაფერს, რასაც ფიქრობდა. უბრალოდ, აუღელვებლად და დალაგებით ეტყოდა, რომ ცხოვრება, ლუკმა-პურის შოვნა. თუნდაც დიდი კარიერის გაკეთება იმად არ ღირს, რომ კაცმა სინდისი გაყიდოს და ადამიანები უსამართლოდ დაახარისხოს. ეტყოდა, რომ ეს ისეთივე ცოდვაა, როგორც ქურდობა. ეტყოდა, რომ არისტოსნაირი ხალხი პაწაწკინტელა კაცები არიან და თავიანთი დათრგუნული ფსიქიკით, თავიანთი პატარა კაცობით ხელს უწყობენ ეგრეთწოდებული დიდი კაცების შექმნას. ეტყოდა, რომ... ერთი სიტყვით, ყველაფერს დაუფარავად ეტყოდა. მერე მოხსნას დირექტორმა. მაინც ყელში ამოუვიდა ეს დაწყევლილი ქალაქი. წავა აქედან. თბილისში წავა. სულ დაანებებს თავს მსახიობობას, მით უმეტეს, რომ მსახიობობა მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მცდარი ნაბიჯი იყო.

— წავალ, — თქვა აბელმა.

— წადი, — უთხრა დირექტორმა. მას, ერთი მხრივ, გულზე მოეშვა, რაკი აბელი დაითანხმა, მეორე მხრივ, ეტყობა, გრძნობდა, რაოდენ უთანასწორო ომში გზავნიდა, და ნაძალადევი მხნეობით გაუღიმა. — წადი და აბა შენ იცი! როგორმე ეს სპექტაკლი გამომაშვებინეთ და ახალი წლიდან მაგის ჭაჭანება არ იქნება ჩემს თეატრში. გავუშვებთ ეგერ, კლუბში, ვანო როსტიაშვილის ადგილას. იყოს იქ თავის ნებაზე და, როგორც უნდა, ისე აუშვას ოფოფები.

აბელი გამოვიდა. მაყვალა მონოტონურად აკაკუნებდა.

ის იყო, თეატრის შენობას გასცდა, რომ ჭიშკარში ასლანი შემოგრიალდა თავისი მანქანით და ზედ მის გვერდით მოწყვეტით დაამუხრუჭა.

— სად მიხვალ, აბელ? — მანქანიდანვე გამოსძახა, მერე კარი გააღო და გადმოვიდა.

— არისტოსთან მივდივარ, — მიუგო აბელმა, მაგრამ ასლანს ამ პასუხისათვის ყურადღება არ მიუქცევია, გაკვირვებითა და შეშფოთებით დააკვირდა სახეზე.

— ეს რა არის? იჩხუბე?

აბელმა ხელი ჩაიქნია.

— არაფერია. ცოტა წამომითაქეს.

— ვინ? — ასლანს ყბებზე კუნთები დაასხდა და თვალებში სიავე ჩაუდგა. ასეთი რამ აბელს არასოდეს შეუმჩნევია.

— რა ვიცი, — თავი გაიქნია აბელმა და აგრძნობინა, რომ ყველაფერი ეს ლაპარაკად არ ღირდა. — ვიღაც ბიჭბუჭები იყვნენ.

— წუხელ?

აბელი მიხვდა, რომ ასლანს იოლად ვერ მოიშორებდა და მოკლედ უამბო, რაც მოხდა. ასლანმა ერთხანს უხმოდ უყურა, მერე ჰკითხა:

— არისტოსთან რა გინდა?

— მოსალაპარაკებლად გამგზავნეს. აბა, წავედი.

არისტო ხოფერია მეორე სართულზე ცხოვრობდა. კარზე აბრა იყო გაკრული, ზედ გოგებაშვილის შრიფტით ეწერა: „ა. ი. ხოფერია“. აბელმა დარეკა და იგრძნო, რომ ღელავდა. წინასწარ მომზადებული არასოდეს მისულა ვინმესთან საჩხუბრად.

ჯერ საჭვრეტიდან გამოიხედეს, მერე გასაღები გადაატრიალეს, მერე კარი ოდნავ გააღეს, ისე რომ ჯაჭვი, დამატებითი საკეტი, არ აუხსნიათ. ღრიჭოში ქალი გამოჩნდა. ძალიან მოხუცი იყო და ძალიან სიმპათიური. ოღონდ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედვა ჰქონდა ცოტა დაძაბული, თითქოს რაღაცას იგონებსო.

— გამარჯობათ, ქალბატონო, — მიესალმა აბელი. — ბატონი არიოსტოს ნახვა მინდა, თუ შეიძლება.

ქალმა გაიღიმა, მაგრამ ღიმილი თვალებს არ გადასდებია. მზერა ისევ ისეთი დაძაბული ჰქონდა. მერე ჯაჭვი ახსნა და კარი ყურთამდე გააღო. გამხდარი იყო, ცარიელი ძვალი და ტყავი, და სულ მთლად ჭაღარა. თმა ერთ მსხვილ ნაწნავად დაეწნა და მარცხენა მხარეს, ლავიწის ძვალთან ედო.

— მო... ო... ა... არ...: ა:... ი..:, — დაძაბული კი იყურებოდა. მაგრამ რაღაცით აშკარად კმაყოფილი იყო. ტუჩის კუთხეებში ღუჟი მოადგა.

აბელი დაიბნა. ამ დროს შიგნიდან არიოსტოს ნერვული ხმა მოისმა:

— რამდენჯერ გითხრა, დედა, შენ ნუ გაალებ-მეთქი!

ამ სიტყვებზე თვითონაც გამოჩნდა. გრძელი, ყვითელზოლებიანი, რუხი ხალათი ეცვა, წელზე წითელი ნაჭრის ქამრით შეკრული. უქუსლო ფოსტლებს მოათრატუნებდა და მოდიოდა. აბელის დანახვაზე შეცბა, ფერმაც კი გადაჰკრა. შეჩერდა, შეხედა, თვალით გაზომა. მერე ქალს მიუბრუნდა:

— რას დამდგარხარ აქ!

ქალმა რაღაც მობოდიშებისმაგვარი გამომეტყველება მიიღო, ხელი პირზე აიფარა და გატრიალდა, თუმცა აბელს მოეჩვენა, რომ რაღაცით მაინც კმაყოფილი დარჩა.

არიოსტომ ცალი ხელი კარის სახელურს ჩაავლო, ერთხანს კიდევ უყურა აბელს, როგორც უყურებენ პრობლემას, რომელიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს, ბოლოს მეორე ხელით შეპატიჟების ცოტა ხაზგასმული, ცოტა თეატრალური ჟესტი გააკეთა და ისეთი კილოთი თქვა, მობრძანდითო (თან თქვენობით), აბელისათვის ცხადი შეიქნა, რომ მასპინძლის მოვალეობამ სულ ოდნავ გადასწონა დაუპატიჟებელი სტუმრის კინწისკვრით გაგდების სურვილი.

აბელი შევიდა. არიოსტომ კარი მიხურა, გასაღები გადაატრიალა, კიდევ ერთხელ გაიმეორა შეპატიჟების წელანდელი ჟესტი და თავადვე გაუძღვა წინ.

აბელის ქადილსა და წინდაწინ მომზადებულ გეგმას უკვე წყალი ჰქონდა შეყენებული. მიჰყვებოდა უკან ვიწრო, ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში არიოსტოს ჭრელ ხალათს და გონებიდან არ ამოსდიოდა ის მოხუცი ქალი, ჭაღარა, სიმპათიური. თვალწინ ედგა მისი დაძაბული მზერა და ამ მზერასთან შეუთავსებელი ღიმილი, ისეთი ღიმილი, ბავშვი რომ თავის პაწაწკინტელა, გულუბრყვილო ეშმაკობას გადაჭარბებულად აფასებს, და დანაწევრებული მეტყველების თავგანწირული, მაგრამ ამაო, ქრუანტელისმომგვრელი ცდა. მოხუცი მხოლოდ ცალკეულ, დაუკავშირებელ ბგერებს უშვებდა პირიდან და აბელი ვერ მიხვდა, მართლა უნდოდა რაიმეს თქმა და ვერ ამბობდა, თუ ეს შემთხვევითი, უაზრო ბგერები იყო, რომლებსაც არც ტვინში ჰქონდა რაიმე კონსტრუქციული და გონივრული საწყისი.

ამასობაში დერეფანი გაიარეს და ერთ პატარა, მაღალჭერიან, ღია ცისფრად შეღებილ ოთახში შევიდნენ, რომელსაც ერთი ფანჯარა ჰქონდა გვერდზე გადაკეცილი დარაბებით. ფანჯრიდან მოპირდაპირე სახლის ყრუ კედელი მოჩანდა. კუთხეში როიალი იდგა. როიალზე მტვერი იდო. ოთახში ერთი ნიკელის საწოლი იყო და ერთი დიდი მაგიდა. ამ მაგიდას უჯდა გოგონა. უფრო სწორად, ახალგაზრდა ქალი, ასე, თვრამეტი-ცხრამეტი წლის. გოგონა ლამაზი იყო, სწორი, მოგრძო სახე ჰქონდა და მოკლედ შეკრეჭილი თმა. არიოსტოსაც ჰგავდა და იმ მოხუც ქალსაც. ამ გოგონას დანახვაზე აბელი უცებ მიხვდა, რა ლამაზი, რა სიმპათიური კაცი იყო არიოსტო, და გულში გაუკვირდა, რომ ეს აქამდე არ შეუმჩნევია. გოგონას ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლში გრძელი მაკრატელი ეჭირა და ქაღალდის კაცუნებს ჭრიდა. ერთი ფურცლისაგან რამდენიმე ერთმანეთზე გადაბმული კაცუნა გამოდიოდა. მაგიდაზე კაცუნების მთელი ლაშქარი იდგა. სანამ რაიმეს გააზრებას მოასწრებდა, აბელს ჯერ გული შეეკუმშა და უეცრად მკაფიოდ და ნათლად დაინახა, რომ ეს გოგონა ოთახში კი არა, სადღაც უსასრულო სივრცეში, ჰაერში გამოკიდებულ სავარძელში იჯდა და სივრცე, სანამ თვალი მიწვდებოდა, ქაღალდის კაცუნებით იყო სავსე.

ფეხის ხმაზე გოგონამ თავი ასწია და მოიხედა. მოხედვა ალბათ არც ეთქმოდა ამას, რადგან თვალებში არაფერი არ ჰქონდა ისეთი, რითაც რაიმეს დანახვა შეიძლება. აბელს გააჟრჟოლა. გოგონამ კი უცხო კაცის დანახვაზე მაკრატელი მაგიდაზე დადო, სწრაფად წამოდგა, ნახევრად არისტოკრატულად, ნახევრად ჯარისკაცურად გაიმართა, გამარჯობათო, ბოხი ხმით თქვა და გაიღიმა, ყოველ შემთხვევაში, აბელს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს გაიღიმა, თუმცა ამ ღიმილის შემხედვარეს ძარღვები მოუდუნდა და მთელ სხეულში სისუსტემ დაუარა. გოგონამ ტუჩები წინ წამოყარა და ისე თანაბრად, ისე სიმეტრიულად გადაიკეცა, თითქოს მექანიზებული თოჯინა ყოფილიყოს. მერე კვლავ დაჯდა, მაკრატელი აიღო და თავისი საქმე განაგრძო.

შემდეგი ოთახი არიოსტოსი იყო. ამ ოთახსაც ერთი ფანჯარა ჰქონდა გადაკეცილი დარაბებით და იქიდან იმავე მოპირდაპირე სახლის იგივე ყრუ კედელი მოჩანდა. ფანჯრის ძირას ძველებური საწერი მაგიდა იდგა, კედელთან — წიგნების კარადა, მეორე კედელთან — ტახტი, ყავისფერი ჭუჭყიანი და ძველი, ალაგ-ალაგ ზედაპირი გახეთქილი ჰქონდა და ზამბარები ამოჩრილიყო. იმ კარის გარდა, საიდანაც შემოვიდნენ, ოთახს კიდევ ჰქონდა მეორე კარი, რომელიც გამოხურული იყო.

— დაბრძანდით, — კვლავ თქვენობით მიმართა არიოსტომ და ის იყო, ორივენი დასხდნენ, რომ გამოხურულ კარს იქიდან ქალის ავადმყოფური, საწყალობელი ხმა მოისმა:

— არიოსტო!

— ბატონო, — ხმადაბლა გაეპასუხა არიოსტო.

— ვინ იყო?

— მსახიობია ერთი.

— წავიდა?

— არა. აქ არის.

ლაპარაკი შეწყდა და სამაგიეროდ კვნესა მოისმა. ხმამაღალი, გულისგამაწვრილებელი. „ოოი-ოოი-ოი-ოი-ოი! ოოი-ოოი-ოი-ოი-ოი!“

— აბა, გისმენთ, — უთხრა არიოსტომ აბელს. — რას მიბრძანებთ?

კარს იქით ქალი სასოწარკვეთით კვნესოდა და ეს კვნესა აბელს ხელს უშლიდა აზრის მოკრებაში. ბოლოს, როცა დუმილის ყველა ვადა ამოიწურა და აუცილებელი შეიქნა რაღაცის თქმა, ისევ მოისმა ქალის ხმა:

— არიოსტო!

— ბატონო.

— მერე მაგ ოთახში რომ შემოიყვანე სტუმარი, რას ფიქრობ, ესიამოვნება ვითომ ჩემი კვნესის მოსმენა?

— კარგი, დაწყნარდი, — მკაცრი დაყვავებით უთხრა არიოსტომ.

— შენ რა გიჭირს, კი ხარ დაწყნარებული, არაფერი გტკივა და არაფერი გაწუხებს, — აქ ისევ აკვნესდა, მერე წამით გაჩუმდა და ისევ დაიძახა: — არიოსტო!

— ბატონო.

— რა ხანია გითხარი, წყალი მომიტანე-მეთქი. დაგავიწყდა, ხომ?

— ახლავე მოგიტან.

— კაი ახლავეა, ორი საათი გავიდა.

— ახლავე, — უთხრა არიოსტომ. მერე აბელს მიუბრუნდა: ახლავე. წამოდგა და წინა ოთახში გავიდა.

მარტო რომ დარჩა, აბელი სკამზე გასწორდა, შეეცადა თავისუფლად დამჯდარიყო, ძალდაუტანებლად. ფეხი ფეხზე შემოიდო, მარჯვენა იდაყვი სკამის საზურგეს ჩამოსდო. თავისუფლად მაინც ვერ დაჯდა და მიხვდა, რომ ვერც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯდებოდა, რადგან ამაში ისეთი რაღაც უშლიდა ხელს, რასაც დაჯდომასთან არაფერი კავშირი არ ჰქონდა. ფეხი ისევ ჩამოილო, ფანჯარაში დაიწყო ყურება, მოპირდაპირე სახლის ყრუ კედელს ყრუდ და უაზროდ მიაჩერდა. კედელი ჭუჭყიანი და მწუხარე ეჩვენა, მალევე აარიდა თვალი და ოთახში მიიხედ-მოიხედა. აქ ყველაფერი ისე ძველი იყო, რომ სიძველის სუნიც კი იდგა. სხეულში უცებ უცხო ბიძგის მოულოდნელმა და გაუგებარმა ტალღამ გაუარა და ერთბაშად მთელი სიცხადით იგრძნო საკუთარი უსუსურობა, საშინელი, გაუვალი, აბსოლუტური უსუსურობა. საიდან მოდიოდა ეს გრძნობა, ვერ გაიგო, მაგრამ წამით მოეჩვენა, რომ თავისი თავი შორიდან დაინახა. მისი ფიზიკური, გონებრივი და სულიერი ძალა სასაცილოდ პაწაწკინტელა იყო, სასაცილოდ უმწეო და უმაქნისი, და ისე უსხლტებოდა მზერას, როგორც მტვრის უმცირესი ნაწილაკი, რომელიც, რაც არ უნდა დაძაბულად ადევნო თვალი, მაინც დაგეკარგება და სხვა ნაწილაკებს შეერევა. ირგვლივ თითქოს სიბნელე ჩამოწვა და აბელი მიხვდა, რომ ხაროში იჯდა. ვიღაცამ თუ რაღაცამ, ცბიერმა, გველაძუამ, ისარგებლა მისი უილაჯობით, ჭკუამოკლეობით, სულმოკლეობით, მისი მიამიტობითა და სისულელით, თავის სამფლობელოში შეიტყუა და ბნელ ხაროში ჩააგდო. საიდანაც ამოსვლა შეუძლებელი ჩანდა. თვითონ კი ის ბოროტი ძალა, უსხეულო, უფორმო, უხილავი, მაგრამ მაინც მატერიალური და ხელშესახები, ხაროს პირას გამარჯვებას ზეიმობდა, დახტოდა, ხორხოცობდა, ნიშნის მოგებით იშვერდა თითს აბელისაკენ და დაუნდობლად დასცინოდა მის უსასოო ფართხალს, ხაროდან თავის დაღწევის განწირულსა და ამაო მცდელობას.

არიოსტო ჭიქით ხელში შემოვიდა და უკანა ოთახში გავიდა. აბელისაკენ არ მოუხედავს. იმავ წამს ოთახიდან გაურკვეველი ჩურჩული მოისმა. ცოტა ხნის შემდეგ არიოსტო უჭიქოდ გამოვიდა, დაფიქრებით გაიარ-გამოიარა, ფანჯარას მიადგა, ყრუ კედელს უყურა და, როდესაც ბოლოს და ბოლოს თავის ძველ ადგილას დაჯდა და მოლოდინის თვალით შეხედა აბელს, უკანა ოთახიდან ჯერ საწოლის ენერგიული ჭრაჭუნი მოისმა, მერე კიდევ უფრო ენერგიული კვნესა და, სანამ აბელი რაიმეს თქმას მოასწრებდა, კარიც გაიღო. აბელმა მიიხედა.

მაღალი ქალი იყო, გამხდარი, ოღონდ ისეთი გამხდარი, ძალა უფრო რომ იგრძნობოდა, ვიდრე სისუსტე. სილამაზით დანარჩენებს აშკარად ჩამოუვარდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ გამოხედვა ჰქონდა ისეთი, ცამდე მართალი რომ ყოფილიყავი, არ შეიძლებოდა დანაშაულის გრძნობა არ გაგჩენოდა. შუბლი თეთრი თავსაფრით ჰქონდა გაკრული. ტანზე არიოსტოს ხალათის ტყუპის ცალი ეცვა.

— გამარჯობათ, ბატონო, — ავადმყოფის გაწამებული ღიმილით მიესალმა აბელს. — უკაცრავად კი ვარ, ხელი შეგიშალეთ, მაგრამ, ხომ იცით, უჭირისუფლო ავადმყოფის ამბავი. ხან უნდა გავიდეს, ხან უნდა შემოვიდეს.

აბელმა მობოდიშების პასუხად რაღაც „რას ბრძანებთ, ქალბატონოს“ მაგვარი წაილუღლუღა.

ქალი ახლა არიოსტოს მიუბრუნდა:

— შეგიშალეთ ხომ ხელი, არიოსტო?

— არა, არა, არაფერია, — წყნარად მიუგო არიოსტომ.

ქალის გაწამებულ ღიმილს ცივი ირონიის ელფერი შეემატა.

— ჰო, შენთვის არაფერია. იმან იკითხოს, ვინც შაკიკისაგან მომსპარია, ვისაც აღარც ღვიძლი უვარგა, აღარც გული, აღარც თირკმლები, — აქ ისევ აბელს მოუტრიალდა: — მადლობა ღმერთს, წყნარი ავადმყოფობა ვიცი და არავის ვაწუხებ. ვაგდივარ ჩემთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის საცოდავად, — და ისევ არიოსტოს შეხედა. — დედაშენი სად არის?

— იქით იქნება. თავის ოთახში.

— ისვენებს, ხომ? — მწარედ ჩაიცინა ქალმა. — ოოი-ოოი-ოი-ოი-ოი! — ასე კვნესა-კვნესით გავიდა წინა ოთახში. იქ კვნესა ერთბაშად შეწყვიტა და ხმამაღლა და ისეთი კილოთი, სიყვარული რომ თავის კალაპოტში ველარ ეტევა, დაჰკივლა: — უი, შენ კი გენაცვალე, ჩემო ოქრო! შენ, შენ, შენ! მპწააჰ!

ამაზე მაკრატლიანმა გოგონამ, ვინც ამ დაუოკებელი ალერსით დააჯილდოვეს, ისეთი კმაყოფილებით ჩაიღრუტუნა, აბელს გააჟრჟოლა და იგრძნო, როგორ გამოჟონა ოფლმა თმის ძირებში.

ქალმა ისევ კვნესა დაიწყო. კვნესის ხმა თანდათან შორიდან და შორიდან ისმოდა და ბოლოს მიწყდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოისმა. ჯერ შორეული, ძლივგასაგონი ხმები. მერე ხმები ნელნელა გაძლიერდა და ყევლაფერი აავსო. კულმინაციას რომ მიაღწია, წამით შეწყდა, მის მაგივრად კვლავ სიყვარულის აფეთქების ხმა გაისმა, ზუსტად ისეთი, როგორც წელან: „უი, შენ კი გენაცვალე, ჩემო ოქრო! შენ, შენ, შენ! მპწააჰ!“ ამას მოჰყვა გოგონას კმაყოფილი ღრუტუნი, რომელიც ისევ მძლავრმა კვნესამ ჩაახშო, და ქალი დაბრუნდა.

— მე აღარ ვვარგივარ, არიოსტო, — თქვა მან. — და შენ უჩემოდ რითი გაუმასპინძლდები ახლა ამ უცხო სტუმარს?

აბელმა ლუღლუღით უპასუხა. ამჯერად რაღაც „გმადლობთ, ქალბატონო, არაფერი არაა საჭიროს“ მაგვარი რაღაც ჩაილუღლუღა.

— წადი, დაწექი, — ტკბილად უთხრა არიოსტომ.

ქალმა წელანდელივით ირონია შეურია ღიმილში.

— წავალ. ნუ გეშინია, არ დაგიჯდები აქ, — ამ სიტყვებზე ერთი ამოიოხრა, ისევ კვნესა ატეხა და უკანა ოთახში შევიდა. კარი ღია დატოვა. ოთახიდან ერთხანს საწოლის ჭრაჭუნი ისმოდა, მერე კი აბელის წასვლამდე მონოტონური, გაუთავებელი „ოოიოოი-ოი-ოი-ოი“.

აბელი მალე წავიდა. როგორც კი პირისპირ დარჩა არიოსტოსთან, მაშინვე დაიწყო:

— დიდხანს არ გაგაცდენთ. ისედაც ბევრი დრო წაგართვით. მე იმიტომ მოვედი, რომ ბოდიში მინდა მოგიხადოთ და პატიება გთხოვოთ. — არიოსტოს სიწითლემ გადაჰკრა სახეზე, სკამზე აწრიალდა, გულწრფელად, ადამიანურად დაირცხვინა. აბელს გაუკვირდა და განაგრძო: — ვიცი, უტაქტოდ და უზრდელად მოვიქეცი, მაგრამ მერწმუნეთ, დაუფიქრებლობის ბრალია.

— ოჰ, კარგი ერთი, კაცო... — თავი ჩაღუნა არიოსტომ.

— თუ გნებავთ, საჯაროდ მოგიხდით ბოდიშს, ყველას თანდასწრებით.

— არა, კაცო, ვის რად უნდა ეს საჯარო-მაჯარო ბოდიშები! — აქ ცოტა შეყოვნდა, თითქოს შეყოყმანდა კიდეც და უცებ, პირველად მთელი ამ ხნის განმავლობაში და, საერთოდ, მთელი მათი ნაცნობობის მანძილზე, ხმაში ნაღველი გამოერია. — არც მე ვარ ცუდი კაცი, მაგრამ, ხომ ხედავ, სამი სული პირში მყავს მოჩერებული...— აქ თითქოს გამოერკვაო, ისევ აწრიალდა, დაფაცურდა: — რამე.... ერთი ჭიქა...

— არა, არა. გმადლობთ, — აბელი წამოდგა.

გამოთხოვებისას, სადარბაზო შემოსასვლელთან, არიოსტო მოცოცხლებული და გახალისებული ჩანდა.

— რეპეტიცია ხომ დანიშნეს ხვალისთვის? — მხნე კილოთი იკითხა.

— კი, როგორ არა. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ და დიდი მადლობა.

— კარგად იყავი, კარგად.

პირველი ნაწილის დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვაჟა ხორნაული

მზე წიფლიანში. გალიმებულ მთათა კრებული.
ჩემი ორლობე
შენი ტანით განათებული.
ველზე კრავები. სათიბების მწვანე ალმური.
ხმები... რა ხმები! —
ურმული და იავნანური...
ზღაპრის ჰაერი, გოგოების კისკისიანი.
ქვაზე, სახეზე ღვთაებრივი სხივის ციალი.
ქვიშის ხარხარი. ნათელ ფსკერზე ჩრდილი კალმახის.
მაცხოვრის დედის მანდილივით თბილი ბალახი.
მიწა ნეტარი ქარებისგან
ტკბილად დაღლილი.
მწვერვალებს შორის ოქროს თოკი —
მწყემსის ძახილი...
დღე-სამოთხიდან მოსული მგზავრი,
მზეჭაბუკივით სავსე, ხალასი...
ვხვდები, სიკვდილო... შენც სილამაზის
გზებს მოჰყვებოდი
და აღმოჩნდი ამ ქვეყანაზე!

### კარგი დღის ბოლოს

ახლაც იტყვიან, რომ არ არსებობს
არც სიყვარული და არც იმედი? —
ასე რომ იყოს, ბროლის თასებო,
თქვენ ხომ არასდროს გაიცინებდით.

ახლაც იტყვიან, რომ არ ნათდება
უცხო თალები ცის და ხმელეთის? —
ასე რომ იყოს, ჩემო დარდებო,
ჩემთან ერთად ხომ არ იმღერებდით!

ახლაც იტყვიან, ღმერთის ხმასავით
არ გვახარებდეს დედის წერილი? —
ასე რომ იყოს, ყველა ვარსკვლავი
მოშორდებოდა ზეცას მტვერივით...

ახლაც იტყვიან, ტკბილი ზმანება
რომ იფერფლება ეჭვის ჩეროთი? —
ასე რომ იყოს, ჩემო თვალებო,
აქამდის ასჯერ დალამდებოდით!

ახლაც იტყვიან, არ გვწყალობს ბედი
ზოგჯერ მიწიდან, ზოგჯერ
ზეციდან? —
ასე რომ იყოს, ცხოვრება დღემდე
ერთხელ კი არა, ასჯერ შემშლიდა!

მზის სიახლოვით
შემკრთალი და აღელვებული
მწვანე მინდორზე ვიწვე გულაღმა
და იმ ქვასავით ფეთქავდეს გული,
სულ მაღლე ტაძრის ასაგებად
რომ წაიღებენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

კვლავაც მრავალჯერ გაქრება
თოვლი
და ბილიკები — თანაც რამდენი!...
მაგრამ ღვთაებრივ მწვერვალებს
შორის
მუდამ იქნება სითბო ზღაპრების.

ყალბი ძეგლი თუ დიდება ფუჭი
დაიკარგება ღამის ძაფივით,
მაგრამ სამოთხის ვარსკვლავთა
შუქში
სულ იშრიალებს მწვანე ნაპირი!

●

კეთილი გული —
ეს მხარეა ბედნიერების,
რომლის გზაზედაც
გაბნეული მარგალიტები
ისე ბრწყინავენ,
მოგადგება თვალებზე ცრემლი
და, ღმერთმა იცის,
მერამდენედ გაიმეორებ:
„უფრო ადიდდი,
სიყვარულის დღესასაწულო,
ილივლივე გუმბათებზე

და მწვერვალებზე,
რომ სულ სხვა შუქით
გაიცინონ სიმაღლეებმა;
ოკეანეებს შეემატე
წმინდა ტალღებად,
რომ ყველა ხომალდს
დაებედოს ბედნიერება...
და სივრცე ისე გააჩირაღდნე,
რომ ვარსკვლავები
მოჩანდეს და აღარც მოჩანდეს,
სიყვარულის დღესასწაულო!“

●

ირმებთან ერთად ჩაეძინათ
ულრანში ქარებს,
გაფიცხებული ხაწირი დალბა...
და ღამეს სოფლის გოგოების
სიზმრები რთავენ.
ვით ვარსკვლავების საქორწილო,
ღვთაებრივ დარბაზს.

არ გამოითქმის, რაც შრიალით
გითხრა ბალახმა.
ასი ფოთლიდან ირეკლება
ასი მნათობი...
და მეტეორმა მშობლიური მთების
გადაღმა
იელვა წამით, ვით სიცილმა
ჩემი ბავშვობის...

●

კერაზე ქალის და ბავშვის ჩრდილი,
კედლები ირმის ტანივით თბილი.
ფარდაგზე სითბო მიწის და ზეცის,
ბუხარში ლომის სიზმარივით ლამაზი ცეცხლი.
ხალისიანი სახეები. სარკმელში თოვლი.
ღრუბლები ლურჯი ჩუქურთმებით
მწვერვალებს შორის.
ბალიშზე კატა. იქვე ტახტთან მდგარი აკვანი...
და კიდევ რაღაც —
იდუმალი, ტკბილი, მაღალი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მე კედელი ვარ,
ყველა აგურზე
მზე მახატია გაცინებული...

მე ღრუბელი ვარ
და დედამიწას,
როგორც ამბორი,
ჩემი ჩრდილი მუდამ ეხება...

მე ხელადა ვარ
და სასმისებში
ჩემი ყელიდან წყალი კი არა,
ზღაპრის ვარსკვლავთა შუქი
ილვრება...

მე ალმართი ვარ
და ჩემი გზები
თავდავიწყების სიმღერებით
აშრიალებულ
სივრცის მხარეებს უერთდებიან.

●

მაგრამ ხანდახან
გული ისე ბედნიერია,
ვით ბალი აკვნით განათებული,
ვით აყვავებულ მწვერვალების
თავზე ღრუბელი,
ან — როგორც მიწა
დაბზარული ნერგის ფესვებით...

●

იცოცხლე, მზეო!
შენ რომ არა, ამ ქვეყანაზე
სარკმელს არავინ გამოაღებდა,
ღრუბლებს არავინ გაუღიმებდა,
ველზე არავინ წამოწვებოდა
ცისა და მიწის სურნელებით
გაბრუებული.
იცოცხლე, მზეო!
შენ რომ არა, ამ ქვეყანაზე
მიწის ჭრილობად იქცეოდა
ყველა ბილიკი,
ყველა ვარსკვლავი, ვით ხმელი
ვარდი,
დაეცემოდა დედამიწაზე,
ყველა მწვერვალზე
გველის ტანი ილივლივებდა
და ნაკადული კლდეების ჩრდილში
მტრის სიცილივით იკაშკაშებდა...

იცოცხლე, მზეო — შვიდი ზეცის
და დედამიწის
მარადიულო, ბრძენო მფარველო!

●

არც წუთისოფლის და არც
განგების
მე არასოდეს ვამბობ სამდურავს;
ზღაპრის დღესავით ფეთქავს
სათქმელი,
სივრცემ სამოთხის ნისლი მარგუნა.

ვერც სიმღერებით და ვერც
გოდებით
ვერ გამაოცებს უკვე ვერავინ...

დიდი ხანია, ქედებს ვშორდები
და მაინც შორი მოჩანს მწვერვალი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანო ჯანელიძე

## თუთარჩელას სიმღერა

დატვირთულია ხორაგით ტაბლა
და ბრწყინავს ქოხი, ვით მეფის
სკიპტრა,
ქარებს მთვარისფერ სიმღერას
ვატან
და დარდს, რომელიც კლდესაც კი
ფიტავს.

ღმერთო, წამართვი ყველაფრის
ნიჭი,
სიყვარულის კი მჯეროდეს უნდა,
რომ, როგორც თაფლით ავსილი
ფიჭი,
ვიყო დამტევი, ჩუმი და სუფთა.

მაგრამ ვიღაცა მოდის და მწარე
ნექტარით შხამავს ჩემს ფიქრს,
ჩემს სიზმრებს
და გუბესავით ტოვებს დღეს მდარეს
და ტვირთს, რომელიც მხრებმა ვერ
ზიდეს

მაგრამ, ჰა, ქოხში შემოდის მთვარე,
მხილველი ჩემი ადრეულ ღელვის,
მთრთოლავ ბაგეთი სიჩუმეს დალევს
და თუთარჩელას სიმღერას მღერის.

მღერის წარსულზე,
მღერის აწმყოზე
და მომავალზეც მღერის და მღერის,
მღერის იმაზე, რაც არასოდეს,
რაც არასოდეს იქნება ჩემი.

და უქმად წასულ დღეებს მაცოდებს
ნედლი ლერწამის ტკბილ-მწარე
ყელით
და ვით სათიბი ირმის ნაწოლზე, —
სიმღერით თბება სამყარო ვრცელი.

მე ეს სიმღერა ჩემად ჩავთვალე,
უძლეველად რომ აქცევს თვით
უძლურს
და სავსე თასში მთვარე თამთამებს,
ვით ამორძალის ქათქათა ძუძუ.

●

თითქოსდა ხვლიკი ნებივრობს
მზეზე,
გატრუნულია ფიქრი ნამცეცა,
გაჩენის დღიდან, იმედო, გეძებ,
სათავე შენი საით გამექცა?!..

საით გამექცა, რასაც ვნატრობდი,
ვის კართანა დგას
გულჩათხრობილი?!..
ვინ გახდა ჩემი ბედის პატრონი,
ვინ არის ჩემი თეთრი დობილი?!..

შენი კი ისევ ბრწყინავს დარბაზი
და გრიალებენ ვერცხლის აფრები,
ცისკენ მეძახის ღმერთი თავაზით,
მაგრამ სად არის ფრთა ასაფრენი?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შარავანდედი

„ნეაპოლშია, რაც წამერთო ბრინდისში ერთხელ“

დანტე ალიგიერი

ეს მე ვარ მგზავრი, ჩემივ გზებით დაეჭვებული.
ეს მე ვარ მგზავრი, ციცაბოზე მდგარი აჩრდილად,
შარავანდედთი ნისლოვანი თავზე მებურვის
და ვით ხანჯალი, ეჭვის სხივი გულში გაჩრილა.

ის საფლავშია, რაც სიცოცხლით წამერთო ერთხელ,
ის საფლავშია, ვით ძვირფასი რამ საგანძური,
სულსაც ბორკილი ედო, მაგრამ ბორკილიც შეხსნეს,
სული ნატრული და ტანჯული ღვთიურ ქალწულით.

აქ კი რა დარჩა! —
მხოლოდ ჩრდილი,
ჩრდილი ძვირფასი,
ცეცხლოვან გარსით, სიძულვილით შემოგარსული,
რომელიც ქვეყნის გაჩენიდან არაფერს ჩივის
და არ ადარდებს არც გაჩენა, არც ალსასრული.

რად განიძარცვა ნეტავ ასე ჩემი ზმანება,
საით გაფრინდა სხივოსანი ჩემი ქალწული?!..
ვით დაიტირეს მწუხარებით ასე ზარებმა
ეკალ-ვარდების გვირგვინებით ნაზად დაწნული?!..

ეს მე ვარ მგზავრი ჩემივ გზებით დაეჭვებული,
ეს მე ვარ მგზავრი, ციცაბოზე მდგარი აჩრდილად,
შარავანდედთი ნისლოვანი თავზე მებურვის
და ვით ისარი, ეჭვის სხივი გულში გაჩრილა.

## გარდასახვა

იგივ სასახლე,
იგივ დარბაზი
და ორკესტრანტთა იგივ არმია,
იგივ ზრდილობა,
იგივ თავაზი,
განსხვავებული ოღონდ არია,
საკურთხეველთან იგივ ლამაზი,
გვირგვინი სადღაც გადუმალიათ
და დაღვრემილი შორით არმაზი, —
წუთისოფელი რარიგ მალია!...
ვარდთა, ყვავილთა იგივე წარღვნა
და პროცესია იგივე ხალხთა,
ცა დახუნძლული დიდებულ ჭაღად
და ზღვა პლატოზე დაღვრილი
თალხად,
ვის ახსოვს მსგავსი რამ გარდასახვა
და სამოსახლო მცურავი ალმა!..
რაიც ინატრე, ყოველი ახდა,
სხვა რაღა გინდა! —
დამშვიდდი ახლა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თვალებით შუშის

წინკარში ნელა ბოლთას სცემს მამა,
დედის ლანდი კი სამზადში დადის,
მზე ფერმიხდილი მიჰყვება დალმართს
და მიაქვს ჩემი სევდა და დარდი.

რამდენი აკვნის ვნახე დარწევა,
კუბო რამდენი ჩემს წინ გათალეს,
მცვივა ცრემლები ოქროს მტევნებად
და, ვით ჭრილობის ერთი სათავე

ხელში მიჭირავს ისე, ვით შუქი
და ვგრძნობ, ღვთის წყრომა არც მე ამცდება,
როგორც კალმახი თვალებით შუშის,
ვარ მიმწყვდეული მთვარის ფაცერთან.

## შეხვედრა მომავალთან

ო, წამით!..
თუნდაც შეჩერდი წამით!...
შენ ჯერ არ იცი ამ წამის ფასი...
და წელის რწევა, ვით ოქროს ბზკალის,
მე სად მინახავს ამისი მსგავსი?!..

მოხვალ აპრილით ამწვანებულით
და უბით მოგაქვს ვარდების თქეში,
ხმა უკვდავების ზარად ქცეული,
ნაკადულივით დაღვრილი მთებში.

მკერდი მაღალი, ვით მთვარე სავსე,
ბაგე — წინანდლით ავსილი თასი,
თვალებით თითქოს წინანდალს სვამენ,
მე სად მინახავს ამისი მსგავსი!...

ნუ განმარიდებ, კარგო მაგ სახეს,
ნუ გაკრთობს ჩემი სევდა-გოდება,
ყოველი, რაც შენ დღეს ჩემში ნახე,
გწამდეს, ხვალ შენში განმეორდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინე ტალიაშვილი

# მოთხრობები

## სხვა ქალი

მორჩა ნემსის გაკეთებას. მერე სპირტიანი ბამბით დიდხანს უგრილებდა ნანემსარს, იდგა ევა ბებო და ავადმყოფს თავზე დაჰყურებდა. ბიჭუნა აღარ კვნესოდა, რადგან საფრთხემ გადაიარა, გუნებაც გამოუკეთდა, გადმობრუნდა და კრეჭა დაიწყო.

— ოქროს ხელი გაქვს, შვილო, ოქროს ხელი, — ილოცებოდა ევა ბებო,

— ერთი ნემსიცა დარჩა გასაკეთებელი, თორმეტ საათზე მოვალ და იმასაც მოვრჩები, — ღიმილით თქვა ექთანმა,შპრიცი ყუთში ჩადო, მერე ბიჭს ლოყაზე ხელი მოუთათუნა და მიეფერა: — არ უშავს, ბიჭი-კიჭი, ამაღამ ერთ ნემსსაც ჩაგჩხვლეტ და ხვალ წამოფრინდები...

იდგა ბებია და ხელებს ასავსავებდა. მერე გონს მოეგო, დაფაცურდა, კამოდის უჯრა გამოაღო, ორი ცალი ჩურჩხელა შეახვია და ექთანს მიაჩეჩა, ბავშვებს წაუღეო.

— რას ამბობ, ევა ძალო, რად მინდა, ქა, — იუარა ქალმა.

ევა ძალო მაინც არ მოეშვა, ძალით ჩაუტენა ჯიბეში, მერე თავსაფარი მოიხვია და კართან რომ მიაცილა, თანაგრძნობით ჰკითხა:

— გოგო, ლამარა, შენი დასაწვავი ქმარი კიდევ დაეთრევა იმ ქალთან?

— ეჰ, ეხლა ყველა ქმარი დაეთრევა სხვა ქალთან, — ვითომ გულგრილად მიუგო ლამარამ.

— ეგრე ჯდომა არ გარგებს, შვილო, რად უნდა დაგიჩაგროს იმ ქალობაგასახმობმა, — დაიწყევლა ევა ძალომ.

— ეგ რა დაჩაგვრაა, — გაიცინა ქალმა. — ეგეთი დაჩაგვრა მარტო ენაზე აჩენს წყლულებს, ხალხს სალაპარაკოს აძლევს, სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო.

— კარგი და მაშ, რას ფიქრობ, არაფერს ეტყვი იმ მზედაბნელებულსა? — უკვე მართლა გაცხარდა ევა ძალო, ვერ გრძნობდა, უადგილო თანაგრძნობით ლამარას რომ აწვალებდა და მაინც თავისას არაკუნებდა.

— ფიქრი რა არის, ფიქრი ჭიაყელაა, ადამიანის ასაღელვებლად არის გაჩენილი. გულსა და გონებაში ძვრება, საიდანაც გამოვა, იქვე შეჰყოფს თავსა, ფიქრი რას უშველის — რაღაც საწყლური ღიმილით ჩაილაპარაკა ქალმა.

— არა, შვილო არა, ერთი გემრიელი გალანძღვა მაინც მოუხდება, მე ჩემი ბებრული ჭკუით გეუბნები...

— ან ეგ ლანძღვა რას უშველის, ევა ძალო, კაცს თუ აღარ უნდიხარ, თოკით რომ დააბა, მაინც აიწყვეტს, — ისევე მშვიდად მიუგო ლამარამ და ჩუმად, ისე რომ ევა ძალოს არ გაეგო, მაინც ამოიოხრა.

— მიკვირს და გამკვირვებია, დედა ხარ, შვილების პატრონი, ეგრე უბრძოლველად ქმრის დათმობა როგორ იქნება, ან როგორ ამართლებ? ქალაქელებს დავცინოდით და დასაცინი თავი ზედ არ გვაბია? — მიდუდუნებდა ევა ძალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თან ლამარას ხელს უშველიებდა ოროლობეში მიაცილებდა, ემანდ, გოგოს ძაღლებმა არ დაყეფონო.

ჯერ რვა საათიც არ იქნებოდა, მაგრამ ზამთრის საღამომ მოთმენა არ იცის, უცებ ჩამობნელდა. ლამარა რომ ეზოში შევიდა, უკვე კარგა ხნის შებინდებული იყო. ეზოში მანქანა დაინახა, ზურაბი მოსულაო, გული შეუფრთხიალდა და ნაბიჯი ააჩქარა. ერთი სული ჰქონდა, როდის შეავლებდა თვალს მასზე გულგაციებულ ქმარს. შენი ქმარი გლალატობსო, ყოველდღე და ყოველი მხრიდან ესმოდა, მაგრამ თვალებს ხუჭავდა, თავს იტყუებდა, დრო დადგება და გაუვლის ეს გატაცებაო, მათი ურთიერთობა კი დღითიდღე იკედლებოდა და ვერც ერთი ვერ ანგრევდა უხერხულობის ამ ვიწრო გალიას.

დღეს ვეტყვი, ხვალ ვეტყვიო, ფიქრობდა ლამარა, მაგრამ თანაც ეშინოდა, ვაითუ, რასაც მეუბნებიან, თვითონ ზურაბმაც დამიდასტუროს და გული ვატკინოო? ისევ ქმრის გულს, მამაკაცის ღირსებას უფრთხილდებოდა ქალი და გარდუვალის მოლოდინში დნებოდა და ილეოდა.

ბავშვები ბებიასთან იყვნენ გადასულები, გაღმა, ხევს იქით... სკოლა ახლოს ჰქონდათ და ისინიც იქაურობას არ შორდებოდნენ, ადრე ადგომა აღარ მოგვინდებაო. ცოლი და ქმარი ხშირად თითქმის მარტონი რჩებოდნენ და ეს სიმარტოვეც ბეწვის ხიდად იქცა მათ შორის, ვერც ერთი ვერ გადიოდა მასზე უშფოთველად. დილით ორივენი სამსახურში მიიჩქაროდნენ, საღამოთი უხმოდ სვამდნენ ჩაის, უყურებდნენ ტელევიზორს, ნაძალადევი ფრაზებით აკოწიწებდნენ ერთად ყოფნის აუცილებელ ყოველდღიურობას და ეს ყველაფერი რაღაც თავის დასაღწევ, გამოგონილ მახედ იქცა იმისთვის, დიდხანს რომ არ ეცქირათ ერთმანეთისათვის თვალებში.

მეორე ოთახიდან ლამარას ჩხაკუნი მოესმა და ჩუმად, გულის კანკალით შეიხედა. კაცს გარდეორობის კარი გამოეღო და ტანსაცმელს ათვალიერებდა. ქალს ელდა ეცა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— მოხვედი, ზურაბო? — მშვიდად შეეკითხა და გულხელდაკრეფილი კარის ზღურბლზე აისვეტა.

მოხდენილი ქალი იყო, მაღალი, მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა, ბუნებრივად ხვეული, თვალები კი ღრმა, ქუთუთოებდაწეული, მის გამომეტყველებასა თუ გამოხედვაში რაღაც ღვთისმშობლისეულს დაინახავდა კაცი.

ცოლის ხმის გაგონებაზე ზურაბი შემოტრიალდა, სახე უსიამოდ დაემანჭა, მაგრამ თვალიერება არ მიუტოვებია. შეარჩია რამდენიმე პერანგი, პალტოც ჩამოიღო, შარვლებიც. მკლავზე გადაიწყო და გარდეორობის კარი მიხურა.

კართან გახიდული ცოლი გზას არ აძლევდა, იდგა და დამცინავი ღიმილით უთვალთვალებდა ქმარს. ჯმუხი, ჩადგმული მამაკაცი იყო, ოდესღაც ალბათ ქერათმიანი ეთქმოდა, მაგრამ გახუნებული თმა ახლა სიმინდის ფოჩებივით ეკიდა ზომაზე მეტად დიდი თავის გარშემო. მოკრივესავით ცხვირი ჰქონდა და ოთხკუთხედი ნიკაპი, რაც მის სახეს სიმტკიცეს მატებდა, თვალებში რაღაცნაირი გაუბედავი თხოვნა და ამასთანავე ბრძანებლობა ეხატებოდა.

— გამატარე, — თავჩაღუნულმა უთხრა ცოლს და ზევით ახედვა ვერ გაბედა.

— საით გაგიწევია? — სიცილით ჩაეკითხა ცოლმა და ფეხი მოინაცვლა. — რაღაც საეჭვოდ ემზადები, მეორედ დაქორწინებას ხომ არ აპირებ?

კაცს გაუძნელდა „ჰოს" თქმა, მაგრამ ვერც უარი გაბედა, რაც მოსახდენია, ბარემ დროზე მოხდესო, გაიფიქრა და თავი დაუქნია.

ქალს გაუკვირდა, რა მალე აღიარა გულისწადილიო, მართლა ეტკინა გული.

— სად მიდიხარ, ზურაბ, იმ ქალთან? — მშვიდად ჩაეძია და იგრძნო როგორ აეწვა ყელ-კისერი. კაცმა კვლავ გაუბედავად დააქნია თავი. იდგა ქალი და უფრო და უფრო ერეოდა გაკვირვება.

„რა უბრალოდ ხდება ყველაფერი, აი, გამოტყდა კიდეც, ახლა რა უნდა ვქნა?" უმწეოდ იმეორებდა გუნებაში და ჯავ-

რისაგან თვალები ენისლებოდა. არა, სულაც არ იყო გაკაპასებული, არც წიოდა, არც ყვიროდა, ვერაფრით ვერ გამოიწვია თავის თავში სიბოროტის გრძნობა.

გულგატეხილი ვარო, — დაასკვნა ბოლოს და ქმარს ჩუმად შეემუდარა: ნუ წახვალ, ისეთმა რამ გადაგაწყვეტინა, ნუ წახვალ, — კაცმა ახლაღა გაბედა თვალებში შეეხედა. ქალი განზე გადგა და კაცს კარში გასვლის საშუალება მისცა. ორივენი მაგიდასთან, წითელი ხავერდით გადაკრულ სავარძელში ჩასხდნენ. ეს სავარძლები დაქორწინების პირველ წლებში შეიძინეს და ძალიან უყვარდათ, ერთადერთი ფუფუნების საგნად მიაჩნდათ. ახლაც უნებურად ორივე ამ სავარძელში ჩაეშვა. მათ პირდაპირ, ოთახის სიღრმეში ტელევიზორი იდგა. როგორც კი მოვიდოდნენ შინ, მაშინვე ჩართავდნენ ხოლმე უყურებდნენ თუ არა, მნიშვნელობა არ ჰქონდა.

— ზურაბ, რა მითხარი, კაცო, — ვერ გაუძლო ლამარამ კაცის მტანჯველ დუმილს.

— უნდა წავიდე, — ხმა ამოიღო ქმარმა და ქალს პირქუშად გახედა. — როდისმე ხომ უნდა გითხრა, შენთან აღარ დამედგომება!

— რათა, კაცო, აღარ გიყვარვარ? უმწეო ღიმილით შეხედა ქალმა.

— ნეტავი ეგ სიტყვა რომელ რომანში ამოიკითხე? — ქედმაღლურად ჩაიცინა კაცმა. — კიდევ კარგი, ტექნიკუმი მაინც დაგიმთავრებია.

ეს დაცინვა კი ვერ აიტანა ქალმა, წარბი შეჰყარა და ხმაში გესლი გაურია; — სწავლა-განათლებაზე ნუ მიდგება საქმე, თორემ იმ შენს სატრფოს ერთი ნემსის გაკეთებით მაინც ვაჯობებ!

კაცს გამქირდავი გაუხდა მზერა.

— შენ იმას ნუ ედრები, — უთხრა და გულის ჯიბეში მშვიდად მოიძია პაპიროსის კოლოფი, სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

— მაინც რით მოგხიბლა ესე, რომ ჩემკენ გამოხედვა აღარ გინდა, მგლის ქონი ჩამოგისვა? — სასოწარკვეთილება დაეტყო ქალის ხმას. ტირილი უნდოდა, მაგრამ სისუსტე არ შემამჩნიოს ქმეროვნული ბიბლიოთეკამაო, დაჟინებით მიაშტერდა ტელევიზორს. კაცი შეყოყმანდა, თვითონაც ჩაფიქრდა, — გემრიელი ხორცი აქვს, — ქილიკით კი არა, სრული სერიოზულობით მიუგო და ნაფაზი დაარტყა, მერე თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ისე განაგრძო: — თვითონაც ვერ გამიგია მართლა რა მემართება?!

ქალი გაშტერებული უსმენდა კაცს. პასუხიც ვერ მოახერხა. ეშინოდა, არ ავტირდეო და ენას იკვნეტდა. კაცი წამოდგა, ნამწვი იქვე, მაგიდაზე, საფერფლეში ჩაჭყლიტა და შარვალი ჩამოიფერთხა.

— ნუ წახვალ, ზურაბ, — მკლავზე დაეჭიდა ლამარა. — არ გიყვარს ის ქალი. ნუ წახვალ... — დაჟინებით ეჩურჩულებოდა და სახეში მისჩერებოდა, უნდოდა რაღაც სანუგეშო ამოეკითხა, მაგრამ კაცს ნაკვთები გაქვავებოდა. საწოლის ქვემოდან შავი ჩემოდანი გამოათრია და პერანგი ჩასადებად მოკეცა. ქალი ხელებში სწვდა.

— ცოლად უნდ შეირთო? — ჰკითხა მოულოდნელად. კაცმა გაკვირვებით შეხედა, დაფიქრებით მოიწიწკნა ულვაშის ღერი და თავი ორჭოფულად გადააქნია, ამაზე მართლა არ უფიქრია უწინ:

— ჯერ არ ვიცი, — მიუგო კარგა ხნის შემდეგ და თანაც დასძინა: — იქნებ შევირთო კიდეც...

— მერე რაღა მე და რაღა ის, — შეწუხებით ამოიძახა ქალმა. — ვერ გამიგია, ისიც ჩემისთანა არ გახდება? იმასაც ხომ ცოლი ერქმევა? — თავი დამანებე, — შეუღრინა კაცმა და ჩალაგება განაგრძო, ქალმა ველრ დაფარა აღელვება. მეორე ოთახში გავარდა, საწოლს გადასაფარებელი გადააძრო და წითელი ატლასის საბანი გადმოაგდო.

— აი, შეხედე, ეს საბანი გვეფარა მე და შენ დღემდე. აი, ნაალიც, ბალიშიც. როგორ უნდა დავწვე შიგ. იატაკზე გავათიო ღამე? როგორ ჩავწვე? — ცრემლს აღარ მალავდა და თან საბანს მოათ-

რევდა, — ისე იქნები ჩემთვის, როგორც მკვდარი, ცოცხალი ადამიანი როგორ უნდა მოგკლა?... სლუკუნებდა და სახეს მალავდა ბალიშში. — რამდენჯერაც მომაგონდები, გული უნდა შემიწუხდეს... — მერე დაიხარა, სათამაშოების ყუთი გამოიღო და ქმარს წინ დაუდგა: — ბავშვები? რას იტყვიან, ჰა? ეს მატარებელი ხომ შენ ჩამოუტანე. როგორ უნდა მოჰკიდონ ხელი, სულ იმის ხსენებაში არ იქნებიან, მამამ მოგვიტანაო? შენ კიდევ სად იქნები?

კაცი განცვიფრებული და გახევებული შეჰყურებდა ქალს. არ ეგონა ამდენი წინააღმდეგობანი თუ არსებობდა მის გარშემო. ცოლის ცრემლებმაც შეაცბუნა. ეს არც ჩხუბი იყო და არც ბოროტი მუქარა, შიში იყო მხოლოდ, მუდარა, მარტოხელად დარჩენილი ქალისა. ქალი ახლა შუშაბანდში გავარდა და ფანჯრები გამოაღო: — აგერ შენი ხელით ჩაყრილი ხეხილი. მსხლის ნერგები, ბაზარში რომ ვიყიდეთ ერთად, მოვჭრა? გადავხნა? რა უნდა ვუყო? — გოდებდა და სახეზე ხელებს იფარებდა. კაცი უსმენდა დაბნეული, გამოშტერებული. არა, ამდენ რამეზე ნამდვილად არ უფიქრია უწინ. დიდხანს იდგა. მოთვინიერებული ცხოველივით, თვალებში წასვლა-დარჩენის სურვილი ეხატებოდა.

— არა, უნდა წავიდე, — თქვა ბოლოს და ენა წაუბორძიკდა.

— ნუ წახვალ, ბიჭო, — ახლა მის პერანგს ჩაეჭიდა ქალი — ღამღამობით ზურგს ვინ დაგიზელს, კუჭი რომ აგტკივდება, ცხელ სათბურს ის ქალი დაგადებს? როდის შეეჩვევი? ვიდრე იმას შენს ტკივილსა და ხასიათს გაუყოფ, კიდეც ხომ დაბერდები...

— არა, უნდა წავიდე, თავი დამანებე, — დუდუნებდა ქმარი და გრძნობდა, არსად წასვლის სურვილი აღარ ჰქონდა. მაინც ალაგებდა ტანსაცმელს, მაინც ფუთავდა, ეწეოდა სიგარეტს, აქრობდა, ისევ უკიდებდა. ბოლოს გალაჯული, ჯიბეში ხელჩაწყობილი ქალისაგან ზურგშექცევით დადგა და სიბნელეში დაიწყო ყურება. მთვარე ამოდიოდა, ღრუბლებს ერეკებოდა და [illegible] წითლებული ცალი ყური მოუჩანდა. ღობის იქით კატა კნაოდა გამწარებული და კაცმა ანგარიშმიუცემლად დაუტანა, აცხაო.

ცოლი აღარ ჯავრობდა, გაზზე ჩაიდანს აცხელებდა და სუფრას შლიდა.

— წადი, თუ გინდა, იმ ქალს ჩვენთან დაუძახე, — უთხრა მოულოდნელად და ხელის გულით ლოყაზე ცრემლი მოიწმინდა. კაცი გაკვირვებისაგან კინაღამ შეხტა. გაოგნდა, მერე ნიკაპი მოისრისა და თვალები მოწკურა. ცოლს სახეზე ეშმაკობის ნატამალი ვერ შეამჩნია.

— რას ამბობ, ქალო! — ესღა ამოღერღა და ფანჯარის მინას მიაყრდნო შუბლი.

— ძალიან კარგად მესმის, რასაც ვამბობ, — ამოიოხრა ქალმა, — ვინც შენ გიყვარს, მეც მიყვარს, იმასაც უნდა ვუყვარდე, არა დამიშავებია რა, რად უნდა ვეჯავრებოდე? ერთად ვივახშმოთ, წადი და აქ მოიყვანე.

— ქალო ხომ არ გაგიჟდი, ხალხი რას იტყვის? — სულ მთლად გადაირია კაცი.

— ხალხი ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ სიკვდილს ხომ ვერსად წაუვალთ, ჩვენ ორნი ვართ ამ ქვეყანაზე, — რაღაცა სიწმინდენარევი სიმშვიდით ლაპარაკობდა ქალი და თან ჩაის ამზადებდა. არა, იოტისოდენა სიავეც არ იმალებოდა იმის სიტყვებში, ერთი ბეწო სიბოროტე არ ეხატებოდა სახეზე. მართლა წმინდანი იყო. უყვარდა მოყვასი და მტერი თავისი. კაცი უყურებდა და შუბლზე ხელს ისვამდა, თითქოს პირველად შენიშნა, ცოლს ლოყისთავზე პატარა ბუსუსიანი ხალი რომ აჩნდა და რაღაც თავისებურ მიმზიდველობას მატებდა მის ქალურობას.

— ვერ გამიგია, რა ეშმაკი შეგიჯდა მაგ თავში, — უნდილად ჩაილაპარაკა კაცმა და თავი გაადაქნია. — ახლა იმაზე ალაპარაკე ხალხი, ორცოლიანიაო.

— ამაზე უარესს ხომ აღარავინ იტყვის, — მშვიდად გაუსწორა ცოლმა თვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლები. — თუ არა და, მირჩევნია იმასაც ცოლი ერქვას, ვიდრე საყვარელი. სხვა რომ გიყვარდეს, ამას ვერ ავიტან, — გულწრფელად დაამატა და ჩაის ფინჯნები მოამზადა. კაცი დუმდა. ვერ უყრიდა სათქმელს თავს, ან რას იტყოდა? ქალმა ჩაიც დაასხა, მურაბაც შემოიტანა, ლიქიორიანი შოკოლადის ყუთიც გამოაჩინა.

— წადი და მოიყვანე, — უმეორებდა კაცს. — ცოდოა, გელოდება...

— კაცს არაფერიც არ უნდოდა. გუნება დამძიმებული ახლა უკვე წითელი ხავერდით გადაფარებულ სავარძელში იჯდა ტელევიზორის პირდაპირ.

— სად უნდა მოვიყვანო, ქალო, რას ამბობ? — ნაწყვეტ-ნაწყვეტად უმეორებდა. მერე აიღო წითელი საბანი, ბალიშიც ამოიჩარა იღლიაში, მეორე ოთახში გავიდა და საწოლზე დაყარა.

იმათ საწოლთან, კედელზე, ჭრელი ფარდაგი ეკიდა. ზედ ირმები იყო ამოქარგული. კაცი ცოტა ხანს ფარდაგს მიშტერებოდა, თითიც წაუსვა, მერე ცოლს გასძახა, მგონი ჩირჩილს შეუჭამია ეს ფარდაგი, ნაფტალინი უდა იშოვოო და თვალი მოარიდა. ფეხსაცმელი გაიძრო. თმა მოიქექა, ზურგიც მოიფხანა, დაამთქნარა და გულაღმა გაიშოტა.

ქალი კი იჯდა მაგიდასთან, სვამდა ჩაის, ნება-ნება გულდასმით ხვრეპდა, თანაც შაქრის კვნიტს აყოლებდა, ძალზე ცხელი ჩაი იყო და სულს უბერავდა.

ამასობაში თორმეტიც გახდა. ნემსის გაკეთების დრო ახლოვდებოდა. შარაგზაზე ფეხის ხმა გაისმა, ორღობეში ვიღაცა ხელის ლამპას მოანათებდა.

— გოგო, ლამარა, ხომ არ დაგეძინა, შვილო? — ევა ძალო იძახდა.

— ეხლავე, ევა ძალო, ეხლავე, ზურაბს გავაღვიძებ და გადმოვალ, — ლამარაც გაეხმიანა.

არ გაუღვიძებია ზურაბი, შეეცოდა, ჩანთა ხელში აიღო, დიდხანს უყურა საწოლზე გაშხლართულ მხვრინავ კაცს, მერე ჩუმად გაიხურა კარი. მიდიოდა ევა ძალოსაკენ და თან მიდუდუნებდა მაინც რა უყო... მოწამლულია, მაშ რა არის...— ვიშვიშებდა და თან აქეთ-იქით იყურებოდა, ძაღლები ხომ არ მომდევენო.

# ნუნუ

დედა და მამა უთენია წავიდნენ ქალაქში, მწვანე ლობიო წაიღეს გასაყიდად. ნუნუ დარჩა მხოლოდ ბატონ-პატრონი ოჯახისა.

მზე კარგა ხნის ამოსული იყო, რომ ადგა, გაიზმორა, ღამის პერანგი ერთი მოქნევით გადაიძრო, მერე სარკეში შეათვალიერა თავისი ორეული. არ მოეწონა და თმა აიბურდა.

ეზოში, თუთის ხეზე ჩიტები ჟივჟივებდნენ, საჩეხში ინდაურები კავკავებდნენ და სიმინდის მარცვლებს უნისკარტებდნენ. გოგომ მარნიდან კალთით ხორბალი გამოიტანა და ქათმებს დაუძახა. ისინიც აცაბაცა, ბაჯბაჯით გამოიქცნენ, კენკავდნენ და თან თვალით სადღაც ზევით, ზეცაში იცქირებოდნენ. უყურებდა ნუნუ და ეცინებოდა, მართლა ქათმები ხართო, ეფერებოდა, მერე თიხის ხელადით წყალი გამოიტანა, ქოთნის ნატეხში ჩაასხა და ისევ მარანში შებრუნდა.

მარანში სისუფთავე სუფევდა. ნივრისა და ხახვის სუნი ტრიალებდა. კიდობანში ახლად გამომცხვარი შოთები ელაგა. გოგომ ერთი ცალი აიღო, ორად გადატეხა, იღლიაში ამოიჩარა და ახლა მუხის კარისაკენ გაემართა. შუა მარანში მიწაწაყრილ ქვევრს წამოედო და წაიბორძიკა, ჯავრი მოუვიდა თავის თავზე, ნატკენი დაიზილა, მერე ქვევრს დახედა, ამობურცულმა მიწამ ჩააფიქრა, ცალ მუხლზე დაიჩოქა, მიწას ყური დაადო და გაირინდა. მოეჩვენა, რომ ქვევრიდან შიშინი ისმოდა. კარგახანს აყურადე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბდა ასე. გარეთ ცხელოდა, ესიამოვნა მიწის სიგრილე, რაღაც საამურმა ჟრუანტელმა დაუარა სხეულში, გაიზმორა, პური გვერდზე გადადო, და მიწის გადაყრას შეუდგა. სწრაფად გადაასცალა ქვევრს ხელებით მიწა და იქვე გვერდით მოაქუჩა. ქვევრს პირი მოუსუფთავა, ფრთხილად, მოწიწებით ახადა სახურავი, კაკლის ფოთლები მოაცალა, ირგვლივ თითი მოატარა, დაიხარა, ხარბად შეისუნთქა ღვინის სურნელი და ზევით აიხედა, სწორედ ისე, როგორც ამას წელან ქათმები სჩადიოდნენ. მერე ფეხზე წამოდგა, ქვიტკირის კედელში გამოჭრილი განჯინის კარი გამოაღო, თხელი, გამჭვირვალე მინის გრაფინი მოძებნა, გადმოიღო და ჩახედა, შარშანდელი ჩარჩენილი ღვინის ლექი მოსდებოდა ძირში. წყალი ჩაასხა, შეანჯღრია, მაინც არ მოშორდა ლექი. ადგა, გარეთ გავიდა, სათონის ძირიდან ნაცარი მოფხიკა, ლობის ძირში ჭინჭრის ფოთლები ჩამოკრიფა, გრაფინში ჩაყარა და ანჯღრია... დიდხანს, გულდაგულ რეცხავდა, კარგად გამოასუფთავა, მერე მარანში შებრუნდა. აიღო ხმარებისაგან ჩაშავებული ორშიმო და ქვევრში ჩაყო. გრაფინი პირთამდე აავსო, ხელში აწია და მზის სხივებზე გახედა. ქარვისფერი გადასდიოდა ჭურჭელს, კამკამებდა გვიანობამდე შენახული ყურძნის წვენი. გაეცინა გოგოს, მხიარულად, ჯიბრიანად გაეცინა. სვამდა ნელა, დაგემოვნებით. თავიდან ცოტა შეაძაგძაგა, მერე ესიამოვნა და ყლუპ-ყლუპით განაგრძო სმა. ბევრი ხომ არ მომივიდაო, ისევ გახედა ჭურჭელს, ერთი ჭიქაც არ ექნებოდა დალეული, მაგრამ იგრძნო, რაღაცნაირმა თბილმა ტალღამ დაუარა მკერდში, თითქოს თავბრუც დაეხვა, შუბლზე ხელი გადისვა და ჩაიჩოქა, ახლა ხელებით აღარა, ხის ნიჩაბი მოიშველია ისე მიაყარა მიწა ქვევრს, კარგად მოასუფთავა, მერე კასრიდან კომბოსტოს მწნილი ამოიღო, ძველებური, ხისტარიანი დანით დაჭრა, ზეთი მოასხა. პატარა მაგიდაზე გაშალა სუფრა, გრაფინით ღვინო, პური და ზეთმოსხმული კომბოსტო ჩამოდგა და გარეთ, თუთის ჩრდილში გადაინაცვლა. ჭამა მაშინვე არ დაუწყია, იჯდა გაშტერებული და სადღაც ეზოს მიღმა იყურებოდა, ირგვლივ ქათმები და ინდაურები ეხვია, იფუტკნებოდნენ, იმის გარშემო, ბულბულს ფანტავდნენ, კავკავებდნენ, კრიახობდნენ, გოგო მაინც ვერაფერს ამჩნევდა. რაღაცნაირად გონება დაფანტული იყურებოდა სივრცეში, თვალები უშტერდებოდა და ვერ გაეგო, რა მოსდიოდა, მერე უგუნებოდ წაატეხა პურს ყუა, ხელი წაატანა კომბოსტოს ნაჭერს, თითები გაუზეთიანა და ენით გაილოკა. უხალისოდ, ბურანში მყოფივით ილეჭებოდა, მუცელშეზნექილ თლილ ჭიქაში ღვინო ჩამოისხა, თავი უკან გადააგდო და ისე დაეწაფა. სვამდა და თან მზეს უყურებდა.

ორღობეში მეზობელმა ქალმა ჩამოიარა, ეკლის ღობესთან მოდგა, გოგო, ნუნუ, შინ ხარო? — ხმამაღლა დაუძახა.

— რა გინდა, თებრო ძალო? — ჭიქა მოიწყვიტა ტუჩებიდან ნუნუმ.

— წავიდნენ თქვენები ქალაქში?

— გათენებულიც არ იყო...

თითის წვერზე აიწია თებრო ძალომ, ეზოში გადმოიხედა.

— რა კარგი ფერისა დამდგარა თქვენი ღვინოო, — შორიდან მოეწონა, ხელში ღვინით სავსე ჭიქა რომ დაუნახა.

ჩემმა ძმამ დააყენა, ვიდრე ჯარში წავიდოდა, — სიამაყით მიუგო ნუნუმ, მერე ქარვისფერი სითხით გააპიპინა ჭიქა და თებრო ძალოს დაუძახა.

— გადმოდი, თებრო ძალო, დამეწვიე, მარტოს ლუკმა ყელში არ გადამდის...

ბევრი თავპატიჟი არ დაუდვია თებრო ძალოს, ღობეს მოუარა, ჭიშკარი შემოაღო და ეზოში შემოვიდა. იქვე, სახეხიდან სამფეხა სკამი გამოიტანა. ჩამოჯდა, თავსაფრის ბოლოებით ხელები გაწმინდა და პურს ჩამოტეხა. რა კარგი ფუმფულა პურები იცის დედაშენმა, — შეაქო გამომცხობი, მერე კომბოსტოს ნაჭერს დასწვდა, ჭამდა და თან უჰ-უჰ-უჰო — გაიძახოდა. შეპატიჟებას არც დაელოდა, ისე აიღო ჭიქა. დილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითო ჭიქა მარგებელიც არისო, — თვალები დახუჭა და სასმისი ტუჩებთან მიიტანა. ჯერ ნელა მოწრუპა, დაიგემოვნა, მგონი ცოტათი ბრკის გემო დაჰკრავსო, დაყნოსა. მერე კიდევ მოსვა, კიდევ და ბოლოს ძირამდე დაცალა. ნუნუ ილუკმებოდა და თან ცნობისმოყვარე ღიმილით შესცქეროდა.

— არა, ქა, მომეჩვენა, მირონივით ღვინოა, აშენდეს ამის დამყენებელი, — დაილოცა ნუნუმ კიდევ გაუვსო ჭიქა — უიმე ქა, როგორ შეიძლება, მეყოფა, ვენახში ვარ გადასასვლელი, — იუარა თებრომ, მერე წამოდგა. ნამცეცები ჩამოიბერტყა, თავსფარი გადაისწორა, ვიშ, მგონი დავთვერიო, შუბლზე ხელი გადაისვა. ღაწვები აკვერებოდა და თვალები უელავდა.

ერთი ფიწალი გამომირბენიე, შენს გაზრდასო, — ახლაღა გაანდო გოგოს მოსვლის მიზეზი.

დაუზარებლად წამოხტა გოგოც. ფლოსტებშიც არ წაუყრია ფეხი. ფეხშიშველა მიაძაგუნებდა. ღონიერი, მოქნილი კანჭები ქონდა, ჯერაც დაუსრულებელი, მრგვალი თეძოები. უბრალო კაბაშიც ეტყობოდა სისავსე სხეულისა. უყურებდა თებრო ძალო და ნატვრით ადევნებდა თვალს, ფიწალი რომ გამოუტანა, ვერ მოითმინა და ჭკუის დარიგებით უთხრა: ფეხშიშველა სიარული არ გარგებს, შვილო, ყველაფერი გაციებამ იცის. თავს გაუფრთხილდი.

უდარდელად გაეცინა ნუნუს. ამ პაპანაქებაში რამ უნდა გამაციოსო, სიტყვა გაუტრიზავა.

— ეჰ, ნეტავი შენოდენა ვიყო, — ჩაიდუდუნა თებრო ძალომაც, ფიწალი მხარზე გაიდო და·ისე გავიდა ეზოდან, წამოკრიფა გოგომაც საჭმელ-სასმელი, მარანში შეარბენინა, მერე ჭრელი, დაკემსილი, ბებიასდროინდელი ფარდაგი გამოიტანა, თუთის ძირას, მწვანე ბალახზე გადაფინა და ზედ წამოგორდა. ფოთლებშუა გამოჭვრეტილი მზის სხივები თვალს სჭრიდნენ და გოგოც თვალებს ხან ხუჭავდა, ხან ახელდა. მერე ადგა, სქელტანიანი წიგნი გამოარბენინა და გადაშალა. ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალს კითხულობდა. რამდენიმე თავი გატაცებით ჩაიკითხა. დედოფალთან ბესიკის ტრფიალმა აალელვა, გადაშლილი წიგნი გვერდზე გადადო და ჩაფიქრდა. გულის კოვზთან რაღაც წიწკნიდა და თვალები ეწვოდა. ღვინოს და მზეს დააბრალა. გადმობრუნდა და ფარდაგზე პირქვე დაემხო. ისევ ფუტფუტებდნენ ქათმები, აუვლიდნენ და ჩაუვლიდნენ, თან ცალი თვალით ზვერავდნენ იქვე გაწოლილ გოგოს.

ნუნუს ყურებს ზრიალი გაჰქონდა და გარკვევით ესმოდა საკუთარი გულის ბაგაბუგი. ძარღვებში სისხლი უშხუოდა ხელი მკერდზე მიიჭირა და ამოიოხრა. ნელ-ნელა ჩამოუგორდა ლოყებზე ცრემლები, ჯერ არაფერი, მაგრამ მერე გაჯავრდა, არაფერი მაწუხებს და მაინც ვტირი. ნეტაიი რატომ? — მოიწმინდა ერთი ცრემლი, მეორე... არ უშველა, უფრო ამოუჯდა გული, ველარ გაუძლო ფარულ სევდას და უცებ ხმამაღლა აზლუქუნდა დატუქსული ბავშვივით. ძალიან პატარა გოგოსავით ტიროდა. ასე მხოლოდ საკუთარ თავთან დარჩენისას ტირიან მოზრდილები. იცოდა, ვერავინ დაამშვიდებდა და არც უნდოდა. იჯდა თავდახრილი, ტიროდა, და ტიროდა... სუ ნუნუ, სუ, მე სულელოო, ეჩურჩულებოდა საკუთარ თავს და გული მომქანცველი სითბოთი ევსებოდა, ამ სითბომ აუვსო მთელი სხეული. მოთენთა, მოამწიფა, თოთხმეტი წლის გოგოსათვის დამახასიათებელმა, უცაბედად მოვარდნილმა ვნებათა ღელვამ თანდათან გაუარა, ცრემლებმაც იკლო, თუმცა დროდადრო მაინც ამოისლუკუნებდა ხოლმე, ამოიოხრებდა და ალერსიანად ეტყოდა საკუთარ თავს, სუ, ნუნუ, სუ. შე სულელოოო. — მერე გადმობრუნდა, ფარდაგზე გაიჭიმა, გადაშლილი წიგნი აიღო, თვალებზე გადაიფარა და ასე გაყუჩდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ბაძალუა

## გაზაფხულის საგალობელი

1.

მწარე ღიმილი გაანგრევს ტუჩებს,
როცა მარტვილის დიდი მინდვრები შედიან გაზაფხულში,
როგორც თეატრში
და შენს ძარღვებში მთვარესავით აენთება წითელი სისხლი.

2.

აქაც უცხო ხარ,
აქაც ცივად ჟღარუნებს ქარი
და ვარსკვლავების ნაჩხვლეტები გაყრია ტანზე
მსუსხავი, როგორც კაქტუსის ტოტი.

3.

შენ დიდხანს ეძებდი გამოქვაბულს,
სადაც შეგეძლო ნადირივით გეცხოვრა,
სადაც ყვითელი ბალახების დღესასწაულში
დაივიწყებდი, რომ არსებობს მკვდარი საღამო,
დაივიწყებდი, რომ არსებობს მკვდარი თვალები.

4.

ეს მტვერი მიცვალებულთა სულივით შრიალებს ოთახში,
გარეთ კი გაზაფხული ყვირის,
მაგრამ არსად გაქვს წასასვლელი,
არსად ანთია მოწყალე შუქი,
არსად დატოვეს ღია კარები.

5.

სანამდე ცოხნი ამ მოგონილ ბედნიერებას,
თვინიერი ცხოველივით, სანამდე უმზერ
ამ უსიცოცხლო დეკორაციას.

6.

შენს ყრუ კედლებზე მარტოობა ამოუტვიფრავთ
როგორც საგვარეულო ღერბი.

7.

გაზაფხული კი შეშინებულ ბავშვივით ყვირის
და გამწარებით შემორბის სახლში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

შენს გულზე სიყვარულის ნაცვლად
კოლხეთის ყვითელი ბალახი სეირნობს.

მე დამესიზმრა: თითქო შენს სიკვდილში შევედი,
როგორც შემთხვევით გამოღებულ კარში
და ვერ გიცანი.

ჯოჯოხეთის მღვრიე სუნთქვაში
ჩარეცხილა შენი თვალები,
შენი ტუჩები აულოკავს წყვდიადის თოვლ-წყალს,
როგორც შხამი ბეჭდის თვალიდან.

ვიღაცამ კარზე დააკაკუნა
თუ საკუთარი ხმა მაშინებს.

და ვგრძნობ: არ მინდა სიზმრიდან წამოსვლა,
თითქო ბეჭებში გაღუნული სასაფლაოზე მივდიოდე
და შემზარავი რეალიზმის ნაპირებთან
უმწეოდ ვფართხალებდე.

ყველა ლამაზი სახე იქ დამრჩა,
ყველა ლამაზი იმედი იქ დაბოლოვდა.

შენს გულზე სიყვარულის ნაცვლად
კოლხეთის ყვითელი ბალახი სეირნობს,
ხოლო ბალახის სიმღერა —
ნახევარი სიმღერაა.

●

არა! ხვალაც ვერ დაიწყებ ცხოვრებას!
ხვალაც ამოვა ის დიდი, მღელვარე მზე
და გულის სარქველს აგილოკავს ცხელი ბაგეებით.
ნუთუ გგონია უკანასკნელ სიყვარულსაც
ასე იოლად გადაურჩები?
შენ აქ ვალს იხდი, მაგრამ დღისით,
შემოდგომის ნაღვლიან წვიმაში
დაინახავ, რომ ხეებს უცნაურად ეცვლებათ ფერი
და შეგაშფოთებს შემოდგომის წვიმის სიცივე.
არა, ხვალაც ვერ დაიწყებ ცხოვრებას,
თუ ღმერთმა მოგისაჯა, რომ შენს სულში,
როგორც სანაგვე ყუთში,
იყრებოდეს მთელი დღის ჩენჩო.
ღამით ხომ ფრჩხილებივით იზრდებიან ტკივილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ წახვალ ტანჯვის ბილიკებით,
ხოლო შენს სახეს გადაფარავს ღიმილის მტვერი,
ღიმილის მტვერი გადაფარავს შენს მწარე ღამეს
და დაობებულ სიზმარიდან გადმოაბიჯებ.

შენ ის კარი ხარ — გრიგალი რომ
აქეთ-იქით კედლებს ახეთქებს,
შენ ის კარი ხარ — სუყველას რომ შეუძლია
გასვლა-გამოსვლა,
შენ ის კარი ხარ —
სამუდამოდ ღია და ცივი.

●

შევყურებ ღამის უსიცოცხლო ჭერზე
ჩამოკიდებულ მთვარეს,
რომელიც მარტოდმარტო ბჟუტავს
სამყაროს შორეულ სიცივეში
და გვეუბნება:
მე თქვენთანა ვარ,
თქვენს იმედებს ვლოკავ გახსნილ ჭრილობასავით.
ჩვენი სული კი ფხიზელია და ცარიელი,
უმწეობის ქვაფენილზე გაშოტილი,
უმწეობის შავ მდინარეში
პირქვე ჩამხობილი.
აღარც ქვითინის ხმა ჩაესმის
აღარც სიხარულის ნაცნობი მელოდია,
მწვანე ფოთლებიდან რომ მოცურავს
მაისის გველივით.

●

სიყვარულზე და მორჩილებაზე
ვერ იმღერებენ შენი ტუჩები,
ვარსკვლავების რბილი სინათლე
ვერ შეგიხორცებს გახსნილ ჭრილობას,
საიდანაც შხამივით წვეთავს
დაუბრუნებელ დღეების შიში.

მადლობა ღმერთს, რომ ამ ეკლებზე იზრდები,
როგორც ტაძარი,
შემოდგომის ქარებს ეფერები.

შენი თვალები ხომ სიბნელემ
უნდა შეღებოს,
ხომ ქვითინისგან გამოგძერწა ტანჯვის ოსტატმა,
ხომ მიხვდი უკვე,
ხომ დაიწყე ძველი სიმღერა:
სიცარიელე დედაა ჩემი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

აბა ვის ეცალა, შენთვის
წითელი კვერცხი ეგორებინა?

ქარი იყო შენი პატრონი,
ქარს გაჰქონდა მთელი დღის მწვირე,
ქარი გვარცხნიდა, ვით ნაწვიმარ მცენარეს, ქარში
გარბოდა შენი ტანჯული მზერა.

აბა ვის ეცალა ეთქვა
ერთადერთი და ნამდვილი სიტყვა
„მიყვარხარ“...

წვეტიანი ლურსმნებივით გესობოდა ტანზე სიცილი,
და უხამსი სიზმრებით დახრულს,
წითელი მთვარე გიქნევდა ხელებს,
როგორც ძმაკაცი, როცა ლუდზე გეპატიჟება.

აბა, ვის ეცალა შენთვის
გლუვი დღეების ბრწყინვალებაში,
გლუვი დღეების მელოდიებში,
გლუვი დღეების სინანულში.

●

ნუ მობრუნდებით —
დღეს ამ კედლებმა
დაიმახსოვრეს თქვენი თვალები,
დაიმახსოვრეს თქვენი ღიმილი.

მე ხომ გითხარით,
აქ ვერაფერს ვერ იპოვიდით,
ვერც ეგზოტიკურ პეიზაჟებს,
ვერც ბრჭყვიალა მონეტებს,
ვერც იდუმალი სინათლის კრთომას.

ჩემს ძარღვებშია დალექილი ახლა ის ცოდვა
და ღამით,
როცა მთვარე მაწვალებს,
ფანჯრებივით ილება ტკივილი.

სული კი ცარიელია
და ქუჩა-ქუჩა დაძრწის,
როგორც მოხეტიალე მევიოლინე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნუგზარ კობერიძე

●

მე მარტოობის კუნძულზე ვცხოვრობ,
დიდი გემები
აქ გამოვლას ერიდებიან.
დამსხვრეულ ნავებს შემოაგდებს
ხანდახან ქარი.
აქ დარჩენა არავის არ სურს.
საჩუქრად —
ჩემი სისხლი მომავალს,
და ცრემლი —
წარსულს.

●

მიაქვს იმედი საკუთარ ჯიშის.
თბილი ქვეყნისკენ გაქცეულ
ფრინველს
მე და შენ სიკვდილს
ვერვინ დაგვიშლის
და არც სიცოცხლეს დაგვაცლის
ვინმე.

●

თამარის ცხენმა ამ ღელეში
წაიბორძიკა,
წყალმა წაიღო ყვავილი ნუშის...
ქართულ საფლავებს
აღარავინ წაუქცევს ჭიქას, —
მღერის თათარი, ჭრის მუხას და
არავინ უშლის.

●

შავი ქალისგან ვყიდულობ იებს,
თეთრი ქალისგან ვყიდულობ
არაყს, —
როცა ეს ჩიტი
ტიროლს აპირებს
და გასაფრენი არსაით არ აქვს.

●

მე ისე ვცხოვრობ
თითქოს ველი ვიღაცის მოსვლას,
ხოლო მანამდე
ნაჩქარევად
ვფურცლავ ღამეებს.

●

მორჩა. გათავდა.
გვირილები ქრებიან უხმოდ.
ჭკნობის სურნელით ავსებულან
ბროლის ვაზები.
მე შენს ნაოჭებს
სიყვარულის საშველად ვუხმობ
და სიკვდილისთვის
მზად ვარ სავსებით.

●

ვიცი ეს წვიმა არ არის ცრემლი,
ცას მახრჩობელა სევდა ამძიმებს.
შეიმართება ასაფრენად
ცეცხლის ფრინველი
და შენდა ხილვად გამომაცილებს...

●

მიენარცხება გემი პიტალოს,
დაიმსხვრევა და ზღვა დამშვიდდება.
დაე მე შენმა სიყვარულმა
გადამიტანოს.
წყალმა წაიღოს სახელი და
ფუჭი დიდება!

●

გუბეზე ქარი აქანებს ფოთოლს,
შემაციებს და ამაღამ მოთოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს ნუ იტყუებ და ნუ მაჯავრებ,
რომ ცხენზე ვზივარ
და მივაჭენებ...

●

თითქო ფასკუნჯმა
საბუდრამდე ვერ მიაღწია, —
მზე დაეხალა
მთაზე კვერცხივით...
შენ ცეცხლოვანი კაბა გაცვია
ღუღუნებ,
    მხარზე
        ფრთაშეკვეცილი...

●

ბავშვობამდე
უსასრულოდ შორია,
ბავშვობამდე
გაწვდენაა ხელის...
სხივს მიწვდა და
კბილით კვნეტავს ცხენი,
ზღვას თვალებში
ცრემლად გაუჟონია...
ბავშვობამდე
გაწვდენაა ხელის,
ბავშვობამდე
უსასრულოდ შორია!

●

დაუვლის ქარი
კომშის ყვავილებს
კომშის ყვავილებს
ყვავილებს კომშის
გაიტაცებს და
მოაყრის ფანჯრებს
მოაყრის ფანჯრებს
ფანჯრებს მოაყრის
ოთახში მტვერი
და ბოთლი არყის
და სიჩქარეში
გახდილი ქოში
ნათდება ბინა
ენთება სული
ყვავილი მკერდით
აკვრია მინას
სულ ერთი წამით
სულ ერთი წამით
სულ ერთი წამით
აკვრია მინას
ბაგე ღიმილის სხივმა გაკვეთა
გაოცებულმა
სხივმა გაკვეთა
მერე წამგვარა
განწირული ყვავილი კომშის
ქარმა
და ტალახს მიმოაფინა
ოთახში დარჩა
შეშინებულ თვალების შუქი
გამწყდარი სხივი,
სასოწარკვეთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იან პეტერი

# ალავერდი სტუმარს

„საქართველო“, — სიტყვა კაშკაშებს, როგორც მთაწმინდის თავზე ვარსკვლავი ბნელ ღამეში. სიტყვა წკრიალებს, როგორც მქრქალ სპილენძზე ჭედურობა. შუშხუნებს, როგორც კახური მაჭარი ქვევრში. ელვარებს, როგორც თამარის გვირგვინის ძვირფასი თვლები.

„გრუზინი“ — ასე იცნობს მათ სლავური სამყარო. როგორც ეტყობა, ჩვენც მათგან გადმოგვილია ეს სახელი. მუსულმანები „გურჯებს“ ეძახიან, ესპანელები — „ჰორჰიანებს“, ინგლისელებისა, ფრანგებისა და გერმანელებისათვის „გეორგიანები“ არიან. თავად კი „ქართველებს“ უწოდებენ თავიანთ თავს, რადგან ლეგენდის თანახმად ერის მამამთავრად ზღაპრული გმირი ქართლოსი ითვლება. და, დღეს ჩვენ თუ კიდევ გვესმის საუბარი ხევსურებზე, იმერლებზე, გურულებზე, აჭარლებზე და სხვა, აქ მხოლოდ ეთნოგრაფიაზეა საუბარი, ტრადიციებზე, ანდა გარეგნობასა და ხასიათებზე. კოლხეთიდან გამოსული ქართველები უფრო მაღლები, ცისფერთვალება და ქერათმიანები არიანო. დამიჯერებთ თუ არა, თბილისში, რუსთაველის გამზირზე ხშირად წმინდა ქართული საუბრით, ტანის ნარნარით თუ ამაყი მთიელის ნაბიჯით დასეირნობენ თითქმის ბალტიური ტიპები. სალოცარია, როცა ათასობით თვალებში, გარუჯულ სახეებში და ყორნისფერ თმებში ხედავ ცისფერ თვალებსა და ანტიკურ სახეებს. საუბარი, მიმიკა, მიხვრა-მოხვრა არაგვივით ჩუხჩუხებს და შხეფებს ისვრის. და პირველ წუთებში გეჩვენებათ, რომ აქ ყველა ტემპერამენტიანი და ხალისიანია. მაგრამ შოთა რუსთაველის ძეგლთან რომ მობრუნდები და უკან გაუყვები კიდევ ერთხელ, მეორედ, მესამედ... ამ აბრიალებულ კოცონში მინავლებულ ნაღვერდლებს დაინახავთ, ჩაფიქრებულ თვალებს, შეკავებულ წუხილს. ეს დინჯად მოსეირნე ადამიანები თუშები იქნებიანო. მითხრეს მეგობრებმა. აქვე, ჩემს გვერდით. ერთი ასეთი გულჩათხრობილი, დინჯი თუში მოაბიჯებს. ეს ჩემი მეგობარი მწერალი არჩილ სულაკაური გახლავთ. საქართველოში ყოფნისას ორივეჯერ ასე მდუმარედ ვსეირნობდით გამზირზე. მეორე მხრიდან კი პოეტი ოთარ ჭილაძე მომყვება. თბილისში თებერვალშივე ჰყვავის იები. მარტში კი საპატარძლოებივით ჩვენი ქრისტინეს* თეთრ მოსასხამებში ეხვევიან ნუშის ხეები. მერე კი მორჩა, — თუ შენ თავბრუდახვეული ყელამდე არ ჩაფლულხარ ასეთი ნუშის ყვავილების ნამქერში, მაშინ, ღმერთმა უწყის, ცოცხალი თუ ხარ საერთოდ. ამ გადარეული ყვავილობის შემდეგ თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე კაცები ჭადრებს ჩაუვლიან და შეაღებენ თოვლივით ქათქათა კარებს, ზედ რომ გველი შემოხვევია ფიალას. შეაღებენ კარს და ვალიდოლს იკითხავენ. მომავალ ყვავილობამდე.. ამბობენ, რომელიღაც ქვეყანაში გულისტკივილს მუსიკით კურნავენო. მეგობრებო, თუკი შევძლებ თქვენ დაგეხმაროთ, ჩამოდით ჩვენთან. ჰენდელის მესას შევუკვეთავ მეორღანეს დომის ტაძარში. მოველაპარაკები ლატვიის საუკეთესო ხალხურ გუნდს „გაისმას პილსს.“ ყველაზე მშვენიერ მალამოს წაგცხებთ გულებზე. მაგრამ თქვენ, გამოჯანმრთელებულნი, ისევ დამნაშავესავით გაილიმებთ — მომავალ ყვავილობამდე.

...წუხელისაც, სასტუმრო „ივერიის“ ფოიეში, მთელი დღის მოქანცულები ერთმანეთს რომ ვემშვიდობებოდით, ჩემი მეგობრები იღიმებოდნენ, თითქოს ბოდიშს მიხდიდნენ. ვიცი, ჩემი სასტუმროს ტელეფონი რამდენიმე დღეს იყუჩებს, გულები დაისვენებენ. ძალ-ღონეს მოიკრებენ, რათა კვლავ წამიყვანონ არაგვის პირას, ანანურში, სვეტიცხოვლეში, ამ ქვეყნის ძველ დედაქალაქ მცხეთაში, სადაც აკეთებენ თიხის ქოთნებს და ნამგალივით მოხრილი მიხეილ მამულაშვილი ცხოვრობს, მებაღე — უნიკალური წალკოტის მფლობელი. გულები დასასვენებლად მიდიან, რათა კვლავ მაჩვენონ, მომითხრონ, მაჩუქონ ამ ქვეყნის უმთავრეს-

* ლატვიელი მწერლის რუდოლფ ბლაუმანის ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განძი — მეგობრობა. ის მეგობრობა, რომელიც იბადება ყველაზე ხმადაბალ საუბარში ყველაზე დიდ საკითხებზე — ჩვენი ხალხების, მათი ისტორიის, მათი მომავლის საკითხებზე საუბარში და აგრეთვე იმაში, რაც ჩვენ გვაკავშირებს და რაც ჩვენ გვანსხვავებს.

...და, როცა რამდენიმე დღის შემდეგ, საქართველოს სამხედრო გზით რომ ვბრუნდებოდით თბილისში, გზისპირა დუქანში ვისხედით, სადაც ლობიოსა და ცხელცხელი მჭადების ოხშივარი იდგა, „ტიბაანითა“ და „ნაფარეულით“ სავსე ჭიქები იმიტომ კი არ გვეკავა ხელში, რომ დავმთვრალიყავით. არა, ეს სწორედ ის საზეიმო განწყობილება იყო, რაც გამოხატულია სვეტიცხოვლის ძველსა და ახლად აღდგენილ ფრესკებში. ჩემი მეგობრები მიყვებიან თავიანთ სამშობლოზე, ხალხზე, რომლის ისტორიაშიც არამარტო შოთა რუსთაველია სახელგანთქმული, ანდა თამარ მეფე და ტრაგიკული პოეტი ვაჟა ფშაველა. ისინი მომითხრობენ მევენახეებზე, მწყემსებსა და მექოთნეებზე, ვინც გაუძლო მონგოლთა, სპარსელთა, არაბთა და თურქთა შემოსევებს. ვინც შეინარჩუნა ის, რასაც ჰქვია ერი და მისი ენა, მისი კულტურა, მისი ტრადიციები. ის სადღეგრძელოები, ჩვენი ბაგეები რომ წარმოსთქვამენ, არაა თავაზიანობისა და ლიტონი სიტყვების დასტური, უცებ სურვილი გეუფლება კიდევ უფრო ბევრი ნახო, მოისმინო, გაესაუბრო მთებს, კლდეებს, მტკვრისა და არაგვის დინებას, რადგან მათ ადამიანებზე უფრო მეტი იციან. თუმცა მათ თავიანთი სათქმელი ადამიანებისთვის მიუნდვიათ. დღეს ისინი აქ, ამ გზისპირა დუქანში, უფლებას აძლევენ არჩილ სულაკაურსა და ოთარ ჭილაძეს მომითხრონ მთელი თაობების შესახებ, მათ ცხოვრებასა და ფიქრებზე. მე მჯერა ჩემი მეგობრების. ამ მთაგორიან ქვეყანაში ბედმა გამიღიმა და კარგ მეგობრებსა და თანამოსაუბრეებს შემყარა. ესენი მწერლები არიან, მდიდარი ლიტერატურის მემკვიდრენი და გამგრძელებლები.

მსურს დიდხანს დავრჩე აქ და შინ წასვლაც მენატრება, მსურს ჩავიწერო, არ დავკარგო ის, რაც ვნახე და ვიგრძენ ქვეყანაში, სადაც ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობის კულტურის ერთერთი პირველი კერა აენთო. მეცნიერება კავკასიას სრული გაბედულებით თვლის იმ მხარედ, სადაც ანთროპოგენეზური პროცესები მოხდა. ამას გათხრები ადასტურებს. დადგენილია, რომ დღევანდელი საქართველოს მიწაწყალზე ადამიანმა უხსოვარი დროის წინათ დაადგა ფეხი. თუმცა ეს უკვე „წმინდა“ მეცნიერებაა, რომელშიც მთავარი ადგილი უდაბნოპიტეკს უკავია, ე. ი. ადამიანის მსგავსი მაიმუნის ახალ ტიპს, რომლის კბილებიც არქეოლოგიურმა გათხრებმა ახლახან გამოავლინა თბილისის მახლობლად. თქვენ თუ ეს საკითხები გაინტერესებთ, შეგიძლიათ უფრო ახლოს გაეცნოთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამოფენას ანდა ჰკითხოთ მეცნიერ ჩოლოყაშვილს, უსაზღვროდ თავაზიან ადამიანს, რომელიც ძალიან კარგად იცნობს ჩვენს ეთნოგრაფს ჰეინრიჰ სტრუოდს.

მთელი ქართული მიწა, მადლობა მის დიდებულ ისტორიას, მდიდარი, მშვენიერი და უზარმაზარი მუზეუმი გახლავთ. მაგრამ ეს მუზეუმი მკვდარი არაა, უსიცოცხლო ფეტიში, რაზეც მხოლოდ უნდა ილოცო. ძველი ნივთი უნდა გესმოდეს, უნდა იცოდე მისი ენა. თითოეული ეს ძველი ნივთი, საგანი ცოცხალი მოწმეა, ცოცხალი შეხსენება და გაუფრთხილებაა მთავარისაკენ — მომავლისაკენ მიმავალ გზაზე.

...ახლა კი, როცა შუშის ენაზე ამღერებული, წითელი ღვინით სავსე ჩვენი ჭიქები შეეხნენ ერთმანეთს გზისპირა დუქანში, მინდა კინემატოგრაფისტივით გამოვიყენო სტოპკადრები, რომ მოგითხროთ ის, რაც ვნახე და გავიგე საქართველოში.

— ალავერდი სტუმარს, — ამბობენ ჩემი მეგობრები.

„ალავერდი“ — ნიშნავს „სიტყვა შემდეგს...“ ამ სადღეგრძელოს, სტუმარი რომ წარმოსთქვამს, ჩვეულებისამებრ ზეიმით სვამენ ყანწით ან ფიალით.

მაშასადამე — ალავერდი საქართველოს სტუმარს. და, რაკი ამ ქვეყანაში მრავალჯერ ვყოფილვარ სტუმრად, დაე, ეს მოგზაურობის ჩანაწერები და ნაფიქრი საპასუხო სადღეგრძელო იყოს მათი შემოთავაზებული ალავერდისა.

1. „...ისეთი მშვენიერი და ლამაზი იყო, რომ არავინ შეედრებოდა მას სილამაზით, და მოკვდა 21 წლისა.“

ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი თვლები. ცივი და უსიცოცხლო გეჩვენებათ პირველი შეხედვისას ამ ფართო დარბაზში. მხოლოდ კართან მდგარი მილიციელები გაფიქრებინებენ, რომ აქ ძვირფასი განძი ინახება. მილიციელები მხოლოდ ძვირფასეულობას იცავენ ხელოვნების მუზეუმის სპეცფონდებში. ხავერდის ჩუსტებიანი და მშვენიერხმიანი ქალიშვილი იცავს ამ ძველისძველ სამკაულებს და მათი შემქმნელების სულიერ შთაგონებაზე გვესაუბრება. ეს ქალიშვილი აძლევს აზრს მთელ ამ ბზინვარებას. აღმოჩნდა, რომ ეს ძვირფასი ნივთები საქართველოს ქრისტიანობამდელ ეპოქას განეკუთვნება, ე. ი. კერპთაყვანისმცემლობისა და წარმართული სარწმუნოების ხანას. ქრისტიანული სარწმუნოება კი ქართველებს 337 წელს მიუღიათ. სამაჯურებს, საყურეებს, ყელსაბამებს... ყველას თავისი ოსტატი და თავისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატრონი ჰყავდა. რა თქმა უნდა, სულ სხვადასხვა მხარეს იდგნენ ეს ადამიანები. ოსტატები, მათი ცოლები და ქალიშვილები არასოდეს ატარებდნენ ამ განძეულობას. მბრძანებლები და მათი ცოლები ირთვებოდნენ ხელოვანთა სულისა და ნიჭის ნაყოფით. ისიც გავიგეთ, რომ ქართველი ხალხი ამ სიმდიდრეს თავის სამშობლოში თვალით ვერ ნახავდა, თუ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ზნეობა, მსხვერპლად თავის შეწირვა და პატიოსნება არ შეერთებულიყო ერთ მეტად საპატიო და მთელ საქართველოში ცნობილ კაცში — ექვთიმე თაყაიშვილში.

ეს ასე მოხდარა. 1921 წელს მენშევიკური მთავრობა ემიგრაციაში წასულა პარიზში და ეს სიმდიდრეც თან წაუღია. მთავრობას ხელოვნების განძეულთან ერთად თან გაჰყოლია მუზეუმის ფონდის მცველი ექვთიმე თაყაიშვილი. სამშობლოსა და თავისი ერის ერთგულ მეცნიერს 25 წელი თითქმის გაჭირვებაში გაუტარებია, მაგრამ ერთი მილიგრამი არ დაუკლია ამ ძვირფასი ნივთებისათვის, რის შესაძლებლობაც იმ არეულ ხანაში მას ჰქონდა. ეს ძვირფასეულობა ხელუხლებლად ინახებოდა ლიონის ბანკში. 1946 წელს პროფესორი სამშობლოში დაბრუნდა, ჩამოიტანეს ეს ფასდაუდებელი სამკაულებიც. ახლა პროფესორის სული იმიერ ქვეყანაშია უკვე, მთელი ქვეყნის ოქროსა და ზურმუხტზე უფრო ძვირფასი მისი სახელი კი ბრწყინავს არამარტო ხელოვნების მუზეუმის სპეცფონდში, არამედ ერის ხასიათის სპეციალურ ფონდში, თუ კი ასეთი ტერმინი შეიძლება ვიხმაროთ.

ახლა კი იმ მშვენიერ მზეთუნახავს დავუბრუნდეთ, სათაურში რომაა საუბარი, ვინც 21 წლისა გარდაიცვალა. როდის ცხოვრობდა? რა ერქვა? რა კავშირი აქვს ხელოვნების მუზეუმთან?

ჯერ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მას სერაფიტა ჰქვია, ქართველი პოეტები უმღერიან მის სილამაზეს, ლადო გუდიაშვილს სურათი დაუხატავს და კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძეს კი მუსიკა დაუწერია ბალეტისათვის სერაფიტაზე.

გიდი არნახული სილამაზის ნივთებს — სამაჯურს, საყურეებსა და ბეჭდებს გვიჩვენებს. ეს ნივთები დასტურია იმისა, რომ მათი პატრონი ნაზი და სწორედ ისეთი ყოფილა, „რომ სილამაზით ვერავინ შეედრებოდა", „ეს სერაფიტას სამკაულებია, თუმცა სანამ სერაფიტას სილამაზეს პოეტები და ხელოვნების სხვა მსახურნი გაეცნობოდნენ, მეცნიერება დაინტერესდა მისი ბედით. გიორგი წერეთელი, ვისი ტიტულისა და თანამდებობის დასახელება აუცილებლად მიმაჩნია — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, სემიტოლოგიის თბილისური სკოლის ხელმძღვანელი.

იგი იყო, ვინც 30-იანი წლების დასასრულსა და 40-იანი წლების დასაწყისში მეცნიერული სამყარო განაცვიფრა. მან გაშიფრა მცხეთის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი საფლავის ქვის ლურსმული წარწერები. სრულიად ახალგაზრდა ენათმეცნიერის ამ აღმოჩენამ დაადასტურა, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და მისი დამწერლობის ისტორია რამდენიმე საუკუნით წინ უნდა დათარიღდეს. აღმოჩნდა, რომ ქართულ მიწა-წყალზე ჩვენს ერამდე ერთი საუკუნით ადრე ყოფილა უმაღლესი განვითარების სახელმწიფო წყობილება. მეცნიერს მშვენიერი სერაფიტა „დაეხმარა". ვის სარკოფაგსაც ზემოთნახსენები საფლავის ქვა ეფარა.

აი, ამ ლურსმული წარწერის გიორგი წერეთლისეული წაკითხვა:

1. მე ვარ სერაფიტა, ასული
2. ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა,
3. მეუღლე იოდმანგანისა — ძლევამოსილისა და
4. მრავალი გამარჯვების მომპოვებელ ეზოსმოძღვარისა ქსეფარუნგ მეფისა;
5. ძისა აგრიპა ეზოსმოძღვრისა
6. ფარსმან მეფისა. ვაება ვაებისა. ის,
7. ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და
8. მშვენიერი იყო, რომ
9. არავინ იყო (მისი)
10. მსგავსი სილამაზითა და
11. გარდაიცვალა 21 წლისა.

აი, რას წერს ამის თაობაზე სოფიო გველესიანი გიორგი წერეთლისადმი მიძღვნილ კრებულში: „მხოლოდ თერთმეტი სტრიქონი! ხელმეორედ წაიკითხეთ. ეს ნაღვლიანი ამბავი ახალგაზრდა მზეთუნახავის სიკვდილზე. „ვაება ვაებისა", — ასე წერს ეპიტაფიის ავტორი, მაგრამ მკაცრი მემატიანე დიდხანს არ დარდობს მის გარდაცვალებას... ამას ყოველივეს უტოვებს პოეტებს. იგი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ სერაფიტა არის პიტიახშის ასული, თანაც მცირე პიტიახშისა, რომელიც მსახურობდა მეფე ფარსმანს, რომელსაც უკვე ჰყავდა მმართველები — ეპიტროფები თუ მხედართმთავრები, რაც (სავსებით უჭერს მხარს აკადემიკოს ნ. ჯანაშიას აზრს, რომ „საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში არსებობდა განვითარებული სახელმწიფო სისტემა მეფის მეთაურობითა და სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ატრიბუტით...). წინათ კი თვლიდნენ, რომ პიტიახშები საქართველოში გაჩნდნენ IV საუკუნის დასასრულსა თუ V საუკუნის დასაწყისში, რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცა იბერიის სახელმწიფო სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცა. გაირკვა ისიც, რომ პიტიახშები არიან უფროსები და უმცროსები. ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ იმდროინდელ საქართველოში არსებობდა განვითარებული კლასობრივი საზოგადოება".

ხელოვნების მუზეუმის საცავში თვალისმომჭრელად ბრწყინავს განძეულობა. ახლა იგი აღარაა ცივი და აბსტრაქტული. ჩვენც გავესაუბრეთ მას, ქალიშვილმა გიდმა გვითარგმნა პასუხი და სერაფიტას მინიატურული ბეჭდის ხმაც მოგვაწვდინა, რომელსაც სრულიად მოულოდნელად აღმოაჩნდა ასეთი დიდმნიშვნელოვანი როლი ერის ისტორიის გამორკვევაში.

2. „სადაა ის საწყისი, რისგანაც გაჩნდა..."

Немного лет тому назад
Там, где сливаясь шумят
Обнявшись будто две сестры,
Струи Арагва и Куры,
И нынче видит пешеход
Столбы обрушенных ворот
И башни, и церковный свод.

ჩემი ქართველი მეგობრები ლერმონტოვის პოემა „მწირის" ამ სტროფს ზეპირად ეტყვიან, ვისაც აქ ამოიყვანენ. და, მართლაც, აგერ იქ, დაბლა ერთმანეთს გადახვევია ორი და — არაგვი და მტკვარი. შენ კი თავი გადაგიგდია უკან და აღარ შეგიძლია, თვალი მოსწყვიტო ამ უზარმაზარ, დიდებულ შენობას, ბავშვობაში რომ წაგიკითხავს და ახლა კი მის კედლებთან დგახარ. ეს, ლერმონტოვმა რომ უმღერა, მონასტერი „ჯვარი" გახლავთ, რომლის ისტორიაც ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნიდან იწყება. ამ მაღალი მთიდან მოჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს — ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა და მისი განთქმული კათედრალი სვეტიცხოველი. თვალს ხვდება სამთავროს კათედრალიც, იქით კი მოჩანს ქედი, სადაც ძველი ციტადელი არმაზ-ციხე მდგარა. და მთელ ამ ძველისძველ პეიზაჟში დღევანდელობის „დისონანსი შეაქვს საქართველოს პირველ, მძლავრ ელსადგურს, 1927 წელს რომ აუგიათ. მაგრამ მე ახლა სულ სხვა რამ მინდა გითხრათ. იმანტ ზიედუონი „კურზემიტეში" წერს: „...მე მაინტერესებს, სად არის ის საწყისი, რისგანაც გაჩნდა მოაზროვნე, პოეტი, მსროლელი..."

მაშასადამე, — საწყისი. ეს წარსულის ულრანებში საძებნი წყარო, გზას რომ მოიკვლევს საუკუნეთა კლდეებში და სასიცოცხლო წვენს აძლევს ზვრებსა და მანდარინის ბაღებს, მგზავრი და ნახირი წყურვილის მოსაკლავად რომ ეწაფებიან, ბოლოს კი მდინარედ იქცევა და ამოძრავებს დღევანდელობას, თანამედროვე ადამიანის შესაძლებლობათა ბორბლებს და მისწრაფებებს, აზროვნებასა და მოქმედებას.

არ შემიძლია გვერდი ავუარო ამ ქვეყნის ისტორიას, მოგზაურობისას ასე რომ მეხმარება. არ ვიცი, ქართველები ასე იამაყებდნენ დღევანდელი მიღწევებით — დიდი სამრეწველო კომბინატებით, ახალი მეტროპოლიტენითა და ფილარმონიით, ლამაზი სასტუმროებითა და საბაგირო გზებით, მათი ბებერი მიწიდან არქეოლოგს ფრთხილად რომ არ ამოეღო ვაზა, მეცნიერებს ძველი სარკოფაგების სახურავები და პერგამენტები რომ არ გაეშიფრათ, დედაქალაქის თავზე რომ არ იდგეს ქართვლის დედა და ერთ ხელში მახვილი არ ეკავოს, მეორეში კი — ფიალა. ძეგლი ხომ სულ ახლახან, საბჭოთა პერიოდში ააგეს.

ვდგავარ ამ ძეგლთან და აგერ იქ, დაბლა ფუტკრის გუნდივით ზუზუნებს დედაქალაქი თავისი ქარხნებით, ავტომანქანებით, მიწისქვეშა მატარებლებითა და აეროპორტით. ახლა განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა, რომ საქართველო კაცობრიობის მხარდამხარ მიაბიჯებს თავისი ხმით, თავისი ენითა და დამწერლობით.

ბალტიის ზღვასა და ამიერკავკასიას ათასობით კილომეტრი აშორებს. ხუთსაათიანი ფრენა სჭირდება ამ მანძილის დაფარვას. ისტორიაც საგრძნობლად განსხვავებული გვაქვს, თუნდაც ცივილიზაციის პირველ საწყისებში, რომელიც ბალტიელი ტომებისათვის საკმაოდ აქეთაა საძებნი, სრულებით რომ არაფერი ვთქვათ ერის ჩამოყალიბებასა და ისეთ ინსტიტუტზე, როგორიცაა სახელმწიფოს წარმოქმნა. და მაინც დღეს ხალხთა ერთიან ოჯახში რომ ვცხოვრობთ, შესაძლებლობა გვეძლევა, აზრი გავუზიაროთ ერთმანეთს, თვალი გადავავლოთ გამოცდილებას და ერთიმეორის თაოსნობა გადავიღოთ.

ქართველი მეცნიერები ექსპედიციაში წავიდნენ საზღვარგარეთ. იმ ადგილების სანახავად მათი ხალხის წარსულთან რომაა დაკავშირებული. ისინი იყვნენ იერუსალიმში, სადაც ქართული მონასტრის ნაშთებია შემორჩენილი, აღმოჩენილია ძველი ქართული ხელნაწერები, აგრეთვე დღემდე უცნობი ფრესკა შოთა რუსთაველის გამოსახულებით. ამიტომაა, რომ საქართველო დღესაც ოცებს აქ მუდმივ საზღვარგარეთელ დელეგაციებს, სოციალიზმის სანახავად რომ ჩამოსულან ამიერკავკასიაში. თურქეთის, მოზამბიკისა და ტანზანიის მწერლები, ვისთან ერთადაც გავატარეთ დღეები მზიურ საქართველოში, განცვიფრებას ვერ მალავდნენ ამ ხალხის მიღწევებზე.

ერთი ფიქრი დღესაც არ მაძლევს მოსვენებას. იმ მართლაც და დიდებული საქმეების გვერდით, რაც ჩვენ უკვე გავაკეთეთ: გავმართეთ შესანიშნავი საკონცერტო დარბაზი დომის

## იან პეტერი
## ალავერდი სტუმარს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაძარში, დავიცავით და ვაფართოვებთ ეთნოგრაფიულ მუზეუმს ღია ცის ქვეშ, აღვადგინეთ პეტრეს ტაძრის გუმბათი თავისი ოქროს მგალობლითურთ; ხომ არ აჯობებდა, საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს იქითაც გადაგვევლო თვალი იმ ადგილებისათვის, წარსულის მნიშვნელოვან ამბებთან რომაა დაკავშირებული.

3. ფ ი რ ო ს მ ა ნ ი

სხვისი კიბე, შენი ბინის ჭერი,
ფერს იძენდა უფერული წლები,

. . . . . . . .

აწრიალე კაფანდარა ტანი,
ბნელ სარდაფში ჩაიწვიე მთები,
ჩურჩულებდნენ; მოდის ფიროსმანი!
და მეზურნეს უსკდებოდა ყბები.
ზვინი თივის და სრიალი ტივის
შენიშნე და შეეჯახე უფალს,
ქართულ სუფრას ამგვანებდა თბილისს
და შენც ჰგავდი ამწვანებულ სუფრას.
თვალს კვებავდა ეს უფულო ხვავი.
არტალის თუ ცხვრის ნახარში ხვრიპე,
აგეკიდა შავი საღებავი
და დაგენგრა თავზე სხვისი კიბე.

. . . . . . . .

ფუნჯი გაცვდა, გაგილურჯდა უპე.
ვერ შესძელი ჯახირი და გარჯა,
შენ თბილისის ფსკერზე ჩაილუპე
და ტილოზე შთაგონება დაგრჩა.

სიმონ ჩიქოვანი

სიცოცხლეში „რჩეული" საზოგადოების მიერ ათვალწუნებული თუ სრულებით შეუმჩნეველი მღებავი იყო, სხვენის, და კიბისქვეშა სარდაფების ბინადარი. მედუქნეთა და იქ მოხიარულეთა მეგობარი, რომელსაც უბრალოდ ნიკოს ეძახდნენ. ხან სამიკიტნოების აბრებს ხატავდა, ხან კი — მოქალაქეთა შეკვეთილ დეკორაციებს აკეთებდა. ღამით კი, ნაღვლიან ღამით ხატავდა იმას, რაც მის გულს სურდა. დროს მისი ნამუშევრების ნახევარი უკვე ჩამოუშლია თუ ჩამოურეცხავს სამიკიტნოების კედლებიდან. მუშამბა და მუყაო მხიარული და ნაღვლიანი პორტრეტებითა თუ პეიზაჟებით მოხატული ან დამწვარა, ან დახეულა, ან მოუპარავთ. ანკი, ზოგიერთი სალადმოაზროვნის გარდა, ვის ენაღვლებოდა ეს უცნაური წვეროსანი, ფუნჯსა და საღებავს რომ დაატარებდა თან, ვისაც დიპლომად საკუთარი ხელები ჰქონდა. არც პეტერბურგის, არც მიუნხენის და არც სხვა დიდი ქალაქის ხელოვნების სკოლის დერეფნებს არ ახსოვთ ასეთი ნიკოს ნაბიჯების ხმა. მისი ნაბიჯების ხმა ჩაწერილია ძველი თბილისის ლურჯ ქვაფენილზე, არღნის მელოდიაში, ღვინის სარდაფის სოხანეზე და ქუჩის ქალის ნაღვლიან სიცილში.

სიცოცხლეში სიოცრება არ უნახავს. სიკვდილის შემდეგ თვითონ იქცა საოცრებად. ის ველარასოდეს გაიგებს, რომ მის მიერ მოხატული მუშამბა, თუნუქის ნაჭრები და მუყაო მოწიწებით მოივლის ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის საგამოფენო დარბაზებს, რომ თვითონ მასზე დაწერენ მონოგრაფიებს, ფილმს გადაიღებენ. 1922 წელს თბილისში ჩამოსული კონსტანტინე პაუსტოვსკი კი იტყვის: „ისინი (ნიკოს ნახატები ი. პ.) დამეხმარა, გამეგო და შემეყვარებინა კავკასია — რთული და მშვენიერი მოზაიკის ქვეყანა".

ის ველარ შეესწრო იმ დღეს, როცა მასზე მოუთხრობენ და დაწერენ კონსტანტინე სიმონოვი, ბელა ახმადულინა, რასულ გამზათოვი, როცა ქართველები სტუმრებს ეტყვიან: „მობრძანდით, ფიროსმანის ნამუშევრებს გაჩვენებთ!"

კეთილი მეგობრების — ხელოვნების მცოდნეთა ზრუნვასა და სითბოს მოკლებული, მდაბიოთაგან დამცირებული ნიკო ფიროსმანაშვილი სახელოვან ფიროსმანად იქცა. ბოლოს და ბოლოს არც ესაა ორიგინალობა. სიღარიბეში და სამშობლოდან მოშორებული მოკვდა ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის შემოქმედებაც მხოლოდ 37 ლექსია, ახლა რომ მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნიან და მდიდრულად სცემენ. ჭლექით გატანჯული, ასევე მოკვდა კალაჩებში ჩვენი ედუარდ ვეიდენბაუმიც, თავისი ერთი დაბეჭდილი სტრიქონიც რომ არ უნახავს თვალით. ყველას ვერ ჩამოთვლი.

თვითმპყრობელობას და მის ძლიერ დასაყრდენს — მდაბიორთა გონებაჩლუნგობას ფეხებზე ჰკიდია. ხელოვანნი ნაადრევად თუ იხოცებიან, თვითონ მიიმტვრევენ თავპირს. თვითონ ეძებენ სიკვდილს.

მაგრამ თქვენ, მეფენო, ხელმწიფენო, გუბერნატორნო, ნუთუ არ უწყით, რომ თქვენი სახსენებელი აღარ იქნება და თუნდაც იყოს ზიზღითა და აგდებულად მოგიგონებენ. ნუთუ არ იცოდით, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი ფიროსმანად იქცეოდა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს სამჯერ დაკრძალავდნენ და მთაწმინდისაკენ მიმავალ გზაზე ქართველი დედები ბავშვებს მოიყვანდნენ, ხელს შეახებინებდნენ კუბოს, რომ ძალ-ღონე შემატებოდათ? ნუთუ არ იცოდით, რომ პატარა სოფელ ლიეპის სასაფლაოს მონუმენტური ძეგლი დაამშვენებდა და ეს ძეგლი იქნებოდა არა ამ მხარის რომელიმე ბობოლასი, არამედ იმ ჭლექიანისა და „სტუდენტის" — ედუარდ ვეიდენბაუმის. იცოდით, როგორ არ იცოდით, არც ისე ეეჩები ხართ. განსხვავება მხოლოდ ცხოვრების გაგებაშია. თქვენ იცით, რომ ფიზიკურ სიკვდილამდე ხორცს ვერ დაკარგავთ და ამ ქვეყანაზე ნეშტის მეტსაც არაფერს ტოვებთ. ისინი კი, ვინც სიმყუდროვეს გირღვევდნენ, არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიხოცებიან, სამარადისოდ დარჩებიან მხატვრობაში, ორკესტრში, წიგნებში, ხალხში.

ვინ უწყის ასეთი ფიქრი უტრიალებდა თუ არა ნიკო ფიროსმანაშვილს კიბისქვეშა ქოხში ანდა დუქნის ფარდულში რომ ათენებდა ღამეს. მაგრამ ადამიანური ცხოვრება მასაც სწყუროდა, ამ იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს და საკუთარი ხელწერის თვითნასწავლ მხატვარს. მას არ შეეძლო, თეორიულად ემსჯელა სოციალური და ეროვნული უსამართლობის გამომწვევ მიზეზებზე, მაგრამ დიდი ხელოვანის თვალები და გული ყოველთვის პროგრესის მხარეზეა. ამიტომაც მონაწილეობდა 1905 წლის დემონსტრაციებზე თბილისში. როგორც ფიროსმანისა და მისი შემოქმედების კარგი მცოდნე კირილე ზდანევიჩი წერს, მხატვარს 1905 წლის შთაბეჭდილებებზე ორი სურათი შეუქმნია — „დემონსტრაცია“ და „არსენა ჯორჯიაშვილი“. სამწუხაროდ ეს ნახატები არ შემონახულა. მხატვრის მეგობრებს მაშინვე მოუსპიათ, რადგან დამსჯელი ექსპედიცია არ დაზოგავდა ისეთ მხატვარს, რომელმაც გაბედა და ტილოზე გადაიტანა ათასობით წითელდროშოვანი ადამიანი და ეროვნული შურისმაძიებელი არსენა ჯორჯიაშვილი.

ქართული ფრესკა ოპტიმისტურია... ერის კულტურით ნასაზრდოებმა ფიროსმანაშვილის მხატვრობის ორიგინალურმა ხელწერამ დიდმნიშვნელოვანი ხელოვნება შექმნა...

ფიროსმანის რეალიზმს ნატურის გადმოღებასთან საერთო არაფერი აქვს. მხატვარი სინამდვილის სინთეზს ეძებდა ისე, როგორც თვითონ ესმოდა. მას სურდა, სამყარო ეჩვენებინა კონცენტრირებული, შედუღაბებული, დეტალების გარეშე... მას არ უსწავლია პერსპექტივის კანონები. მათ მაგივრობას კომპოზიციის ალღო უწევდა. ეს ქმნიდა მის პერსპექტივას და ნახატის დამაჯერებლობას. გამონაკლისი სულ რამდენიმე ნახატია, სადაც ჰორიზონტულ და პერსპექტიულ ხაზებში პრიმიტიული გადაწყვეტა იგრძნობა.

საქართველოში ფიროსმანზე ბევრს მოგითხრობენ. მოგითხრობენ აღფრთოვანებით და სევდანარევი სიამაყით. არა, დიდებულ ბულვარებსა და გამზირებზე ამ მხატვრის სულს თქვენ ვერ შეიგრძნობთ. თბილისში თუ მოხვდით, გაისეირნეთ ქალაქის ძველ უბანში, სადაც ვიწრო შუკები ხან მაღლა-მაღლა მიიწევს, ხან კი დაბლა ეშვება, ტროტუარებზე თმახუჭუჭა ბიჭები რომ თამაშობენ და ღვინისა და თონის პურის სუნი ტრიალებს. ნახევრად გამოღებულ სარკმელში პილპილმოყრილი მწვადი რომ შიშხინებს და ძველებური ნაღვლიანი სიმღერები გაისმის. საქართველოს მომავალო სტუმარო, იქნებ შესძლო და გონებაში აღადგინო ის დრო, სადღაც აქ რომ ტრიალებდა ფიროსმანი, — მაშინ ჯერ ისევ ახალბედა მხატვრები ლადო გუდიაშვილი და მიხეილ ჭიაურელი, პოეტები პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვანი მაგრამ აჯობებს, ძველ ქალაქში ერთი ქვა მოძებნო, ზედ ჩამოჯდე და ფიროსმანზე წაიკითხო. აი, რას ამბობს ლადო გუდიაშვილი 1916 წელზე, როცა საქართველოს მხატვართა საზოგადოებას მისთვის და ჭიაურელისთვის დაუვალებია, მოეძებნათ გაჭირვებაში ჩავარდნილი მხატვარი, რათა მცირეოდენი თანხა გადაეცათ მისთვის. მეგობრებს დიდუბის რაიონში კიბისქვეშა გაყინულ ოთახში უპოვიათ იგი.

„მე დავაკაკუნე — კარი გამიღო მახპინძელმა, გამხდარმა, განაწამებმა. ერთხანს დუმდა, მერე იკითხა: „მტრად მოსულხართ თუ მოყვრად?“ — და გვიყურებდა არაჩვეულებრივი თვალებით. „მე ლადო გუდიაშვილი ვარ. მხატვარი — თქვენი მეგობარი და თქვენი ნახატების თაყვანისმცემელი. თქვენთან ქართველ მხატვართა საზოგადოების დავალებით მოვედი“.

განმარტოებულობა და უნდობლობა ჩამოსცილდა ნიკოს. გვთხოვს შინ შევყვეთ. ჩამოვსხდეთ და გვეკითხება: „სახლს თუ ავაშენებთ? თქვენ იცით, რომ ყველა სარდაფი მოვხატე? თუ იცნობთ ძმებს ზდანევიჩებს. მათთან ბევრი ჩემი ნახატია, ეს ნამუშევრები არ დაიღუპება, როგორც სხვები“.

მე გადავეცი ფული და ვთხოვე ეყიდნა თავისთვის საჭმელი, ტანსაცმელი და საღებავები. ნიკო აღელდა, ხელი მომიჭირა და თქვა: „მე, ვხედავ, კიდევ ვახსოვარ. მადლობელი და ზოგს ვუყვარვარ კიდევაც. რა ძნელია ავადმყოფის, ეულის ცხოვრება. მაგრამ ახლა შემიმსუბუქდა.“

მე ვკითხე: რატომ ხატავთ თამარ მეფის, რუსთველის, სააკაძის სურათებს?

— მე მიყვარს ჩემი სამშობლო, — მიპასუხა ნიკომ. — ვიცნობ მრავალტანჯულ საქართველოს ისტორიას, ვიცი რუსთველის პოემა, ვიცი აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა. მე მათ ვხატავ, როგორც მომწონს. დაე, სხვებმა იცინონ ჩემს ნამუშევრებზე, თუ ეს მათ ართობს, მე ჩემი გზით მივდივარ.

მიხეილმა ჰკითხა: რატომ ხატავთ ასეთ კონტრასტულ სურათებს: როგორიცაა „უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი ბავშვებით“, „თეთრი ძროხა“, „შავი ხარი“, „არწივი და კურდღელი“?

ნიკომ სიცილით მიუგო:

— ცხოვრება — კონტრასტებია. მე კარგად მესმის: მდიდრები — ღარიბები, თეთრი — შავი, ცხოვრებაში ყველაფერს ორი მხარე

იან პეტერი
ალავერდი სტუმარს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქვს — კეთილი და ბოროტი. აი, თეთრი ძროხა — სინაზის, სიმშვიდის, სიყვარულის სიმბოლო: იგი იძლევა რძეს, ხორცს, ტყავს. თეთრი ფერი — სიყვარულის ფერია... შავი ხარი — ირჩოლება, ღმუის — ეს ომია. უზარმაზარი, გულზვიადი არწივი ჯიჯგნის პატარა კურდღელს უსუსურსა და საბრალოს. არწივი — მეფის არწივია, კურდღელი კი... ეს ჩვენა ვართ. როცა ორთაჭალის გარყვნილ ლამაზმანებს ვხატავ, მათ შავ ფონს ვაძლევ, მაგრამ მათ აქვთ ცხოვრების სიყვარული — ეს ყვავილებია, რომლებიც მათი ფიგურების ირგვლივაა მოთავსებული, მხრებზე კი ფრინველები ასხედან. მათ თეთრ ზეწრებში ვხატავ, თეთრი საღებავით მე მათ ვიცოდებ და ვწმენდ ცოდვებისაგან.

„უშვილო მილიონერი“ — მდიდარია, ბედნიერი, იგი ყრუა სხვათა უბედურების მიმართ. იგი მეპატრონეა, ჰყავს მოჯამაგირეები და მსახურები, ღარიბი ბავშვებით კი — ფეხშიშველები არიან, მშივრები, მე ისინი მებრალებიან.

ახლა მე ვკითხე: რატომ ხატავთ მუშამბაზე, მუყაოზე — ასე არაგამძლე მასალაზე?

„მე კარგად ვიცი, რომ თქვენ, იქ მაღლა, გაქვთ მშვენიერი ტილოები, საღებავები ტუბებში და კარგი ფუნჯები. ეგ მასალა ჩემთვის მიუწვდომელია, ძვირფასო ლადო. მე ვიღებ იაფ მასალას, თვითონ ვაკეთებ საღებავებსა და ფუნჯებს“.

მიხეილ ჭიაურელი, ნანახით აღელვებული, გამოემშვიდობა და წავიდა.

საუბრით მივედით სადგურის მოედანზე, ნიკომ ხელი გამიყარა და მთხოვა შევსულიყავით სარდაფში, რომელიც მისი ნახატებით იყო დამშვენებული.

— ქვემოთ ნახავთ ჩემს რამდენიმე კარგ ნახატს, — მითხრა ნიკომ.

მე ვუსურვე ნიკოს ჯანმრთელობა და წარმატებები, მერე კი ნახატები დავათვალიერეთ: „დღეობა ბოლნის-ხაჩში“; „ქეიფი მტკვარზე ღამით“ და სხვები, მე უკვე წამოსასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ ნიკომ ხელი ჩამკიდა მკლავში და დაუვიწყარი საცოდავი ხმით თქვა: „ნუ მიმატოვებ, ნუ წახვალ მეგობარო, მე მინდა შენთან ერთად ვიყო, თქვენთან ერთად, ხელოვნების ხალხთან“. მერე ერთხანს იყუჩა და მითხრა: „არა, გვიანია, ნახვამდის, ძვირფასო!“

კიბემდე გამომაცილა და, სანამ მე აღელვებული და მოწყენილი მძიმედ ავდიოდი კიბეზე, ის მიყურებდა გაბრწყინებული და ცრემლმორეული თვალებით. ნახევრად ჩაბნელებულ სარდაფში მისი გაცისკროვნებული სახე ახლაც კი თვალწინ მიდგას...“

როგორც ეტყობა ფიროსმანი შემდეგ მაინც მისულა მხატვართა საზოგადოების პირველ შეკრებაზე. მიხეილ ჭიაურელი იხსენებს:

„აგიწერთ ნიკოს გარეგნობას. იგი დიდებული იყო. სწორ ოვალურ სახეს დიდრონი, შავი თვალები ანათებდა. ისინი გულკეთილობისა და სინაზის შუქს ასხივებდნენ. მისი სახე წვერითა და გადავარცხნილი შავი თმებით გვაგონებდა ქართულ ფრესკას. ფიროსმანი არაჩვეულებრივი იყო და ამავე დროს მორიდებული...

სხდომის დასაწყისში საზეიმო განწყობა სუფევდა დარბაზში — საქართველოს მხატვრები პირველად გაერთიანდნენ კავშირში.

შემდეგ ერთ-ერთმა ორატორმა ახალგაზრდული გზნებით გააანალიზა ფიროსმანაშვილის შემოქმედება, აქო საქართველო, რომლის მიწაზეც დაიბადა ეს არაჩვეულებრივი მხატვარი...

მეორემ სულ სხვაგვარად ილაპარაკა, მაგრამ არ ღირს გამეორება იმისა, რაც დრომ დიდიხანია უარყო. ნიკომ გასაოცარი თავშეკავება გამოიჩინა, მშვიდად იყო, სახეზე ერთი კუნთიც არ შეტოკებია.

სხდომის დასასრულს სიტყვა ნიკოს მიეცა, მან თქვა:

„აი, რა გვჭირდება ჩვენ, ძმებო! ქალაქის შუაგულში, ყველასათვის ახლოს რომ იყოს, უნდა ავაშენოთ დიდი ხის სახლი, სადაც შეგვეძლება შევიკრიბნეთ ხოლმე; ვიყიდოთ დიდი მაგიდა, დიდი „სამოვარი“, დავლიოთ ჩაი, ბევრი დავლიოთ. ვისაუბროთ მხატვრობაზე, ხელოვნებაზე. თქვენ ეს არ გინდათ, თქვენ სხვა რაღაზაცე ლაპარაკობთ“, — დაამთავრა მან წყნარად და ნაღვლიანად.

კავშირის სხდომაზე ფიროსმანი აღარასოდეს მოსულა.

შენ თუ საქართველოს სტუმარი ხარ, გაიხსენე ფიროსმანი. ზოგს შეიძლება მოგეწონოთ, ზოგს არ მოგეწონოთ, ზოგი კი შეიძლება გულგრილიც დარჩეთ მისი ხელოვნებისადმი. მაგრამ შეუძლებელია, უბრალო ქართველი კაცი იგრძნოთ ისე, თუ არ იცნობთ ამ „ხალხიდან გამოსულ მხატვარს“. ფიროსმანს არ სურდა კერპი ყოფილიყო, ადამიანები უყვარდა და უნდოდა თვითონაც ადამიანთა შორის ყოფილიყო დიდ ხის სახლში, სადაც „სამოვარი“ და ჩაი ექნებოდათ და თავისუფლად ისაუბრებდნენ ხელოვნებაზე.

ახლა ფიროსმანის ნახატები ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში, ლენინგრადის სახელმწიფო რუსული ხელოვნების მუზეუმსა და აგრეთვე ბევრ კერძო კოლექციაში.

ხალხის, თავისი ქვეყნისა და ერის სიყვარულისათვის მისი სამშობლოს კეთილმა ადამიანებმა, სიყვარულივე მიაგეს მხატვარს. ჯერ კიდევ 1912 წელს ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფი და აგრეთვე ლიტერატურული ჯგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის „ცისფერყანწელების“ წევრები ყოველნაირად ცდილობდნენ მხარი დაეჭირათ ნიკოსთვის. ფიროსმანის სიკვდილის შემდეგ მისმა მეგობრებმა ვიღაც ვაჭრისაგან 150 თუმნიან (ოქროთი) შეისყიდეს ნახატები. ფული, რა თქმა უნდა, ისესხეს, და როგორც კირილე ზდანევიჩი გადმოგვცემს, „ჩვენ დიდიხნით ყელამდე ჩავსხედით ვალებში“.

მხატვრის დიდ პატივისცემაზე ლაპარაკობს პოეტ ტიციან ტაბიძის მეუღლის ნინო ტაბიძის მოგონებათა ეს ნაწყვეტი, მხატვრის სიკვდილის შემდგომ პერიოდს რომ ეხება:

„ერთ საღამოს პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, გიორგი ლეონიძე, ტიციანი, კირილე ზდანევიჩი და მე ფიროსმანის ნახატების საძებნელად წავედით რკინიგზის სადგურის რაიონში. ერთ-ერთ სასადილოს ღია კარში ტროტუარიდანვე შეგეძლოთ დაგენახათ ფიროსმანის ნახატები. შევედით შიგ — სავსეა ხალხით, ძირითადად რკინიგზელები არიან, რომლებიც აქ სამუშაოს შემდეგ ისვენებდნენ. მეპატრონემ იცნო პოეტები, მაგიდა და სკამები ფიროსმანის ნახატის წინ დაგვიდგა. ყველანი დავსხედით. ეს იყო შოთა რუსთაველის დიდებული სურათი.

ბევრი მუშა წამოდგა სუფრიდან, მოვიდა პოეტებთან, რომ გამოლაპარაკებოდა, ხელი ჩამოერთმია — ყველანი იცნობდნენ პოეტებს და უყვარდათ.

პაოლომ და ტიციანმა მათთვის დამახასიათებელი უბრალოებით დაიწყეს იმპროვიზებული ლექსის საღამო. მიმართავდნენ რუსთველის სურათს. სასადილოს სტუმრები დაძაბულნი უსმენდნენ პოეტებს.

ლექსი ლექსს მოსდევდა. ისმოდა მხიარული შეძახილები და ტაში.

აღელვებულმა მასპინძელმა, პოეზიის დამფასებელმა კედლიდან ჩამოხსნა შოთა რუსთველის სურათი და მე მაჩუქა. მაგრამ სასადილოს ბევრმა მუდმივმა სტუმარმა პროტესტი გამოთქვა: „ნიკო ცოცხალი აღარაა, ვინ დაგვიხატავს ასეთ სურათს? ჩვენ გვიყვარს რუსთაველი!“ ისევ წამოდგა პაოლო იაშვილი, გაისმა მისი დიდებული ხმა, გადმოიღვარა რუსთველის უკვდავი სტრიქონები. ყველა გაისუსა — ყოველთვის ვერ მოუსმენდი პაოლოს.

უბრალო დუქანი ტაძრად გადაიქცა, სადაც გამეფებულიყო პოეზია და სიყვარული...

ყველანი აღელვებულნი და მხიარულნი ართმევდნენ პოეტებს ხელს, ყველაზე ძალიან გულაჩვილებულნი კი ჰკოცნიდნენ მეგობრებს. კიდევ ერთხელ საზეიმოდ გადმომცეს სურათი და გამოაცილეს პოეტები, ამ უჩვეულო საღამოსათვის მადლობას უხდიდნენ. იმ დღიდან შოთა რუსთველის სურათი ტიციანს მაგიდასთან ეკიდა. მაგრამ 1937 წელს იგი უკვალოდ გაქრა“.

4. ქ ა რ თ უ ლ  ს უ ფ რ ა ს თ ა ნ.

— გთხოვთ, ჩაის სახლში წამობრძანდეთ დღეს, — გვეუბნება მორის ფოცხიშვილი, ცნობილი ქართველი პოეტი. მოსკოველმა პოეტმა ვლადიმერ ლუგოვოიმ, იმ დროს თბილისში რომ იმყოფებოდა, მორისი სასიმღერო ლექსების ავტორად გაგვაცნო, ვის მიერ შექმნილ ტექსტებზეც მრავალი სიმღერა ჟღერებულა.

„ჩაის სახლი“ — ეს გახლავთ თანამედროვე სტილის შენობა, სადაც მხოლოდ ქართული ჩაის საუკეთესო თვისებების ამსახველი რეკლამები არაა მოთავსებული, ამალამ აქ დასვენების საღამო აქვთ კომკავშირელებს. ლამაზი ქალიშვილები გვთავაზობენ სხვადასხვა ფერისა და გემოს ჩაის. დასვენების საღამოც ამას ჰქვია! ვსხედვართ და ცხელცხელ ჯადოსნურ სასმელს შევექცევით. თავაზიანად ვუკრავ თავს და ქართველი კომკავშირელების ტაშის გრიალში სიმონ ჩიქოვანის ლექსს ვკითხულობ ფიროსმანზე, ოიარ ვაციეტმა რომ თარგმნა ლატვიურად. მორისი მანიშნებს, ბევრის წაკითხვა არაა საჭირო. — ძალიან გრძელია, აქაურებს, რაც უნდა სტუმართმოყვარენი იყვნენ, როცა არ ესმით ტექსტი, ინტერესი დაეკარგებათო. მეც სადღაც, უადგილო ადგილას გავწყვიტე კითხვა და კინაღამ სირცხვილისაგან დავიწვი. თავი იმითღა ვინუგეშე რომ ამას ჩემს მეტი აქ ვერავინ გაიგებდა. კითხვა დავამთავრე თუ არა, ყველამ შვებით ამოისუნთქა.

რა უცნაურია ქართული ხასიათი! დარბაზი ამ, წუთში თითქმის გასუსული იყო, როგორც ჩვენთან მესამე ჭიქამდე არის ხოლმე. და აი, მხიარულებამ უკვე გადმოხეთქა. სადაა ის წერტილი, საიდანაც გარდატეხა იწყება? იმ ღამეს კონიაკი არ გვქონია, მხოლოდ შამპანური და, ჩაი, ეს სასწაულმოქმედი წამალი. ნუთუ ჩაი ახდენს ამოფრქვევას? ან იქნებ რაღაც თანდაყოლილი ინსტიქტი აჩქარებს სისხლს? არაგვიც ასეთივე გახლავთ, ჯერ მდორედ, ქანცგამოლეული მოედინება მთებში, მერე უცებ გაჭირვეულდება, აუღფდება და თეთრ ქაფში გაეხვევა.

ვიღაც თმახუჭუჭა ბიჭმა უკვე გაიძრო პიჯაკი, ხელები ფრთებივით გაშალა და დარბაზის ტაქტიან ტაშზე ციბრუტივით დატრიალდა. ხელის გაშლა ჩვენც მოგვიწია, მორიდებულ ლატვიელებს.

და უცებ რაღაც მაგიური ძალა წყვეტს მხიარულებას. ჯერ მხოლოდ ცხრა საათია და ჩაის სახლის სტუმრები კი შინისაკენ წასასვლელად ემზადებიან. ასე უცებ რად დამთავრდა-მეთქი ეს საღამო-შეკრება, ვეკითხები მორისს.

---

ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ
ᲘᲐᲜ ᲙᲔᲢᲔᲠᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი საათის შემდეგ ვახშამი იწყება ოჯახში, — ისმის პასუხად.

დიახ, ოჯახურ ტრადიციას მკაცრად იცავენ საქართველოში. არა, ეს არ ხდება რაღაც იძულების გამო. ოჯახი — ეს საქართველოს საწყისია. სუფრა საოჯახო ზეიმისათვის ჩვეულებრივ მდიდრულადაა გაშლილი ქალაქადაც და სოფლადაც, დაახლოებით აი ისე, ჩვენთან ქორწილი რომ იციან კურზემესა თუ ლატგალეში. სადღეგრძელოების გარეშე საერთოდ არაფერი ხდება. საქართველოში უხსოვარი დროიდან მომდინარეობს სუფრის დიდი ხელოვნება, სადაც თავისი ადგილი სადღეგრძელოსა და თამადას — წვეულების ხელმძღვანელს, სადღეგრძელოების მთქმელს უკავია. ქართულ ოჯახში ყველაზე პატივსაცემია სტუმარი. სტუმარს — ყველაზე საუკეთესო ადგილი სუფრაზე, სტუმარს — მუდმივი ყურადღება და საუკეთესო სურვილები!

რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში სადღეგრძელოები უფრო დაკონკრეტებული და საქმიანი გამხდარა. ახალგაზრდა თაობა, როგორც ყველგან, აქაც რაციონალურია, თუმცა წინაპართა ადათ-წესების უარყოფა არ სურს. ამიტომაა, რომ ახალ რიტმებში ახალი საკრავებით აჟღერებულ მათ საესტრადო სიმღერებს შენარჩუნებული აქვს ეროვნული კოლორიტი და თანამედროვედ ჩაცმული მათი ახალგაზრდობაც მოკრძალებით ეპყრობა მამა-პაპათა ტრადიციებს. თუ ეს ტრადიცია ბოლოს ზედმეტობაში გადაიზრდება და დოგმად იქცევა, ქართველებმა თვითონვე იციან მისი უკუგდება.

არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, რომ სამხრეთელების ყურადღებით მოპყრობა მომაბეზრებელიც კია, შეიძლება, ეს თითოეული ჩვენგანის ხასიათზეა დამოკიდებული, მე უკვე გითხარით, რომ საქართველოში იღბალი მქონია. ჩემი მეგობრები თავიანთი ადათწესების პატივისცემასაც მოითხოვდნენ და თანაც საესებით დემოკრატები იყვნენ, კაცს არ აიძულებდნენ იმის ნახვას, რაც მას ნაკლებად აინტერესებს და არც სასმისის გამოცლას დააძალებდნენ.

ქართულ სუფრასთან ჯდომა ყოველთვის საინტერესოა. სადღეგრძელოები საზეიმოცაა და გონებამახვილურიც. დათრობისათვის დროც კი აღარ გრჩებათ.

საქართველოდან ჩამოტანილი საჩუქრები ძვირი არაა, ფულით თუ შევაფასებთ, მაგრამ იმ ნათელი წუთების მოსაგონებლად სამუდამოდ დამრჩება კობა გურულის ჭედურობა სპილენძის ფირფიტაზე, არჩილ სულაკაურის ნაჩუქარი კერამიკა, მორის ფოცხიშვილის კეთილი სურვილებით გალიცლიცებული მოუჭიქავი თიხის ფიალა და ძმების ოთახი და თამაზ ჭილაძეების თვლიანი ბეჭედი.

არასოდეს დამავიწყდება საპატიო სადღეგრძელო ქალი-დედისა, ქართვლის დედისა, თავისუფლების დედისა. ჩემი მეგობრები იქ, კავკასიის მთების გადაღმა არამარტო თავიანთ დედის, თავიანთ სამშობლოსა და თავისუფლებისათვის სწევენ მაღლა ყანწს, ამასვე უსურვებენ ყველას ამ ქვეყანაზე. და როცა მომიწევს სამაგიერო სადღეგრძელოს თქმა, როცა მეტყვიან: „ა ლ ა ვ ე რ დ ი  ს ტ უ მ ა რ ს“, მეც ამას ვუსურვებ.

ლატვიურიდან თარგმნა
უშანგ ᲡᲐᲚᲗᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

# საუბარი ბულატ ოკუჯავასთან

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ბულატ ოკუჯავა ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე უფრო აღიარებული საბჭოთა პოეტი და რომანისტია. მისი, როგორც „ბარდის“ ანუ „მენესტრელის“ ე. ი. პოეტის, რომელიც მუსიკალური აკომპანიმენტის თანხლებით თვითონვე ასრულებს თავის საკუთარ ლექსებს, პოპულარობა განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებს შორის. პირადად მე არაერთხელ გავმხდარვარ ამ არაჩვეულებრივი პოპულარობის მოწმე, რადგან ბულატთან ერთად მიმოგზაურია საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქალაქებში და მონაწილეობა მიმიღია იქ გამართულ ლიტერატურულ შეხვედრებსა და დისპუტებში. უფრო მეტიც — ბულატ ოკუჯავასთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს, რაც ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ თვითონ დაადასტურა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული ლექსების წიგნით, სადაც ერთ-ერთ ბრწყინვალე ლექსს — „ყურძნის წიპწას თბილ მიწაში ჩავფლავ...“ „Виноградную косточку в теплую землю зарою...“ — ჩემდამი მიძღვნა აქვს წამძღვარებული...

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის დავალებით მე შევხვდი ბულატ ოკუჯავას და ვესაუბრე. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს:

**მ. ქვლივიძე** — საქართველოში ბულატ ოკუჯავას კარგად იცნობენ, მაგრამ დრო მიდის, თაობები იცვლებიან და სულ ახალგაზრდებმა ნაკლებად იციან თქვენი ცხოვრების ავან-ჩავანი. ვინ ხართ და რა ხართ?

**ბ. ოკუჯავა** — დავიბადე მოსკოვში 1924 წლის 9 მაისს... მაშინ, ცხადია, არც მე, არც ჩემმა მშობლებმა არ ვიცოდით, რომ ეს დღე—გამარჯვების დღე!— ასეთი ბედნიერი თარიღი გახდებოდა მთელი საბჭოთა ხალხისთვის... მამაჩემი და დედაჩემი პარტიული მუშაკები იყვნენ. 1937 წელს მამა დაიღუპა. სამამულო ომის დაწყებისთანავე ევაკუაციით თბილისში აღმოვჩნდით. 17 წლის ასაკში — მაშინ თბილისის რუსული საშუალო სკოლის მეცხრე კლასში ვსწავლობდი, — მოხალისედ წავედი ფრონტზე. რიგითი ჯარისკაცი ვიყავი. დამჭრეს. თბილისში რომ დავბრუნდი, სწავლა უნივერსიტეტში განვაგრძე, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დავამთავრე. მერე კალუგის ოლქში აღმოვჩნდი: სოფლის საშუალო სკოლაში ვმასწავლებლობდი, რუსულ ენას ვასწავლიდი, საოლქო გაზეთის კორესპონდენტად ვმუშაობდი. ასე გავიდა რამდენიმე წელი... შემდეგ მოსკოვში დაბრუნების საშუალება მომეცა, სადაც დავ-

ეროვნული

სახლდი და დავოჯახდი. ვმუშაობდი გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია“-ში და „ლიტერატურნაია გაზეტა“-ში... 1962 წლიდან სამსახურს თავი დავანებე და მას შემდეგ ვზივარ სახლში და ვწერ. თუმცა „ვზივარ სახლში“ — ეს გამოთქმა არ არის სწორი: ბევრს ვმოგზაურობ, თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი მოვლილი მაქვს, არაერთხელ ვყოფილვარ უცხოეთშიც... 1961 წლიდან მწერალთა კავშირის წევრი ვარ.

**მ. ქვლივიძე** — ქართული თუ იცი?

**ბ. ოკუჯავა** — არა. მამაჩემი, ბიძები, ბიცოლები — ყველანი, ცხადია, ქართულად მეტყველებდნენ, დედამაც კი იცოდა ცოტა ქართული, მაგრამ არეული დრო იყო, ჩემთვის არავის ეცალა. ბავშვობაში მეც არ მიჭირდა ქართულად ლაპარაკი, მაგრამ რუსულ სკოლაში ვსწავლობდი, მერე ფრონტზე მოვხვდი, ასე რომ თანდათან გადამავიწყდა ჩემი წინაპრების ენა და მთლიანად რუსულ კულტურას ვეზიარე...

**მ. ქვლივიძე** — რატომ მღერი შენ საკუთარ ლექსებს? განა მათი წაკითხვა არ კმარა მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად?

**ბ. ოკუჯავა** — მკითხველი თუ მსმენელი მე არ მაინტერესებს. უბრალოდ, ბავშვობიდანვე ფოლკლორით ვიყავ გატაცებული. მიყვარდა ხალხური ლექსები (უფრო სწორად — სიმღერები!): რუსული, ქართული, სომხური, თათრული... ტექსტის დაღიღინება უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა, მელოდია თითქოს უფრო ღრმად განმაცდევინებდა სიტყვის აზრსა და მნიშვნელობას... ვწერდი ლექსებს და ვიყავი ჩემთვის. მაგრამ ერთხელ მოთხოვნილება გამიჩნდა, ჩემი საკუთარი ლექსები მემღერა, გიტარა ავიღე, გამოუცდელი ხელი სიმებს ჩამოვკარი და თავისთავად მელოდიაც გაჩნდა — ტექსტის შესატყვისი მუსიკა... ასე „შეიქმნა“ ეს ჟანრი, რომელიც პირადად მე სიამოვნებას მგვრის.

**მ. ქვლივიძე** — ქართულ პოეზიაზე რას იტყვი?

**ბ. ოკუჯავა** — აბა რა ვთქვა, როცა ქართული ენა არ ვიცი?! მაგრამ მე-19-ე საუკუნის ქართველი პოეტების ლექსებს რომ ვისმენ ხოლმე, მე ვგრძნობ მათ კავშირს ფოლკლორთან, ქართულ ხალხურ სიმღერებთან, რუსთაველის ტრადიციასთან და ეს ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. თუ როგორ ჟღერს თანამედროვე ქართული ლექსი, — თარგმანის მიხედვით ამის თქმა ძნელია.

**მ. ქვლივიძე** — შენ თვითონ როგორი პოეზია მოგწონს?

**ბ. ოკუჯავა** — მე ყოველთვის ტრადიციული ფორმების მომხრე ვიყავი პოეზიაში. მიყვარს კანონიკური ლექსი: რიტმი, რითმა, რეფრენი... ე. წ. „მოდერნი“ — ჩემთვის უცხო ხილია. მე, რასაკვირველია, მას არ ვუარყოფ, მაგრამ არ ვესიმპათიურები. არც სიმბოლიზმი მომწონს. მოკლედ რომ ვთქვა, ძველმოდური კაცი ვარ! რომანტიკულ პოზიციებზე ვიდექი და ვდგავარ. რომანტიკული პოეზია მიყვარს — მიწიერ რეალიებთან, სინამდვილესთან დაკავშირებული და მაინც ამაღლებული! თუმცა მკვეთრი საზღვრის გავლება რომანტიკულ და რეალისტურ ან სიმბოლისტურ პოეზიას შორის ძნელია: ასეთ დანაწევრებას მხოლოდ საშუალო სკოლებში ასწავლიან. ალბათ ამიტომ ჩემში თანაბარ გამოძახილს ჰპოვებდა პასტერნაკის ყოფითი დეტალების პოეზიაცა და ადრინდელი ზაბოლოცკის პარადოქსალი აზროვნებით განმსჭვალული ლექსიც....

**მ. ქვლივიძე** — რამ განაპირობა ის, რომ პოეზიას ერთგვარად „უღალატე“ და თითქმის მთლიანად პროზაზე გადახვედი?

**ბ. ოკუჯავა** — პროზაზე ალბათ იმიტომ გადავედი, რომ პოეზიაში (ასე იყო ნამდვილად თუ მომეჩვენა) ჩემი თავის გამოხატვის უნარი დავკარგე. უფრო სწორედ — ის, რასაც ვაკეთებდი, აღარ მაკმაყოფილებდა. ამიტომაც ვცა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სხვა ხერხით გამომეხატა ჩემი თავი. თუმცა პროზითაც მე არსებითად იგივეს ვწერ, რასაც ლექსად გამოვთქვამდი. ეს ასეა საერთოდ: ყველა ერთის მხატვრის წინაშე მხოლოდ ერთი ამოცანაა — საკუთარი „მეობის" გამოხატვა, თუ ეს ბევრს აღელვებს, მაშინ დიდ ხელოვანთან გვაქვს საქმე, თუ არა და... რას იზამ, საკუთარ თავს ვერ გადაახტები. იმაზე მეტი, რაც ხარ, ვერ გამოჩნდები! ჩემთვის ერთი საზომი არსებობს. არის ნაწარმოები, რომელსაც კითხულობ და მისი გმირების ხვედრს განიცდი: წუხხარ, ღელავ, სტირი, იცინი — ერთი სული გაქვს, სანამ კითხვას დაამთავრებ და გაიგებ: ვის რა მოუვიდა, ვინ მოკვდა, ვინ გადარჩა, რა ბედს ეწია რომანის ესა თუ ის მოქმედი პირი... მაგრამ არის ნაწარმოები, რომლის კითხვისას მის პერსონაჟებზე კი არა, შენ საკუთარ თავზე ფქრობ და სწუხარ, შენ საკუთარ ხვედრს უფიქრდები. სწორედ ესაა დიდი ნაწარმოები, დიდი ხელოვნება.

**მ. ქვლივიძე** — გალაკტიონი? შენ მგონი მას ენათესავები?

**ბ. ოკუჯავა** — გალაკტიონის მეუღლე ოლღა ოკუჯავა — მამაჩემის უფროსი და, ჩემი მამიდა იყო... მე ადრეც მითქვამს ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ გალაკტიონი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პოეტია. სამწუხაროდ, მას ცუდად თარგმნიდნენ. ბოჰემური სულისკვეთების კაცი იყო და ამისთვის არ ეცალა, სხვები კი, ვისაც ეს საქმე ევალებოდა ქვეყნის და ხალხის წინაშე, ამისთვის ვერ იცლიდნენ და ამიტომ მისი მემკვიდრეობა დღემდე უცნობია სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებისთვის. შენ ალბათ იკითხავ: რის საფუძველზე ვამბობ ასე, როცა ქართული ენა არ ვიცი? მაგრამ მე ხომ პროფესიონალი ვარ და წამიკითხავს გალაკტიონის ლექსების კარგი პწკარედები, თანაც ყურთასმენა არ მაკლია და ისიც ვიცი, როგორ ჟღერს ეს ლექსები ქართულად... ჰოდა, მათ რომ ვისმენ, ისეთი გრძნობა მიპყრობს, თითქოს, წელან გითხარი მე-19-ე საუკუნის პოეტების შესახებ, ქართული ფოლკლორის, ქართული ხალხური სიმღერის, რუსთაველის შაირის მელოდიის გამოძახილს ვუსმენდე.

**მ. ქვლივიძე** — რაში გამოიხატება შენი კავშირი საქართველოსთან? როგორ გრძნობ შენს „ქართველობას?"

**ბ. ოკუჯავა** — ჩემი კავშირი საქართველოსთან თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველთვის დიდი ხალისითა და ინტერესით ვთარგმნიდი და ვთარგმნი ქართველი პოეტების ლექსებს. ჩემს ნაწარმოებებშიც აისახა საქართველო, კერძოდ ძველი თბილისი (მხედველობაში მაქვს ცალკეული ლექსები და რომანი „დილეტანტების მოგზაურობა")... რაც შეეხება ჩემს „ქართველობას", მე სამწუხაროდ ძლიერ მოწყვეტილი ვიყავი ქართულ ენას და კულტურას და თუმცა თბილისში ვცხოვრობდი, მაინც რუსული სკოლა დავამთავრე, უნივერსიტეტშიც რუსულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი და, ბუნებრივია, რუსულად ვაზროვნებდი და ვლაპარაკობდი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული სამყარო ჩემთვის უცხო იყო. არა, მე მას მშობლიურ სამყაროდ აღვიქვამდი, მაგრამ ამ აღქმის სიტყვიერი და აზრობრივი გამოხატვა რუსულად ხდებოდა. ადრე ამაზე არ დავფიქრებულვარ, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრად ვგრძნობ ჩემში ქართული სისხლის დუღილს, ქართული ტემპერამენტის ბორგვას და ჩემი ქართველობა სულ უფრო მეტად მაღელვებს და მეამაყება... ეს იმას ჰგავს, როცა რუს ბავშვს შეეკითხებიან: „გიყვარს პუშკინი?" ის რასაკვირველია უპასუხებს: „მიყვარსო", მაგრამ ეს პასუხი წმინდა მექანიკურია, ადრე მეც ასე ვამბობდი: „საქართველო მიყვარს-მეთქი", მაგრამ ამ სიტყვებს არ ვუფიქრდებოდი, ამ სიტყვებში მოქცეულ აზრსა თუ გრძნობას არ განვიცდიდი ისე, როგორც ახლა, როცა ასაკში შევედი და ვავიგე — ვინ ვარ და რა ვარ...

**მ. ქვლივიძე** — შენი ცხოვრებისეული „კრედო"?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ბ. ოკუჯავა** — საკუთარი კეთილდღეობა არასოდეს არ უნდა აშენდეს სხვისი კეთილდღეობის ხარჯზე.

**მ. ქვლივიძე** — შენი ყველაზე საყვარელი ნაწარმოები?

**ბ. ოკუჯავა** — ბოლო დროს დაწერილი ლექსი ან რომანი. თუმცა ამ „სიყვარულის“ ერთგული დიდხანს არ ვრჩები.

**მ. ქვლივიძე** — დამისახელე შენი საყვარელი მწერლები.

**ბ. ოკუჯავა** — „საყვარელი მწერლები“ კი არა, მასწავლებლები. ესენი არიან: პოეზიაში — პუშკინი, პასტერნაკი, ახმატოვა. პროზაში — პუშკინი, ლ. ტოლსტოი, ჰოფმანი.

**მ. ქვლივიძე** — რას იტყვი ქართულ სუფრაზე?

**ბ. ოკუჯავა** — მომწონს ქართული სუფრა, რადგან იგი ქართული ხელოვნების თავისებური გამოვლინებაა. ქართულ სუფრაზე მარტო საჭმელად და სასმელად არ იკრიბებიან. ხელოვნება აქ კერძების მომზადებაშიც მჟღავნდება, სიტყვა-პასუხშიც, იმ გასაოცარ სიმღერებშიც, ქართულ სუფრას რომ ამკობენ, და ბოლოს — თამადის მჭევრმეტყველებაც ხომ ხელოვნებაა!.. მართალია, ყველა სუფრა ხელოვნების დონეზე არ დგას, ზოგჯერ იგი ღრეობად იქცევა და მაშინ... ასეთ სუფრაზე ყოფნას არ ვისურვებდი. ძირითადად კი ტრადიციული ქართული სუფრა — ადამიანთა ურთიერთობის, მათი დაახლოების ასპარეზია და ეს ტრადიცია მკვეთრად განსხვავდება სხვა ხალხების, თუნდაც რუსი ხალხის ტრადიციისგან, რომელიც სუფრას წმინდა უტილიტარული თვალსაზრისით აღიქვამს.

**მ. ქვლივიძე** — ძველი ქართული ტრადიციებიდან რომელი უფრო მოგწონს?

**ბ. ოკუჯავა** — სტუმართმოყვარეობა, როგორც ადამიანის ლამაზი მოთხოვნილება მოყვასის სიამოვნებას შესწიროს თავისი ოჯახური სიმშვიდე, მატერიალური დოვლათი და რაც მთავარია, დრო, რომლის ნაკლებობას ყველა ჩვენგანი განიცდის.

**მ. ქვლივიძე** — ჭაბუა ამირეჯიბზე და „დათა თუთაშხია“-ზე რას იტყოდი?

**ბ. ოკუჯავა** — ჭაბუა ამირეჯიბი დიდი მწერალია, უფრო მეტიც — იგი მოვლენაა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. „დათა თუთაშხია“ კლასიკური ნაწარმოებია და ყოველგვარი ქების ღირსია, თუმცა მე პირადად, როგორც პროფესიონალს, იგი ოდნავ გაჭიანურებული მეჩვენება. ვუთხარი კიდეც ამის შესახებ ავტორს, მაგრამ არ დამეთანხმა... ეტყობა ეს იმით აიხსნება, რომ მე ბულატ ოკუჯავა ვარ, ის კი — ჭაბუა ამირეჯიბია და თავისი საქმე ჩემზე უკეთ იცის. ერთი სიტყვით, ჩემი აზრით, „დათა“ უაღრესად კეთილშობილი, რომანტიკული სულით გაჟღენთილი ნაწარმოებია.

**მ. ქვლივიძე** — მწერლობის გარდა, რითი ხარ გატაცებული?

**ბ. ოკუჯავა** — ჩემი „ჰობი“ გაინტერესებს? მანქანის ტარება მიყვარს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს დამოუკიდებლობის თავისებური ილუზიაა, გარდა ამისა, ჩემი ლიტერატურული მუშაობა (ისტორიული რომანის წერა) ჩემს გამუდმებულ გადაადგილებას მოითხოვს და მანქანა ამ შემთხვევაში უებარი საშუალებაა. რუსეთის ძველ ქალქებში დავდივარ, ვათვალიერებ ისტორიულ ძეგლებს, ვაგროვებ მასალებს...

**მ. ქვლივიძე** — მაშ, მწერლობა, შენი თქმით, „საკუთარი თავის, საკუთარი მეობის გამოხატვაა?“ თუ მიგაჩნია, რომ შენს ლექსებსა და რომანებში სრულად გამოხატე შენი მეობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბ. ოკუჯავა** — სიმართლე გითხრა, არა. ყოველთვის ვოცნებობდი მუსიკოსად დავბადებულიყავი. ჩემი ერთადერთი სურვილი იყო — მუსიკის საშუალებით გამომეხატა ყოველივე, რასაც ვფიქრობ და განვიცდი. სამწუხაროდ, ნოტები არ ვიცი, მგონი არც სმენა მაქვს შესატყვისი, თორემ, ვინ იცის, — დიდი ხანია მწერლობას თავს გავანებებდი და კომპოზიტორი კავხდებოდი!

**მ. ქვლივიძე** — თბილისის „დინამოზე“ რას ფიქრობ?

**ბ. ოკუჯავა** — თბილისის „დინამო“ ამჟამად ყველაზე საინტერესო გუნდია საბჭოთა გუნდებს შორის. იგი თამაშობს საზრიანად, ლამაზად, სწორედ რომ „თამაშობს“, რადგან ფეხბურთი თ ა მ ა შ ი ა და არა ომი, რომლის მოგებისათვის არავითარი ხერხი და საშუალება დასაძრახი არ არის (თუმცა, ომშიაც, როგორც მოგეხსენება, ქიმიურ საშუალებებს და ბაქტერიოლოგიურ იარაღს არ იყენებენ). მე საერთოდ კარგი, ლამაზი თამაში მიყვარს და არა უბრალოდ გოლის გატანა.

რაც შეეხება ჩემს „ბალელშჩიკობას“ უნდა გამოვტყდე, რომ თავიდანვე მოსკოვის „სპარტაკის“ გულშემატკივარი ვიყავი და ამ სიბერის ჟამს ძველ სიყვარულს ვერ ვუღალატებ. მაპატიონ ეს „ცოდვა“ ქართველებმა.

**მ. ქვლივიძე** — თუ გინახავს თბილისის ახლად აღდგენილი ძველი უბნები? რა აზრისა ხარ საერთოდ თბილისზე, როგორც ქალაქზე?

**ბ. ოკუჯავა** — მე მიყვარს თბილისი, როგორც ჩემი მშობლიური ქალაქი და ეს უფრო მეტია, ვიდრე აზრი ან შეხედულება. რა აზრისაა შვილი დედაზე — გაგონილა ასეთი შეკითხვა? აღტაცებული ვარ ძველი უბნების რეკონსტრუქციით, მაგრამ ამ საქმისათვის ადრე რომ მიგვეხედა, უკეთესი იქნებოდა — კიდევ ბევრი რამ გადაურჩებოდა დაღუპვას.

**მ. ქვლივიძე** — შენ, მგონი, შურა ციბულევსკის იცნობდი?

**ბ. ოკუჯავა** — ჩემი მეგობარი იყო, უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით. შურამ პირველად მაზიარა ნამდვილ, სერიოზულ პოეზიას და მის ამაგს მე არასდროს დავივიწყებ. ეს იყო ნამდვილად ინტელიგენტი კაცი, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით. არც ერთი თბილისელი არ მეგულება, ისე ჰყვარებოდეს თბილისი, როგორც შურას უყვარდა.

მისი ლექსები და პროზა, ყველაფერი, რისი გაკეთებაც მოასწრო, მის ხაზოვან ნიჭიერებაზე მოწმობს, და რომ დასცლოდა, დარწმუნებული ვარ სიტყვის ოსტატი გახდებოდა... შურა ციბულევსკი უკეთილშობილესი პიროვნებაც იყო, სანიმუშო მოქალაქე და ადამიანი.

**მ. ქვლივიძე** — ტრადიციული შეკითხვა: რაზე მუშაობ ახლა?

**ბ. ოკუჯავა** — ჩემ მეოთხე ისტორიულ რომანს ვამთავრებ, რომლის მოქმედება 1795 წელს იწყება და 1826 წელს მთავრდება. მისი სახელწოდებაა „პაემანი ბონაპარტთან“, ალბათ ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ში დაიბეჭდება.

**მ. ქვლივიძე**—გმადლობთ საუბრისათვის... გმადლობ კიდევ იმისთვის, რომ შენი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ყურძნის წიპწას თბილ მიწაში ჩავფლავ...“, რომელიც საქართველოს ეხება, მე მიძღვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკრის ქრონიკა

დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა სერგი ჭილაიას; საიუბილეო თარიღს, დაბადების 60 წლისთავს ზეიმობენ მურმან ლებანიძე და გიორგი ციციშვილი. თვალსაჩინოა ამ ცნობილ ქართველ მწერალთა ღვაწლი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, მათ მიერ განვლილი სამწერლო გზა აღსავსეა შემოქმედებითი გამარჯვებებით, მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობა წონასა და ფასს მატებს დღევანდელ ქართულ ლიტერატურას.

ამ თარიღებთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ მისალმებები გაუგზავნა იუბილარებს.

ჟურნალი „ცისკარი", მისი სარედაქციო კოლეგია და მრავალათასიანი მკითხველი სულით და გულით უერთდება ამ მისალმებებს, ულოცავს ჩვენს ძვირფას იუბილარებს, უსურვებს ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს, ჯანმრთელობასა და დიდხანს სამსახურს მშობლიური ქვეყნისა და მწერლობისათვის.

## სერგი ჭილაია — 70

ძვირფასო სერგი!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, შენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითა და სულით მოგესალმებიან ღვაწლმოსილ მწერალსა და მეცნიერს და მოგილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

ამ ნახევარი საუკუნის წინ გამოხვედი სამწერლო ასპარეზზე და მას შემდეგ ერთგულად ემსახურები მშობლიური ლიტერატურის წინსვლასა და აყვავებას, ერთნაირი წარმატებით იკვლევ კლასიკური და თანამედროვე ქართული ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს.

შენს გამოკვლევებს, წერილებსა და ნარკვევებს ახასიათებს სწორი მეთოდოლოგიური პოზიცია, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძვლიანი ცოდნა და საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის სახელმძღვანელო პრინციპების უნარიანი გამოყენება კონკრეტული ნიმუშების გარჩევა-კვალიფიცირებისდროს.

ფართო შემოქმედებითმა ინტერესმა და მშობლიური ლიტერატურის კარგმა ცოდნამ განაპირობა შენი, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსისა და კრიტიკოსის, მრავალმხრივობა. შენს ფუნდამენტურ გამოკვლევებში „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა" და „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები" სისტემატიზირებულია XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის ქართული მწერლობა, შესწავლილია უახლესი ქართული ლიტერატურის განვითარების გზა, მონოგრაფიულად განხილულია უახლესი ქართული მწერლობის კორიფეთა შემოქმედება.

მკითხველი საზოგადოებისა და სალიტერატურო კრიტიკის ცხოველი დაინტერესება გამოიწვია შენმა რომანებმა „ეკატერინე ჭავჭავაძემ", „მე და ჩემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა პროფესორმა“, „შვილებმა“. ეს რომანები თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე.

წლების მანძილზე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდი: სხვადასხვა დროს მუშაობდი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლულ მდივნად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგედ.

1951 წლიდან 1973 წლამდე არჩეული იყავი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად და დიდი წვლილი შეგქონდა ქართული მწერლობის პროპაგანდისა და წარმოჩინების კეთილშობილურ საქმეში.

როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი (1959-1975 წწ.), საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი (1960-1976 წწ.) მთელ ძალასა და ენერგიას მშობელი ხალხის გულალალ სამსახურს ახმარდი.

ამჟამად არჩეული ხარ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსა და საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობის წევრად და კვლავაც დაუღალავად იღწვი საზოგადოებრივ სარბიელზე.

შენი ღვაწლი ღირსეულადაა დაფასებული: დაჯილდოებული ხარ შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, 1973 წელს მოგენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ძმაო სერგი!

კიდევ ერთხელ — სულითა და გულით მოგილოცავთ სახელოვან იუბილეს, დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გისურვებთ.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.**

# მურმან ლებანიძე — 60

ძვირფასო მურმან!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, შენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ქართული პოეზიის ერთ-ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენელს და მოგილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს შენს ცხოვრებაში — დაბადების 60 წლისთავს.

აი, უკვე ოთხი ათეული წელია, რაც შენი თვითმყოფადი, ნატიფი და ვაჟკაცური პოეზია ეხმიანება ჩვენს მშფოთვარე ეპოქას, მშობელ ხალხს, მის ფიქრსა და მისწრაფებას. შენი პირველი ლექსი დიდი სამამულო ომის ქარიშხლიან წლებში გამოაქვეყნე. მას შემდეგ მრავალი შესანიშნავი პოეტური კრებულით გაახარე ლექსის ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი. შენი ლექსებისა და პოემების კრებულები. სრულიად სამართლიანად დამკვიდრდა ქართული საბჭოთა პოეზიის ოქროს ფონდში.

სიტყვასთან ჭიდილით, ბრძოლით, ძიებით დაადგინე და დაამკვიდრე ქართულ პოეზიაში საკუთარი ინტონაცია, საკუთარი ხმა და დღეს შენი ლექსის, შენი პოეზიის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია თანამედროვე ქართული პოეზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები; რომლებიც თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე, გულთბილად მიიღო საკავშირო მკითხველმა. შენს პოეზიას ინტერესით ეცნობიან ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი მკითხველებიც.

დიდსა და ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევი. ჩინებულად აამღერა ქართულად რედიარდ კიპლინგი და რობერტ ბერნსი, ძველეგვიპტური ლირიკისა და იაპონური პოეზიის, რუსული კლასიკური პოეზიის ნიმუშები ჟუკოვსკიდან ესენინამდე. ეს თარგმანები მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურისათვის.

უყურადღებოდ არც ნორჩი თაობა დაგიტოვებია. პატარების საყვარელ წიგნებად იქცა შენი საბავშვო ლექსებისა და პოემების კრებულები.

სამშობლოს ერთგული შვილი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევი. სადაც კი გიმუშავია, ყველგან ღირსეულად ატარებდი ქართველი მწერლის საპატიო სახელს. ამჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ხარ და მთელ შენს ძალასა და ენერგიას მშობლიური ლიტერატურის სამსახურს ახმარ.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ჩაიცვი ჯარისკაცის მაზარა და ბოლომდე ღირსეულად ატარე პოეტი-ჯარისკაცის, საბჭოთა მებრძოლის სახელი.

მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააფასა შენი დიდი ღვაწლი: დაჯილდოებული ხარ შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, მრავალი მედლით.

1973 წელს შენ სრულიად დამსახურებულად მოგენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

ძვირფასო მეგობარო!

კიდევ ერთხელ გულითადად მოგილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, დაე, არ დაგლეოდეს მშობელი ხალხის საგალობელი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

# გიორგი ციციშვილი — 60

ძვირფასო გიორგი!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან გამოჩენილ ქართველ მწერალს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს და მოგილოცავენ დაბადების 60 და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 30 წლისთავს.

თქვენი ღრმადშინაარსიანი ცხოვრება ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს მწერალი — კომუნისტი თავის სამშობლოს, თავის ერს.

ფართოა თქვენი შემოქმედებითი ინტერესების სფერო. ერთდროულად და ერთნაირი ძალმოსილებით ემსახურებით მეცნიერებასაც და სიტყვაკაზმულ მწერლობასაც.

ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა თქვენს მონოგრაფიებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ქართული მწერლობისა და ხელოვნების ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებს მიეძღვნა, როგორიც არიან შალვა დადიანი, სანდრო შანშიაშვილი, ჭოლა ლომთათიძე, ვასო გოძიაშვილი და სხვა. მონოგრაფიული გამოკვლევანი მიუძღვენით სხვა ერის ღირსეულ შვილებსაც (გერცელ ბაზოვი, მაქსიმ გორკი). სწორედ მაქსიმ გორკისადმი მიძღვნილი მონოგრაფიისათვის „მაქსიმ გორკი და ქართული საზოგადოებრიობა“ მოგენიჭათ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის საპატიო წოდება.

საყურადღებოა აგრეთვე თქვენი თეორიული ხასიათის გამოკვლევანი „მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის საკითხები“, „თანამედროვე ქართული ლიტერატურის ოსტატობისა და იდეურობის საკითხები“, „საბჭოთა ლიტერატურის გენეზისისა და შემოქმედებითი მეთოდის სპეციფიკის საკითხები“ და სხვა, რომლებშიც მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან აშუქებთ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მრავალ კარდინალურ, აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხს.

თქვენი მეცნიერული მოღვაწეობის, დიდი შრომისა და რუდუნების სრულიად სამართლიან აღიარებად მიგვაჩნია თქვენი არჩევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი, როგორც პროზაიკოსის მოღვაწეობა. ამ ბოლო წლებში სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც სცადეთ კალამი და საზღაურად მკითხველის სიყვარული და აღიარება დაიმსახურეთ.

თქვენი ნოველების ციკლი „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“, ცალკე წიგნად გამოცემული, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს სიყვარულის — ამ დიდი ადამიანური გრძნობის უკვდავებაში, რომელიც ყველაზე მძიმე ადამიანური განსაცდელის დროსაც კი ამხნევებს და ძალას მატებს ადამიანს, სულიერად აფაქიზებს და ალამაზებს მას.

ხოლო თქვენი რომანი, „სძლიე სიხარბესა შენსა“, მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოდეს მწერალი ბოროტების, ავკაცობის წინააღმდეგ. ეს ნაწარმოები, რომელიც ქართული სოფლის ცხოვრებას ასახავს და დღევანდელობის მწვავე საზოგადოებრივ პრობლემებს ეხმაურება, მკითხველს ჯანსაღი ოპტიმიზმით ავსებს და უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად განაწყობს.

თქვენს მხატვრულ ნაწარმოებს თუ მეცნიერულ შრომებს, რომლებიც თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე, ინტერესით შეხვდა საკავშირო მკითხველიც.

არჩეული ხართ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად.

1977 წლიდან თქვენ ხართ ქართველ მწერალთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

თქვენი, დიდი სამამულო ომის მონაწილის, დამსახურებაზე მეტყველებს სამამულო ომის II ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები, 14 საბრძოლო მედალი.

ძვირფასო გიორგი!

კიდევ ერთხელ მხურვალედ გილოცავთ სახელოვან იუბილეს, მზეგრძელობასა და დღეგრძელობას გისურვებთ მშობელი ხალხის სასახელოდ.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წერილები

გრიგოლ მარგიანი

# ხევსურული საუნჯე

ალექსი ოჩიაურის წიგნი „სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში" ალბათ მხოლოდ ხევსურს შეეძლო დაეწერა, მხოლოდ „შიგნიდან" შეიძლებოდა ასეთი უშუალობითა და სიმართლით, ესოდენ შთამბეჭდავ ცოცხალ ფერებში დახატულიყო ხევსურთა ძველი ყოფა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, სტუმარ-მასპინძლობის ძველისძველი ადათები.

ალექსი ოჩიაური ხევსური იყო, ხალხის შუაგულში ტრიალებდა, შრომობდა, სწავლობდა, იღვწოდა. მეფის ჯარშიც იყო, განათლებასაც ეზიარა. გამოჩენილ მეცნიერებთან, მათ შორის აკაკი შანიძესთან, თავიდანვე დაკავშირებული იყო. მოლექსეობა და პოეზია უყვარდა, ლექსებს წერდა, ხალხური სიტყვიერების ნიმუშებსა და ყოფა-ცხოვრების ამსახველ მასალებს სიყმაწვილიდანვე აგროვებდა, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს აღწერდა, განმარტავდა, ახასიათებდა, აფასებდა. ბუნებითაც პოეტმა, პედაგოგმა და მხარეთმცოდნემ, ალექსი ოჩიაურმა, რევოლუციამდელ და საბჭოთა პერიოდში, მრავალი დიდი მოცულობის ფასეული შრომა შექმნა, შეკრიბა და ჩაიწერა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები, რომელთაც დაურთო მხარეთმცოდნის კვალიფიციური და გონებამახვილური კომენტარები, შენიშვნები, შეფასებანი.

ალექსი ოჩიაურის მრავალი ხელნაწერიდან დღემდე ორი წიგნი გამოიცა: „ფშავხევსურული პოეზია" (1970) და „სტუმარმასპინძლობა..." სხვა ხელნაწერები, რომელთა გამოცემა მართლაცდა საშური საქმეა, სპეციალისტების შეფასებით, უნიკალურ მონაცემებს, უტყუარ ცნებებსა და ჩანახატებს შეიცავენ ხევსურთა ცხოვრებაზე, ხევსურული მითოლოგიიდან, პოეზიიდან, სოციალური ურთიერთობიდან, სარწმუნოებრივი და სამართლებრივი ტრადიციებიდან და წეს-ჩვეულებებიდან. მოცემული მასალა, რომლის „მოპოვება დღეს სრულიად შეუძლებელია" (თინათინ ოჩიაური), ძვირფასია, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფილოლოგიური, სამართალმცოდნეობითი და საენათმეცნიერო კვლევისათვის.

წიგნი მეტწილად დოკუმენტურ თხრობაზეა აგებული. დიალოგისა და თხრობის მიმზიდველი მანერით მოვლენები, ფაქტები, ხალხური ზეპირსიტყვიერება სანიმუშო სიცხადითაა წარმოდგენილი

ნაშრომში მომხიბლავია ხალხური პოეზიის მარგალიტებითაც. , ეს ბუნებრივიცაა: აკი ალექსი ოჩიაური, პოეზიის მოტრფიალე, მრავალი ლექსის ავტორია და, რაც მთავარია, ხევსურული სამყარო, რომელსაც ავტორი ხატავს, ხალხური პოეზიითაა გასხივოსნებული.

ლექსები კონკრეტული სიტუაციების ჩარჩოებში მოხდენილადაა ჩასმული, ხევსურთა ურთიერთმიმართება ჭირსა თუ ლხინში, მათი ფიქრები, გრძნობები, სიხარული თუ წუხილი, ალერსი და იუმორი პოეტურადაა გაცხადებული.

აი, რამდენიმე მაგალითი. რაიმე ბედნიერებასთან დაკავშირებულ დღეობაზე („სახმთო") მოსულ სტუმრებს უმღერებდნენ (გვ. 159): „თქვენ ჩვენად რამ ჩამაგუარნათ, არწივნო ქუშნო მთისანო? სასტუმროდ საყვარელნი ხართ, მასპინძლად შუქნო მზისანო, მაკეთის გამლალებელნო, გამჯავრებელნო მტრისანო".

გულმხიარული სტუმრები უპასუხებდნენ: „...არ მამწყინდების თქვენთანა ყოფნა დიდის ხნის ვადითა, მასპინძლად დიდებულნი ხართ, მტერთ კი უბარებთ ქადინსა, მაიპმობთ ყვავთა, ყორანთა, მტრის ლეშზე აჭმევთ სადილსა".

ერთმანეთის მოტრფიალე სტუმარ-მასპინძლები მტრებსაც არ ივიწყებენ.

მოკეთის ოჯახში შვილის გაჩენის გამო მოსული და შეზარხოშებული სტუმრები იმღერებდნენ:

„ღმერთო, ამ სახლში ნუ მაშლი ლხინსა და გახარებასა, ვაჟების ცოლიანობას, ქალების გათხოვებასა". ან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სახლო, გაშვენებს ჭურჭელი, ჭურჭელო ღვინიანობა, ქალო და ზალო ჭკვა-გონი, სოფელთან ხათრიანობა“.

აქ კეთილ სურვილთან ერთად ჩაქსოვილია ქალისადმი მამულიშვილური შეგონება.

დისწულის სტუმრობისას სმის დროს ახალგაზრდა ვაჟები ლექსობდნენ:

„...ვაჟავ, ცოლაის იმედსა, იმედ გერჩივას
ძმისაო!
მტრისგან მოკლულსა, ვაშკაცო, ცოლ ხო
ვერ გიძებნისაო,
ვერც მაშინ მაგეშველების, ჰმალი არ
გჭირდეს სხვისაო,
წინავ ამაგის მაქმედსა ავს ახკიდებდეს
ჭირსაო..“

მეუღლესთან შედარებით ძმის წინ დაყენება, როგორც ცნობილია, სხვა ხალხებისთვისაცაა დამახასიათებელი.

ხევსურს პოეზია თან ახლავს ყველგან, ლხინშიც, შრომაშიც. მის ლექსობას საერთოდ, თითქმის ისე, როგორც კაფიაობას, თან ახლავს ხუმრობა, იუმორი. მთიბველები სადილის მომტანს რომ დაინახავდნენ წაუმღერებდნენ.

„...სადილობამდინ მე ვიცი,
სადილობიდგე სადილმა...“

ხევსურული ქორწილი გაბმული ლექსობა იყო. ვაჟები და ქალები მღეროდნენ, ამბობდნენ სახუმარო ლექსებს. — ქალები დროს იხელთებდნენ, როცა უფროსები მათთან არ იყვნენ, და ხუმრობით ასე ილექსებდნენ:

„ვაპირობ გაკახპებასა, დაწუნებასა ქმრისასა,
ფშავლის ქალობას ვაპირობ, გვერდზე
გადაწვნას თმისასა,
წაუოლ გუდამაყრელსა, პატრონს ბევრაის
ცხვრისასა,
წამაგილალავთ სიძესა, შამთეთრებელსა
მთისასა“.

ხატოვანია და მამულიშვილურად შთამაგონებელი ხევსურული დღეგრძელობა. ვაჟის დაბადების გამო ოჯახის უფროსებს ასე მიმართავდნენ: „გაგიზარდასთ ღმერთმ ახალკაცი, შვილისშვილი, როგორც გაჩენით გაგალაღნათ, ისრ გაზდითა და იარაღთ ატანით გაგალაღნოსთ. კაი კაც გამაიყვანას, სარგებელ დედ-მამათაიცა და სოფლისაიც“.

ყოველისმომცველია ქმრეულის მიერ რძლის დალოცვა: „ზალო, ღმერთმა გადღეგრძელოს, გამთელას გიდღეგრძელას დედ-მამაიც, და-ძმებიც. ისრ გადღეგრძელას, როგორც შენის დედმამაისა, შენი კაის მენდობის გულს უნდა“. ქალებს ასე ადღეგრძელებდნენ: „გაგახარნათ, მანდილოსნებო, გაგალაღნასთ, ტანით მთლად, გულით მხიარულად გამყოფნასთ, ავს ნურას შაგასწვრნასთ კაის მეტს“.

ხევსურეთში კაცი პირადი ღირსებითა და ჯილაგით ფასდებოდა და არა სოციალური წარმომავლობით: „ჯიშიანის კაცის ჭირიმ, სიტყვაიც ჯიშიან იცის. ხაბალიზოი ჯიშიანს კაცთან მისვლაიც. იმით იტყოდეს წინანი: „ჯიშიანსთან მტრობაი ეჯობავ, უჯიშოს კაცსთან მაკეთეობასავ. უჯიშო კაც ეხლა არც კი შამაგვიშობდ შინა-დ შენ ამას არ იკადრებ“. რაიმე დავიდარაბაში სხვისგან დაზარალებულ ღირსეულ კაცთან შესარიგებლად მიგზავნილი შუაკაცები მუხაიფს ასე დაიწყებდნენ: „შენ არც შუღლ გაგიკვირდებისა-დ, არც შარიგება“.

წიგნი ცხადყოფს, რომ ხევსურეთში სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა ტრადიციად იყო ქცეული, ხოლო სიძუნწე („დედაჭუობა“) — შერისხული. აი ერთი გადმოცემა: „ხევსურებს ჩვეულებად აქვს: გზაში არაყი რომ მიაქვთ, ვისაც შეხვდებიან, ყველას უნდა დაალევინონ“. მოკეთესთან რომ მიდის ხევსური, უეჭველად არაყი მიაქვს თან, არაყით მისვლა დიდად არის მიღებული. თუ კარგი და პურადი კაცია მასპინძელი და გაიგო, რომ მომავალმა სტუმარმა გზაში ვისმე არაყი არ დაალევინა, ამაზე ძალიან გაუჯავრდება და სტუმარს დაემდურება“. ერთ ხევსურს, სახელად აბას, სახელგანთქმულ კაცს, სიძე ჰყოლია წუწკი, ხევსურულად დედაჭუა, სახელად გაგა. ამ უკანასკნელს სახლიდან ცოლეურებამდე ოცი კილომეტრი გაუვლია და არყიანი ქინთი (ტიკი) „პირამდინ სავსე ამოუღია ხურჯინიდან“ და თამამად უთქვია: „გავავსი კი ე-ქონთი. არ დამენახვის სუბუქად მისვლა მაკეთესთან... ხალხიც ბევრ კი მეყრებოდა გზაში, მაგრამ რას ვის გავაწვდენდი, ან რა ვის ვალი მქონდა, არცად არ მამიჯხსნავ ქინთისად“. აბა შეშფოთებულა, სიძის ცემაც კი ნდომებია, მაგრამ სტუმარმასპინძლობის წესმა თავი შეაკავებინა. ამდგარა და ქინთი წუნარად გამოურთმევია და საძროხის კედლისთვის მიუხეთქებია, არაყი დაღვრილა. გაგასათვის კი უთქვამს: „მე აბა-ი ორ, მინდიას შვილი... გზაში ვინც გეყრებოდესა, არაყ არ შაასმიე, გამააცალი, ისეებ რას იტყოდეს... რო გაიგებდეს. აბასთან მივავ, ხო გაიგებდეს, არაყ ექნებოდავ. იმას არ იტყოდეს, აბასავ ქვე თუ გაუხარდებისავ რო იმასთან მიმავალმ სტუმარმავ არაყ არავის შაასმისაო, ბევრ არაყ მიუტანასავ. მემრ ხო დამელევის კარშია-დ კაცში გამასავალ, რომიაც შენსავით დედაჭუაად ჩამთვალან... უფრო კა არ იქნებოდა, რო ვინაც შაგხვდებოდ, გადმამხტარიყავ ცხენზეითა, გეთქვ: მაიცადე აქ არაყ მიმყვების, აბასთან მიოლა... წამეედი აბაი ვადღეგრძელასთა...“

ხევსურს შინ მისულ სტუმრისათვის, სულ მცირე, სამი დღე უნდა ემასპინძლა, დიდი პატივი უნდა ეცა. მეტხანს ხევსური სტუმრად იშვიათად თუ დარჩებოდა. ხევსურები ნახევრადხუმრობით იტყოდნენ: „შინ წასვლა მაშინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯობია, მანამდე ეხვეწებიან — ნუ წახვალო“; დიდხანს სტუმრობა „უხალისოა სტუმრისთვისაც და მასპინძლისთვისაცო“. სტუმრების დიდ ხანს დარჩენაზე და მასპინძელი ქალების მიერ მათი წასვლის ნატვრაზე ხევსურეთში თქმულებაც შემორჩა. აი ისიც: „ერთ კაცს ორი ცოლი ჰყავდა. ერთხელ სტუმრები მოუვიდნენ, სტუმრებს სოფელში საქმეები ჰქონდათ და წასვლა დაუგვიანდათ. მასპინძლის ცოლებს მასპინძლობა მოსწყინდათ და აღარ იციან, როგორ მოაგონონ სტუმრებს შინ წასვლა. ბოლოს გადაწყვიტეს, წავიჩხუბოთ და როგორმე მოვაგონოთ შინ წასვლაო. მეორე დღეს მათი ქმარი სახლში არ იყო, სტუმრები კი შინ იყვნენ. ამ დროს ცოლები წაიჩხუბნენ და ერთმა მათგანმა სტუმრებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სტუმრებო, ხვალ თქვენს შინ მშვიდობით მისვლამ, ჩვენში რომელი ვტყუივართო“. სტუმრები მიუხვდნენ დიაცებს ხერხს და ერთმა სტუმარმა თქვა: „ჩვენმა ხვალაც და ზეგაც აქ დარჩენამ, არც ერთი ხართ მართალი და არც მეორეო...“

ხევსურთა ცხოვრებას ახალისებდა იუმორი. წიგნში ამის საილუსტრაციოდ ბევრი ფაქტია აღწერილი. აი ერთ-ერთი: როცა ქორწილი იყო და რძალი შინ მიყავდათ, ქალები მას შეეგებებოდნენ და აკოცებდნენ. „ჩვეულება იყო, რომ მყოლები, ვიდრე არ დაღამდებოდა, ოჯახში არ მივიდოდნენ. მყოლად მოსულმა ქალებმა, შემხვედრი ქალების მოტყუილება იცოდნენ. ზალი თუ შორი სოფლიდან იყო, მას ყველანი არ იცნობდნენ, თანაც სიბნელეც იყო. ერთ-ერთ მყოლ ქალას დააყენებდნენ თავდახრილად, ვითომ ის იყო ზალი და მორცხობდა. მოსულებს მიუთითებდნენ — ეგ არის თქვენი ზალიო; შემხვედრი ქალებისათვის სავალდებულო იყო, ყველას ზლისთვის ეკოცნა, ისინი კი სულ სხვა ქალს ჰკოცნიდნენ. ქალები ცოტახანს მოითმენდნენ და მერე გამოუჩენდნენ ნამდვილ ზალს. გაწითლებული, შერცხვენილი ქალები ახლა ნამდვილ ზალს მისცვივდებოდნენ. იყო სიცილი და მხიარულება“.

ხევსურეთში უდიდესი პატივით იყო მოსილი ასაკით უფროსი, მეტადრე მოხუცი, რომლის წინაშე რძალიც მორცხვობდა და ხმას არ იღებდა.

ქალისადმი მოკრძალება, ხათრი და მორიდება ხევსურეთში ვაჟკაცის მოვალეობად იყო ქცეული. ვთქვათ რაიმე თავყრილობაზე სასტიკი ჩხუბი ატყდა. ვაჟკაცი, რომელსაც ქალი დასაზავებლად ხელს მოკიდებდა, მყისვე გაჩერდებოდა და არ გაიწევდა. „დიდი სირცხვილი იყო ქალის ხელიდან ზიდილი“. კაცი, რომელსაც ქალი აკავებდა, მოპირდაპირეს ეტყოდა: „დაიცადე, ეხლა მე დიაცს უჭერიორა, შენკე ველარცაით მაქვს წამახავალი. ერთხანც იქნების, კაც დამიჭერხა, მაშინ მაგინდების მაგრად დადგომა, თორემ შენს თავზე ხანჯრის ფხა აჩქამდების. ეხლა კი ხათრ იყოს აი ამ მანდილოსნებისა“.

თუ დიაცები ცოტანი იყვნენ, მოშუღლარები კი ბევრი, ერთი ქალი მოიხდიდა მანდილს და მაშუღლარების შუაზე გაშლიდა, მანდილის პატივისცემით ყველანი გაჩერდებოდნენ და იტყოდნენ: „ხათრი აი ამ დიაცის მანდილთა, თორემ ეგრ კი არ გათავდებოდა ჩვენ შუღლი. ღმერთმა დაუმადლას ამ მანდილოსანს, რომ ხათაბალას გადაგვარჩინ“.

ხევსურეთში ძლიერ სწამდათ გაჭირვებულისადმი ხელის გაწოდების ადათ-ჩვევა. ამის მოწმობაა „ონჩხარი“, რასაც უკიდურესი სიდუხჭირის დროს მიმართავდნენ: თუკი ოჯახს მარჩენალი მოუკვდებოდა, სარჩენი ბევრი იყო, შემომტანი არავინ, მას პური ონჩხარით უნდა ეშოვნა. საამისოდ ოჯახი „გამოხდიდა არაყს და რომელიმე პურიან სოფელში გავლენიან კაცთან მიიტანდა. ამ კაცს უნდა დაეპატიჟა ხალხი ონჩხარზე, ვინც მოვიდოდა, ყველა დაეხმარებოდა სტუმარს“.

ონჩხრის მომტან ქვრივს ჩვეულებრივი სტუმარმასპინძლობის წესით შეხვდებოდნენ. სასოწარკვეთილს უჭირდა მოსვლის მიზეზის გამხელა, მაგრამ ბოლოს მაინც იტყოდა: „ჩვენს ყოფას არყოფაი უჯობ, ამ სირცხვილისად რო არ ვიყვნათა, დავიქოცნათ, მაგრამ შვილებას ბრალით ველარც თავ მაუკლავ კაცს. თქვენაც გალონებთა, სხვას ხალხსაც. მაგრამ აგებ როგორ ამ ყმაწვილებს შიმშილით არ დავხოცდით, თქვენფერის ხალხის დახმარებით იქნება დაიზდებოდეს... თქმაიც მიჭირხა და უთქმელობაიც, თქვენ იცით რა ბეჩაობაში ორთ, შიმშილიც გვაწუხებსა, სიტიტვლეიც, სხო ყველა გაიძლებისა, შიმშილის გაძლება უფრო ძნელი ყმაწვილებისად“..

ონჩხარის მომტანს მასპინძელი ანუგეშებდა: „არა გინდ, ეს ონჩხარ საკვირველ არა ას, არც სასირცხვილო რაი ესი, არც შენ ხარ ამის მერჯული. ეს ჭკვიანის ხალხის მაგონილი, რო ხალხს ერთუცს დაეკმარას. კაცი სრუ ერთი დროით არ წავ, ხან ვის უჭირს, ხან ვის. დაიზდებიან შენებ შვილები, კლოვ სხვას ეგებ დეექმარებიან... ყმაწვილ ყანას ღგავ, მალე წამაიზრდების, რო სრუ ვერ გაიგებ იმის გაზდას... შენ ეეხლა აღარა გი, ჩემ სტუმარი ხარ. ეეხლა სახელიც ჩემია, სირცხვილიც“.

ამის შემდეგ მასპინძელი თავაზიანად მოიწვევდა და მოიყვანდა თანასოფლელებს, რომლებიც ქვრივ-ობლებს სარჩოს შეუგროვებდნენ (თითო ფუთ ხორბალს მაინც).

ხევსურში შესისხლხორცებული იყო თავაზიანობა და ზვიადობა. ბუნებით ამაყი უპატივცემლობას ვერ აიტანდა, ამპარტავანს და მოურიდებელს გაუსწორდებოდა. საამისო წეს-ჩვეულებაც არსებობდა. აი ნიშანდობლივი გარემოება: ხევსურეთში ცხენით გზათ მიმავალს პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივი უნდა ეცა სოფლისათვის, გზა თუ სოფელში გადიოდა, სოფლის პირაში მისული მგზავრები ცხენიდან უსათუოდ უნდა ჩამოსულიყვნენ, სოფლის ბოლომდე ფეხით გასულიყვნენ (სხვათა შორის, ეს მარტო ხევსურ მგზავრებს მოეთხოვებოდა!). თუ სოფელში გამვლელი მხედარი ავად იყო, მოიბოდიშებდა: უკაცრავად, აოდ ორ, ცხენზეით ჩამაქდომა არ შამიძლავ. გაუგებრობაში ნუ ჩამომართომთ".

ადათ-წესის დამრღვევს შუღლს აუტეხდნენ, მაგალითად, „სოფელ ახიელში მცხოვრებლები მიდიოდნენ თურმე ძაუგაში და სოფლის ბოლო ცხენდაცხენ გაიარეს; ხიდთან რომ მივიდნენ, ზოგებმა თქვეს, რომ ახლა ჩამოვიდეთ ცხენებიდან და ხიდზე ისე გავიდეთ, თორემ ჯუთელნი ჩამოგვივლენ და ამ საქმის დროში შუღლის დრო სადა გვაქვსო, კაცი რომ დაიჭრას, სულ მთელი ზაფხული გაუცდებაო. მაგრამ ბადია ბალიაურს უთქვია: ცხენი ჩემია და გზა სახელმწიფოსი, ჯუთელთ ვინ ჰკითხავს, ცხენით გავივლი თუ ფეხით, და თავის ცხენით ხიდზე გასულა... სოფლის ახალგაზრდობა შეიარაღებული ჩამოვიდა. მგზავრებმაც ცხენები ხელიდან გაუშვეს და დაერივნენ ერთმანეთს ხანჯლებით... მთელი ხალხი დასისხლიანდა ორივე მხრიდან".

წიგნის სხვა ასპექტებსა და პასაჟებზე აქ არაფერს ვიტყვით.

აქ მოტანილი მასალა სანდოა. ავტორი მას „იწერდა კვალიფიციურად, ზუსტად, უტყუარად, შეუფერავად" (ალექსი ჰინჰარაული), ბევრ ფაქტს, მოვლენას ღრმა ახსნასა და მართებულ შეფასებას აძლევდა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ალექსი ოჩიაურის წიგნი ხევსურული საუნჯეა, „სტუმარმასპინძლობის ნამდვილი ენციკლოპედიაა" (ჯუმბერ თითმერია). მასში მკაფიოდაა წარმოსახული ხევსურული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მორალური და ზნეობრივი პრინციპები.

წიგნი დიდძალ მასალას და ხელშესახებ დებულებებს შეიცავს ფართო საზოგადოებისათვის.

ირკვევა: 1) ხევსურეთში ღრმად გაუდგამს ფესვი არაერთ საუცხოო ზოგადქართულ ტრადიციას (სტუმართმოყვარეობა, ასაკით უფროსისადმი და ქალისადმი თაყვანისცემა, სამართლიანობისა და ალალმართლობის კულტი და სხვ.), დადებითთან ერთად არაერთ უარყოფით წეს-ჩვეულებას (სწორფრობა, ქორწინებასთან დაკავშირებული ზოგიერთი არქაული რიტუალი და სხვ.). ხსენებულ ფასეულობებზე მსჯელობისას შეუძლებელია არ გავემიჯნოთ იმ თვალსაზრისს, რომელიც ჭეშმარიტად ხალხურ ტრადიციებსა და ყოველგვარ წეს-ჩვეულებებს შორის ტოლობის ნიშანს სვამს და თვლის, რომ „კარგი" და „ცუდი" ორივეში ერთნაირადაა შეზავებული. გაუთვალისწინებელი რჩება ის, რომ ტრადიცია ხალხის ცხოვრებაში საუკუნეთა მანძილზე ყალიბდება, როგორც დადებითი გამოცდილება, დაწმენდილ-დახვეწილი თვისებების მარადუჭკნობი განსახიერება, ხოლო წეს-ჩვეულება ანკარა ნაკადთან ერთად მღვრიესაც შეიცავს, ქცევის სასარგებლო და მავნე, მისაღებ და აღსაკვეთ ჩვევებს აერთიანებს.

აქ მხედველობაში გვაქვს ჭეშმარიტად ხალხური ტრადიციები და არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საზოგადოდ ტრადიცია შეიძლება იყოს არა მარტო მოწინავე და პროგრესული, არამედ რეაქციულიც და კონსერვატიულიც.

ქვეყნის განაპირა კუთხეებში ტრადიციების შეურყვნელად შემონახვა და წეს-ჩვეულებების კონსერვაცია ბევრჯერ რატომღაც ითვლება ამ კუთხეების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენის მაუწყებლად, ქვეყნის მთისა და ბარის ისტორიული პროცესის ერთმანეთისაგან გათიშვის საფუძვლად.

ანგარიშგასაწევია აგრეთვე თვალსაჩინო განსხვავება ხალხის ტრადიციისა და კულტურის აღმასვლაში, პირველი მეორესთან შედარებით კონსერვატიულია.

2) წიგნში მოტანილ მასალაზე დაკვირვება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ახლო წარსულის ხევსურეთში საზოგადოება სოციალურად ერთფეროვანია, რომ ადამიანთა ურთიერთობაში თითქმის აბსოლუტური სასინჯსაზომი: პიროვნების პირადი ღირსება და არა სოციალური წარმომავლობა, არც ცხოვრების ეკონომიკური ფაქტორები (ამავე დროს, ყველაფრიდან ჩანს, რომ ხევსურეთში, ვთქვათ, XIX საუკუნეში, კერძო საკუთრება საყოველთაოა. ასეთ ვითარებაში რამდენად შეიძლება საზოგადოება ადრეკლასობრივად ჩაითვალოს?). ეს მაშინ, როცა სვანეთში სოციალურ დიფერენციაციაზე მიგვანიშნებენ XI-XII საუკუნეთა ძეგლები (მეფის მხატვრის თევდორეს წარწერები სოფლების იფარის და იფრარის ეკლესიებში), რომლებიც აზნაურთა ფენის არსებობას ადასტურებენ.

8). ირკვევა, რომ ხევსურეთში, ისევე როგორც სვანეთში, ადამიანთა ქმედების ნორმებს უფრო ადათობრივი სამართალი აწესრიგებდა, ვიდრე ხელისუფლების კანონები და ორგანოები.

ეჭვი არაა, „სტუმარმასპინძლობა..." ფართო მკითხველი საზოგადოების ინტერესს დაიმსახურებს.

დაბოლოს, მთავარი ისაა, რომ ალექსი ოჩიაურის უნიკალური ნაშრომების ხელნაწერთა გამოცემას დროზე უნდა დაადგეს საშველი. „სტუმარმასპინძლობაში..." დაშვებული სტილისტური და კორექტურული უზუსტობანი მომავალ პუბლიკაციებში თავიდან ასაცილებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი გაჩეჩილაძე

# ასოციაციური პარალელები

*რეზო ჩხეიძეს — დონ კიხოტს შებმულ რეჟისორს*

„მე მივსცენ მათ სიტყვანი შენნი და სოფელმან მოიძულნა იგინი, რამეთუ არა არიან სოფლისა ამისგანნი, ვითარცა მე არა ვარ სოფლისა ამისგანი, (იოანე 17,14).

ღმერთისადმი ეს მიმართვა თავისი მიწიერი ცხოვრების ყველაზე კრიზისული მოვლენების წინ აღმოხდა ქრისტეს. ამ სიტყვებში გამოიკვეთა მისი თავგადასავლისა და იდეის დრამატული საფუძველი.

ვისაც „დონ კიხოტი“ აქვს წაკითხული, მას მოეხსენება, რომ მსგავსი ფრაზით დონ კიხოტს არასოდეს არ მიუმართავს ღმერთისათვის. სამაგიეროდ ესაა სიტყვები, რომლითაც თავად მკითხველს შეუძლია მიმართოს უკვე დამარცხებულ და მომაკვდავ დონ კიხოტს. ეს არის დონ კიხოტის ცხოვრებისეული მიზნისა და საბოლოო ხვედრის საფუძველზე გამოტანილი დასკვნა, მსჯავრი, რეზიუმე...

იდეა ცხოვრების მიერ „სიტყვათა მოძულების“ შესახებ, სიტყვათა, რომლებშიც ხორციელდება კაცობრიული საზრისი, სიკეთე, ჭეშმარიტება, — მოძულებისა იმ მოტივით, რომ ისინი „არა არიან სოფლისა ამისგანნი“, ისევე როგორც ამ სიტყვის განმსახიერებელი პიროვნება, არსებითად, მთელი „დონ კიხოტის“ ფილოსოფიური აზრის შეკუმშულ ფორმულირებას წარმოადგენს.

ამ ფორმულირების საფუძველზე საკუთრივ დონ კიხოტის სახის კრიტიკული გააზრება, როგორც გონებისეული პროდუქტისა, როგორც ნოოსფეროს ნაყოფისა, რომელიც წიგნისეული წარმოშობისაა, (იშვა წიგნიდან და დარჩა წიგნში საცხოვრებლად) ცალკე თემაა და აქ მას არ შევეხებით. ესაა „დონ კიხოტის“ სააზროვნო სიტუაციის ის პლანი, რომელიც ითვალისწინებს კაცობრიობის ღირებულებრივი ორიენტაციების თავისებურებებზე აღბეჭდილ დრამას.

მაცხოვრის მისტერიის მსგავსად „დონ კიხოტში“ ამ ფაქტორს განსაკუთრებით ამძაფრებს „სიტყვის“ როგორც ლოგოსის, საზრისის, მცნების ფასეულებრივი მომენტის შერწყმა ამ ფასეულობათა განმსახიერებელი კონკრეტული პიროვნების, კერძოდ, დონ კიხოტის ხვედრთან.

მაგრამ ჩვენი ინტერესის საგანს, ამჯერად შეადგენს არა საკუთრივ „იდეის დრამა“, არა კაცობრიული ფასეულობებისა და მათი განმსახიერებელი პიროვნების ხვედრში გამოვლენილი ისტორიის სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტი, არამედ ამ ისტორიის სიმბოლურ-ნიშნობრივი სისტემა.

არსებითად, აქ საქმე ეხება სერვანტესის მუდმივი თვალთამზერის ერთ-ერთ ობიექტს, მაცხოვრის მისტერიას, დონ კიხოტის შექმნის პროცესში.

დავუბრუნდეთ ქრისტეს მითთან „დონ კიხოტის“ მიმართების საკითხს.

„დონ კიხოტსა“ და მაცხოვრის მისტერიას შორის გამოკვეთილი სიუჟეტურ-მითოლოგიური კავშირი ადვილად ხელშესახები არ არის.

პაროდიული ჟანრის გამო, ინკვიზიციის მძვინვარების ჟამს, სერვანტესი, ცხადია, მოერიდებოდა მაცხოვრის მისტერიის სიტუაციურ და სიმბოლურ მეტაფორიზაციას. და მაინც, ეს პარალელი, ზოგადად, დიდი ხანია ნაგრძნობიცაა და აღნიშნულიც.

ეს პარალელი, ძირითადად, ასოციაციურია, იგი უკავშირდება დონ კიხოტის პიროვნების „წმინდანობის იდეას“. რომ ეს იდეა სიკეთის და სამართლიანობისათვის დონ კიხოტის შეუპოვარ ბრძოლაში პოულობს გამოხატულებას, ადვილი სათქმელია. არც ისაა ძნელი მისახვედრი, რომ ამ მისიის განხორციელების გზა, მაცხოვრის მსგავსად, დონ კიხოტისთვის არის გოლგოთის და ჯვარცმის გზა.

არანაკლებ საგულისხმოა მსგავსება მაცხოვრის იკონოგრაფიულ გამოსახულებასა („მწუხარე სახესა“) და დონ კიხოტს შორის. ასეთია დონ კიხოტსა და ქრისტეს შორის პარალელის აღნიშვნის საკმაოდ ზედაპირული სურათი.

ამ პარალელის დაკონკრეტებას მკვლევრები, ჩვეულებრივ, ერიდებიან.

ტიპიურია ამ თვალსაზრისით მიგელ დე უნამუნოს ზოგადი შენიშვნა: „დონ კიხოტი იყო ქრისტეს ერთგული მოწაფე. პატარა გალილეის გზებზე მგზავრობით თავისი ცხოვრებისაგან ქრისტემ შექმნა მარადიული მოძღვრება.

ასევე მოიქცა დონ კიხოტიც: ქარის წისქვილებს რომ ებრძოდა, ის ებრძოდა მთელი ქვეყნის ქარის წისქვილებს და როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯიდა მდიდარ ხუან ალდუდოს, ის სჯიდა ქვეყნიერების ყველაზე უსაზიზღრეს მდიდარს" (უნამუნოს წიგნის, „დონ კიხოტისა და სანჩოს ცხოვრების" ადაპტირებული თარგმანი მოგვაწოდა ზ. აბაშიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

როგორც ვხედავთ, უნამუნოს შენიშვნაში დაუზუსტებელია, რომელ ქრისტეზეა საუბარი: სახარებისა თუ აპოკალიფსისა.

თუ სახარების ქრისტეზეა საუბარი, პირდაპირი პარალელი უადგილოა. სახარებაში პრაქტიკულად მაცხოვარი ცოდვილთა არავითარი დამსჯელი არ არის. მაცხოვარი არის მკურნალი, მოძღვარი, მიმტევებელი. რაც შეეხება მაცხოვარ-დამსჯელს, აქ ყველაფერი შებრუნებითაა, მაცხოვარი თავადაა ვნებული, დასჯილი და განკითხული ცოდვილთა მიერ.

ერთადერთ გამონაკლისს აქ შეადგენს იერუსალიმის ტაძარში ქრისტეს შესვლის ეპიზოდი. „შევიდა იესო ტაძარსა და ყოველი იგი განმსყიდველი და ყოველი რომელი იყიდდა ტაძარსა მას შინა. და ტაბლები იგი მეკერმეთაი მათ დაამხუა და დასასხდომელები იგი ტრედის — მოფარდაგულთაი მათ დაუქცია. და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს. ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა. (მათე 21, 12, 13):

მაცხოვრის საბრძოლო შემართების სხვა შემთხვევა სახარებამ არ იცის.

ამდენად, პარალელი დონ კიხოტსა და ქრისტეს შორის იმ გარემოების საფუძველზე კეთდება, რომ ამა ქვეყნის ცოდვილთა მიერ ისევე დასჯილი და დევნილია დონ კიხოტი, როგორც ქრისტე მისი უარმყოფი ხალხისაგან.

არსებობს არანაკლებ საგულისხმო სხვა გარემოებაც. მართალია, ქრისტესაგან განსხვავებით, დონ კიხოტი აბჯარასხმული მეომარია („იარაღი მისი მშვენება იყო, ხოლო ბრძოლა დასვენება" (II, XIV), მაგრამ მწუხარე სახის რაინდსა და ქრისტეს შორის ასოციაციის მგრძნობს უმალვე შეუძლია გაიხსენოს: „არა მოვედ მოფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა" (მ 10, 34).

აქედან ადვილად იდება ხიდი აპოკალიფსის მძვინვარე ღმერთის სახისკენაც, თუმცა აპოკალიფსის ღმერთის მრისხანების ასპარეზი არის კოსმიური სივრცე და არა სახარების გალილეი ან ლამანჩის შემოგარენი „დონ კიხოტში".

და მაინც, „დონ კიხოტის" მკითხველის წარმოსახვაში, როგორც ნისლით შებურვილი გამოსახულების სილუეტიდან, იკვეთება ქრისტეს სახეც.

ეს ბუნებრივიცაა და მოსალოდნელიც, იმდენად, რამდენადაც დონ კიხოტის მიზანი — იყოს ჭეშმარიტების, სიკეთისა და სამართლიანობის ქომაგი, უკვე საფუძველში ითვალისწინებს ქცევის ზოგადქრისტიანულ მოდელს.

როდესაც დონ კიხოტის თავგადასავალი და. სასრულისაკენ გადაიხრება, მრავალთა შორის ერთი სიმბოლური ეპიზოდია გასათვალისწინებელი. სარაგოსისკენ მიმავალი დონ კიხოტი გადაეყრება გლეხებს, რომლებსაც სოფლის საყდრის კანკელის მოსართავად ტილოებში ფაქიზად გახვეული ხატები მიაქვთ. დონ კიხოტი ხატებით დაინტერესდება. ერთი გლეხი საბურველს ხდის „წმინდა გიორგის ქანდაკს, ცხენზე მჯდარს ამაყი სახის გამომეტყველებით, როგორც წმინდანს ჩვეულებრივ ხატავენ და მის ფეხქვეშ გართხმულ გველეშაპს — ყელში შუბგარჭობილს. ეს რომ ნახა, დონ კიხოტმა თქვა:

— ეს იყო უდიდებულესი მ ო გ ზ ა უ რ ი რ ა ი ნ დ ი ზ ე ც ი უ რ ი ლ ა შ ქ რ ი ს ა. წ მ ი ნ დ ა გიორგი ძლევამოსილი. ამის გარდა, ყ მ ა წ ვ ი ლ ი ქ ა ლ წ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი მ ფ ა რ ვ ე ლ ი" (II, 474 ხაზი ჩვენია, — გ. გ.).

დგას დონ კიხოტი წმინდა გიორგის და სხვა წმინდათა გამოსახულებებს შორის და თითოეული მათგანის ხვედრისა და ღირსების მნიშვნელობას განუმარტავს სანჩოსა და გლეხებს; რაც მთავარია, მან შეუნიღბავად გამოაცხადა თანხვედრა საკუთარი მიზნისა და სურვილებისა წმინდა გიორგის მითოსურ თავგადასავალთან.

მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ „დონ კიხოტის ლაპარაკმა გლეხები იმდენადვე გააკვირვა, რამდენადაც მისმა გარეგნობამ, თუმცა რასაც ამბობდა იმის, ნახევარიც ვერ გაიგეს. სადილი გაათავეს, ხატები ზურგზე წამოიკიდეს, დონ კიხოტს გამოეთხოვნენ და თავიანთ გზას გაუდგნენ"

დონ კიხოტის მიერ საკუთარი ცხოვრებისა და ხვედრის თვითდაგეგმვის იდეა გლეხებისათვის მიუწვდომელი და გაუაზრებელი აღმოჩნდა. მხოლოდ სანჩო იყო გაოგნებული და აღტაცებული თავისი ბატონის განსწავლულობით და მიზნის სიდიადით.

მაგრამ რას ნიშნავს თვითდაგეგმვის იდეა და რა ხასიათის ფსიქოლოგიური და ღირებულებრივი წანამძღვრები განსაზღვრავენ მას?

გაგების (ჰერმენევტიკულ) ფილოსოფიაში თვითდაგეგმვა იუწყება ცხოვრების წარმართვას მომავალს დაქვემდებარებული პრინციპის მიხედვით. ამ მიზანდასახულებაში ნათლად იკვეთება პიროვნების არსებობისათვის აუცილებელი ღირებულებების ხასიათი, რაობა და მათზე ორიენტაციის ხარისხი.

დონ კიხოტის მიერ საკუთარი ცხოვრების თვითდაგეგმვის იდეა ითვალისწინებს მისი მე-ს გაიგივების (იდენტიფიკაციის) მომენტს სიკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თისა და სამართლიანობას განმასახიერებელთა სახეებთან.

მაგრამ თუ დონ კიხოტის თვითდაგეგმვის იდეას პასიონალურობის ლათ. *passio* — ვნებულობა) თეორიის საფუძველზე განვიხილავთ, მაშინ თავისი თვითდაგეგმვის იდეით დონ კიხოტი სწორედ პასიონალურ პიროვნებად წარმოგვიდგება.

ლ. გუმილიოვის თეორიის მიხედვით კი პასიონარად იწოდებიან ის ადამიანები, რომლებსაც იმდენად გამძაფრებული აქვთ რეალური ან ილუზორული მიზნისაკენ ლტოლვის გრძნობა, რომ უჩლუნგდებათ თვითშენახვისა და თვითგადარჩენის ინსტიქტური იმპულსები. მათი მოქმედებისათვის დამახასიათებელია არა თვითშენახვის ან წუთიერი სურვილის დაკმაყოფილების გრძნობა, არამედ გარესინამდვილის შეცვლის მიზანი.

ასეთია მათი შინაგანი კონსტიტუცია. „მიზანი — სიცოცხლეზე მეტია“ ამგვარი პიროვნებების დევიზია.

რაც შეეხება კონკრეტულ მითოლოგემებს და სიტუაციურ სიმბოლიკას, როგორც ნიშნობრივ სისტემას, „დონ კიხოტში“ გვაქვს რამდენიმე პასაჟი, რომლებიც ალუზიურად ეხმიანება ქრისტეს ცხოვრების სახარებისეულ ეპიზოდებს.

უპირველეს ყოვლისა, ამგვარი ეპიზოდების რიგს განეკუთვნება წიგნის პირველ ნაწილში დონ კიხოტის სახლში ვირით დაბრუნების, ხოლო მეორე გამგზავრების ჟამს, ფუნდუკში ვირით შესვლის ეპიზოდები (პაროდიული განმეორება ანუ ტრავესტია ტრიუმფით იერუსალიმში ქრისტეს ვირით შესვლის ეპიზოდისა) ამას მოსდევს ბრბოს წინაშე დონ კიხოტის ცერემონიალური წარდგინების სცენების ალუზია ჯვარცმის წინ ბრბოს წინაშე ქრისტეს ცერემონიალური წარდგინების სცენისა. აქვე აღინიშნება დონ კიხოტის ცალკეული პასაჟების აზრობრივ-ტექსტუალური გამოხმაურების ფაქტი ქრისტეს ცხოვრებისეული ხვედრისა და სიმბოლიკის მაუწყებელ მნიშვნელობებთან და სხვა.

მაგრამ, ვიდრე მათ შევეხებოდეთ, უნდა გვახსოვდეს ის კულტუროლოგიური კონტექსტი, რომელშიც მთელი ეს ემბლემატიკა ყალიბდება.

უნდა გვახსოვდეს ის ატმოსფერო, რომელიც რენესანსული კულტურის კრიზისის ჟამს დაუდგა შუა საუკუნეებიდან მომდინარე დევიზს: „ფილოსოფოსობა ნიშნავს ღმერთის ბაძვას, რამდენადაც ძალუძს ადამიანს“. მას შემდეგ რა ცვლილებებიც ამ დევიზმა განიცადა აგიოგრაფიული ჟანრიდან რაინდული რომანების სამყარომდე, „ღმერთის ბაძვის“ ჰეროიკულ-მოწამებრივი მრწამსიდან არტურის ციკლის რომანების სამყაროს ამოწურვამდე, კულტურის სისტემის ამ მაორგანიზებელ კონცეპციასაც დაუდგა ფარსულ-გროტესკულ განსაცდელში გამოვლის ჟამი.

არსებითად, აქ საქმე გვაქვს იმ კაცობრიულ ფასეულობათა პროვოცირების საფეხურთან, როდესაც საბედისწერო ხდება წინააღმდეგობა ცხოვრების პრაქტიკულ გამოცდილებასა და იდეალებზე დამყარებულ ადამიანთა ორიენტაციებს შორის. ასეთ სიტუაციებში კი თვალსაჩინო ხდება სულიერ ფასეულობათა ისეთ უნივერსალურ მოდელსა და პრაქტიკაზე, რომელიც მაცხოვრის მისტერიაშია დაცული, სავსებით ლოგიკურია, ლოგიკურია კულტურის შემდგომ საფეხურებზეც, ასევე რაინდული რომანების პაროდიის დევიზით შექმნილ „დონ კიხოტშიც“.

გახმაურებულ ესსეში „გზა დონ კიხოტის სამარისკენ“ უნამუნომ აღნიშნა დონ კიხოტის ბუნებისა და განწყობის ერთი შტრიხი: „რაინდზე იცინოდა მთელი ქვეყანა, მაგრამ თავად მას არ წამოსცდენია არც ერთი ხუმრობა სულით ის იყო მეტისმეტად დიადი, რომ სახუმროდ არ დახურდავებულიყო. სიცილს ის თავისი სერიოზულობით იწვევდა“.

უნამუნოს არ აღუნიშნავს, რომ დონ კიხოტის სახისა და განწყობის ამგვარი გამოხასხულებიდან უკვე გამოსჭვივის ქრისტეს სახისა და განწყობის იდეა. ქრისტესაც ხომ არასოდეს გაუცინია.

მაშ ნუ დავივიწყებთ დონ კიხოტის მწუხარე და სერიოზულ სახეს და გავიხსენოთ მისი ზოგიერთი ფათერაკი...

II

„და პოვა იესო ვირი და დაჯდა მას ზედა... ხოლო ესე არა ეცნა მოწაფეთა მისთა პირველად, არამედ ოდეს იდიდა იესო, მაშინ მოეხსენა, რამეთუ ესრეთ წერილ იყო მისთვის და ესე უყვეს მას...“ (იოანე 12, 14, 16).

მას შემდეგ, რაც ქრისტემ გადაწყვიტა მოვლინებოდა იერუსალიმს, მან თავისი მოწაფეები გაგზავნა ქალაქის კარიბჭესთან დაბმული ვირის მოსაყვანად.

ვირზე გადამჯდარი ქრისტე ქალაქის კარიბჭისკენ დაიძრა. იერუსალიმმა ვირზე ამხედრებულ მესიას ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყო.

„უმრავლესი იგი ერი დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა: და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა:

და ერი იგი, რომელი წინა უვიდოდა და რომელი უკანა შეუდგა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა ძესა დავითისსა!

კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!

და ვითარცა შევიდა იგი იერუსალემად, შეიძრა ქალაქი იგი ყოველი და იტყოდეს: ვინ არს ესე?

ხოლო ერი იგი იტყოდა: ესე არს წინაისწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყუელი იესო ნაზარეთით გალილეაისაით" (მათე 21, 8-11).

რატომ დაუკავშირა ქრისტემ იერუსალიმში თავისი ტრიუმფალური შესვლა მაინცდამაინც ვირს? ამ ეპიზოდის სიმბოლიკა („ესე არა ეცნა მოწაფეთა მისთა პირველად") ცალკე საკითხს წარმოადგენს. ამ სიმბოლიკის დეტალიზაცია შორდება ჩვენთვის საინტერესო საკითხის ფარგლებს. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ, რომ იერუსალიმში ქრისტეს ვირით შესვლისა და ტრიუმფის სცენა მხატვრობის და განსაკუთრებით, ხატების პოპულარულ სიუჟეტს წარმოადგენს.

ერთადერთი, რაც ამ სიმბოლიკიდან ამჟამად დასამახსოვრებელი და გასათვალისწინებელია, არის ის, რომ ქრისტესთან შეხვედრის ტრიუმფალურ ფასადს ღრმა შინაგანი კოლიზია ახლავს: ხალხმა, მიუხედავად მისი მოხსენიებისა წინასწარმეტყველად და დავითის ძედ, არ იცის ამ შეხვედრის არსი, ტრიუმფატორის მიზანი და მომავალი.

ახლა კი ვირზე მჯდარი დონ კიხოტის ეპიზოდებს დავუბრუნდეთ. ასეთი ეპიზოდი, როგორც ითქვა, „დონ კიხოტში" ორია. ორივე პირველ ნაწილშია, ორივე გაიაზრება, როგორც დონ კიხოტის „ტრიუმფის" დამაგვირგვინებელი სცენები.

მას შემდეგ, რაც დონ კიხოტმა ირწმუნა, რომ ფუნდუკში მისი გამასხრების სცენა სინამდვილეში იყო რაინდად მისი დალოცვის ცერემონიალი, შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას. კურთხეული რაინდის პირველი გმირობა იყო ყმაწვილ ანდრესის „განთავისუფლება" ხუან ალდუდოსაგან.

ამ გამარჯვებით კმაყოფილმა და აღტაცებულმა დონ კიხოტმა გზა განაგრძო. გზაჯვარედინთან ის ვაჭართა ქარავანს გადაეყარა. დონ კიხოტმა მათ მოსთხოვა, დაუყოვნებლივ ეღიარებინათ დულსინეა ტობოსელის სილამაზე და შეუდარებლობა.

დონ კიხოტი აქ ყველაფერთან ერთად არის „თავისი სიმართლით ძლიერი კაცი". სიტუაცია დაიძაბა. კონფლიქტმა კულმინაციას მიაღწია. მაგრამ ინციდენტი მთავრდება იმით, რომ როსინანტი წაიქცა სწორედ იმ მომენტში, როდესაც დონ კიხოტი საბრძოლველად შეიმართა. დონ კიხოტმა ცხენთან ერთად მოადინა ზღართანი. ჯავშან-აბჯრის მოუქნელობის გამო ზეზე წამოდგომა ვერ შეძლო. ამასობაში კი ვაჭართა მსახურმა იმდენი ურტყა, რომ სიკვდილის პირამდე მიიყვანა ისედაც წაქცეული რაინდი. ყველაფერი დასრულდა იმით, რომ ვაჭრები და მსახურები გზას გაუდგნენ და გზისპირად დაგდებული დატოვეს ჩვენი ნაცემნატყეპი გმირი.

ამასობაში, ბედად, გზაზე დონ კიხოტის სოფლელი გლეხი პედრო ალონსო გამოივლის, რომელიც კარგად იცნობს დონ კიხოტს, როგორც ალონსო კიხანას. მაგრამ თავის ფანტაზიაში წასული დონ კიხოტი პედროს ნათლავს როდრიგო დე ნარვაესად და მანტუის მარკიზად, თვითონ კი ბალდუინად და მავრ აბინდარაესად წარუდგება.

გლეხის შეგონებაზე, რომ ისაა პატიოსანი იდალგო ბატონი კიხანა, დონ კიხოტი მრავალმნიშვნელოვან და იგავურ პასუხს წარმოთქვამს:

„— მე თვითონ ვიცი, ვინცა ვარ..."

ეს არ არის მარტივი სიტუაცია.

აქედან იწყება ორგვარი სიმართლის, რეალურის და დონ კიხოტისთვის ნაცნობი საკრალური სიმართლის, ურთიერთშეპირისპირების დრამა.

საწყალი გლეხი პედრო ალონსო... ისევე როგორც დონ კიხოტის მთელი გარემომცველი წრე, მოვლენაში ის მხოლოდ იმას ამჩნევს, რასაც ხედავს.

მოვლენის ფარული, საკრალური, მისტერიალური არსი მისთვის დაფარულია. ეს — პედრო ალონსოს ჰგონია, რომ მის წინაშეა „პატიოსანი იდალგო ბატონი კიხანა". (ასე იცნობენ მას სოფელში), „ვერ ხვდება" კი, რომ ახლა მის წინაშეა არათუ დონ კიხოტი, რომელსაც უკვე ბალდუინიც დაავიწყდა, არამედ როდრიგო დე ნარვაესის წინაშე მდგარი ტყვე აბენსერაჟი ხორხე დე მონტემაიორის „დიანადან".

ამ ეპიზოდში გლეხი პედრო ალონსო და მისთანანი დონ კიხოტისათვის იგივეა, რაც იერუსალიმის მოზეიმე ბრბო ქრისტესათვის.

ერთნიც და მეორენიც ვერ სცნობენ და ვერ ხვდებიან ნანახის ფარულ, მეორად, საკრალურ პლანს, არსს.

ისინი საგანთა მხოლოდ ზედაპირს ამჩნევენ

დონ კიხოტის საკრალური სიმართლე უპირისპირდება ემპირიულ თვალთახედვას. ვიდრე მოვლენათა შემდგომი განვითარების ხასიათს შევეხებოდეთ, აქ ისევ უნდა გავიხსენოთ იერუსალიმში ქრისტეს ვირით შესვლის უკვე არა ტრიუმფალური ფასადი, არამედ ამ სცენის შინაგანი კოლიზია.

ამ კოლიზიის არსი, როგორც ითქვა, ისაა, რომ მოზეიმე ბრბო სინამდვილეში ვერ სცნობს, ვერ იაზრებს და ვერ ხვდება ქრისტესთან შეხვედრის მნიშვნელობის მისტერიალურ არსს. ხალხი აქ თვალებზე ბინდგადაკრული ბრბოა. ამის გამო მათ, ისევე როგორც მთელ იერუსალიმს და ქვეყანას, უსაშინლესი მომავალი ელის. ეს იცის მხოლოდ ქრისტემ.

იწყება ორი სიმართლის, „ორგვარი ჭეშმარიტების" შეხლა.

---

გიორგი ბაჩიჩილაძე
ასოციაციური პარალელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაა, რომ როცა ხალხი ზეიმობდა და გზაზე ხის რტოებს და ტანსაცმელს უფენდა ვირზე ამხედრებულ ტრიუმფატორს, თავად ტრიუმფატორი — ქრისტე ტიროდა.

„და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და ტიროდა მას ზედა.

და იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშვიდობად შენდა, ხოლო აწ დაეფარა თვალთაგან შენთა.

რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა და მოგადგან შენ მტერთა შენთა ლაშქარი და გარემოგადგენ შენ და შეგკრიბონ შენ ყოვლით კერძო.

და დაგირღვიონ შენ და შვილნი შენნი შენშორის დაეცნენ, და არა დაშთეს ქვაი ქვასა ზედა შენ შორისა ამისთვის, რამეთუ არა გულისხმაყავ ჟამი მოხედვისა შენისაი" (ლუკ. 19, 41-42).

ასე უპირისპირდება ქრისტეს საკრალური ცოდნა და სიმართლე იერუსალიმის მოზეიმე ბრბოს ემპირიულ სიმართლეს და თვალთახედვას. ეს დაპირისპირება ჭეშმარიტი ტრაგიზმის დასაბამად იქცევა. ქრისტესათვის ამ დაპირისპირების ფონზე იკვეთება გოლგოთა, ჯვარცმა და ამაღლება.

დონ კიხოტის სიმართლეც, როგორც parodia sacra იმავე რიგისაა.

მოვლენები ასე განვითარდა:

პედრო ალონსომ ნაცემ-დაბეჟილი დონ კიხოტი ვირზე შესვა. ვირზე ამხედრებულმა დონ კიხოტმა და ალონსომ სოფლისკენ გაუტიეს. იმ დროს, როდესაც დონ კიხოტი სახლისკენ ვირით მიჰყავდა პედრო ალონსოს, იქ უკვე შეკრებილიყვნენ დონ კიხოტის გულითადი მეგობრები: სოფლის დალაქი და მღვდელი. დიასახლისთან ერთად ისინი ბჭობდნენ, თუ სად შეიძლებოდა ყოფილიყო უკვე სამი დღის დაკარგული დონ კიხოტი და რა ბედი ეწია მას. რაც მთავარია, მათ უკვე აღმოაჩინეს მოგზაურ რაინდად გახდომის დონ კიხოტისეული სურვილის მიზეზი — ეს იყო რაინდული რომანები.

ამ აღმოჩენით კმაყოფილი მღვდელი ეთანხმება დიასახლისს, რომ ერეტიკოსთა წიგნების მსგავსად, რაინდული რომანებიც დაწვის ღირსია:

„— მართალს ამბობთ, — მიუგო მღვდელმა. — მეც ამას ვფიქრობ და სიტყვას გაძლევთ, რომ ხვალვე აუტოდაფეს გავუმართავთ მათ. ერთიანად ცეცხლში გამოვბუგავთ, რათა კვლავ არ აღძრან ადამიანები იმ საქმისთვის, რომელთაც სჩადის ახლა მათი წამკითხველი ჩემი უბედური მეგობარი (II, V).

დონ კიხოტის მეგობართა „საიდუმლო სერობის" სწორედ ამ მომენტში გაისმის გლეხ პედრო ალონსოს მოწოდება!

„— კარი გააღეთ, ქალბატონო, მოვიდნენ მძიმედ დაჭრილი სენიორი ბალდუინი და სენიორი მანტუის მარკიზი, იგივე სენიორი მავრი აბინდარაესი. იგი დატყვევებული მოჰყავს ანტეკერის მბრძანებელს მამაც როდრიგო დე ნარვაესს (I. IV).

სერვანტესი გვაუწყებს:

„ამ ხმაურზე ყველანი გარეთ გამოცვივდნენ: მამაკაცებმა დაინახეს თავიანთი მეგობარი, ქალებმა — პატრონი და ბიძა. და ხვევნა კოცნა დაუწყეს მას. მთელი ამ ხნის განმავლობაში დონ კიხოტი განაგრძობდა ვირზე ჯდომას და ძირს ჩამოსვლას ვერ ახერხებდა. მან წარმოთქვა:

— შესდექით ყველანი, მძიმედ ვარ დაჭრილი ჩემი ცხენის მიზეზით. ლოგინში ჩამაწვინეთ და თუ შესაძლოა, დამიძახეთ ჯადოქარ ურგანდას, წყლულები შემიხვიოს და განმკურნოს. (I. IV).

როგორც ვხედავთ, ამ საბედისწერო შემთხვევამ დონ კიხოტი არა თუ არ გამოაფხიზლა და დააბრუნა რეალობაში, არამედ მთლიანად გადართო ილუზორულ სამყაროში.

გმირთან ტრიუმფალური შეხვედრის დრამატული სცენა შემოტრიალდა ვირზე მჯდომი ნაცემი და გამასხრებული ახლობლის სენტიმენტალურ-მელოდრამატული შეხვედრის სცენით.

დონ კიხოტის პირველი გამგზავრების ფინალი სახლში ვირით დაბრუნების საცოდავი სურათით დასრულდა. მაგრამ დონ კიხოტი ხომ მეორედაც გაიჭრება სახლიდან და ნესამედაც ამიერიდან ის უკვე რაინდის ყველა ატრიბუტით იქნება აღჭურვილი და საჭურველთმტვირთველით მხარდამშვენებული.

სწორედ მეორე გამგზავრების ჟამს მოუხდება დონ კიხოტს ისევ აღმოჩნდეს ვირზე ამხედრებული, მაგრამ საცოდავი ტრიუმფატორის როლში. გავიხსენოთ ეს მეორე ეპიზოდი.

## III

„არქუთ ასულსა სიონისასა: აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშვიდი და ზე ზის იგი ვირსა..." (მათე 21,5).

„დონ კიხოტის" პირველი ნაწილის XI-XII თავები ვირზე მჯდომ ქრისტესთან იერუსალიმის ტრიუმფალური შეხვედრის უფრო გავრცობილ ტრავესტიას წარმოსახავენ.

ამ ტრავესტიის კომიკურ ეფექტს ზრდის რამდენადმე ეროტიკული ასპექტი, რომლითაც იერუსალიმში ქრისტეს ვირით შესვლის მითოლოგემა ხასიათდება.

საქმე ისაა, რომ იერუსალიმში ქრისტეს ვირით შესვლის მითოლოგემა რთულია. ამ მითოლოგემის სემანტიკა ითვალისწინებს ქრისტე— სასიძო-მეუფის, როგორც ახალი იდეის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტანისა და განმანაყოფიერებლის შესვლას ქალაქ-ქალ-ასულ იერუსალიმში. ვირთან დაკავშირებული ზემანტიკა სწორედ ნაყოფიერების იდეითაა ნასაზრდოები.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ სახარებისეულ თარგმანებში სიონისადმი მიმართვის ტრადიციული ფორმა: „არქუთ ასულსა სიონისასა" ან „ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო" — შეცდომაა. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული მიმართვის ფორმა აქ უნდა იყოს „ქალწულო სიონო" ან „ასულო სიონო" და არა „ასულსა სიონისასა". იგივე სიტუაციაა რუსულ სინოდალურ თარგმანშიც:

**Дшери (дочери) Сионовой!**

ეს მომენტი იმ მხრივაა საგულისხმო, რომ კონტექსტი ითვალისწინებს არა მხოლოდ სიონელ ასულს, არამედ თავად სიონს, ვითარცა ასულს, მდედრს, ქალს. სტილურ-გრამატიკული ფორმის შეცვლა იწვევს სახარების ამ სიმბოლური ეპიზოდის მითოლოგიური მნიშვნელობის შეცვლას (შდრ. ფრეიდენბერგი, იერუსალიმში ვირით შესვლა, წიგნში „წარსულის მითი და ლიტერატურა", მ. 1978, გვ. 491).

ამ მითოლოგემაში შემავალი ყოველი სემანტიკური ერთეულის დეტალიზაცია სცილდება ჩვენთვის საინტერესო საკითხთა წრეს. „დონ კიხოტის" XV-XVI თავებში ამ მითოლოგემის ასპექტები პირდაპირაა კოორდინირებული ჯერ როსინანტის წარუმატებელ ეროტიკულ თავგადასავალთან, ხოლო შემდეგ თავად დონ კიხოტის ფათერაკებთან. მოვლენები აქ ასე ვითარდება: დონ კიხოტი და სანჩო მწყემს ქრიზოსტომის დასაფლავებაზე დამსწრე ხალხს გამოეთხოვებიან თუ არა, იმ ტყისაკენ გასწევენ, სადაც მარსელა ეგულებოდათ. მარსელას ძებნაში გართული დონ კიხოტი და სანჩო მობიბინე ველზე აღმოჩნდებიან, სადაც წყაროც მოჩუხჩუხებს.

რაინდი და საპურველთმტვირთველი როსინანტს „მისი დარბაისლობისა და გულცივობის იმედით" ველზე გაუშვებენ, თავად კი სანოვაგეს შეექცევიან. ამასობაში იანგვესელმა მეჯოგეებმა გალისიელი ფაშატების მთელი ჯოგი გამორეკეს მინდორზე.

ბრძენი სიდ ჰამეტ ბენენჰელი ამ ეპიზოდს ასე გვიამბობს:

„როსინანტსაც აკი ეშმაკი შეუძვრა და თავისი ჯიშის გაარშიყება მოასურვებინა. დაინახა თუ არა ჯოგი, არც აცია, არც აცხელა, არც თავის ბატონს დაეკითხა და მსწრაფლ კოხტა თოხარიკით ფაშატებისაკენ გაეშურა. მათ ამჟამად თითქოს ჰამის სურვილი უფრო ჰქონდათ, ვიდრე არშიყობისა. ან იქნებ ჩვენი ბედაურის გარეგნობა არ მოეწონათ, ძალიან უგულოდ მიიღეს იგი, ტლინკების ყრა და კბენა დაუწყეს, ხოლო კბილებით მოხართავები სულ დაუგლიჯეს, უნაგირი მოაძვრეს და მთლად გააშიშვლეს. მაგრამ მისი მარცხი ამით არ დასრულებულა: რაც ფაშატებმა დააკლეს, ის მეჯოგეებმა შეუსრულეს. განზრახვა გაუგეს თუ არა, მისცვივდნენ უბედურ მოარშიყე როსინანტს და კომბლებით იმდენი ურტყეს, ფეხები მაღლა ააფშეკინეს" (I გვ. 103).

მოვლენები ასე განვითარდა: დონ კიხოტი და სანჩო დაინახავენ ასეთ გაჭირვებაში ჩავარდნილ როსინანტს და, როგორც მოსალოდნელიც იყო, სასწრაფოდ მიეშველებიან. წარმოსადგენია, თუ რა დღეს დააყრიდა ოცი კომბლებით შეიარაღებული მეჯოგე ჩვენს რაინდს და სანჩოს.

სიდ ჰამეტ ბენენჰელი გვაუწყებს: „ულმობელმა ბედმა ისე ინება, რომ იგი სწორედ თავისი როსინანტის ფეხებთან დაცემულიყო, რადგან უხეში ბრიყვების ხელში კომბალს თურმე ასეთი ძალა ჰქონია. მეჯოგეებმა რომ ნახეს — ცუდი საქმე ჩავიდინეთო, თავიანთი ჯოგი საჩქაროდ მოაქუჩეს და სწრაფად გაუდგნენ გზას. ფათერაკების ორი მაძიებელი კი მეტად სავალალო მდგომარეობაში დატოვეს" (I. 104).

ფათერაკი, რომელიც აქ როსინანტს შეემთხვა და შემდეგ დონ კიხოტმა და სანჩომაც იწვნიეს, მხოლოდ სიმბოლური დასაწყისია, მხოლოდ მაცნეა როსინანტის ეროტიკული თავგადასავლის იმ გრანდიოზული დუბლირებისათვის, რომელიც ფუნდუკში ვირით შესულ დონ კიხოტს გადახდება.

მაგრამ ამ ფათერაკამდე დონ კიხოტს მოუხდება ფუნდუკში ვირით შესვლის სიმბოლური რიტუალის მონაწილედ ქცევა.

იერუსალიმში ქრისტეს ვირით ტრიუმფალური შესვლის სცენის ტრავესტია ამ ეპიზოდში თავის კულმინაციას აღწევს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ისაა, რომ ფუნდუკში ვირით შესვლა, თავად დონ კიხოტს აქვს გაცნობიერებული, როგორც იერუსალიმში ქრისტეს ვირით შესვლის ანალოგი!

ამ საფეხურიდან თხრობის ტონი და სიმბოლიკა ახალ კომიკურ მიმართულებას იძენს. ჩვენ ვიცით, რომ „ქალაქში მშვენიერ ვირზე კოხტად მჯდომარედ" შემსვლელი ერთადერთი გმირი, რომელსაც საერთოდ ლიტერატურა და მითოლოგია იცნობს და რომელსაც ვირზე ამხედრების გამო კი არ ძრახავენ, არამედ იღებენ როგორც ტრიუმფატორს, არის ქრისტე.

მაგრამ დონ კიხოტს, ქრისტეს მცნების ამ განმასახიერებელს და ქრისტიან რაინდს, „ავიწყდება" თავისი ღმერთის ცხოვრების ეს ყველაზე ნათელი და ბედნიერი ეპიზოდი. ავიწყდება ის, რაც მან ყველაზე უკეთ უწყის. სამაგიეროდ „ციხე-ქალაქში ვირზე კოხტადმჯდომარი" შემსვლელის როლში და მისაბაძ მაგალითად ის იხსენებს წარმართული პანთეონის ღმერთს, სატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების მამობილს, რუმბივით გაბერილ სილენს. სილენს კი მხიარული სატირები, რაკი ამ რუმბივით გაბერილ ლოთს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო ხოლმე, ვირზე გადაკიდებულს დაატარებდნენ ქალაქში.

უნდა გვახსოვდეს, რომ დაბალი, მოხუცი და ჩასუქებული სილენის მითოსური ატრიბუტებია რუმბი და ვირი. ანტიკური დრამის გალერეაში მისი სახე ტრანსფორმირებულია, როგორც „მხდალი და ლორმუცელა“ მასხარისა. დროთა ვითარებაში სილენი ფარსული კომედიური მსახურის სახეში გადაიზარდა.

ამ ნიშნებით სილენი თავისი ვირისაგან და რუმბივით გაბერილი ლიპისაგან განუყოფელი სანჩოს მითოსური წინამორბედი უფროა, ვიდრე გამხდარი, მაღალი, კაფანდარა, სულიერი, და ზოგადეთიკური ამოცანებით შეძრწუნებული მწუხარე სახის დონ კიხოტისა.

მაგრამ ფიქრი, რომ ვითარებით გამოწვეული მიზეზების გამო დონ კიხოტი როლს იცვლის, ნაადრევია.

მოვუსმინოთ თვად დონ კიხოტს.

როდესაც გულქვა იანგვესელთაგან კომბლებით ნაცემი დონ კიხოტი და სანჩო გონს მოეგებიან, უახლოეს ფუნდუკამდე მიღწევას გადაწყვეტენ. მაგრამ უბედურება ისაა, რომ დაბეგვილ როსინანტზე ჯდომა შეუძლებელია, ფეხზე დგომა და სიარული კი დონ კიხოტს არ შეუძლია. დარჩა ერთი გამოსავალი: სანჩოს ვირი.

დონ კიხოტიც, როგორც ქრისტე თავის მოწაფეებს, ვირის მოსაყვანად აგზავნის სანჩოს.

ახლა მთელი პრობლემა ისაა, თუ რამდენად შეესატყვისება რაინდული კოდექსისა და ეთიკეტების პედანტურად აღმსრულებლის, მოგზაური რაინდობის ინსტიტუტის ამაღორძინებლის დონ კიხოტისეული ამპლუა ვირზე ჯდომის კომიკურ სურათს.

აი, სწორედ ამგვარი დამამცირებელი დაცინვიდან თავის დაზღვევის გამო იხსენებს დონ კიხოტი ისტორიულ მაგალითს, როგორც მისაბაძ ნიმუშს, სადაც ვირზე „კოხტად ჯდომა“ საძრახისი კი არა, სანაქებოცაა.

დონ კიხოტი სანჩოს აუწყებს: „ვირზე ჯდომისათვის არავინ დამძრახავს. მახსოვს სადღაც წამიკითხავს, რომ მოხუცი სილენი, სიცილის მხიარული ღმერთის ბახუსის მამობილი და გამზრდელი, ახბჯოვან ქალაქში მშვენიერ ვირზე კოხტადმჯდომარე შევიდაო.

— კარგია, თუ სილენივით კოხტად ჯდომა შეიძელით, — წარმოთქვა სანჩომ. — სწორად ჯდომასა ან ნაგვის ტომარივით დებაში დიდი განსხვავებაა: თქვენ კი, მგონია, ახლა სხვაგვარად მოგზაურობას ვერ მოახერხებთ“. (I. XV).

სანჩო აქაც რეალისტია.

დონ კიხოტს კი ის აწუხებს, რომ რაკი ვირით მოუწევს „ციხე-დარბაზში“ შესვლა, „კოხტად მჯდომარედ“ გამოიყურებოდეს. ვინ-ვინ და უკეთ თავად დონ კიხოტმა [illegible] ვირზე „კოხტადმჯდომარეს“ ზეიმითა და სიხარულით შეხვედრის ბედი მანა ღმერთმა არგუნა მხოლოდ ქრისტეს.

ჩვენ გვახსოვს იოანეს სახარების შეგონება, რომ იერუსალიმში ქრისტეს მაინცდამაინც ვირით შესვლის მნიშვნელობა „არა ეცნათ მოწაფეთა მისთა პირველად, არამედ ოდეს იდიდა იესო, მაშინ მოეხსენა“ (იოანე 12, 16).

თუ რატომ არ ახსენებს დონ კიხოტი აქ ქრისტეს, როგორც ციხე-დარბაზში ვირით შესვლის წინამორბედს და მისაბაძ მაგალითს და იხსენებს მის დემერონიზებულ ანტიპოდს სილენს, ეს ნათელია. ნათელია ისიც, თუ ცენზურისადმი ანგარიშის გაწევის მიუხედავად, ეკლესიის მხრივ რატომ იყო დევნილი „დონ კიხოტი“ და რა შეიძლებოდა მასში მიეჩნია ერეტიკულად. ნათელია იმპულსიც, რამაც ეკლესიის მსახურთ კანტარანასის ქუჩაზე დები ტრონიტარების დედათა მონასტრის კედელთან მდებარე სერვანტესის საფლავის მოთხრა აიძულა.

აქ საქმე მარტო ის კი არაა, რომ დონ კიხოტის ვირზე ჯდომის შემთხვევა წარმართული პანთეონის ისეთი სიმბოლიკითაა შენიღბული, რომ პირდაპირი ალუზია ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდს ითვალისწინებს, არა! სერვანტესი კიდევ უფრო აღრმავებს ამ ტრავესტიას, როდესაც ფუნდუკში უკვე ვირით შესული დონ კიხოტის თავგადასავალს აგვიწერს. გაიხსენეთ, პაემანზე მეჯორის ლოგინისკენ აჩქარებული მარიტორნესი შეცდომით რომ დონ კიხოტის სარეცელში აღმოჩნდება და რაინდის ხვევნაში გაითანგება. ამასობაში მათ შორის ხომ „ცოდვილი გულისთქმით ძილგამფრთხალი მეჯოგე შემოიჭრა“, რასაც მოჰყვა ცემა-ტყეპა და სკანდალი.

მეორე ეპიზოდის თავგადასავლიდან სამი ასპექტია განსაკუთრებით საგულისხმო: ერთი უკავშირდება დონ კიხოტისადმი ფუნდუკის მკვიდრთა ალერსიანი და მზრუნველი შეხვედრის ფორმას: ტრავესტია იერუსალამის შეხვედრისა ვირზე მჯდარ ქრისტესთან.

მეორეა ფუნდუკის მკვიდრთა მიუხვედრელობა, გაუაზრებლობა, უცნობლობა დონ კიხოტისა: ამ მიუხვედრელობით, სხვათა შორის, განსაკუთრებით აღშფოთებულია სანჩო, რომელიც ასტურიელ მარიტორნესს ეუბნება:

— „ძალიან უვიცი ვინმე ყოფილხარ, დობილო!“

ტრავესტია ქრისტეს წვევის მნიშვნელობაში იერუსალიმის მიუხვედრელობისა.

მესამეა იანგვესელ ფაშატებთან როსინანტის მარცხიანი ეროტიკული თავგადასავლის კოორდინირება დონ კიხოტის მარცხიან ეროტიკულ თავგადასავალთან:

ტრავესტია იერუსალიმში ქრისტეს ვირით შესვლის მითოლოგემის საერთო ეროტიკულ ასპექტთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV

„და დასდვეს მისსა ზედა დაწერილი: ეს არს იესო, მეუფე ჰურიათაი“. (მათე 27, 37).

„დონ კიხოტის“ პირველი და მეორე წიგნის ბოლო თავებს შორის გარკვეული სიმეტრიული თანხვედრაა.

„დონ კიხოტის“ მეორე წიგნის ბოლო თავები ტრანსფორმირებული დუბლირებაა პირველი წიგნის ბოლო თავებისა.

რაც შეეხება „დონ კიხოტის“ პირველი წიგნის ბოლო თავები გვაუწყებენ დონ კიხოტის გალიაში ჩასმასა და ამ სახით სოფელში მისი ჩამოყვანის ისტორიას.

დონ კიხოტი მთელი სოფლის სამასხროდ იქცა...

„დონ კიხოტის“ მეორე წიგნის ბოლო თავებს ისინი გვაუწყებენ რაინდის ბარსელონაში ჩასვლისა და „მთვარის რაინდთან“ მისი დამარცხების შემდეგ სოფელში დაბრუნების ისტორიას.

ბარსელონაში დონ კიხოტი მთელი ქალაქის სამასხარაო შეიქნა.

აქ მთავარი ის კი არაა, რომ დონ კიხოტი გასამასხრებელი ობიექტია სოფლადაც და ქალაქადაც. არა! ამჯერად უფრო საყურადღებო აქ არის თვით ამ გამასხრების რიტუალური ფორმა, მისი გამომსახველობითი მხარე და ემბლემატიკა. ორივეგან დონ კიხოტის გამასხრების სახალხო სცენებს სერვანტესი აგებს რიტუალიზებული სიმბოლიკის პრინციპებზე.

ორივე სცენა გამოძახილია ჯვარცმის მოსურნე იერუსალიმელი ბრბოს წინაშე მაცხოვრის წარდგენის სცენისა. ეს პრინციპი ხორციელდება დონ კიხოტის თავგადასავლისა და ხვედრის კოორდინირების გზით, მაცხოვრის ხვედრის ემბლემატიკასთან. გავიხსენოთ გალიით დონ კიხოტის სოფელში ჩამოყვანის ეპიზოდი.

სანტა ჰერმანდადის ბრძანება დონ კიხოტის, როგორც „შარაგზის ავაზაკის“ (!) დატუსაღებას იუწყება. მღვდლის, დალაქის და დოროთეას ტრიუმვირატს კი განზრახული აქვს ცბიერებით ან მოტყუებით, ან ძალით დონ კიხოტი სოფელში დააბრუნონ.

სწორად შენიშნავდა უნამუნო: „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გმირთა ყველაზე დიდი მტრები მათი მშობლები და ახლობლებია. მათ უყვართ ისინი არა ჩადენილი საქმეების გამო, არამედ თავისთავად. უყვართ არა მარადისობაში, არამედ დროის მონაკვეთში“. სერვანტესი დონ კიხოტის ხვედრის დროის სწორედ ამ ორ პლანში მონაცვლეობისა და „დიდი და მცირე“ დროის ერთმანეთში არევლის სიმბოლიზაციას მიმართავს.

მღვდლის, დალაქისა და დოროთეას ინიციატივით ტანისამოსგამოცვლილი ქამანდრები და დონ ლუისის ნილაბჩამოფარებული მსახურები ფუნდუკში მძინარ დონ კიხოტს თავს დაესხმიან, ხელ-ფეხს შეუკრავენ, გალიაში ჩასვამენ და ურმით სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგებიან.

მათი მგზავრობა ცერემონიალური და რიტუალიზებული სანახაობაა.

ყოველ შემთხვევაში ასე აღიქვეს ეს სცენა ტოლედოს კანონიკმა და მისმა თანამგზავრებმა. კანონიკი გაკვირვებული დარჩა, როდესაც „დაინახა თავის წინ რაღაც უცნაურ რიგზე დაწყობილი მგზავრები: ურემი, ქამანდარნი, სანჩო, როსინანტი, მღვდელი, დალაქი და გალიაში ხელფეხშეკრული დონ კიხოტი“ (I. X VII).

ტოლედოს კანონიკმა იფიქრა, რომ ასე „შეპყრობილი უთუოდ ვინმე შარაგზის ავაზაკი უნდა ყოფილიყო“.

ამიერიდან ავაზაკის ცნებასთან დონ კიხოტის შეწყვილების შემთხვევები, ისევე როგორც მეორე წიგნში ავაზაკებთან და მძარცველებთან დონ კიხოტის შეხვედრისა და მათ მიერ დონ კიხოტის გამასხრების სცენები, მრავალმნიშვნელიანობით იმუხტება.

აქედან პირდაპირ ასოციაციური კავშირი მყარდება ავაზაკში გაცვლილ და სხვა ორ ავაზაკთა შორის ჯვარცმულ ქრისტეს სიმბოლიკასთან.

მაგრამ ქრისტეს მისტერიასა და დონ კიხოტის სოფლად გალიით გადაყვანის ემბლემატიკა უფრო ხელშესახებად მომდევნო ეპიზოდში იკვეთება.

მკითხველს მოეხსენება, რომ როდესაც იერუსალიმის სინედრიონისა და ბრბოს მოთხოვნით პილატემ განიკითხა ქრისტე, მათ წინაშე „გამოვიდა იესო გარე და ედგა ეკლისა გვირგვინი და ძოწეული სამოსელი და ჰრქუა მათ პილატე:

აჰა კაცი იგი!

და ვითარცა იხილეს იგი მღვდელმთავართა მათ და მსახურთა, ღაღადყვეს და თქუეს: ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე!“ (იოანე, 1, 5, 6).

რა ვითარებაა „დონ კიხოტში?“

როდესაც კანონიკი და მისი თანამგზავრები სოფლად დონ კიხოტის გადაყვანის ამ უცნაურ წყობას გადაეყრებიან, ხალხთა თავყრილობას მღვდელი ასე წარუდგენს დონ კიხოტს:

„თქვენს წინაშე, მოწყალეო ხელმწიფენო, მწუხარე სახის რაინდსა ხედავთ“. („აჰა კაცი იგი!“).

თუ „დონ კიხოტის“ პირველ ნაწილში მაინც ყრუდ და გამკრთალებული კონტურებით მოჩანს ქრისტესა და დონ კიხოტის ტრავესტია, როგორც დონ კიხოტის თავგადასავლის ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იმ სიტუაციის მეტაფორიზაციის პრინციპი, მეორე ნაწილში ქრისტეს ალუზია უფრო მძლავრი შტრიხებით იკვეთება:

ვიდრე ბარსელონაში დონ კიხოტის გამასხრების სხვა რიტუალიზებულ ეპიზოდს შევეხებოდეთ, გავიხსენოთ ბრიყვი ხარების ჯოგისაგან გადათელილი დონ კიხოტისა და სანჩოს დიალოგი.

ჰერცოგის სასახლეში გადატანილი ისტორიებისა და ბრიყვი ხარების ჯოგთან ფათერაკის შემდეგ დონ კიხოტმა ასეთი აზრი გაუმხილა სანჩოს: „მე, სანჩო, გაჩენილი ვარ სიკვდილით ვიცოცხლოო“ (IX).

ეს ხომ სიკვდილით სიკვდილზე გამარჯვების პირდაპირ ქრისტეხეული ფორმულაა. ქრისტე ხომ ერთადერთია, რომელიც არის „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“. და როგორც ჯვარცმის ჟამის მოახლოვების წინაგრძნობით ფიქრებდამძიმებული ქრისტე აუწყებს მოწაფეებს: „მცირედღა და არღარა მხედვიდეთ მე“ (იოანე, 16, 16) და დროებით გაშორდება მათ თავისი ჰირის გასაქარვებლად, დონ კიხოტიც ანალოგიურ საიდუმლოებას აზიარებს სანჩოს:

„მე კი ფიქრების ტვირთქვეშ დამტოვე. დაე ჩემს უბედურებათა კვეთებისაგან მოვკვდე. მე, სანჩო, გაჩენილი ვარ სიკვდილით ვიცოცხლო“. (II, IX).

მაგრამ ჯვარცმამდე გოლგოთის გზაა...

ბარსელონისკენ მიმავალი დონ კიხოტი როკე გინარტის ავაზაკთა ბანდას გადაეყრება. ქალაქგარეთ მოთარეშე მძარცველი გასართობად ქალაქელ ამფსონებს უგზავნის დონ კიხოტსა და სანჩოს.

ბარსელონამ, როკე გინარტის რეკომენდაციით, დიდებული შეხვედრა მოუწყო საპატიო სტუმართ. დონ კიხოტი გართობის მოყვარე დონ ანტონიო მორენოს მდიდარი სახლის ბინადარი შეიქნა.

დონ ანტონიო მორენოს განკარგულებით დონ კიხოტს აბჯარი შეხსნეს და აქლემის ბეწვის ვიწრო კამზოლში გამოწყობილი რაინდი დიდი ქუჩის მხარის აივანზე გამოიყვანეს „მთელი ხალხისა და ბიჭების თვალწინ, რომელთაც მას ცქერა დაუწყეს, როგორც იშვიათი ჯიშის მაიმუნს“. (XII).

დამთავრდა ბარსელონის ბრბოსათვის დონ კიხოტის წარდგინების ცერემონიალის ერთი საფეხური. „აჰა კაცი იგი!“ — საკუთარი თვალით იქნა ნანახი.

მაგრამ ნანახს, ეტყობა, კიდევ სჭირდება რაღაც მეტი შთამბეჭდაობისა და კონკრეტულობისათვის.

აკი არ აკმარეს იესოს ბრბოს წინაშე წარდგენა: „აჰა, კაცი იგი!“

ამიტომაც იყო, რომ „დასდვეს თავსა მისსა ზედა დაწერილი: ესე არს იესო, მეუფე ჰურიათაი“.

აივნიდან ბრბოსათვის წარდგენის შემდეგ დონ კიხოტის გამასხრების ახალი ფურცელი იშლება. დონ კიხოტი ჯორზე შესვეს და ქალაქის ქუჩებში დაუწყეს ტარება. ბრბო ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს დაბნეული რაინდის სეირნობას. საქმე ის იყო, რომ მას „მოსასხამი მოახურეს, მის შეუმჩნევლად ზურგზე ეტრატი მიაკრეს და ზედ მსხვილი ასოებით წააწერეს: „ე ს ე ა რ ს დ ო ნ კ ი ხ ო ტ ი ლ ა მ ა ნ ჩ ე ლ ი“.

წრე შეიკრა. ახლოვდება დონ კიხოტის აღსასრულის ჟამიც. ბარსელონის ქუჩაში მოხეირნე დონ კიხოტს „მთვარის რაინდის“ ნიღბით ბაკალავრი სამსონ კარასკო წარუდგება. ეს იყო დონ კიხოტის უკანასკნელი და საბედისწერო დუელი. ჩვენი რაინდი დამარცხდა:

ამიერიდან დონ კიხოტს დონ კიხოტობა აეკრძალა. ის ერთი წლით უნდა ალკვეთილიყო საკუთარ სოფელში.

დონ კიხოტი აღესრულა...

დონ კიხოტი აღესრულა იმავე რწმენით, რა რწმენითაც იესო დაუბრუნდა მამის წიაღს: „მე მივსცენ მათ სიტყუანი შენნი და სოფელმან მოიძულნა იგინი, რამეთუ არა არიან სოფლისა ამისგანნი, ვითარმცა მე არა ვარ სოფლისა ამისგანი“ (იოანე, 17,14).

და კიდევ: მთავრდება წიგნი დონ კიხოტის ცხოვრების ჭეშმარიტი მესაიდუმლის სიდ ჰამეტ ბენენჰელის ვერსიის გამარჯვებით დონ კიხოტის ცხოვრების მეტაფრასტული აღმწერის ვერსიაზე.

ამიერიდან მკითხველი, „ტარდესილასელი მჯლაბნელის ჯინაზე“, დონ კიხოტის ცხოვრების საიდუმლოს უკვე კანონიკური ტექსტის მიხედვით ეცნობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკო ანდრონიკაშვილი

# „საშინელი ფილოსოფოსი“

„ტიპიური ინტელიგენტი გასული საუკუნის სამოციანი წლების, დაკვირვებული, დინჯი ახალგაზრდა, დაახლოებით ოცდაათი წლისა, თმა გვერძე სუფთად გადავარცხნილი, ევროპიული კარგად შეკერილი ტანსაცმელი, ატარებს პენსნეს, როგორც სჩანს, აქვს მანერა ნაპოლეონისებური გულზე ხელის დაკრეფისა და ერთი ნაბიჯის წინ გადადგმის. თეთრი საყელო, გული და ყელსახვევი სამოციანი წლების ყალიბის. ინტელიგენტი, ამ სიტყვის უაღრესი მნიშვნელობით, არის მთელ ამ გამომეტყველებაში ერთი რამ, რომელიც აახლოებს მის მიერვე აღწერილ ერთ მომენტთან... „საშინელი ფილოსოფოსის“ შთაბეჭდილებას უფრო ახდენს რომანის ავტორის პორტრეტი და რაღაც არ უდგება ამ გარემოებას ბიოგრაფის თქმა, ან უდგება თავისებურად, რომ ავტორი იყო „თავის სათნო ხასიათით, პატიოსნებით და გულკეთილობით შესანიშნავი პირი თავისი დროისა“. მაგრამ საშინელ ფილოსოფოსს, რომელსაც ჰქონდა ხასიათი სულ ყველა აზრზე ეთქვა რამ საწინააღმდეგო, სავსებით მიუდგება დახასიათება-რომ იგი იყო მუყაითი და მშრომელი, რომ ამ თვისების და თავისი ნიჭის მეოხებით მან მიიღო ისეთი განვითარება, როგორიც იშვიათი იყო მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში. მართლაც რომ „საშინელი“ ყოფილა ეს სკეპტიკი. არაჩვეულებრივი განვითარებით შეიარაღებული გამბედავი ავტორი: აქვეყნებს „სურამის ციხეს“. არ ეშინია, რომ საზოგადოება გულისწყრომით და ზიზღით აღიმართა მის წინააღმდეგ. მთელ ამ ამბავში არის დემონიური მომენტის უაღრესი სიმახვილე. სიტყვის „საშინელის“ გამართლება“ — ასეთად წარმოუდგენია გალაკტიონ ტაბიძეს „სურამის ც...ის“ ავტორი. „დემონიური მომენტები „სურამის ციხეში“ — ასე დაასათაურა მან თავისი წერილი დანიელ ჭონქაძის შესახებ. სამწუხაროდ, წერილი დაუმთავრებელია. მისი მხოლოდ დასაწყისი არსებობს.

დ. ჭონქაძე „პირველი ქართველი რეალისტია, რომელიც როგორც თავისი პოლიტიკური შეხედულებებით, ასევე სინამდვილის მხატვრული განსახოვნებით მშრომელი გლეხობის მხარეზე და მის სამსახურშია — წერს პროფ. დ. გამეზარდაშვილი — ამიტომაა, რომ დ. ჭონქაძის რეალიზმი ღრმა და დიდი ემოციური ზემოქმედების მქონეა. ჭონქაძე, ამთავრებს რა ქართული კრიტიკული რეალიზმის პირველ პერიოდს, გვაუწყებს მეორე პერიოდის დაწყებას“. ამგვარად, დანიელ ჭონქაძე წარმოგვიდგება ქართული ლიტერატურის გარკვეული ეტაპის დამაგვირგვინებლად, კონკრეტულად კი, აგრძელებს და აგვირგვინებს გიორგი ერისთავისა და ლავრენტი არდაზიანის ხაზს. ასეთია ტრადიციული შეხედულება, მაგრამ თუ გადავლახავთ ტრადიციის მომნუსხველ ძალას, კრიტიკული თვალით გადავხედავთ დაკანონებულ ჩარჩოებს, დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანისა და გიორგი ერისთავის შემოქმედებას შორის აღმოვაჩენთ, ჩემის აზრით, პრინციპული ხასიათის სხვაობას. ამ მწერლების შემოქმედების ზერელე შედარებაც კი, ვფიქრობ, თვალნათლივ გვიჩვენებს განსხვავებას, როგორც მსოფლმხედველობრივი, ასევე მხატვრული გამომსახველობის თვალსაზრისითაც. ქრონოლოგიურად ერთმანეთთან ასე ახლოს მდგომი მწერლებისათვის ბუნებრივია ერთი-ორი წმინდად თემატური მომენტის თანხვედრა, მაგრამ ეს თანხვედრა კიდევ უფრო ნათელს ხდის იმ ღრმა და პრინციპულ განსხვავებას, რომელიც მათ შორის არსებობს. ეს ჯერ კიდევ მიხეილ ზანდუკელმა შენიშნა და იქვე, სადაც წერს, დანიელ ჭონქაძე გ. ერისთავის მიერ ქართულ ლიტერატურაში დაწყებული რეალისტური მიმართულების გამგრძელებელიაო, აღნიშნავს: „მაგრამ ის, როგორც გ. ერისთავისაგან, ისე ლავრენტი არდაზიანისაგან და სხვა წინამორბედი თანამედროვე მწერლებისაგან, „ცისკრის“ გარშემო რომ იყვნენ შემოკრებილნი, არსებითად განსხვავდებოდა, როგორც მსოფლმხედველობით, ისე თემის გაგებისა და გაშლის თვალსაზრისით“. იგივე მიხეილ ზანდუკელი სხვა ადგილას წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ლავრენტი არდაზიანის რომანები უფრო მოგვიანებით დაიბეჭდა, ვიდრე დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1859 წ. მე-12 №-ში, 1860 წ. 1-ლ №-ში), მაინც ლავრენტი არდაზიანის რომანები თავისი მიმართულებით, ფსიქოლოგიით, შინაარსით (საკითხების ინტერესით) უფრო ახლოა გ. ერისთავის შემოქმედებასთან, ვიდრე დანიელ ჭონქაძისა". მაგრამ მოხდა ისე, რომ არც თვით მ. ზანდუკელი და არც მის შემდგომ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, რატომღაც, აღარ დაინტერესებულან ამ განსხვავებით „მიმართულების, ფსიქოლოგიის, შინაარსის, საკითხების ინტერესის" თვალსაზრისით. სამი ამ ფრიად განსხვავებული მწერლის შემოქმედება ძირითადად ხელოვნურად, ერთ მნიშვნელზე იქნა დაყვანილი და მათი შემოქმედება, ფაქტიურად, ერთ ლიტერატურულ ეტაპად, ერთ მიმართულებად იქნა მიჩნეული და დაკანონებული.

დანიელ ჭონქაძის რეალიზმის უმთავრეს განმსაზღვრელ ნიშნად სოციალური პროტესტი, ბატონყმობის წინააღმდეგ გალაშქრებაა მიჩნეული. სოციალური მოტივი მართლაც მძლავრად ისმის „სურამის ციხეში", მაგრამ ამის აღიარება არ არის საკმარისი „სურამის ციხის" მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის ასახსნელად, მისი მსოფლმხედველობრივი კრედოსა თუ შემოქმედებითი მიმართულების დასადგენად; მძაფრი სოციალური ჟღერადობა განსაზღვრავდა XVIII-XIX საუკუნეებში შექმნილ, მხატვრული თუ მსოფლმხედველობრივი ელემენტებით ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ ნაწარმოებებს, იქნებოდა ეს კლასიცისტ მოლიერის, განმანათლებელ ვოლტერის, სენტიმენტალისტ რუსოს, რომანტიკოს ჰიუგოს თუ სხვათა შემოქმედება. სამართლიანად აღნიშნავს აკაკი ბაქრაძე: „დიდი ხნის წინათ „სურამის ციხე" ბატონყმობის წინააღმდეგ დაწერილ თხზულებად მიიჩნიეს და მის ძირითად ღირსებადაც ეს აღიარეს. თუმცა, როცა „სურამის ციხე" გამოქვეყნდა (როგორც ცნობილია, იგი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის" 1859 წლის მე-12 და 1860 წლის პირველ ნომრებში), რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმების საკითხი გადაწყვეტილი იყო. ქართული საზოგადოება კარგად იცნობდა იმპერატორ ალექსანდრე მეორის სიტყვას, რომელიც 1858 წელს გაზეთ „კავკაზში" დაიბეჭდა და სადაც აღიარებული იყო ამ რეფორმის ჩატარების აუცილებლობა. მთელ სახელმწიფოში უკვე შექმნილი იყო სათანადო კომიტეტები, რომელნიც რეფორმის შინაარსს და ხასიათს საბოლოოდ ამუშავებდნენ. ეს დ. ჭონქაძემ შესანიშნავად იცოდა. მას თავად ჰყავს გამოყვანილი „სურამის ციხეში" იმ ახალგაზრდათა შორის, რომელნიც, დათქმული პირობის თანახმად, რიყეზე იკრიბებოდნენ და ხზვადასხვა ამბავს ყვებოდნენ, ლიბერალი თავადი ლ. დ. ვისაც „დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების განთავისუფლება". ასე რომ „სურამის ციხის" დასტამბვა დ. ჭონქაძეს არ შეიძლება სამოქალაქო გმირობად ჩაეთვალოს. ობიექტურნი თუ ვიქნებით, ეს უფრო იმდროინდელი კონიუნქტურა იყო. თუ მწერალს მაინც უპირებდნენ კუკიის ხიდიდან გადაგდებას ან ცემას, ეს ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის გონებაჩლუნგობას მოწმობს და არა „სურამის ციხის" ავტორის გამბედაობას... თუ „სურამის ციხეს" მივიჩნევდით მხოლოდ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად, მაშინ გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, რომ იგი მეტად დაგვიანებული პროტესტია. „სურამის ციხის", როგორც მხატვრული ნაწარმოების ღირსება სხვა რამ არის და არა ოდენ ბატონყმობის მხილება".

ამ აზრს ძირითადში შეიძლება დავეთანხმოთ. ვფიქრობ, მხოლოდ ერთ რამეში არ არის მართალი აკაკი ბაქრაძე, როდესაც „სურამის ციხის" დასტამბვა იმდროინდელ კონიუქტურად მიაჩნია. ჩემის აზრით, დანიელ ჭონქაძის მიერ „სურამის ციხის" გამოქვეყნებას სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ბატონყმობა უკვე „ფაქტიურად გადავარდნილი იყო", ღრმა კავშირი აქვს ამ ნაწარმოების აზრობრივ შინაარსთან, რადგან XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს, რუსეთში და მასთან ერთად საქართველოში ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები სოციალურ ვითარებაში; ბატონყმობის გაუქმება იყო ნაბიჯი ჩამორჩენილობის იმ სტადიის დასაძლევად, რომელიც ევროპის მოწინავე ქვეყნებს უკვე კარგა ხნის გადალახული ჰქონდათ. „სურამის ციხე" დაიწერა და გამოქვეყნდა საზოგადოებრივ ფასეულობათა გადაფასების პერიოდში, როცა საჭირო გახდა განსაზღვრულიყო ადამიანის ადგილი განახლების გზაზე შემდგარ სამყაროში, ახალ სულიერ-კულტურულ სიტუაციაში, სოციალური პროგრესის ვითარებაში. პიროვნება (ფორმალურად, ფსიქოლოგიურად მაინც) თავისუფლდებოდა საუკუნეებით ნაჭედი ბორკილებისგან და მის წინ იხსნებოდა ახალი პერსპექტივები, ახალი გზა, ახალი ღირებულებები იდგა ამ ღირებულებებში გარკვევის, გზის არჩევის და ამდენად, პასუხისმგებლობის საკითხი (ამას თვით ბაქრაძეც აღნიშნავს), ხოლო ამგვარ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ პიროვნება თავისუფალია თავის არჩევანში. ამდენად, ამ ნაწარმოების ძირითადი პრობლემა არის თავისუფლების ზნეობრივი პრობლემა. ზნეობრივი არჩევანის საკითხი აღელვებს ამ ნაწარმოებში დანიელ ჭონქაძეს და ეს ზუსტად გამოხატავს ეპოქის განწყობილებას. დურმიშხანის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა თავისუფლებისათვის ბრძოლის, თავისუფლების მოპოვების პრობლემასთან, არამედ მოპოვებული თავისუფლების გამოყენებასთან, არჩევანის თავისუფლებასთან. დურმიშხანი ირჩევს ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის ტიპიურ გზას, ამით იგი სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს ენათესავება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ორივე ნაწარმოებში ახალი კლასის ჩამოყალიბებაა ნაჩვენები, მაგრამ მათ შორის მაინც პრინციპული სხვაობაა.

თუ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ განმსაზღვრელია ყოფითობის მეშჩანური გარემო, შეზავებული, ერთგვარად, სენტიმენტალური მელოდრამატიზმით, ჭონქაძის ნაწარმოებში წარმოდგენილი სამყარო პირობითობის ნიშნითაა აღბეჭდილი. აქ ემოციურ-სენსუალური საწყისი დომინანტობს, ნაწარმოებისათვის, დამახასიათებელი ფერთა მკვეთრი კონტრასტულობა, გრძნობათა თუ ვნებათა ამბივალენტიზმი; ყველაფერ ამასთან ერთად ის მისტიკური ელემენტიც, რომელიც ნაწარმოებში სურამის ციხის აგების ლეგენდას შემოაქვს, მიგვანიშნებს, რომ ამ ნაწარმოებში რომანტიკული ელემენტია წარმმართველი და რომ „სურამის ციხის“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა კრიტიკულ რეალიზმთან, არამედ რომანტიკული პროზის ნიმუშთან. ამას მიგვანიშნებს ნაწარმოების ფაბულაც, სიუჟეტიც, რომელიც მთლიანად პირობითობაზეა აგებული.

„გამოვიკვლიოთ“, „შევისწავლოთ“, — ასეთი იყო დევიზი ლიტერატურული მიმართულებისა, რომელიც წამყვანი გახდა მეცხრამეტე საუკუნეში და რომელსაც სტენდალი უწოდებდა ნამდვილ, ჭეშმარიტ რომანტიზმს, რადგან ტერმინი რეალიზმი ჯერ არ არსებობდა. „პირობითი ჟანრები გაუფასურდა... დროა ბოლო მოვუღოთ ყველა პირობით ჟანრს“ ასეთი იყო ლოზუნგი, რამაც ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა კრიტიკულ რეალიზმს.

დანიელ ჭონქაძეს მიზნად არ დაუსახავს იმ რთული სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების შესწავლა და ანალიზი, რომელიც ლ. ტოლსტოის სიტყვებით „ეს ესაა ყალიბდებოდა“. იგი ეკუთვნოდა უფრო იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც ცდილობდნენ ეჩვენებინათ ცხოვრების საშინელებანი, მოუწოდებდნენ უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მაგრამ რომლებიც მკითხველს აცნობდნენ არა თვით სინამდვილეს, არამედ თავის დამოკიდებულებას ამ სინამდვილისადმი, აღშფოთებას, არსებული სოციალური წყობით. „სურამის ციხეშიც“ სწორედ ამგვარ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე; მწერალი თავიდანვე ხაზს უსვამს ამბის პირობითობას, რაც ნაწარმოების ფორმაშია გამოვლენილი: „ამ ზაფხულის, იმ საშინელ სიცხეში, როდესაც ქალაქში მცხოვრებნი ეძებდნენ სიგრილეს ქალაქის გარეთ, აქ რამდენიმე ყმაწვილთ, რომელთა რიცხვში ერია თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე, დადვეს პირობა მთელ ზაფხულს, ყოველ საღამოს, შეყრა რიყეზე, ანჩისხატის ჩასწვრივ და იქ დროების გატარება კარგა შუაღამემდის. იმ პირობაში, სხვათაშორის, იყო ერთი მუხლი, რომლითაც მორიგე პირს უნდა ეთქვა ერთი მოთხრობა, ანუ ანდაზა ანუ სხვა რაიმე ჩვენი საქართველოს ცხოვრებიდან“ ამით ავტორი დასაწყისშივე უარყოფს ამბის რეალურობას, ნამდვილობას, დოკუმენტურობას, ცხოვრებისეულობას, რასაც, პირიქით, ესწრაფოდა, მაგალითად, ლ. არდაზიანი თავის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“. ამით დანიელ ჭონქაძე მეტ თავისუფლებას იტოვებს სუბიექტურობისათვის, ტენდენციურობისათვის, სწორედ იმ „დამოკიდებულებისათვის“ რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. ის არ არის შეზღუდული არა თუ რაიმე ფორმალური თუ ჟანრული კანონებით, არამედ ელემენტარული ლოგიკური დროითი თუ სივრცობრივი წყობით. დანიელ ჭონქაძე შეგნებულად უსვამს ხაზს ამგვარ თავისუფლებას: „ოჰ, შენმა მზემ, თუშური სკუპი არის, დაიძახა ალექსიმ.

— რა ვქნა, ლოღიკის კურსი არ გამიგონია შენგან, ჩემო საშინელო ფილოსოფოსო რა უყო, უპასუხა სიკომ გაჯავრებით.

— თქვი კაცო, მაგას ყურს ნუ უგდებ, უთხრეს ყმაწვილებმა“.

სწორედ ამგვარ თავისუფლებას უწყობს ხელს ნაწარმოების ისტორიზმიც, მიაჩნიათ, თითქოს მწერალმა მოქმედება ისტორიულ წარსულში ცენზურის შიშით გადაიტანა. ჩემის აზრით, ნაწარმოების ისტორიზმი მწერლის შემოქმედებითი პრინციპებითაა განპირობებული. რეალიზმის წარმოქმნამდე თითქმის მთელი მსოფლიოს ხელოვნება მიმართავდა იგავს, როგორც ძირითად ხერხს ცხოვრების მხატვრული განსახოვნებისა. იგავის როლს ანტიკურ ხელოვნებაში, შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქაში ძირითადად მითოლოგია (ანტიკური და ქრისტიანული) ასრულებდა. იგავს ხელოვნება მიმართავდა ცხოვრების განზოგადებული ასახვისათვის მისი ფილოსოფიური გააზრებისათვის. მხოლოდ რეალიზმის წარმოქმნასთან ერთად გაჩნდა ტიპიზაციის ხერხები და ხელოვნებას მიეცა საშუალება თანამედროვე, ყოფითი ცხოვრების აღწერისას პირდაპირ, უშუალოდ გაეხსნა ზოგადი ინდივიდუალურში. მხოლოდ კრიტიკულ რეალიზმში შესძლო ხელოვნებამ იგავური ფორმებისაგან მთლიანად განთავისუფლება და მათი კერძო ხერხად ქცევა. რომანტიზმი იყო უმთავრესი ეტაპი ამ გზაზე. მან უკვე ძირითადში უკუაგდო მითოლოგია, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივიდა თანამედროვეობის უშუალო მხატვრულ ასახვასთან. მითოლოგიის ადგილს აქ უმთავრესად იჭერს ისტორია, აგრეთვე ხალხური ლეგენდა და ზღაპარი. იგავური ფორმები რომანტიზმში ჯერ კიდევ ჰარბობს სინამდვილის უშუალოდ ასახვას და თავისი ეპოქის მოვლენათა მხატვრულ განზოგადებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ისინი მაინც უფრო კონკრეტულნი და თავის დროსთან დაახლოებულნი ხდებიან. ისტორია დგება თანამედროვეობის სამსახურში და ხშირად იქცევა მის მეტაფორულ გამოხატულებად. სწორედ ამგვარ ისტორიზმთან გვაქვს ჩვენ საქმე „სურამის ციხეში". ისტორიული გარემო, სადაც არც ერთი რეალური ისტორიული პირი არ მოქმედებს, აძლევს მწერალს მეტ საშუალებას მოვლენებისადმი თავისი დამოკიდებულების გამოვლენისა.

„სურამის ციხის" ძირითადი, მამოძრავებელი სიუჟეტური ხაზი არის ვარდოსა და დურმიშხანის სიყვარულის ამბავი. ამბის დასაწყისში ტრადიციული რომანული ინტრიგა ინასკვება. „...მსახურთაგანი იყო ვინმე დურმიშხან — ძალიან ყოჩაღი და ლამაზი ყმაწვილი კაცი, მუხრანბატონის ნაზირი და ქალი — გულისვარდი, საყვარელი გოგო მუხრანბატონის მეუღლისა.... შეუყვარდათ ერთმანეთი, ისე, როგორც აღმოსავლეთში მცხოვრებთ შეუძლიათ სიყვარული. მაგრამ უკაცრავად, შეუყვარდა მხოლოდ გულისვარდს, დურმიშხანს, რომელ არ ყვარებიყო. შევიტყობთ შემდგომ. საწყალი გულისვარდი სულით და გულით მიეცა თავის სიყვარულსა... იმისათვის, გარეშე. თვისსი სიყვარულისა, აღარ იყო ცხოვრება".

ძნელი არ არის ამ ტრადიციული რომანული დასაწყისის უკან არცთუ შეფარული, თუმც კი სევდიანი, ირონია დავინახოთ. ეს არ არის მხოლოდ ტრადიციული სიუჟეტის მიმართ, ანუ ფორმის პაროდირება: ავტორის ირონია მიმართულია იმ მარადიული, ამაღლებული გრძნობის, სიყვარულისადმი, რომლის სადიდებლად არაერთ მგოსანს აუჟღერებია თავისი ჩანგი. ავტორის ირონია მიგვანიშნებს ამგვარი სიყვარულის შეუთავსებლობაზე თანადროულობასთან, ახალი ცხოვრების სულთან. გულისვარდი, თავისი „აღმოსავლური", სიყვარულით თითქოს სხვა სამყაროდან, სხვა ეპოქიდან არის მოსული. მისი წმინდა გრძნობა რომანტიკული იდეალია, რომელიც მკაცრ სინამდვილეს უპირისპირდება. (აქვე უნდა აღინიშნოს ამბის ერთგვარი ელეგიური დასაწყისი, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩას" რამოდენიმე სტრიქონის ერთგვარ ასოციაციას იწვევს": — აი ის სახლები მუხრანბატონიანნი არის, ხედავთ? — და გაიშვირა ხელი მუხრანბატონიანთ სასახლისაკენ.

— დიახ, დიახ, გახლავთ, — უპასუხეს ყმაწვილებმა.

— ეხლა ის სახლები დაქცეულები არიან, არ ვიცი რათა. პატრონები ყურს აღარ უგდებენ. გული აუცრუვდათ იმათზედ, მაგრამ მაგათაც ჰქონდათ თავისი დრო; ერთხელ ეგენიც იყვნენ პირველი სახლები ჩვენ ქალაქში და ყოველი ქალაქში ჩამომსვლელი უთუოდ ნახამდა ამ სახლებსაც, სხვათა შორის, მაგრამ მხოლოდ ეს სახლები არ იყვნენ ჩინებულნი ამბობენ, რომ იმისთანა ტანოვანი, ლამაზი, ზრდილი და ჩაცმული მოსამსახურეები არსაიდან არ გამოვიდოდნენ, როგორც იმ სახლებითგან".) გულისვარდის სიყვარული არის სიმბოლო სიწმინდისა, სიკეთისა, რომელიც ბურჟუაზიული სინამდვილის მიერ შებღალული, გაყალბებული და გათელილი შურისძიების ბოროტ, დამანგრეველ ძალად იქცევა და ტრაგიკული ბედისწერის სახეს იღებს. მკითხავი ვარდუა არის ჭეშმარიტად რომანტიკული დემონური სახე-სიმბოლო, რომელიც მწერალმა ბოროტების, სიცრუის, ანგარების სამყაროს დაუპირისპირა.

თავისი ბიოგრაფიით, ხასიათით, დურმიშხანიც რომანტიკული გმირია, მისი მძიმე ბავშვობა და ყრმობა, მტრული დამოკიდებულება გარშემომყოფთაგან განასხვავებს მას ადამიანებისაგან. სხვათა ცინიზმი, მტრობა, ეგოიზმი თავად მას აქცევს ცინიკოსად, ეგოისტად, ინდივიდუალისტად.

„ვინც რამეს დაამშავებდა, ყველა, ჩემი ბრალი იყო: ვინ რა მოიპარა? — იმერელმა, ვინ რა გატეხა? — იმერელმა, ვის დასცინიან? — იმერელ ბიჭს, ვისა სცემენ გაჯავრებულ გულზე? — იმერელ ბიჭს, ვის გასაჯავრებლად თქვან იმერლების დასაცინი ანდაზები? — იმერლის ბიჭისა. მე, ვარდო, ბევრჯერ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯერ მიტირია მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშის მცემელი? არავინ! თვით ღმერთი, ეს ყოვლად უმოწყალე, ნუგეშის მცემელი, არ იყო ჩემთვის, მისათვის, რომ არ ვიცნობდი იმას: ასე ჩემო ვარდო, სანამ შენ გაგიცნობდი ერთი კაცი არ მყოლია, რომ შემეჩივლა ჩემი გულის დარდები" დურმიშხანს სულს უხუთავს, ზღუდავს, ახრჩობს ის ჩარჩოები, რომელშიც იგი, როგორც ყმა, სამუდამოდაა ჩაკეტილი. ის ეძებს ამ ჩარჩოებიდან თავის დახსნის, გაქცევის საშუალებებს. ასეთ საშუალებას იგი პოულობს გულისვარდის სახით, რომელიც დურმიშხანისათვის მხოლოდ ნაჭილია მისთვის საძულველი სამყაროსი, და რომლისადმი დამოკიდებულება თავიდანვე ცივი ანგარების ფარგლებს არ სცილდება. დურმიშხანის წასვლა მუხრანბატონის სახლიდან, ესაა გაქცევა სულისშემხუთველი მონობის სამყაროდან სანუკვარი თავისუფლების სამყაროში: „მამალმა რო მესამედ იყივლა, დურმიშხანმა მოუჭირა ცხენს მოსართავები, გადაუგდო ხურჯინი, გამოვიდა და გაუდგა გზას. საით? იმ დროს რომ გეკითხათ თვით დურმიშხანისათვის, გარწმუნებთ ვერ გეტყოდათ, საით მიდიოდა. სადა ჰქონდა იმას დრო, რო ეფიქრა ამაზე. იმას სურდა მხოლოდ ჩქარა გასულიყო ტფილისიდან, იმიტომ რომ ტფილისი აგონებდა იმას შემზარავ დროებას, რომელიც გაატარა აქამდისინ, იმიტომ უკანასკნელ რო უნდოდა ჩქარა გამოეცადა ის ცხოვრება, რომელზედაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცი არ აძლევს ანგარიშს სხვა თავისთანას, და იხმარებს თავის დროებას, როგორც უნდა და როგორც კეთილს იგონებს. და აი მიდის ჩემი დურმიშხანი...“

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია აზრი, რომ „დ. ჭონქაძე კარგად ამჩნევს კაპიტალიზმის განვითარების ორმაგ ბუნებას, იგი ამახვილებს მკითხველის ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ვაჭრულმა ურთიერთობამ არსებითად შეცვალა ყოფილი ყმაგლეხის მორალი. იგი თავისი საქმიანობით, ზნეობით ნამდვილი ვაჭარია, — სიყვარულსაც კი ვაჭრულად უყურებს. ყმობიდან განთავისუფლებულმა დურმიშხანმა ულალატა ვარდუას. შეძლებულმა ვაჭარმა ქალს, რომელსაც იგი თავდავიწყებით უყვარდა, სიყვარულის ნაცვლად ფული შეაძლია“. ვფიქრობ, ეს ასე არ არის. დურმიშხანის მორალი ვაჭრულ ურთიერთობას არ შეუცვლია, იგი ისეთივე რჩება ბოლომდე, როგორც თავიდანვეა წარმოდგენილი ნაწარმოებში. მისი მორალი თავიდანვე ეგოისტური, ინდივიდუალისტურია; ვაჭრულ ურთიერთობას, ვიმეორებ, არ შეუცვლია დურმიშხანის მორალი ისევე, როგორც ვერ შეცვალა ნოდარის (ოსმან-ალას) მორალი. უბრალოდ, დურმიშხანის ეგოისტური, ინდივიდუალისტური მორალი უფრო შესაფერისი აღმოჩნდა, ასე ვთქვათ, მოერგო ვაჭრულ (კაპიტალისტურ) ურთიერთობებს, ვიდრე ოსმან ალას კეთილშობილება და ზნეობრივი სისპეტაკე. ტექსტში თავიდანვეა მითითებული, რომ დურმიშხანი არაგულწრფელია ვარდოსთან. ატყუებს მას: „დიახ, შეუყვარდათ ერთმანეთი... მაგრამ უკაცრავად; შეუყვარდა მხოლოდ გულისვარდს, დურმიშხანს რომელ არ ყვარებიყო, შევიტყობთ შემდგომ... საწყალი ქალი რას მოიგონებდა, რო იმის დურმიშხანს იმ დროს, როდესაც ის ელაპარაკებოდა თავის სიყვარულს, გულში სულ არ ჰქონდა სიყვარული და ეძებდა შემთხვევას, მოხერხებით ეთქვა იმისთვის თავისი გულის პასუხი“. ყმობიდან თავის დაღწევის ერთი წლის მერე, როდესაც ჯერ კიდევ წერილებს წერს გულისვარდს და მალე დაბრუნებას პირდება, იგი უკვე ჯვარდაწერილია შეძლებული გლეხის ქალზე. „მაგრამ უყვარდა იმას თავის დანიშნული? არა, იმას არ უყვარდა არც ეხლანდელი თავისი დანიშნული, არც გულისვარდი, და არც ოსმან-ალა, ღირსი სიყვარულისა, იმ კეთილისათვის, რომელიც უყო მან დურმიშხანს. იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თავის პატივი და იმათ მოპოვებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა“ რად უნდა იმას სიყვარული, როდესაც აუსრულდება თავისი ოცნება, ის იქნება მდიდარი პატივცემული და დამოუკიდებელი. რა ფასით ყიდულობდა ამ სიკეთეს იმას არ ჰქონდა საჭიროება გამოკითხვისა და აი, სიმდიდრისათვის მამაკაცი ყიდის თავს, როგორც ერთი კურტიზანკთაგანი“. სიმდიდრისათვის, მატერიალური კეთილდღეობისათვის თავის გაყიდვის ფაუსტური მოტივი საკმაოდ გავრცელებულია რონანტიკულ ლიტერატურაში. გავიხსენოთ მაგალითად, ადალბერტ შამისოს „პეტრე შლემილის საოცარი თავგადასავალი“, ვილჰელმ ჰაუფის „ცივი გული“ და მრავალი სხვა.

დურმიშხანის მორალური ანტიპოდი არის ნოდარი (ოსმან-ალა), ადამიანი, რომელმაც დურმიშხანზე არანაკლები (თუ მეტი არა) ჯოჯოხეთი გადაიტანა, მაგრამ მორალური სიწმინდე არ შეულახია, არ გაბოროტებულა ადამიანების მიმართ, არ გამხდარა ინდივიდუალისტი და ეგოცენტრიკოსი, არასოდეს დაუკარგავს ჭეშმარიტი ადამიანური თვისებები. მისი დაპირისპირება საზოგადოებასთან, მისი ამბოხი, მის მიერ ჩადენილი მკვლელობა, ძალდატანებითი პასუხია ძალმომრეობაზე. რომანტიზმისათვის ტიპიურია სახეები კეთილშობილი ყაჩაღებისა, რომლებიც თავისი ბუნებით არ არიან ბოროტმოქმედნი, რადგან დანაშაული მიუძღვით არა მათ, არამედ იმ საზოგადოებას, რომლის წინააღმდეგაც ისინი იბრძვიან. ისინი შურს იძიებენ არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ საერთოდ შელახული ადამიანური ღირსებისათვის. ისინი უმხედრდებიან საზოგადოების არაადამიანურობას ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობისათვის. ამის მშვენიერი დადასტურებაა შილერის წინარერომანტიკული დრამა „ყაჩაღები“, რომელმაც სათავე დაუდო რომანტიკულ მწერლობაში მსგავსი სახეების დამკვიდრებას. რომანტიკულ მწერლობაში დანაშაული განსაკუთრებული ასპექტით არის წარმოდგენილი: დანაშაული უპირველესად ყოვლისა არის პიროვნების ტრაგედია, რომელიც იმავ დროს გამოხატავს საზოგადოებრივი წყობის მოუგვარებლობას, სადაც გარდაუვალია ინდივიდის კონფლიქტი მთელს საზოგადოებასთან.

ოსმან-ალამ ჩაიდინა მკვლელობა, იძია შური უნამუსო ბატონზე, და ზედ დააკლა ცოლშვილიც. მსგავს სიტუაციებზე ი. მანი წერს: «Акт убийства в романтическом конфликте так же был подготовлен глубоким процессом отчуждения. Романтический персонаж нередко впадал в излишество мести, в состояние аффекта; удар поражал лиц прямо не виновных в его несчастьях, но в основе своей это было действие идейно мотивированное».

ახალ ადგილზე ოსმან-ალა გარეგნულად კარგად გრძნობს თავს. მაგრამ ბედნიერება მისთვის მიუწვდომელია.... „მესამე დღეს მივედი ახალციხეს. აქ მაშინვე გამოვცხადდი მეფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტისთან და მოვახსენე სურვილი მათი სჯულის მიღებისა. მეორე დღეს დიდი ამბით მივიღე თათრობა, ვგმე ქრისტე. აქ ოსმალოს დიდკაცებმა დამაჯილდოვეს, მირჩიეს სტამბულში წასვლა და იანიჩარის ჯარში გამწესება. მე წაველი და გავმწესდი. უნდა მოგახსენოთ, რო იქ ჩემი გარეგანი ცხოვრება იყო ძლიერ კარგად, მაგრამ რა სრულდებოდა ჩემს გულში, ის უწყოდა მხოლოდ ღმერთმა.

მოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უმეტესად გადადგომა ქრისტიანობისა არ მაძლევდნენ მოსვენებას და არც ახლა მასვენებენ. მხიარულებაში, ძილში, ომში ან თუ საცა გინდა, ყველგან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიდგას წინ და მეუბნება სალმობით:

— მე რა დაგიშავე, რად მომკალ?

რამდენჯერ ვეძიე ომში სიკვდილი, რამდენჯერ გიჟივით გადავვარდი გაცხარებულ ომში, რომ ჩქარა გავშორებულიყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის ტყვია ამ მპოულობდა მე, და სიკვდილის მაგიერ გამივარდა მამაცობის და გულადობის ხმა და იმან მაშოვნინა ასისთაობა, მაგრამ ამის შემდეგაც არ დამიმშვიდდა სინდისი. შემდეგ, იმ ფიქრით, რომ გამექარვებინა ეს აზრები, დავიწყე ვაჭრობა, მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სინდისი მაინც არ დამშვიდდა.

— ღმერთო? მომეტევება როდისმე ჩემი შეცოდებანი? — თქვა ჩუმად ჩაფიქრებულმა და თვითონვე დაატანა, — საიდუმლო ხმა მეუბნება, რო არაო!“

ოსმან-აღასათვის ნიშანდობლივია რომანტიკული განწირულობის გრძნობა, რომელიც მის მიერ შინაგანი სიმრთელის დაკარგვით არის განპირობებული. იგივე სენი სჭირთ შილერის კარლ მოორს, კლაისტის მიხაელ კოლსასს, ბაირონის აღმოსავლური პოემების გმირებს. ასეთი პერსონაჟი განსაკუთრებით ტიპიური და გავრცელებული იყო რომანტიკულ მწერლობაში, მაშინ, როდესაც დურმიშხანისებური გმირი, რომლის გენეზისი პიკარესეულ რომანშია საძებარი, შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას კრიტიკული რეალიზმის რომანებში ჰპოვებს. მაგრამ „სურამის ციხეში“ დურმიშხანიც, როგორც აღვნიშნე, ტაპიური რომანტიკული გმირია და ხასიათის რეალისტურობის თვალსაზრისით მისი შედარებაც კი არ შეიძლება ჟულიენ სორელთან, რასტინიაკთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი, როგორც ტიპი, სწორედ, მათ წრეს განეკუთვნება, ასევე განსხვავდება დურმიშხანი სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისაგან, რომელიც უფრო, განმანათლებლური შემოქმედებითი პრინციპების ნაყოფია. როგორც ვხედავთ, რომანტიკოსი მწერალი ჩანს „სურამის ციხის“ ყველა მხატვრულ კომპონენტში დაწყებული ძირითადი აზრობრივი შინაარსით, პრობლემატიკით, ფაბულით, სიუჟეტითა და მთავარი პერსონაჟებით. თვით ნაწარმოების ჟანრული სპეციფიკაც მხატვრული მეთოდითაა განპირობებული. თავისი სტრუქტურით ნაწარმოები რომანტიკული რომანია (რუსეთში ამგვარ ნაწარმოებებს უწოდებენ „Романтическая повесть“) სწორედ ამ ტიპის ნაწარმოებების შესახებ წერდა პუშკინი ა. ბესტუჟევს:

«Да полно тебе писать быстрее повести с романтическим переходом — это хорошо для поэмы байронической. Роман требует болтовни, высказывай все начисто».

მაგრამ ამგვარი «быстрые повести» განპირობებულია სწორედ რომანტიკული მეთოდით, სადაც მთავარია გამოიხატოს აზრი, გამოიკვეთოს იდეა, ითქვას სათქმელი, ხოლო ყოფას, ანტურაჟს, ცხოვრებისეულობას, რასაც ყველაფერს ერთად რეალისტურობა ჰქვია, აქ ნაკლებად ექცევა ყურადღება, ყველაფერი, გარდა ძირითადი იდეისა, რომანტიკოსისათვის პირობითობაა. სტენდალი ხშირად საყვედურობდა მერიმეს იმას, რომ იგი ძალზე მშრალად მოგვითხრობს თავისი გმირების გრძნობებზე, და არწმუნებდა ისეთი ნაწარმოების უპირატესობაში, რომელიც „ძალზე ზუსტად ხატავს გულის მოძრაობას“, თვითონ ის მაშინ უფრო და უფრო მტკიცედ ადგა ამ გზას.

პროგრესული რომანტიკოსები იცავდნენ პიროვნების უფლებებს, პათეტიკურად აცხადებდნენ მოწინავე იდეებს, გამოსახავდნენ კეთილშობილ გრძნობებს და ქმნიდნენ პოეტურ სახეებს ისე, რომ არ ეყრდნობოდნენ რეალური ცხოვრების „რკინის კანონების“ ცოდნას. ახალ ლიტერატურას უნდა დაერღვია „ტიხრები“, რომლებიც ჰყოფდნენ ერთ ჟანრს მეორისაგან (მაგალითად ფსიქოლოგიურ რომანს — ყოფაცხოვრებითი რომანისაგან, რომანს — დრამისაგან). ისინი ხელს უშლიდნენ მწერლებს ყოველმხრივ აესახათ სინამდვილე, ორგანულად შეერწყათ კლასობრივ წინააღმდეგობათა დრამატიზმი და ადამიანთა პირადი განცდების, წმინდად ადამიანურ ურთიერთობათა ტრაგიზმი, დაენახათ მათ შორის ღრმა დამოკიდებულებითი კავშირი, ეს გააკეთეს სტენდალმა და ბალზაკმა ევროპაში, დიდმა რუსმა რეალისტებმა, ჩვენში ეს მოახერხა ილია ჭავჭავაძემ.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ ჯერ არ არის გადალახული ეს მიჯნა, დეკორაციის პირობითობას აქ შეესაბამება ეგზოტიკური სახეების ასეთივე პირობითი გამოსახვა, რაც სრულ შესაბამისობაშია რომანტიზმის პოეტიკასთან, რომლის კანონებსაც ძირითადში ექვემდებარება დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით მჭედლური

# გადავიხედოთ გალავნის შიგნით

ნაილი ნეკერიშვილის ახალ წიგნს „მშვენიერი გალავანი" ჰქვია. ეს ვგონებ ავტორის მეორე კრებულია და ცხადია პოეზიის მოყვარულთ აინტერესებს თუ რა ახალი ტენდენციები გაჩნდა ახალგაზრდა შემოქმედის მორიგ წიგნში, რა იმალება მშვენიერი გალავნის მიღმა.

საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდა პოეტმა ქალმა დებიუტიდანვე ნიჭიერი, საიმედო შემოქმედის სახელი დაიმკვიდრა და მკითხველი ალბათ ვერც ამ კრებულის მიმართ დარჩება გულგრილი.

ნაილი ნეკერიშვილი ლირიკის ერთგული მიმდევარია. იგი იშვიათად ებმება რეალური ცხოვრების ყოველდღიურობაში, სადღაც მის იქით, პოეტური ფანტაზიით შექმნილ სამყაროში ცხოვრობს და თითქოს უცხო სიზმრებს ხედავს:

სიზმრების ტყეში ზეიმობს ყველა,
სიზმრების ტყეში ჩვენ გვღვიძავს თითქოს,
და რაღაც კარგი, დაკარგული,
რაღაც ნანატრი
გვეძლევა ერთ წუთს და ღიღხანს
გვახსოვს.

მეჩვენება რომ ეს ლექსი ზოგადად ახასიათებს პოეტის საერთო განწყობილებას.

ნაილი ნეკერიშვილის ლექსებში ქალური სიკეთითა და მზრუნველობით აღსავსე გული მოჩანს, სწრაფვა ნუგეშისცემისა და სიყვარულისაკენ, ამ მისწრაფებით ისე ღრმად არის განმსჭვალული მისი ლექსები, რომ მკითხველიც, უპირველეს ყოვლისა პოეტის ამ გრძნობის თანამონაწილე და თანაზიარი ხდება — სადღაც ჩვენს შორის, ქალაქში ცხოვრობს პოეტის ლირიკული გმირი, რომლისთვისაც მოყვასისადმი ხელისგაწოდება, სხვათა სიზმრის თანაზიარობა და „სიცივეში" უსიცოცხლო სიმარტოვეში", რაღაც განგებით ნუგეშად მოვლენილი სიყვარულისათვის თვალის დევნება მთავარი მიზანი და საზრუნავია.

ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება პოეტი ქალის გულწრფელობაში, როცა ამბობს:

ნეტავ შემეძლოს უზარმაზარ ქალაქად
ვიქცე.
თქვენ ამ ქალაქში დადიოდეთ
და თავს ვერ სცნობდეთ,
ყველას გქონდეთ იქ საკუთარი თბილი
სახლი.
აივანი და სანთელი გზაზე დადგმული.
არ სტოვებდეთ მგზავრსა და მაშვრალს
ცრემლისა და ქუჩის ამარა,
სიყვარული იყოს ქვეყნის
მშვენიერი გალავანი.

ხოლო მოგეხსენებათ როდესაც პოეტი გულწრფელი და მართალია, როცა თავისი ნამდვილი, ჭეშმარიტი სახით დგას მკითხველის წინაშე და არა ნიღბით, მაშინ მისი გულწრფელობა ჩვენზე, მკითხველზე ვრცელდება და ასეთსავე გულწრფელობას, შინაგან განწმენდასა და კეთილშობილ ემოციებს იწვევს.

ნაილი ნეკერიშვილი გულწრფელი პოეტია, გულწრფელი მოსაუბრე, ზოგჯერ ქალურად უმწეოც კი, რადგან მის კეთილ განზრახვას ყოველთვის არ ემორჩილებიან ცხოვრებისეული მოვლენები, იგი იმ იდუმალსა და შორეულს ესაუბრება, რომელსაც მხოლოდ ოცნებით თუ შევქმნით, წარმოვიდგენთ, სხვისთვის უხილავ ბროლის კოშკად ავღმართავთ, რათა მისი წვეთავიდან მარად გვინათებდეს იმედის ვარსკვლავი სიკეთისა და სიყვარულის ჩაუქრობელ სანთურად, ანდა ხმა გვესმოდეს მანუგეშებელი და ყოველივე იმის დამთრგუნველი რაც შეიძლება უსიამო რეალობად არსებობდეს რეალურ ცხოვრებში, ამ აზრს პოეტის ლოცვასავით თქმული ლექსი განამტკიცებს:

წელში გამდრეკს შენი სიმაღლე,
მე ვარ შენი სინათლის მგზავრი,
მორჩილი ვარ შენი საყდრისა,
სამყაროთა ყველა ხმისგან გამორჩეულო,
მესმის შენი ხმა.
მიბმული ვარ მე შენს აკვანზე.

ისიც ცნობილია, რომ ყოველი პოეტის მხატვრული შესაძლებლობები იმით განიზომება თუ რა სათქმელი გააჩნია მას, როგორც შემოქმედს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამიანს, მოქალაქეს, რა ახალი ხმა შემატა მშობლიური პოეზიის მრავალხმოვან ანსამბლს, რა ტკივილები მიუჩნევია სათავისოდ იმ მრავალთაგან, რაც ოდესმე ამოტივტივებულა ერისა თუ საზოგადოების ცხოვრების ზედაპირზე.

ამ პოზიციიდან ნაილი ნეკერიშვილის პოეტური ხილვები რაიმე პარადოქსალურს არ გვპირდებიან, მაგრამ იგი ცდილობს მიუახლოვდეს პოეზიის მარადიულ იდეალს, მიისწრაფის მშვენიერების, სიყვარულის, სათნოების სამყაროსაკენ. პოეტის განცდები მისი შინაგანი, სულიერი ცხოვრების გამოხატულებაა, მისი რწმენაა, ხოლო საუკეთესო ლექსები ამ წიგნში პოეტი ქალის ერთი მთლიანი მონოლოგის ცალკეული ფრაგმენტებია, რომელთაც ჩვენამდე მოაქვთ ავტორის გულის ძახილი, მისი სწრაფვა, ტკივილი და სიხარული:

რა იცით თქვენ ჩემს სიყვარულზე,
მის ტანჯვაზე,
და ცრემლებით მოკირწყლულ გზაზე
ან ცის გახსნაზე,
შორსა დგას ჩემი ბაღი—ქალაქი
შორსა და ახლოს,
ისე ახლოს,
რომ თქვენა მკვიდრობთ ამ ქალაქში,
თქვენა რეკავთ იმის ზარებს
და ამ ქალაქში
შემოგაქვთ თქვენი სახე-სურათი.

ეს პოეტის ერთგვარი მოკრძალებული პაექრობაა პიროვნული და საზოგადოებრივი ტკივილების მიერ მიტოვებული ანუ მოქალაქეობრივი ფუნქციის გარეშე დარჩენილი ნაცნობებისა თუ უცნობებისადმი, რომელთა გრძნობა ვერ ადის იმ მაღალ რეგისტრამდე, როცა პიროვნული ტკივილის განცდა ზოგადკაცობრიული ტკივილის განცდად იქცევა, როცა პოეზიის ენით მინიშნებული მიზეზი ან ტკივილისა ჩვეულებრივ მოკვდავთა თვალისათვის მიუწვდომელი რჩება, როცა გარეშემყოფთაგან მიუტევებლობა უფრო სჭარბობს ლირიკული გმირის უსათუოეს გრძნობებს, ხოლო პოეტის პოზიციას კიდევ ერთხელ ნათელყოფს, მშვენიერი გალავნის შიგნით არსებული სათნოებისა და სიყვარულის სამყარო, რომელშიც მოკრძალებით გვიხმობს პოეტი.

ნაილი ნეკერიშვილის ლირიკულ სამყაროს ერთობ ფაქიზ შეხებასა და ალქმას მოითხოვს და ამ ლირიკული ნაკადის წიაღში ზოგჯერ ისეთი სტრიქონებიც გაიელვებენ, უფრო ახლოს რომ მოაქვთ შორეული სიზმრების ტყეში გადამალული სახეები და ეს სტრიქონებიც სარწმუნოდ არის ნათქვამი:

ეს თიხისფერი ქალაქები
მე ავაგე შიომღვიმიდან აგარამდე,
გამოვკვეთე მძიმე კერპები —
ცამცუმისა, ამბრისა და იამანისა,
საამირანო გალავანი შემოვარტყი.

და სამასპინძლოდ, პირისფარეშად
მიმსვლელ-მომსვლელთ
მზე დავუყენე,
შეშლილი ვარ ამ გამოფიტული ბორცვე-
ბისაგან.

ამ ლექსის ბოლო სტრიქონში მოქცეული ენერგია ჭეშმარიტი პოეტური ენერგიაა, თითქოს უბრალოდ, ჩვეულებრივად თქმული „გამოფიტული ბორცვები". რაღაც უფრო მეტს, დიდსა და მნიშვნელოვანს, იდუმალსა და სათაყვანებელს ნიშნავს, რადგან ამ ბორცვებს შორის, მათს სხეულში არის სამშობლოს კრძალვით სახსენებელი სიმდიდრე, მისი თიხისფერი ქალაქები, მითიური კოშკები და ციხე—ტაძრებია განლაგებული და განმარტოვებული.

ნაილი ნეკერიშვილი შორს არის დეკლამეტურობისაგან, როცა საქმე პატრიოტიზმის, თავისი მიწაწყლის, მშობლიური ადგილების სიყვარულს ეხება, იგი მუდამ ცდილობს მონახოს რაღაც სხვაგვარი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, რომელსაც მანამდე სხვა ვერავინ ამჩნევდა და სწორედ ამ უმნიშვნელო საგანსა თუ მოვლენასთან კავშირში გვითხრას სათქმელი, თავისი დამოკიდებულება გამოხატოს სამშობლოსადმი, თავისი გრძნობები ამ თითქოსდა ჩვეულებრივთან ურთიერთობაში გაგვიმხილოს ახალგაზრდა პოეტის მიერ არჩეული ეს პოზიცია მოსაწონია, მოძალებული პლაკატური განცხადებების ფონზე, რომელნიც ვერა და ვერ გვაჯერებენ ავტორის პატრიოტულ გძნობებში.

ახალგაზრდა პოეტის პირველი კრებულები მისი სულის გასაღებია, იმ სიღრმის მაჩვენებელია, რომელსაც ოდესმე ჩასწვდება მისი პოეტური თვალსაწიერი და ფანტაზია. ისიც არაერთგზის შეგვინიშნავს, როცა პოეზიის ნიჭიერ მსახურად სახელდებული ახალგაზრდა ავტორის შემოქმედებაში ძალიან მალე, ვიდრე იგი რამე ღირებულების შექმნას მოასწრებდეს, კრიზისული მომენტი დგება, სათქმელი ილევა, იწყება ერთხელ უკვე თქმულის გადამღერება, განზე რჩებიან ვრცელი და ზოგადი თემები, საითკენაც უნდა მიისწრაფოდეს პოეტი, სამაგიეროდ მათ ადგილს წვრილმანი თემები იჭერენ, ახალგაზრდა პოეტი გზის დასაწყისიდანვე ღალატობს პოეზიის არსსა და დანიშნულებას.

ნაილი ნეკერიშვილი ამ საფრთხის წინაშე არა დგას, მას კარგად გამოკვეთილი და განსაზღვრული აქვს თავისი პოზიცია, თავის სათქმელი, თავისი თვალსაწიერი, ოღონდ ახლა, როცა წიგნის წაკითხვის შემდეგ, ხელახლა ვფურცლავ მის პატარა წიგნს, ეჭვი მეუფლება — ერთფეროვნებამ და მონოტონურობამ ხომ არ იძალა მეთქი.

იქნებ, ეს ეჭვი უსაფუძვლო არ არის, ჯერ ერთი იმის გამო, რომ ახალგაზრდა პოე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტის ლექსებში ნაკლებად იგრძნობა მისწრაფება ფორმის მრავალგვარობისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, იგრძნობა კრებულის თემატური შეზღუდვა, რაც ბუნებრივია ღირსებას ვერ მატებს მას.

და აქ კვლავ ეჭვი იძალებს — შეძლებს კი ახალგაზრდა პოეტი თავი დააღწიოს მომავალში იმას, რა საფრთხეც ემუქრება.

ნაილი ნეკერიშვილი უმთავრესად მცირე ფორმის ვერლიბრებს წერს. მაგრამ ეს, თავისთავად, სრულიადაც არ ზღუდავს შემოქმედს — მეტი შინაგანი ენერგია ჩააქსოვოს თუნდაც ამ სალექსო ფორმაში, ამას ქართული პოეზიის სინამდვილეში კარგად ახერხებს რამდენიმე პოეტი.

შემოქმედება თვითმიზანი როდია, პოეტი ხალხისათვის, მკითხველისთვის იღვწის და ეს განმსაზღვრელი ფაქტორია, მაგრამ მკითხველის გულისაკენ მიმავალი გზების მონახვა იოლი არ არის და ამ გზის ძიება ახალგაზრდა პოეტმა დიდხანს უნდა განაგრძოს, თავის მიერ არჩეული პოზიცია მკითხველის სამსჯავროზე უნდა გადაამოწმოს და მკითხველს არჩევანიც შესთავაზოს თემატური თუ ვერსიფიკაციული სიახლეების სახით.

ნაილი ნეკერიშვილის წიგნში არის ლექსები, რომელთა დაბეჭდვისაგან ავტორს სჯობდა თავი შეეკავებინა, ამ ლექსებს ერთი უმთავრესი ნაკლი გააჩნიათ, ხელოვნურად შექმნილი დრამატიზმი, სტრიქონთა არაბუნებრივი კონსტრუქციები, აზრობრივი შეუთანხმებლობანი. პოეზიაში უკვე დამკვიდრებული ავტორისათვის არაა სასურველი ამგვარი სტრიქონებით მკითხველის წინაშე წარდგომა:

კვიმატი ფიქრი სიცილით მოსწევს
აბრეშუმის მსუბუქ იალქნებს
და მშვიდ ღობილებს მიუჯდება
მუხლის თავებთან,
გაუსაძლისი სიწყნარიდან ამოიწევს,
კითხვის თვალებით მოაჯადოვებს
კედელს და ყურეს.

ამგვარ ლექსებს შეგირდობის დაღი აზის და ეგებ დამწყები ავტორისათვის საძრახისი არ იყოს, ხოლო ისეთ ნიჭიერ პოეტს, როგორც ნაილი ნეკერიშვილია, მეტი მოეთხოვება. მაგალითად, რისი თქმა სურს ავტორს ამ ლექსით:

ჰე-ჰე ტყე დაფრთხა,
ნადირობის ეშხზე მოსულან
ორბელიანი და სტუმარი
ერისმთავრები,
ძაღლების გნიასს
და მარეკთა სტვენა-კიჟინას
წამოუგდია ჭრელი ტახი
და უსიერში
მიჰქრიან ახლა
სისხლით ნაგეშ მწევრების კვალზე,
აბა ბიჭობას დაიკვეხნის იმის პატრონი
ვის ფალიაზეც
თოფის წამალს არ სძინებია.

ვგონებ ჯერ არავის შეუცვლია ძველისძველი ფორმულა — პოეზია მხატვრული სახეებით აზროვნებააო, ამ ლექსში კი სად არის მხატვრული აზროვნება, ანდა არის თუ არა მიღწეული მიზანი — თავადთა ნადირობის ეგზოტიკური სურათის ჩვენება, მკითხველი დამემოწმება რომ პოეტს, ეს ლექსი არ გამოუვიდა. უფრო ღრმად რომ ჩავყვეთ სხვა ხარვეზებსაც ვიპოვით; რას უნდა ნიშნავდეს თუნდაც ორბელიანებისა და ერისმთავრების ერთად მოხსენიება. ერისმთავრობა სამოხელეო ტერმინია და საქართველოში ერისმთავრობისას ორბელიანთა საგვარეულო ჯერ არ იყო აღზევებული, ისიც საეჭვოა ერისმთავრებს ოდესმე ცეცხლსასროლი იარაღით ენადიროთ.

მეორეხარისხოვანი პოეზიაში არ არსებობს, ლექსის თითოეული სტრიქონი, ფაქტურის თვითეული ელემენტი გარკვეულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, გარკვეული დატვირთვა და საკუთარი ფუნქცია უნდა გააჩნდეს, მით უფრო, როცა ავტორი ვერლიბრს ან თეთრ ლექსს იყენებს.

ვერც ახალგაზრდა პოეტის მიერ ლექსის სათაურების უგულვებელყოფას მოვიწონებთ, სათაური ლექსის ორგანული ნაწილია, ზოგჯერ მისი გასაღებიც, უსათაურო ლექსის წერას კი არავის ვუკრძალავთ, მაგრამ როცა ამ კრებულში წარმოდგენილი ასოცდაათზე მეტი ლექსიდან მხოლოდ რვა არის დასათაურებული — ეს უკვე თვალშისაცემია.

ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ნიჭიერი პოეტი მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს თავის შემოქმედებით ნაღვაწს, უნიჭოს მიმართ ამაო იქნებოდა ყოველი შეგონება, ნაილი ნეკერიშვილს კი შეუძლია ხვალ გაცილებით უკეთესი კრებული შემოგვთავაზოს და უფრო თამამად აღიაროს:

ჰეი! სინათლით ამევსო სული,
ნათელი ჩემი ჩემშივე ვპოვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაკა მიქაძე

# მალკოლმ იქსი, ელდრიჯ კლივერი, ჯეიმს ბოლდუინი, ალექს ჰეილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ შავკანიანთა ისტორია 400 წლის განმავლობაში იყო და კვლავ რჩება ხალხის უფლებებისათვის ბრძოლის ისტორიად.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე ო. ზვერევი თავის გამოკვლევაში აღნიშნავს: „50-60-იან წლების ამერიკულ ლიტერატურაში ომის საწინააღმდეგო თუ ახალგაზრდული მოძრაობა არ ასახულა ისე მკაფიოდ და ზუსტად, როგორც ზანგი ხალხის ბრძოლა მოქალაქეობრივი თანასწორუფლებიანობისთვის. განვლილი ათწლეულებისათვის დამახასიათებელმა ლიტერატურის „პოლიტიზაციის" პროცესში სწორედ ამ ლიტერატურაში მიიღო ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფორმა".

შავი ამერიკელების ბრძოლამ მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ომისშემდგომ ეპოქაში წინ წამოსწია ახალგაზრდა და მეტად ნიჭიერი მწერლების ახალი სახელები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბუნებრივია, რომ ძლიერი სოციალური ძვრების პერიოდში, მკაფიოდ გამოკვეთილი სოციალური იდეების მწერლები ჩვეულებრივზე მეტად მიმართავენ პუბლიცისტურ ჟანრს, პამფლეტიდან დაწყებული ლირიკულ-დოკუმენტურ პროზამდე, საკუთარი აღქმის პრიზმაში გარდატეხილ იმ მოვლენებს, ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს რომ აღელვებენ.

პროგრესულმა პუბლიცისტურმა და მხატვრულ-დოკუმენტურმა ამერიკულმა ლიტერატურამ შესანიშნავად და საკმაოდ ზუსტად ასახა ეროვნული საკითხის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება აშშ-ში და, კერძოდ, შავკანიანთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალთა განლაგება. როგორც დრომ აჩვენა, ამ მოძრაობის ყველაზე სუსტი წერტილი იყო და დარჩა ორგანიზაციული დაქუცმაცებულობა, ფრაქციულობა. დაჯგუფებათა მრავალრიცხოვანება ხელს უშლიდა მოქმედების მომთხოვნელობისა და თვითმიზანთა ერთიანობასაც კი.

სეპარატიზმი ამ მოძრაობას არასწორი გზით წარმართავდა — არა ინტერნაციონალიზმისა და თეთრკანიან ღარიბებთან ერთიანობისაკენ, არამედ იზოლაციისაკენ, ე. ი. შესუსტებისაკენ. ამ გზას ნაწილობრივ ადგა „ისლამის ნაციის" ორგანიზაცია, იგივე „შავკანიან მუსლიმთა" პარტია, რომელიც შემდეგი იდეოლოგიის მატარებელი გახლდათ: „რასიზმი პირიქით". ამ ჯგუფის აღმავლობა დაკავშირებული იყო შავკანიანთა განთავისუფლებისათვის მებრძოლის — მალკოლმ იქსის სახელთან. მალკოლმ იქსის „ავტობიოგრაფია" (გამოქ. 1964 წ.) აშშ-ში შავკანიანთა მოძრაობის აღმავლობის ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული დოკუმენტია.

ცხოვრება ადამიანისა, რომელიც უფრო მეტად ცნობილი იყო სახელით მალკოლმ იქსი, არსებითად ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ცხოვრებისაგან შედგებოდა. პირველში მას მალკოლმ ლითლად იცნობდნენ. ბურჟუაზიული სინამდვილის ჩიხში მომწყვდეული ეს ჩვეულებრივი ჭაბუკი მალკოლმ იქსი — „ისლამის ნაციის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი დაჩაგრულ თეთრკანიანთა და შავკანიანთა უფლებების დამცველი გახლდათ, დედა ფეხმძიმედ იყო ჩემზე, როდესაც ჩვენს სახლს თეთრმოსასხამიანი კუ-კლუქსკლანელები მოადგნენ. ისინი გარს შემოერტყნენ სახლს, ყვიროდნენ, თოფებს იქნევდნენ და მოითხოვდნენ, რომ მამაჩემი გარეთ გამოსულიყო. დედამ წინა კარი გამოაღო, ისე დადგა, ყველას რომ დაენახა მისი მდგომარეობა, თან უხსნიდა, სახლში მარტო მე და ჩემი სამი ბავშვი ვართ, ქმარი არ არის, მილოუკში წავიდა საქადაგოდო. კლანელები კი ილანძღებოდნენ, იმუქრებოდნენ და მოითხოვდნენ ქალაქიდან ჩვენი ოჯახის გადაკარგვას. ჩვენ, „პატიოსანი თეთრკანიანი ქრისტიანები" ვერ მოვითმენთ თქვენი ქმრის ქადაგებას, რომელიც არეულობას თესავს და მარკუს ჰარვეისავით ომაჰას „კარგ ზანგებს" აფრიკაში დაბრუნებისაკენ უკიჟინებსო, — წერდა მალკოლმ იქსი თავის ბიოგრაფიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე შეიჭრა რასიზმი მალკოლმის ცხოვრებაში. ჯერ კიდევ მის დაბადებამდე. იგი ოთხი წლის იყო, როდესაც ლესინგში, მიჩიგანის შტატში რასისტებმა სახლი დაუწვეს. მამამისი თოფით დაედევნა მოძალადეებს. აქედან დაიწყო პატარა მალკოლმის საბრძოლო გზა „ის ცეცხლი, მამაჩემის სახლი რომ გაანადგურა, ახლაც მწვავს სულს", იტყვის შემდგომ. ექვსი წლის იყო ბიჭუნა, როდესაც მამამისს ლინჩის წესით გაუსწორდნენ. დედა კი რვა ბავშვის ამარა დარჩა.

ავტობიოგრაფიის ის ნაწილი, რომელიც ბავშვობას ეძღვნება, დაწერილია საოცარი სითბოთი, უბრალო სტილით. აქ ყოველგვარი მელოდრამატულობის გარეშეა გადმოცემული ის საშინელი ყოფა, რომელსაც ჩაგრულთა ახობით და ათასობით ბავშვი იზიარებს. მათ არ ჰქონიათ ბავშვობა — ასეთი იყო მათი ხვედრი. ცამეტი წლის მალკოლმი გამასწორებელ კოლონიაში მოხვდა. სწავლის დამთავრების შემდეგ რესტორანში დაიწყო მუშაობა ფეხსაცმლის მწმენდავად, ღამის ბიზნესი... ოცი წლისას კი განაჩენი წარუდგინეს — პატიმრობა 10 წლის ვადით.

შეიძლება ეს პარადოქსად მოგვეჩვენოს, მაგრამ ციხემ ჩამოაყალიბა მომავალი მალკოლმი. აქ იგი შეხვდა „შავკანიან მუსლიმთა" წარმომადგენლებს, რომლებმაც თავიანთ სარწმუნოებას აზიარეს და მალკოლმმა მალე განიცადა მათი იდეოლოგიის გავლენა.

მალკოლმი თანდათანობით ნამდვილ რევოლუციონერად ყალიბდებოდა, მას უკვე ველარ დააკმაყოფილებდა „ისლამის ნაციის" ვიწრო სექტანტური ჩარჩოები. მწერლისთვის აშკარა ხდებოდა, რომ გაერთიანება უნდა მომხდარიყო არა კანის ფერისა და რასობრივი, არამედ კლასობრივი პრინციპით: „მე მჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს მოხდება შეტაკება ჩაგრულთა და მჩაგვრელთა შორის, ერთმანეთს შეებმებიან თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის მებრძოლნი და ექსპლოატატორული სისტემის მომხრეები. ასეთი კონფლიქტი ნამდვილად იქნება, მაგრამ არა მგონია, რომ იგი კანის ფერზე იყოს დაფუძნებული, როგორც ამას ილაიჯა მუჰამედი გვასწავლის" — წერს მალკოლმი თავის „ავტობიოგრაფიაში".

მალკოლმ იქსის წიგნები, მრავალრიცხოვანი გამოსვლები საშიში შეიქმნა არა მარტო „ისლამის ნაციისათვის", არამედ აშშ-ს მთელი ბურჟუაზიული სისტემისათვის და ამ სისტემამ მას სიცოცხლე მოუსწრაფა, მაგრამ მისი შესანიშნავი „ავტობიოგრაფია", მისი იდეები კიდევ დიდხანს ასაზრდოებენ თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს.

მალკოლმის შვილებს უწოდებდნენ თავიანთ თავს ზანგები „შავი ავაზის" პარტიიდან. „შავი ავაზის" პარტია 1966 წლის შემოდგომაზე შეიქმნა.

აშშ კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწე ვ. პატერსონი აღნიშნავდა, რომ ეს პარტია წარმოადგენდა პირველ ორგანიზაციას, რომელსაც შავკანიანები ედგნენ სათავეში. მან შეიგნო ანტიკომუნიზმის საფრთხე და თამამად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. მაგრამ ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით პარტიის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში სხვა ტენდენციებმა იჩინა თავი. აშშ-ს კომპარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ჰენრი უინსტონი წერდა: „პარტია წარმატებით იბრძოდა და ფართო მხარდაჭერასაც იპოვებდა. გამოაცხადა რა თავი რევოლუციურ პარტიად, მან სცადა გადაედგა რამდენიმე ნაბიჯი მარქსიზმ-ლენინიზმისაკენ. მაგრამ დღესდღეობით ეს პარტია კრიზისმა იმსხვერპლა. კრიზისი იმან გამოიწვია, რომ პარტიის წევრებს არ ჰქონდათ შეგნებული აშშ-ს სოციალურ ძალთა კონკრეტულ-ისტორიული განაწილება და ამასთან დაკავშირებით მარქსიზმ-ლენინიზმი და მისი მოძღვრება კლასობრივი ბრძოლის შესახებ. ამაში არანაკლები ბრალი მიუძღვის „შავი ავაზის" პარტიის ყოფილ „ინფორმაციის მინისტრსა" და იდეოლოგს — ელდრიჯ კლივერს.

კლივერმა ყურადღება მიიქცია წიგნით „შავკანიანი პატიმრობაში". ამ პერიოდში აშშ-ში გამოიცა შავკანიან მოღვაწეთა ავტობიოგრაფიების მთელი რიგი, რამაც ერთ-ერთი კრიტიკოსის აზრით, ამერიკელ მკითხველს საშუალება მისცა გასცნობოდა „მისთვის იქამდე უცნობ სფეროს ადამიანის გამოცდილებისა". ასეთი წიგნების ავტორებია რეპ ბრაუნი, ბობ სილი, ჰიუ ნიუტონი, დიკ გრეგორი, ზემოაღნიშნული მალკოლმ იქსი და სხვ. ჩვეულებრივ ეს ნაშრომები იწყება ბავშვობის აღწერით, აქ გადმოცემულია უუფლებო სამყაროში ადამიანის შესვლა, პირველი შეტაკება რასიზმთან, გეტოსთან. შემდეგ აღწერილია ციხე და ბრძოლის დასაწყისი.

„შავკანიანი პატიმრობაში" ახალგაზრდა კლივერმა ციხეში დაწერა. წიგნი 60-იანი წლების ერთ-ერთ ლიტერატურულ სიახლედ გვევლინება. „კლივერის შემოქმედებამ გამახსენა წარსულის დაუვიწყარი დღეები, 20-40-იანი წლების ამერიკული ლიტერატურის დიადი ტალღა", წერდა ცნობილი ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე მაქსველ ჰაისმაირი. წიგნი იწყება სტატიით, რომელშიც აღწერილია უმაღლესი სასამართლოს მიერ სეგრეგაციის კანონგარეშედ გამოცხადებასთან დაკავშირებული მოვლენები. ავტორი მაშინ 18 წლის იყო და კალიფორნიის ციხეში იხდიდა სასჯელს. წიგნის პირველი სტატიები გვაოცებენ კლივერის გულახდილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითა და სიძულვილით მოძალადეთა მიმართ, გვიანდელი მასალა კი განმსჭვალულია მწვავე სარკაზმით და აქ აშკარავდება, თუ რა ღრმადა აქვს გააზრებული ავტორს ამერიკის სულიერი ცხოვრების ბნელი მხარე. თავის ცალკეულ „წერილებში“ იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ამერიკისათვის „მტკივნეულ“ საკითხზე — შავკანიანი მამაკაცებისა და თეთრკანიანი ქალების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ფროიდისტული კონცეფციებით განმსჭვალულ ქვეყანაში შავკანიანის ვირილიზმი მისი „ცხოვრების“ დამამტკიცებელ საბუთად იქცა და მხარს უჭერდა რასისტულ მითს „განუვითარებელი შავკანიანი ადამიანის“ შესახებ 60-იან წლებში. ამ ცხოვრებისეული საკითხით დაინტერესებაც კი დიდ გამბედაობას მოითხოვდა.

შემდეგ წიგნი შეიცავს ცნობებს უატსის მოვლენების, შავკანიანი მუსლიმების, კათოლიციზმის შესახებ. აქ კლივერმა გამოიჩინა სერიოზული ფილოსოფიური საკითხების გაანალიზების, მათი ყოველდღიურ ყოფასა და შავკანიან ამერიკელთა ბრძოლასთან დაკავშირების უნარი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კლივერი არ იზღუდება მარტო ამერიკული გამოცდილებით. ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებებისათვის თავისი ხალხის ბრძოლას იგი უკავშირებს გამოღვიძებული აფრიკის კონტინენტის, ყველა განვითარებადი ქვეყნის ხალხების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. „კლივერის წიგნი არის ბრწყინვალე მონათხრობი 60-იანი წლების დასაწყისის შესახებ, პერიოდისა, როდესაც მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობამ გამოაღვიძა ეროვნული ფსიქიკა, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო მაკარტიზმით მიყენებული ტრავმის შედეგად“, — წერდა მ. ჰაისმარი.

დიდი ჟურნალისტი და ბრწყინვალე ორატორი კლივერი 1967 წ. შეუერთდა „შავი ავაზის“ პარტიას და მოკლე ხანში ნიუტონსა და სილთან ერთად მის ერთ-ერთ ფაქტიურ ხელმძღვანელად იქცა. პოლიციელებთან შეტაკებისას კლივერი დაიჭრა, დააპატიმრეს და შემდეგ თავდებით გაათავისუფლეს. კვლავ ციხეში რომ არ მოხვედრილიყო, კლივერი გაიქცა შტატებიდან, და ალჟირში დასახლდა. ამასობაში მან კიდევ ორი წიგნი გამოსცა: „ციხის შემდგომი სტატიები და გამოსვლები“ და „საუბარი ელდრიჯ კლივერთან ალჟირში“.

აშშ-ს შავკანიანთა მოძრაობის ცენტრალურ ფიგურად იქცა ცნობილი ამერიკელი მწერალი ჯეიმს ბოლდუინი. უამრავი რომანის, ნარკვევის, პიესის ავტორი ბოლდუინი აშშ-ს შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც დემოკრატიული ტრადიციების ერთგულია და თავს არ აძლევს სპილოს ძვლის კოშკში გამოკეტვის უფლებას. იგი მუდამ იქ იყო, სადაც წყდებოდა ხალხის, ქვეყნის ბედიღბალი, ქვეყნისა, რომელიც გულით უყვარდა და რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე თავის ხალხს დედინაცვალივით ეპყრობოდა.

მწერლის შემოქმედების ორგანული ნაწილია სამოქალაქო თემა. სწორედ ამიტომ გმობს მის ნაწერებს ბურჟუაზიული კრიტიკა. მაგრამ ბოლდუინის ნაშრომებმა სწორედ იმიტომ მიაღწიეს წარმატებას, რომ მან თავისი შემოქმედება ძირეულად დაუკავშირა პოლიტიკურ საქმიანობასა და ხალხის ბრძოლას.

თუ ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობაში მწერალს მაშინ ექცეოდა დიდი ყურადღება, როცა ცნობილი პიროვნება იყო, როცა მისი ფოტოსურათები აჭრელებდნენ ჟურნალის ყდებს და აშშ-ს იუსტიციის მინისტრი რობერტ კენედი რჩევას ეკითხებოდა შავკანიანთა საკითხთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირში მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ძირითადი ნაშრომები მაშინ გამოიცა, როდესაც ბოლდუინის გარეგნულ პოპულარობას ფრთები შეეკვეცა და გამოვლინდა ის, რაც მთავარი იყო მის შემოქმედებაში. ბოლდუინიმ შესძლო ახალი და შესანიშნავი სახეების შექმნა. მას არა ჰყავს იდეალური და სენტიმენტალური გმირები. ბოლდუინის გმირები გამოცდილი, ფხიზელი გონების, ამერიკაში გაზრდილი ადამიანებია, მათ არ იციან რას მოუტანთ ხვალინდელი დღე, მაგრამ იციან, რომ ზანგს არ შეუძლია, მართლმსაჯულების იმედი იქონიოს...

„ბოლდუინის რომანებმა და პუბლიცისტიკამ ახალი აქცენტი შემოიტანა თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში“, — აღნიშნავს ა. ნიკოლიუშინი სტატიაში „შავკანიანთა პროტესტის თემა“ მ. მენდელსონის აზრით, ამ აქცენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „ავტორმა შესძლო რა დაენახვებინა თავის პერსონაჟთა შინაგანი ღირსება, უკვე ამით გამოააშკარავა მათდამი მტრულად განწყობილი სოციალური სისტემის არაადამიანურობა“. აი, რა არის მთავარი მის შემოქმედებაში. თავისი ხალხის სავალალო მდგომარეობის ამხსნელი მიზეზების ძიებისას ბოლდუინი არ მისდევს „პირიქით რასიზმის“ თეორიას, კონფლიქტის ძირითად მოტივს შავკანიანთა და თეთრკანიანთა შეტაკებაში არ ხედავს. მართალია, მწერლის ნაშრომებში გაუწყვეტლივ ფიგურირებს ორი სიტყვა: თეთრი — შავი, და ვინც კარგად ირ იცნობს ავტორის ლექსიკონს, შეიძლება იგი რასისტად მიიჩნიოს, ვინაიდან შეუძლებელია ყველა შავკანიანი კარგი იყოს მხოლოდ კანის ფერის გამო, თეთრკანიანი კი ცუდი იმიტომ, რომ ის თეთრკანიანია.

„ბოლდუინისათვის ცნებები „თეთრი და შავი“ მხოლოდ კანის ფერს არ წარმოადგენს. „თეთრი“, „თეთრი ამერიკა“ — ეს არის აზროვნების ფორმა, სახე, დამოკიდებულება ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის გარკვეულ კატეგორიასთან და უფრო მეტიც: დამოკიდებულება დღევანდელ და ხვალინდელ ამერიკასთან. აქედან გამომდინარე ბოლდუინისეული „თეთრი“ შეიძლება შავკანიანიც იყოს. „შავი“ კი სულ სხვა რამეს ნიშნავს. ეს არც ფერია და არც ცნება — ეს არის ადამიანის მდგომარეობის აღმნიშვნელი. იყო „შავი“ ეს იმას ნიშნავს, რომ შენი სოციალური დონის მიუხედავად, გარშემო მყოფთაგან გრძნობდე რაღაც გარკვეულ დამოკიდებულებას მხოლოდ იმიტომ, რომ შავკანიანი ხარ“, წერდა გოლენიშჩევსკი.

პრობლემის არსი მწერალმა განიხილა სისტემის მცდარობაში, ყველაფერ იმაში რასაც ეწოდება *American way* of libe (ამერიკული ცხოვრების წესი).

ჯეიმს ბოლდუინის ლირიკულ-დოკუმენტური პუბლიცისტიკა პრობლემათა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. პირველ რიგში ეს არის ავტობიოგრაფიული მოტივები, რომანების, პიესების, ხალხური მოთხრობების ჩათვლით.

მეორე, ამერიკისათვის საერთოდ და კერძოდ ზანგებისთვისაც განსაკუთრებით მრავალმნიშვნელოვანია ცნება „ჩრდილოეთი და სამხრეთი“. ბოლდუინისთვის კი განსხვავება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის წმინდა ტექნიკური ხასიათისაა: „მათ შავკანიანთა კასტრირების განსხვავებული ტექნიკა აქვთ“. „თავისუფალი ჩრდილოეთი“ მწერლისთვის მოჩვენებითი ცნებაა. „მამაპაპური სამხრეთი“ კი მისი წინაპრების მიწა, მონობის, ბიძია თომას სამყარო, მაგრამ ამავე დროს ნატ ცერნერის მიწაც — აშშ-ს შავკანიანთა უძლურების კომპლექსის და ამავე დროს სიამაყის წყარო.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მწერლის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს, რომლებიც საზღვრავენ მის ადგილს შავკანიანთა მოძრაობის შკალაზე. 35 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბოლდუინმა გამოაქვეყნა პუბლიცისტური სტატია „საყოველთაო პროტესტის რომანი“. მაშინ არავის ეგონა, რომ შავკანიანთა მოძრაობა ასეთ ძალასა და ფართო გაქანებას შეიძენდა შემდგომში. 1955 წ. გამოდის მისი წიგნი „ამერიკის შვილის ჩანაწერები“. ამ ნაშრომებმა იწინასწარმეტყველეს მომავლის მოვლენები. ამას მოჰყვა ბოლდუინის პუბლისცისტური ნაწარმოები „შემდეგ კი — ხანძარი“ (1963 წ.) აქ მწერალმა წინასწარ განსაზღვრა ის ხანძარი, რომელიც ქვეყანას მოედებოდა და ისიც აღნიშნა, რომ შავკანიანთა საუკეთესო წარმომადგენლებს დალუპვა ელოდათ: „ამერიკა პასუხს აგებს იმაზე, რომ მრავალი წლის მანძილზე ჩაგრავდა თავის მოქალაქეთ და ეს ძალიან ძვირად დაუჯდება“ — ამბობს მწერალი.

მოკლეს მალკოლმ იქსი და შავკანიანთა უფლებებისათვის მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგი. დახვრიტეს „შავი ავაზის“ პარტიის წევრები. შეიძლება ითქვას, რომ ბოლდუინი იმ წლების ერთადერთი აქტიური მონაწილე და მებრძოლი იყო. მისი შემოქმედება გვევლინება ერთგვარ გზაჯვარედინად, რომელსაც სხვადასხვა მიმართულებით კვეთდნენ რთული და მრავალმხრივი საპროტესტო მოძრაობის ყველანაირი ჯგუფები და ფრაქციები. ხშირად პრესაში ამ მოძრაობას „შავკანიანთა რევოლუციასაც“ უწოდებდნენ.

ამავე დროს აშკარად შეიმჩნევა მისი მსოფლმხედველობის წინსვლა. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ რასიზმის ძირითადი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური უთანასწორობის შედეგია. „შავკანიანთა შევიწროებას საფუძვლად იაფი სამუშაო ძალის ექსპლოატაცია უძევს.“ შემდეგ კი სულ უფრო და უფრო ხშირად იმეორებდა, რომ თეთრკანიანი ღარიბიც ისევეა ექსპლოატირებული, როგორც შავკანიანი.

1974 წელს ამერიკაში გამოდის სქელტანიანი, 688 გვერდიანი წიგნი „ფესვები“ ერთი ამერიკული ოჯახის საგა, რომლის ავტორია ალექს ჰეილი. ნიჭიერი ჟურნალისტი ჰეილი პირველ რიგში იმით არის ცნობილი, რომ მან ჩაიწერა მალკოლ იქსის ზემოაღნიშნული „ავტობიოგრაფია.“ მისი „ფესვები“ მნიშვნელოვანი მოვლენაა ამერიკის სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილისთვის. მართალია, ეს საყოველთაო აღიარება იმას უნდა უმადლოდეს, რომ „ეი-ბი-სი“-ს ტელეკორპორაციამ წარმატებით მოახდინა წიგნის ეკრანიზაცია, მაგრამ თვით წიგნში მაინც იყო გადმოცემული ისეთი რამ, რაც ხელს შეუწყობდა ოცმილიონიანი ხალხის თვითშეგნებისა და სიამაყის ზრდას. „ამერიკაში მრავალი წლის მანძილზე ცდილობდნენ მიეჩქმალათ ანდა ბურუსით მოეცვათ მონობის ისტორია, თითქოს ის არასოდეს ყოფილიყოს“ — უთხრა წიგნის ავტორმა ჟურნალ „ტაიმსის“ რეცენზენტს. ფილმის წარმატება იმანაც განაპირობა, რომ ეკრანიზებულია ნაწარმოების ყველაზე ძლიერი და ნაკლებად კონფორმისტული ადგილები, კონფორმიზმი კი საკმაოდ გვხვდება წიგნში, განსაკუთრებით ჩვენი დროის პრობლემებთან დაკავშირებით.

საბოლოო ჯამში კი, — თანამედროვე ამერიკის შავკანიანთა მდგომარეობის ამსახველი ლიტერატურა ისევე რთული, მრავალმხრივი და წინააღმდეგობებით აღსავსეა, როგორც თვით ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

აშშ-ს ზანგთა ცხოვრებაზე წერდნენ არამარტო შავკანიანები, არამედ თვალსაჩინო თეთრკანიანი მწერლებიც. მათ რიცხვს ეკუთვნიან რობერტ პენ უორენი და ჯონ ჰერსი. ამ მწერალთა რომანებში, მოთხრობებსა თუ პოლიტიკურ ესეებში შესანიშნავად მოჩანს ამერიკელ შავკანიანთა მძიმე ყოფა და მათი ბრძოლა ადამიანური უფლებებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გურამ ფანჯიკიძე

# ფორცა, იტალია!

## ოთხი წლის შემდეგ

ჩემი ესპანური შთაბეჭდილებანი მინდა დავიწყო სიტყვებით, ოთხი წლის უკან რომ დავწერე არგენტინის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის შემდეგ:

„მივდიოდით და თან მიგვყვებოდა მუსიკის რიტმები და შეძახილი „არგენტინა, არგენტინა!“

მივდიოდით და მიგვაცილებდა მოფრიალე დროშების მდინარე.

უკან დარჩა მომქანცველი ფრენა ოკეანეზე.

და აი, ჩვენ მადრიდში ვართ, ესპანეთის დიდებულ ქალაქში. დავსეირნობდით მის ქუჩებსა და პარკებში. ერთმანეთს ენაცვლებოდა პრადო და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ხოსე ანტონიოს ავენიუ და პლაცა მაიორი, ველასკესის ქუჩა და ჰემინგუეის საყვარელი რესტორანი „კასა პაკო“, მაგრამ იმ დღეებში, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის ცხელ კვალზე, როცა ჯერ კიდევ გვესმოდა დიდი საფეხბურთო ახპარეზობის სუნთქვა, მადრიდის ყველაზე დიდ ღირსშესანიშნაობად, ამავე დროს სიმბოლურ დამთხვევად მაინც „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონი მივიჩნიეთ.

ყველანი მღელვარებაშეპყრობილნი ვიდექით ამ დიდებული სტადიონის ტრიბუნაზე. აი აქ, ზუსტად ოთხი წლის შემდეგ, ამ ფლაგშტოკზე. საზეიმოდ აფრიალდება მსოფლიოს მეთორმეტე საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი“.

ისიც მაგონდება, ბუენოს აირესის „რივერ პლეიტზე“ ფინალური მატჩის შემდეგ კოტე მახარაძეს რომ გადავულაპარაკე — „როდის გავა კიდევ ოთხი წელიწადი“-მეთქი.

და აი, გავიდა ეს ოთხი წელიწადიც. გავიდა ძალზე სწრაფად. უფრო სწრაფად, ვიდრე მანამდე, ახალგაზრდობის დროს გადიოდა.

მაგონდება ჩვენგან უდროოდ წასული მეგობარი მწერლის ედიშერ ყიფიანის სიტყვები: „ცხოვრება იცი, რასა ჰგავს? დაჰკვირვებიხარ, ტაქსში რომ ჩაჯდები და ერთადერთი მანეთიანი რომ გაქვს. სანამ ორმოცდაათ კაპიკს დაწერს, მრიცხველს არც აკვირდები. მერე შეგიმჩნევია, რა სწრაფად ჰყრის ათკაპიკიანებს!

სამწუხაროდ, მართლაც ასეა, ჩვენი თაობისთვის ახლა უფრო სწრაფად, დაუჯერებლად სწრაფად გარბის წლები. თითქოს გუშინ იყო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი. ახლა თვით ესპანეთის ჩემპიონატიც ისტორიის კუთვნილებად იქცა...

●

აეროდრომიდან მადრიდისაკენ ნაცნობი ტრასით გავემგზავრეთ. მე საბჭოთა ჟურნალისტებთან და სპეციალისტებთან ერთად ესპანეთში ჩემპიონატის მეორე ნახევარში ჩაველი, მაშინ, როცა ფაქტიურად ნამდვილი ჩემპიონატი იწყებოდა. თუმცა პირველმა ნახევარმა ისე როდი ჩაიარა, ფეხბურთის სპეციალისტები და გულშემატკივრები რომ ფიქრობდნენ.

ჩემპიონატის დაწყების დღიდან სენსაცია სენსაციას მოსდევდა.

პირველი მატჩი, პირველი სენსაცია: მსოფლიო ჩემპიონმა არგენტინის ნაკრებმა წააგო ბელგიასთან. თუმცა ზოგიერთი შემდგომი მატჩი ისეთი ანგარიშით დამთავრდა, რომ არგენტინელთა პირველი მარცხით გამოწვეული გაოცება სულ მთლად გაფერმკრთალდა. გავიხსენოთ მატჩები:

პერუ-კამერუნი — 0:0;
ალჟირი-გფრ — 2:1;
ესპანეთი-ჰონდურასი — 1:1;
ჩეხოსლოვაკია-კუვეიტი — 1:1;

პოლონეთი-კამერუნი — 0:0;
ჰონდურასი-ჩრდ. ირლანდია — 1:1;
იტალია-კამერუნი — 1:1;

მსოფლიოს არც ერთი ჩემპიონატი არ დაწყებულა ასეთი მოულოდნელი, თითქმის წარმოუდგენელი შედეგებით და... არც ერთი ჩემპიონატი არ დამთავრებულა ასეთივე მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი გამარჯვებულის გამოვლინებით. ჟურნალისტთა, სპეციალისტთა და გულშემატკივართა უმრავლესობას საფინალო ოთხეული ასე ჰყავდა წარმოდგენილი: ბრაზილია, არგენტინა, გფრ და ესპანეთი. იტალია თავში არავის გახსენებია. არც თავში და არც ქვეჯგუფიდან გასვლის შემდეგ, იმდენად უფერული იყო მათი თამაშიც და შედეგიც: სამი თამაში, სამი ყაიმი. კამერუნის გუნდს მხოლოდ გატანილი ბურთების რაოდენობით გაუსწრეს — 2:2 (კამერუნელების ბურთების შეფარდება იყო 1:1). ხოლო ბრაზილიის ეროვნული ნაკრები, თანდათან ლაღად, რომ შლიდა ფრთებს, უკვე ითვლებოდა ჩემპიონობის პირველ პრეტენდენტად.

მოხდა კი ისე, რომ მიუხედავად საყოველთაო აღიარებისა და სიმპათიისა, ბრაზილია მეორე ქვეჯგუფიდან ვერ გავიდა, ხოლო მასპინძლებმა ისე სამარცხვინოდ დაამთავრეს ჩემპიონატი, რომ ესპანელთა საყვარელი სპორტული კომენტატორი ჰექტორ დელ მარი, მგონი, სამუდამოდ დაამუნჯეს.

გერმანელთა მარცხმა ალჟირელებთან ჯერ გააოცა მაყურებელი, შემდეგ კი გაახსენდათ, რომ ალჟირელებმა 1964 წელს ერთხელ უკვე დაამარცხეს დასავლეთ გერმანიის ნაკრები, ხოლო არგენტინის ჩემპიონატზე გერმანელებმა ვერც ტუნისელებს მოუხერხეს ვერაფერი. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0. კანონზომიერია თუ არა დასავლეთ გერმანელთა შედეგები აფრიკის გუნდებთან, ამას მომავალი გვიჩვენებს. ფაქტი ერთია, მათ საერთოდ, გაუჭირდათ ტექნიკური გუნდების წინააღმდეგ თამაში. გავიხსენოთ პენალტებით მოგებული მატჩი ფრანგებთან, როცა ფრანგების უპირატესობა აშკარა იყო.

ერთი სიტყვით, ესპანეთში რომ ჩავედით, ყველაფერი ბურუსით გახლდათ მოცული და მხოლოდ ბრაზილიელთა გამარჯვება არ იწვევდა არავითარ ეჭვს. თუმცა ამ რწმენას რამდენიმე დღეში გულსატკენი გაქარწყლება ელოდა...

●

მადრიდიდან ბარსელონაში ავტობუსით გავემგზავრეთ. ექვსასი კილომეტრის გავლას ათი საათი დასჭირდა. ბუნებრივია, ამ დროში ის ერთი საათიც შედის, სადილობას რომ მოვანდომეთ სარაგოსას მახლობლად მდებარე პატარა სოფელში.

დაგვაბინავეს საზღვაო კურორტ კალელაში, ბარსელონადან ორმოცდათხუთმეტი კილომეტრის დაშორებით.

სასტუმრო „დელამარი", სადაც ჩვენ მოგვათავსეს, ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარეობს. ერთი სიტყვით, იდეალური პირობები გვქონდა. შუადღემდე პლაჟზე ვისვენებდით, შუადღიდან კი ავტობუსით ბარსელონაში მატჩებზე ან ექსკურსიებზე მივემგზავრებოდით.

სტადიონის ბილეთები პირველსავე დღეს ჩაგვაბარეს, თვითეულს ცხრა-ცხრა ბილეთი. უნდა დავსწრებოდით შემდეგ მატჩებს: პოლონეთი-ბელგია, სსრკ-ბელგია, სსრკ-პოლონეთი, არგენტინა-იტალია, ბრაზილია-არგენტინა, ბრაზილია-იტალია, იტალია-პოლონეთი.

ეს შვიდივე მატჩი ბარსელონას ორ სტადიონზე ჩატარდა — ახალ „ნოუ კამპზე" და ძველ „ესპანიოლზე". მატჩი მესამე ადგილას უნდა გვენახა ქალაქ ალიკანტეში, ხოლო ფინალი, რიგით მეცხრე მატჩი, მადრიდში „სანტიაგო ბერნაბეუს" სახელგანთქმულ სტადიონზე. დანარჩენი მატჩები ტელევიზიით ვნახეთ, თავშივე უნდა ვთქვა, რომ ესპანეთის ტელევიზია შესანიშნავად მოემსახურა ფეხბურთის გულშემატკივრებს. რამდენჯერმე მეორდებოდა თვითეული მატჩის შეკუმშული ვარიანტი. შემდეგ იყო თემატური გადაცემები, ვთქვათ, ჩემპიონატის ყველა გოლი და ჩვენ. სულ რაღაც ნახევარი საათის მანძილზე საშუალება გვეძლეოდა, გვენახა ესპანეთის სტადიონებზე გატანილი ყველა გოლი. იხსენებდნენ ისტორიასაც, მოწინააღმდეგე გუნდების ადრინდელი შეხვედრების ვიდეოფირებიც უხვად ჰქონდათ მომარაგებული. ერთი სიტყვით, მთელი ესპანეთი ფეხბურთით სუნთქავდა და ცოცხლობდა.

ჩემი შთაბეჭდილებანი ძირითადად იმ თამაშებს მოიცავს, რომლის უშუალო მოწმე და მნახველი ვიყავი. დასკვნებს, რასაკვირველია, მთლიანი შთაბეჭდილებებიდან გამოვიტან. ეს შთაბეჭდილებანი კი ნაწილობრივ უშუალოა, უმეტეს წილად კი ტელევიზიით ნანახი მატჩებითაა შევსებული.

ერთს კი დავძენ, ბუნებრივია, ცხრა მატჩი ძალზე ცოტაა ორმოცდათორმეტ მატჩთან შედარებით, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე რომ ჩატარდა, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ვნახეთ ჩემპიონატის ყველა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკვანძო და დამამშვენებელი ორთაბრძოლა (გარდა ერთისა, საფრანგეთი — გფრ), რომლებმაც განსაზღვრა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის დონე, სახე და ძირითადი ტენდენციები.

ბუნებრივია, უშუალოდ სტადიონზე ყოფნა, საფეხბურთო ციებ-ცხელებით შეპყრობილ ქვეყანაში გატარებული დღეები, სპეციალისტებთან, ჟურნალისტებთან და ძველ, მსოფლიოში



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელგანთქმულ ფეხბურთელებთან ტრიალი, ათასგვარი ინტერვიუები, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ათიათასობით გულშემატკივართან კონტაქტი, ტრიბუნებზე გაჩაღებული „სამბა“ და გულშემატკივართა შეჯიბრი, გამარჯვებულთა დღესასწაულები, სტადიონის ტრიბუნებიდან ქუჩაში რომ გადაინაცვლებდა ხოლმე, მსოფლიოს სახელგანთქმული ფირმების ათასგვარი სარეკლამო ხერხების ფეიერვერკი, ჩემპიონატისადმი მიძღვნილი სუვენირებით ამოტენილი ქუჩები, ცხენოსანი პოლიციით, საგზაო პოლიციით და არმიით ალყაშემორტყმული სტადიონები (იჩხრიკებოდა ყველა ჩანთა, რომ იარაღი არავის აღმოჩენოდა), სტადიონების თავზე სარეკლამო დირიჟაბლებისა და ტრანსპარანტგამობმული თვითმფრინავების ტრიალი ქმნიდა რაღაც საოცარ, ენით აუწერელ საზეიმო განწყობილებას.

ეს დიდებული, ემოციითა და დაუვიწყარი აღმაფრენით აღსავსე დღეები ქმნიან ერთ მთლიან, ცათამდე აღწეულ განწყობილებას და მთელ ჩემპიონატსაც ისე აღიქვამ, როგორც ერთ დიდ, ვნებათა ღელვებით, მძაფრი დრამატიზმით აღსავსე მუსიკალურ ნაწარმოებს.

ამიტომაც გეუფლება ისეთი განწყობილება, თითქოს მთელი შენი ცხოვრებით შეიგრძენი ჩემპიონატი, თითქოს უშუალო მონაწილე იყავი ყოველი მატჩისა, ყოველი საფეხბურთო ბატალიისა და ამ ორთაბრძოლებთან დაკავშირებული ყოველგვარი მოვლენისა.

წელან ჩემპიონატი მძაფრ ვნებათა ღელვებს და დაძაბული დრამატიზმით აღსავსე მუსიკალურ ნაწარმოებს შევადარე. არ ვიცი, რამდენად სწორია ან გასაგები ჩემი შედარება. ერთი კია, ყველა ჩემპიონატი, რომელიც მე ვნახე, ასე დამოუკიდებელ მთლიანობად, ერთ შეკრულ ნაწარმოებად დარჩა ჩემს ცნობიერებაში.

ესპანურ შთაბეჭდილებებს რომ ვწერდი, ირაკლი აბაშიძემ ლექსი გამოაქვეყნა ჟურნალ „მნათობში“. ლექსის სათაურია „ქართული ლექსი კოლუმბის ძეგლს ბარსელონაში“. აი, რამდენიმე სტრიქონი ამ ლექსიდან:

მთელ მსოფლიოში
ყველა ძეგლზე
შენ ხარ მაღალი, —
შენ ხარ მონბლანი,
შენ ხარ უშბა,
შენ ხარ ყაზბეგი!
ქვემოთ გუგუნებს
ნოემბრული
ზღვა, რქანაყარი,
შენ კი მეშვიდე ცაში გტყორცნის
შენი კვარცხლბეკი.

ირაკლი აბაშიძის ლექსი შემთხვევით არ გამხსენებია. ქრისტეფორე კოლუმბის შესანიშნავი, მრგვალი, მაღალი კვარცხლბეკით ცაში ატყორცნილი ძეგლი ამშვენებს ბარსელონას პორტს. იქვე ტალღებზე ირწევა ქრისტეფორე კოლუმბის მემორიალური კარაველა „სანტა მარია“.

არ ვიცი, რამდენად სწორია ირაკლი აბაშიძე, იქნებ ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი მართლაც ყველაზე მაღალია მსოფლიოში.

ერთი კია, ბარსელონას შუაზე კვეთს ძალზე გრძელი პროსპექტი, მისი სახელია დიაგონალი (ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლიდან ბულვარ რამბლასის გავლით პირდაპირ აღმოჩნდებით დიაგონალის შუა წელზე. რამბლასი ისეთივე ადგილია ბარსელონაში, როგორც, ვთქვათ, პიგალი პარიზში ან სოჰო ლონდონში).

მთელი ორმოცი წლის მანძილზე დიაგონალს გადარქმეული ჰქონდა სახელი. მის ფირნიშებზე საგანგებოდ იყო ამოტვიფრული „გენერალისიმუს ფრანკოს პროსპექტი“.

ფრანკო მოკვდა, პროსპექტს კვლავ ძველი სახელი დაუბრუნეს — დიაგონალი. მაგრამ ცხენზე ამხედრებული გენერალისიმუსის ქანდაკება ისევ დგას დიაგონალის ბოლოში, ქალაქის ამაღლებულ ნაწილში. თურმე დიქტატორს სურდა, თვითონ უფრო ახლოს ყოფილიყო ცასთან და ღმერთთან, ვიდრე ქრისტეფორე კოლუმბი.

ოთხი წლის წინ მადრიდში ვკითხე საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელს იგორ ივანოვს, — ფრანკოს სიკვდილის შემდეგ რას ამბობს-მეთქი ხალხი. — ხალხმა იგი ისე სწრაფად დაივიწყა, თითქოს არც ყოფილიყოსო, — მომიგო მან.

ფრანკო დაივიწყეს, მაგრამ გარკვეულმა წრეებმა როდი დაივიწყეს მისი საქმეები. დიქტატორის დაკრძალვის დღეს ორასათასიანმა ბრბომ ფრანკოს იდეებისადმი ერთგულების ფიცი დადო.

პიკასოს „გერნიკა“ მხატვრის სურვილის თანახმად ესპანეთში ჩამოიტანეს და სახელგანთქმულ პრადოში გამოფინეს. დიდმა მხატვარმა ანდერძში ასე დაიბარა (ისედაც არაერთხელ ჰქონდა იგივე აზრი გამოთქმული), „გერნიკა“ ესპანეთში მხოლოდ მაშინ ჩაიტანეთ, როცა ფრანკო მოკვდება და ჩემს სამშობლოში ნამდვილი დემოკრატია აღდგებაო.

ფრანკო მოკვდა.

„გერნიკა“ უკვე პრადოშია.

ყველაფერი რიგზეა, ესპანეთი „ჭეშმარიტ დემოკრატიას“ ზეიმობს.

მართლა ასეა საქმე?

ორი მილიონი კაცია უმუშევარი ესპანეთში.

ქვეყანა მოიცვა ინფლაციამ.

გამეფდა ტერორი და ანარქია.

ბასკთა ათეულ წლობით შეგუბებულმა ბოღმამ თითქოს ერთბაშად გადმოხეთქა.

ესპანეთის მმართველმა პარტიამ — დემოკრატიული ცენტრის კავშირმა და მისმა ლიდერმა კალვო სოტელომ ვერაფერი დაუპირის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირეს მწვავე საშინაო თუ საგარეო პრობლემებს.

უფრო მეტიც, მმართველმა პარტიამ ესპანეთი ნატოში შეიყვანა, ხოლო ამერიკასთან ახალი, ესპანეთის სუვერენიტეტის შემლახველი ხელშეკრულება დადო.

სატელევიზიო და საინფორმაციო „რევოლუციების“ პერიოდში ცუდ დღეში ჩავარდა მთელი კაპიტალისტური სამყარო. განსაკუთრებით კი აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები. ტელევიზორის სახით ამერიკელებმა ამ ქვეყნების თითქმის ყველა ოჯახში შეიყვანეს თავისი აგენტი„ ამერიკული ცხოვრების წესის პროპაგანდისტი. ყოველი ტელემაყურებლის გონებაში დაიწყეს ხელის ფათური. ნახევარი მილიარდი ტელევიზორის ეკრანებიდან ამერიკელები გვთავაზობენ „ჭეშმარიტი დემოკრატიის“, ცხოვრების წესის, სულიერი „თავისუფლების“ ამერიკულ მოდელებს.

განვითარებად (და არა მარტო განვითარებად) ქვეყნებში ტელევიზია იქცა პოლიტიკური და იდეოლოგიური ექსპანსიის უდიდეს იარაღად.

ამიტომაც წერს აფრიკელი ჟურნალისტი ატა კოფი: „კეთილი ადამიანების ხელში ტელევიზია აფრიკაში პროგრესის შეუცვლელი ფაქტორი გახდება, მაგრამ ბოროტი ადამიანის ხელში იგი გადაიქცევა ტროას ცხენად, რომელიც დაეხმარება ახალ კულტურულ კოლონიზატორებს, დაიკავოს ძველი კოლონიზატორების ადგილი“.

ამერიკელებმა იციან თავისი საქმე. იდეოლოგიური დივერსიის სულ ახალ და ახალ ფორმებს იგონებენ და ხვეწენ. აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების მილიონობით წერა-კითხვის უცოდინარი, მორწმუნე ან მცირე განათლების მქონე ადამიანი ერთბაშად დგება ამერიკის შოუ-ბიზნესის, ამერიკელთა ზნე-ჩვეულებების, ამერიკული „თავისუფლების“ წინაშე, იმსხვრევა ტრადიციები, იმსხვრევა რწმენა და მრწამსი, თვალსა და ხელს შუა ნადგურდება ეროვნული კულტურა, ჩანასახშივე ისპობა ეროვნული კინემატოგრაფია, ეროვნულ ტრადიციებზე და ხალხურ კულტურაზე დამყარებული სატელევიზიო გადაცემანი, და, საერთოდ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ხელოვნების ყველა დარგი.

განსაკუთრებით დიდია ამერიკული ტელეგადაცემების ზეგავლენა ამ ქვეყნების ახალგაზრდობაზე.

ამერიკელები კი არაფერს არ იშურებენ, რომ ტელევიზიის საშუალებით მოაწყონ მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ ტოტალური იდეოლოგიური დივერსია.

საინტერესო ციფრები და ფაქტები მოაქვს მ. სალგანიკს „ინოსტრანნაია ლიტერატურაში“.

„ცალკეულ წლებში, — წერს იგი, — ამერიკული კოვბოური დეტექტური ფილმები და მიუზიკლები მთლიანობაში შეადგენდნენ 200-400 საათიან სატელევიზიო გადაცემებს. ეს დაახლოებით უდრის ევროპული ქვეყნების გადაცემათა ერთ მესამედს, ხოლო აზიისა და აფრიკის ქვეყნების გადაცემათა ნახევარს...

...საათიან პროგრამას, რომელიც სინამდვილეში ღირს 400-500 ათასი დოლარი, ეგვიპტეში ჰყიდიან 250 დოლარად, ხშირად უფრო იაფადაც“.

ხედავთ, რა კეთილნი გახდნენ ტელეგადაცემათა კომპანიების მფლობელები! ცალკეულ გადაცემებს კი არა, თვით უძვირფასეს ტელეაპარატურასაც კი თითქმის მუქთად და ხშირად საჩუქრად აძლევენ ჩამორჩენილ ქვეყნებს.

მკითხველი, ვფიქრობ, იოლად დამეთანხმება, რომ ამერიკელთა ასეთ „უანგარო“ საჩუქრებს ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა როდი უდევს საფუძვლად.

მათ სხვა შედეგი აინტერესებთ.

შედეგი კი დიდია და დამაფიქრებელი. განვითარებად ქვეყნებს ვინ დაეძებს, თვით ფრიად განვითარებული და მაღალკულტურული სახელმწიფოებიც კი ექცევიან ამერიკული კულტურის მარწუხებში.

იგივე მ. სალგანიკი წერს: „კანადაში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ამერიკული ტელევიზიის დასხივების შედეგად კანადელები გაცილებით უკეთ იცნობენ ამერიკის ისტორიას და ამერიკულ კულტურას, ვიდრე საკუთარს. ბევრი ბავშვი იმაშიც კია დარწმუნებული, რომ ცხოვრობს ამერიკაში“.

ამ დღეშია ესპანეთიც და ევროპის ბევრი სხვა ქვეყანაც. ბარსელონასა და მადრიდის კინოთეატრებიც ამერიკული ფილმებითაა წალეკილი.

მაღაზიები სავსეა ამერიკული წიგნებით, ჟურნალებით, ბროშურებით.

ესპანეთის პორტები სავსეა ამერიკელი სამხედრო გემებით, ხოლო აეროპორტები ამერიკული თვითმფრინავებით.

ესპანეთის კურორტები, ქალაქები, სასტუმროები და ქუჩები სავსეა ამერიკული ტურისტებით, ბიზნესმენებით, პოლიტიკოსებით.

წელიწადში ორმოცმილიონიანი ესპანეთი ორმოც მილიონ ტურისტს უწევს მასპინძლობას (ერთდროულად სამი მილიონი ტურისტია ხოლმე ესპანეთში).

სამუშაო მაინც არ არის.

ესპანელები მასიურად მიემგზავრებიან ბედის საძიებლად გფრ-ში, საფრანგეთში, ინგლისში...

დემოკრატიული ცენტრის კავშირმა ვერაფრით ვერ მოაბა თავი თუნდაც საშინაო პრობლემებს.

---

ზურაბ ფანჯიკიძე

ფორცა, იტალია!

ჩემპიონატის დღეებში ყველაფერი ფეხბურთით სუნთქავდა. ქვეყანას თითქოს დაავიწყდა თავისი გასაჭირი...

მაგრამ ჩემპიონატი დამთავრდა. ყველა ქირმა ერთად იჩინა თავი და კალვო სოტელომაც დაითხოვა პარლამენტი. მმართველმა პარტიამ, დემოკრატიული ცენტრის კავშირმა გადაწყვიტა, ვადამდე ადრე მოაწყონ არჩევნები.

გამოიყვანს კი კრიზისიდან ეს არჩევნები ესპანეთს?

ხომ არ დაარღვიეს პიკასოს ანდერძის მეორე პუნქტი? ნაადრევად ხომ არ ჩამოიტანეს ესპანეთში „გერნიკა?“

## სანამ ურემი გადაბრუნდებოდა...

ესპანეთში მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე საქართველოს ტელევიზიის სპორტულმა რედაქციამ ინტერვიუ ჩამომართვა. მკითხეს, რა აზრისა ვიყავი საბჭოთა კავშირის ნაკრების შესაძლებლობაზე, მივიჩნევდი თუ არა მას საპრიზო ადგილების პრეტენდენტად.

მე მაშინ კატეგორიულად განვაცხადე, საბჭოთა კავშირის ნაკრები ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხვდება-მეთქი პირველ ოთხეულში. თან, ხანმოკლე ინტერვიუში შევეცადე დამესაბუთებინა ჩემი მოსაზრება.

საბჭოთა კავშირის ნაკრები, — ვთქვი მე, — არის მექანიკური ნაკრები. ხაზს ვუსვამ — მექანიკური ნაკრები, ვინაიდან ნაკრების მწვრთნელი კონსტანტინე ბესკოვი გუნდისათვის ფეხბურთელებს არჩევდა და არჩევს მხოლოდ ერთი პრინციპით, ვინ თამაშობდა წინა სეზონში ან მიმდინარე სეზონში სხვებზე უკეთ.

მთავარი მწვრთნელის პოზიცია და დამოკიდებულება ფეხბურთისადმი არასდროს არ იგრძნობოდა, კერძოდ, არ შეგვეძლო გვეთქვა, როგორი ფეხბურთის მომხრეა იგი, რა მიაჩნია დღევანდელი ფეხბურთის უმთავრეს პრინციპებად. არც ის იგრძნობოდა, რა ტიპის ფეხბურთელები მიაჩნდა მას ეტალონად, ან ამ ეტალონთან მიახლოებულად. ერთი სიტყვით, ყოველთვის გაუგებარი იყო მისი კონცეფცია. ამიტომ ფეხბურთელების შერჩევა არ ეყრდნობოდა რაიმე გარკვეულ პრინციპს, პოზიციას და ფეხბურთისადმი დამოკიდებულებას.

ვთქვათ, შარშან ანდრეევმა (ან სხვა ვინმემ) ბევრი გოლი გაიტანა, ესე იგი, იგი უნდა თამაშობდეს ნაკრების შემადგენლობაში. მაგრამ რამდენად ემორჩილება იგი მწვრთნელის პრინციპებს? არის თუ არა იგი იმ სტილის ფეხბურთელი, რომელიც შეესატყვისება მწვრთნელის კონცეფციას? ან შეესატყვისება თუ არა მისი თამაში პარტნიორების თამაშის მანერას?

როდესაც ლუის მენოტიმ შეადგინა არგენტინის ნაკრები, იგი სპეციალისტების წინაშე წარსდგა თავისი საფეხბურთო კონცეფციით. მან ნაკრებში არ შეიყვანა ბუენოს აირესის უძლიერესი საფეხბურთო კლუბის „ბოკა ხუნიორსის“ არც ერთი ფეხბურთელი, რადგან თვლიდა, რომ მისი საფეხბურთო პოზიცია აშკარად არ ეთანხმებოდა „ბოკა ხუნიორსის“ მთავარი მწვრთნელის ხოვან კარლოს ლორენსოს აღზრდილების თამაშის მანერას.

ლორენსო პრინციპული წინააღმდეგი იყო მენოტის შემტევი სტილისა. იგი კვლავ ერთგული რჩებოდა დაცვითი, კონტრშეტევებზე აგებული ძალისმიერი ფეხბურთისა. „თუ ჩვენ უარს არ ვიტყვით რბილ და ტექნიკურ ფეხბურთზე, — ამბობდა იგი, — რასაც ლირიკოსი მაყურებელი რომანტიულ ფეხბურთს უწოდებს, ვერაფრით ვერ აღვუდგებით წინ ევროპელთა ათლეტურ და რეალისტურ ფეხბურთს“.

დიახ, ამ ორ მწვრთნელს შორის და საერთოდ ორ ბანაკად გაყოფილ სპეციალისტთა პოზიციებს შორის ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა. ორთავე ბანაკს თავისი ჩამოყალიბებული და ნათელი პოზიცია ჰქონდა, ერთს, შეიძლება მცდარი, მეორეს — სწორი, მაგრამ მაინც ნათელი და ჩამოყალიბებული პოზიცია.

აი, ასეთი გამოკვეთილი პოზიცია აკლდა კ. ბესკოვს. პირადად ჩემთვის დღესაც გაუგებარია მისი საფეხბურთო კრედო. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ კ. ბესკოვი განსაკუთრებულ პრინციპულობას იჩენდა ისეთი ფეხბურთელების წინააღმდეგ, როგორებიც არიან მიხეილ მესხი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი.

ერთიც უნდა ვთქვათ, კ. ბესკოვს მაინცდამაინც არ ჰქონია დიდი არჩევანი, მაგრამ რაც ჰქონდა, ვფიქრობ, ისიც ვერ გამოიყენა.

ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, მჯერა, ჩვენი ნაკრები ვერ გავა საპრიზო ოთხეულში.

აი, ეს განვაცხადე ჩემპიონატის დაწყებამდე ორწუთიან ინტერვიუში.

ტელევიზიის ხელმძღვანელობამ მაშინ მიზანშეუწონლად ჩათვალა მისი გადაცემა. მეც დავეთანხმე მათ სამართლიან გადაწყვეტილებას. არ შეიძლება ჩემპიონატის წინ ფეხბურთელებს გზა დაუნავსო. რედაქციამ ჩანაწერი შეინახა და მითხრა, თუ შენი პროგნოზი გამართლდა, ჩემპიონატის შემდეგ გადავცემთო.

სამწუხაროდ, გამართლდა ჩემი სიტყვები. ხოლო ახლა, ჩემს მაშინდელ ნათქვამს კიდევ ერთს დავუმატებდი. კამერუნის, კუვეიტისა და ჰონდურასის გუნდებმა, ალარაფერს ვამბობ ალჟირელებზე, მიუხედავად იმისა, რომ არ ეყოთ არც ფიზიკური მომზადება და არც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატურნირო გამოცდილება. მაინც მოიპოვეს მაყურებლის სიმპათია ტექნიკური და ლამაზი თამაშის გამო.

სამწუხაროდ, ვერც ასეთი სიმპათია დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ბრაზილიელებთან თამაშის შემდეგ საბჭოთა გუნდმა მოიპოვა საკმაო აღიარება. ეს ბუნებრივიც იყო. ბრაზილია ჩემპიონატის აღიარებული ფავორიტი გახლდათ და მასთან კარგი თამაში უკვე დიდ რამეს ნიშნავდა.

მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ უცხოელები, რომლებიც კარგად არ იცნობდნენ საბჭოთა ნაკრებს, ბრაზილიელებთან მშვენივრად წარმართულ თამაშს შეიძლებოდა შეეცდინა.

ჩვენ რაღა დაგვემართა?

ბრაზილიელებთან მატჩის შემდეგ ჩვენი პრესა, სპეციალისტებიც, ჟურნალისტებიც და სპორტული კომენტატორებიც ერთბაშად განეწყვნენ ძალზე ოპტიმისტურად. თუმცა, ოპტიმიზმის ნაკლებობას ვერც ბრაზილიელებთან თამაშამდე ვუსაყვედურებდით.

რამ დაბადა ეს უსაფუძვლო ოპტიმიზმი?

შევეცდები მოკლედ ავხსნა მისი მექანიზმი.

ბრაზილიელებთან ჩვენმა ფეხბურთელებმა მართლაც შესანიშნავად ითამაშეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს, უპირველეს ყოვლისა, თვით ბრაზილიელების დამსახურება იყო. ბრაზილიელთა თამაშის მანერას ადრეც ვიცნობდით და ესპანეთის ჩემპიონატის შემდგომ მატჩებში ხომ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ისინი მოწინააღმდეგეს ხელს არ უშლიან თამაშში, აცლიან ბურთის მიღებას (მკითხველო, გთხოვთ, კარგად დაიმახსოვროთ — ბურთის მიღებას, რაც ასე უჭირდათ ჩვენს თავდამსხმელებს შემდგომ მატჩებში).

შემდეგ გავიხსენოთ რამაზ შენგელიას სწრაფი გასვლა და ნაღდი პენალტი. მაგრამ ესპანელი მსაჯის კასტილიოს სასტვენი დუმდა. გავიხსენოთ აგრეთვე ოდნავ უფრო საყოყმანო პენალტი მეორე ტაიმში. მაგრამ თუმცა პირველი პენალტის მიუცემლობის შემდეგ მსაჯის მიერ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის დანიშვნა ეჭვს აღარ იწვევდა, მსაჯის სასტვენი კვლავ დუმდა.

ბუნებრივია, ამ სიტუაციებმა შექმნა ილუზია, რომ ჩვენ შეგვეძლო დაგვემარცხებინა ბრაზილიის უძლიერესი ნაკრები. მაგრამ ეს ილუზია არ უნდა დაეუფლებოდა სპეციალისტებს, სპორტულ ჟურნალისტებს, კომენტატორებს.

რატომ ვერ გავითვალისწინეთ, როგორი ბურთი გაუვარდა ხელიდან ბრაზილიელთა მეკარე პერესს, როთაც მან პენალტის სამაგიერო საჩუქარი მიართვა საბჭოთა ნაკრებს.

რატომ ვერ გავითვალისწინეთ მათი უბრწყინვალესი, თითქმის ზღვრამდის მისული ტექნიკა, გადაცემათა საოცარი სიზუსტე და შეუდარებელი დარტყმები? გავიხსენოთ სოკრატესის მიერ ულამაზესი და უძლიერესი, მოჭრილი დარტყმით გატანილი გოლი მარცხენა ცხრიანში, შემდეგ ედერის „ხმელი ფოთოლი"... უწინ დიდის ცნობილ „ხმელ ფოთოლს" ურტყამდნენ მხოლოდ გაჩერებული ბურთით. არგენტინაში ნელინიომ და დირსეუმ იტალიელთა კარში ბურთები კვლავ „ხმელი ფოთლით" გაიტანეს. ოღონდ დაარტყეს მოძრავ ბურთს გორლევევაზე შექრილებმა. ასეთივე ეფერმა „ხმელი ფოთოლი" დაარტყა. მაშინ, როცა ბურთი ჰაერში იყო. თვითონ საბჭოთა მეკარე რინატ დასაევი წერს: „ედერმა ჩვენს მცველებს შორის ისე მარჯვედ, ტყვიასავით „ისროლა" ბურთი, რომ მან ჩემს თვალწინ სფეროსებური ელვასავით გაკვესა და წამის რაღაც მეასედში ძელის გვერდით გაეხვია ბადეში".

სამართლიანად წერს „კომსომოლსკაია პრავდაში" ს. სერგეევი: „შენგელიას მოცელვისათვის პენალტი რომ მიეცათ, ბრაზილიელები უფრო ადრე გამოცოცხლდებოდნენ და გადმოვიდოდნენ შეტევაზე. ვიმეორებ, დაცვაში გმირული თამაშისა და თავგანწირვის მიუხედავად, სრულიად დამსახურებულად წავაგეთ. თუმცა ეპიზოდური მომენტები ილუზორულ შთაბეჭდილებასაც შეუქმნიდა მაყურებელთა გარკვეულ ნაწილს..."

დიახ, ილუზია შეიქმნეს იმით, თუ რა გააკეთეს ჩვენებმა, მაგრამ არ გაითვალისწინეს ის, თუ როგორი ფეხბურთი გვიჩვენეს ბრაზილიელებმა.

არ შეადარეს ჩვენი ტექნიკა მათ ტექნიკას, ჩვენი თამაშის ორგანიზაცია — მათ ორგანიზაციას, ჩვენი დარტყმები — მათ დარტყმებს, ჩვენი ბურთის მიღება — მათ მიღებას, ჩვენი პასი — მათ პასს,

ბურთის მიღება დამუშავებისათვის საბჭოთა ფეხბურთელებს ხშირად სამჯერ (თუ მეტჯერ არა) მაინც სჭირდებოდათ ბურთთან შეხება და აქედან გამომდინარე, იკარგებოდა შეტევისათვის მნიშვნელოვანი წამები.

თუ ასეთი წამების დაკარგვა კიდევ ახატანია ჩვეულებრივ ჩემპიონატებზე და ნაკლებმნიშვნელოვან მატჩებში, მსოფლიო პირველობაზე ყოვლად შეუწყნარებელია და საბედისწერო.

ესპანეთის ჩემპიონატზე განსაკუთრებით იგრძნობოდა გადაცემის, პასის მიზანდასახულობა, რასაკვირველია, ვგულისხმობ მაღალი კლასის

---

გურამ ფანჯიკიძე

ფორცა, იტალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდების მატჩებს თითქმის ყოველ გადაცემას თან ახლავს იდეა, იერიშის გაგრძელების კარგად დანახული შესაძლებლობა, სახიფათო მომენტის შექმნის პერსპექტივა.

სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით საბჭოთა ფეხბურთელების გადაცემებზე. ჩვენმა ფეხბურთელებმა თითქოს საერთოდ დაივიწყეს გრძელი, დიაგონალური გადაცემები. ბურთს ძირითადად აწოდებდნენ უახლოეს პარტნიორს. იშვიათი იყო პასი, რომელიც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა „დამანგრეველი მიწისძვრის" ეპიცენტრად. განა სასაცილო არაა, რომ ჩვენი მწვრთნელები (ეს საერთო სენია საბჭოთა ფეხბურთში.) ითვლიან რამდენი პასი გამოუვიდა ზუსტი ფეხბურთელს და ამის მიხედვით აფასებენ მისი გადაცემების ხარისხს?!) ამიტომაცაა, რომ ფეხბურთელები თავს არიდებენ გრძელ პასებს, ბურთს ძირითადად აწოდებენ გვერდით მდგომ პარტნიორს, ან გზავნიან უკან, სადაც თანაგუნდელი ყოველთვის თავისუფალი ეგულებათ.

კი, ბატონო, ვთქვათ, ფეხბურთელის ყველა გადაცემა ზუსტი აღმოჩნდა, მაგრამ კმარა ეს?

ამ „ზუსტმა" გადაცემებმა გაამძაფრა თამაში? სიტუაციაში?

ჰქონდა მათ იდეა? ჰქონდა სიმწვავე?

და საბოლოოდ, მოჰყვა რაიმე შედეგი?

ილუზია, რომელიც ნაწილობრივ ესპანეთის ჩემპიონატის დაწყებამდე (გავიხსენოთ კ. ბესკოვის სიტყვები, ჩვენი ნაკრები შვიდ თამაშს ითამაშებსო) და განსაკუთრებით ბრაზილიის ნაკრებთან თამაშის შემდეგ შეიქმნა, თითქმის მთლიანად დაიმსხვრა შოტლანდიელებთან შეხვედრისას (უფრო ადრე — ახალ ზელანდიელებთან). მართალია, მატჩი 2:2 დამთავრდა, რამაც საბჭოთა ნაკრები ქვეჯგუფიდან გაიყვანა, მაგრამ მოედანზე არ იყო ის გუნდი, ნახევარფინალურ ჯგუფში მოხვედრას რომ იმსახურებდა. შემდეგ ამას მოჰყვა ძალზე უფერული თამაში ბელგიელებთან, მართალია, თამაში 1:0 მოვიგეთ, მაგრამ, ფაქტიურად, ბელგიელებმა თითქმის ყველა რგოლში დაგვჯაბნეს. დაბოლოს... ყოვლად უფერული თამაში პოლონელებთან...

ნაკრები, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა შვიდი თამაშისა ე. ი. ფინალურ ჯგუფში ეთამაშა, მთელი მატჩის მანძილზე მხოლოდ ორჯერ არ უნდა ურტყამდეს კარში, თანაც უხეიროდ და უშედეგოდ!..

ურემი გადაბრუნდა...

გზაც გამოჩნდა...

გამოჩნდა ცხადად, გარკვევით, ნათლად.

აღარ დაგვიტოვა მიზეზი ეჭვისათვის, მხრების აჩეჩვისათვის.

**გზაც გამოჩნდა და კრიტიკაც აგორდა, აზვირთდა.**

ვ. პონედელნიკის, ვ. მალოფეევის, ვ. ემეცის, ვ. ივანოვის, ს. ოგანესიანის, გ. კაჩალინისა და სხვათა და სხვათა სამართლიანმა კრიტიკულმა მოსაზრებებმა სამწუხარო სურათი ნათლად და მკაფიოდ დაგვიხატა.

მაგრამ მე მინდა ერთი შეკითხვა დავუსვა ყველას: სად იყვნენ აქამდე? რატომ ელოდნენ ურმის გადაბრუნებას? გზა ხომ მაშინაც კარგად ჩანდა, სანამ ურემი გადაბრუნდებოდა?

აი, რა გაცხარებული წერენ „ნედელიაში" ვასილი ხომუსკოვი და ედუარდ ცერკოვერი: „სხვათა შორის, ძალიან ბევრი ხომ არაა ერთი გუნდისათვის მსაჯთა კვინტეტი? იქნებ ტრიუმვირატშიც (იგულისხმებიან კ. ბესკოვი, ვ. ლობანოვსკი და ნ. ახალკაცი — გ. ფ.) არ იყო თანხმობა, ვინაიდან ყოველი მათგანი „თავის ფეხბურთს ქადაგებდა?

და კიდევ რამდენიმე შეკითხვაც: აუცილებელია, რომ გუნდს თან ახლდნენ და ართობდნენ კინოს და ესტრადის ოსტატები? უკეთესი არ იქნებოდა, მათ მაგივრად ჰყოლოდათ ფსიქოლოგი და ნევროპათოლოგი? ერთ-ერთ ანგარიშში ამაღელვებლად იყო აღწერილი სევილიაში ჩვენი ფეხბურთელების მეუღლეების ჩასვლა. მაგრამ იქნებ უფრო სასარგებლო ყოფილიყო ფეხბურთელებისათვის შინაურული კი არა, საქმიანი ატმოსფერო შეგვექმნა?"

შეიძლება ავტორთა ხსენებულ წერილში და, კერძოდ, მოტანილ ციტატაში ბევრი რამ სწორი იყოს, მაგრამ გაცხარებულები ისეთ ამბებზეც დაობენ, რაშიაც ვერ დავეთანხმებით.

მე ბევრჯერ ვყოფილვარ ფეხბურთელებთან ერთად საპასუხისმგებლო მატჩების წინ ჩვენშიაც და საზღვარგარეთაც და კარგად ვიცი, სწორედ ძალზე საქმიანი ატმოსფერო როგორ ძაბავს და ანერვიულებს თითოეულ ფეხბურთელს. როცა ესპანეთიდან უკან ვბრუნდებოდით, თვითმფრინავში კოლოსკოვმა თქვა, ჩვენი სპეციალისტების მიერ 30 დისერტაციაა დაწერილი ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მომზადების თაობაზე. სამწუხაროდ, ამ დისერტაციებიდან ვერაფერი გამოიყენეს სულაქველიძის, ბალტაჩას, შენგელიას და ბალის დასამშვიდებლად, რომლებსაც მთელი ღამეები არ ეძინათ.

დიახ, ახლა ყველა აკრიტიკებს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს, ძირითადად, სამართლიანად, შიგადაშიგ უსამართლოდაც.

მაგრამ ავიწყდებათ, რა ოპტიმისტურად იყვნენ ისინი განწყობილნი ჩემპიონატის წინ და განსაკუთრებით ბრაზილიელებთან შეხვედრის შემდეგ.

მთელი ამ ოთხი წლის მანძილზე კრიტიკოს ავტორთა წერილებში გახსენდებათ მოსალოდნელი წარუმატებლობის სიგნალები? მანამდე არ იცოდნენ, რომ უცხოეთის უძლიერეს გუნ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებს თუ ცალკეულ კლუბებს ჩამოვრჩებოდით ტექნიკაშიც, ტაქტიკაშიც და ფიზიკურ მომზადებაშიც?

ახლა რომ მისტირიან დ. ყიფიანსა და ვ. გუცაევს, მანამდე გამოექომაგა მათ ვინმე, როცა კ. ბესკოვი პრინციპულად არ სცნობდა არც ერთის თამაშს?

საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა არგენტინაში ამხანაგურ მატჩებში გამოსვლის დროს ისეთი შეურაცხყოფა, ისეთი სულიერი ტრავმა მიაყენა დ. ყიფიანს, რომ თბილისელმა ფეხბურთელმა საერთოდ დაანება თამაშს თავი. სად იყვნენ მაშინ? გამოექომაგა ვინმე? განა ვ. პონედელნიკი მაშინაც არ განაგებდა „სოვეტსკი სპორტის“ ფეხბურთის განყოფილებას?

კიდევ კარგი, თბილისისა და მინსკის დინამოელების მატჩის გადმოცემის დროს კომენტატორმა და ჟურნალისტმა ვ. პერეტურინმა აღიარა, ბრალი ყველა ჟურნალისტსა და პირადად მეც მიმიძღვის, რომ დავით ყიფიანს თავის დროზე ვერ გამოვექომაგეთ, საკითხი პრინციპულად არ წამოვჭერით და მხარში ვერ ამოვუდექით, თორემ ახლა იგი კვლავ მწვანე მინდორზე იქნებოდაო.

ასე რომ, ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ, საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წარუმატებლობაში ბრალი ბევრ ვინმეს მიუძღვის და მათ შორის იმ ჟურნალისტებსაც და კომენტატორებსაც, დღეს რომ ხელებდაკაპიწებულნი იბრძვიან ნაკრების ხელმძღვანელების და ცალკეული ფეხბურთელების წინააღმდეგ.

კიდევ კარგი (გთხოვთ, სწორად გამიგოთ ეს სიტყვები), ჩვენი ნაკრები ვერ გავიდა ფინალურ ჯგუფში, რაც შეიძლება სულ იოლად მომხდარიყო. საბჭოთა ფეხბურთელებისათვის პოლონელი ფეხბურთელები მაინცდამაინც არ წარმოადგენდნენ გადაულახავ ძალას.

რა მოხდებოდა მაშინ? ფინალურ ჯგუფში ბოლო, ე. ი. მეოთხე ადგილზე გასვლაც კი წარმატებად იქნებოდა მიჩნეული, აღარ დაიბეჭდებოდა კრიტიკული წერილები და აღარ გამოჩნდებოდა ის მიზეზები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საბჭოთა ფეხბურთის წინსვლას.

გნებავთ მაგალითი?

ინებეთ.

გავიხსენოთ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი 1966 წელს. მაშინ საბჭოთა ნაკრებმა მეოთხე ადგილი მოიპოვა. მოვიტან ერთ ნაწყვეტს ჩემი წიგნიდან „ფეხბურთის სამშობლოში“, რომელიც ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატისადმია მიძღვნილი (იგი ამ წიგნში ცალკეა დაბეჭდილი, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის გადავწყვიტე ნაწყვეტი მთლიანად ამოვწერო). ჯერ გავიხსენოთ, რომ მეოთხედ ფინალში უნგრეთის ნაკრებს ვხვდებოდით. მანამდე დავამარცხეთ კორეის, იტალიისა და ჩილეს ნაკრები გუნდები. შემდეგ კი წააგეს გფრ-ისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებთან.

აი, რას ვწერდი მაშინ: „უნგრელები რატომღაც შეშინებულები გამოვიდნენ მოედანზე. ჯერ კიდევ თამაშის წინ ინტერვიუში განაცხადეს, გვირჩევნია ისევ ბრაზილიას ვხვდებოდეთ, ვიდრე საბჭოთა კავშირსო.

მართლაც, თუ გადავხედავთ მათ ორთაბრძოლებს წარსულში, იქ საბჭოთა ფეხბურთელებს დამაჯერებელი უპირატესობა აქვთ: სამი მოგება, ორი ფრე და ერთი წაგება. ბურთების შეფარდება 9:6.

უნგრელები აშკარად ღელავდნენ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მათ მატჩი თამაშის დაწყებამდე წააგეს...

...როგორც იტყვიან, გამარჯვებულს არ ასამართლებენ. საბჭოთა ნაკრებმა დიდ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო ასპარეზზე, მეოთხე ადგილი ბევრი გუნდის ოცნება იყო.

მახსოვს, იტალიის ნაკრებთან თამაშის შემდეგ, როცა კოტე მახარაძემ, ჩვეულებისამებრ, სპეციალისტებს ნიშნებით შეაფასებინა საბჭოთა ფეხბურთის თამაში, მ. მერბანოვმა ვორონინს ხუთიანი დაუწერა, თუმცა ვორონინს იმ დღეს მაინცდამაინც კარგად არ უთამაშნია.

— კი, მაგრამ, — ვკითხეთ ჩვენ, — ვორონინს ერგებოდა დღევანდელი თამაშისათვის ხუთიანი?

— იცით, რა, მეგობრებო, ვორონინმა დღეს ვერ ითამაშა ხუთიანზე, მაგრამ როცა მას ვუყურებდი, მიხაროდა, რომ მოედანზე იყო ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი. სლავა მეტრეველი რომ გამოეყვანათ, მაშინ იქნებოდა ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი, თუ მათ მიხეილ მესხიც დაემატებოდა, (მიხეილ მესხი მაშინ საერთოდ არ წაუყვანიათ ინგლისში), მაშინ უკვე — სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი და, თქვენ იცით, რას ნიშნავს, როცა მოედანზე სამი მაღალი კლასის ფეხბურთელია...

...ცნობილმა მსაჯმა ლატიშევმა თვითმფრინავში თქვა და მგონი შემდეგ ოფიციალურადაც კი განაცხადა: ჩვენს გუნდს, მიუხედავად კარგი შეფასებისა, ინგლისში აშკარად აკლდა გულშემატკივართა სიმპათია ფეხბურთის სანახაობითი მხარისა და თამაშის კლასის თვალსაზრისით. შეიძლებოდა მიხეილ მესხის გამოყვანას ბევრი არაფერი შეემატებინა ჩვენი ნაკრების შედეგისათვის, მაგრამ მისი ფინტები და საოცარი ლამაზი თამაში სწორედ იმ სიმპათიას შეგვმატებდა, რომელიც ასე სჭირდებოდა ჩვენს გუნდს“.

---

გურამ ფანჯიკიძე
ფორცა, იტალია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიახ. ეს ნაწყვეტი 1966 წელსაა დაწერილი. განა იგივე არ შეიძლება ითქვას ჩვენი გუნდის თაობაზე დღეს, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ?

ხედავთ, როგორა ჰგავს სიტუაციები ერთმანეთს?

განა იმ წლებში გამოიტანეს რაიმე დასკვნები და სათანადო ორგანიზაციებმა სწორად წარმართეს მუშაობა?

მოდით, ახლა გავიხსენოთ მექსიკის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი 1970 წელს. გავიხსენოთ მეოთხედფინალური მატჩი ურუგვაელებთან. ერთ-ერთი გატანილი ბურთით ურუგვაელებმა გზა გაიკაფეს ნახევარფინალისაკენ. მატჩის შემდეგ დიდი კამათი ატყდა, ამ ერთადერთმა გატანილმა ბურთმა გადაკვეთა თუ არა საბჭოთა ნაკრების კარის ხაზი.

აი, რას ვწერდი 1970 წელს ამ ბურთის და საერთოდ ჩვენი ნაკრების თაობაზე ვრცელ ნარკვევში „მექსიკა ბურთით და უბურთოდ" (ეს ნარკვევიცაა შესული წინამდებარე წიგნში, მაგრამ კვლავ თვალსაჩინოებისათვის ვაძლევ თავს ნებას, ამოვიწერო პატარა ნაწყვეტი): „ამ მატჩის შემდეგ ერთი რამ კი თქვა სწორი საბჭოთა ფეხბურთის ფედერაციის უფროსმა გრანატკინმა:

— სამწუხაროა, რომ ასეთი ბურთი გავიდა ჩვენს კარში. ახლა მხოლოდ ამ ბურთს დააბრალებენ ჩვენს წარუმატებლობას და არ გაირკვევა ის ნამდვილი მიზეზები, რომლებმაც დამარცხებამდე მიგვიყვანათ.

მართლაცდა, ვთქვათ ჩვენს მწვრთნელებს არ მოსვლოდათ შეცდომები, ვთქვათ, ყველაფერი ისე წასულიყო, როგორც საჭირო იყო, უნდა გვქონოდა თუ არა წარმატების იმედი?

არავითარ შემთხვევაში!

საბჭოთა ნაკრებს შეეძლო გაცილებით უკეთ ეთამაშა, მაგრამ ესეც არ იკმარებდა დიდი წარმატების მისაღწევად. საქმე ისაა, რომ ჩვენი ნაკრები მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს ჩამორჩება როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად!"

ეს სიტყვები კი, როგორც უკვე ვთქვით, 1970 წელს დაიწერა!

შეცვლილა რამე ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომ 4 წელიწადში?

საბჭოთა ფეხბურთის მესვეურებს გადაუდგამთ რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი სამამულო ფეხბურთის ასაღორძინებლად?

რომ გადაედგათ, ხომ არ ჩაივლიდა უჩვენოდ ჯერ გერმანიისა და შემდეგ არგენტინის ჩემპიონატები?

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ 12 წელი ველოდით, რომ საბჭოთა ნაკრები კვლავ გამხდარიყო დიდი საფეხბურთო ზეიმის მონაწილე.

დამთავრდა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატიც და ზუსტად იგივე სიტუაციაში აღმოვჩნდით, როგორშიც ინგლისისა და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატების შემდეგ ვიყავით.

ახლაც ისევე წერენ ჩვენი ფეხბურთელების ტაქტიკურ ერთფეროვნებაზე და სიღარიბეზე, როგორც მაშინ.

ახლაც ისევე ჰკილავენ მათ დაბალი ტექნიკისათვის, როგორც მაშინდელი ნაკრების წევრებს.

ახლაც უჩივიან ესპანეთის სიცხეს, ისევე, როგორც მაშინ მექსიკის სიცხეს, უჩივიან მეტეოროლოგიურ პირობებს, შორეულ მანძილებს...

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ვწერდი: „ამ სტატიების ავტორები, (იგულისხმებიან ისინი, ვინც განსაკუთრებულად ამახვილებდნენ ყურადღებას სიცხეზე, მანძილზე და ა. შ.) რატომ მაშინ არ არიან ისეთი მგრძნობიარენი მეტეოროლოგიური, გეოგრაფიული თუ კლიმატური პირობების მიმართ, როცა სხვა პირველობა, თუნდაც საბჭოთა კავშირის პირველობა ტარდება? რატომ მაშინ არ აგონდებათ, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ყოველი მატჩის წინ არამცთუ ექვსას, ორი ათას და უფრო მეტ კილომეტრს ფრენენ? რატომ მაშინ არ ითვალისწინებენ კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებს, როცა სამხრეთელი ფეხბურთელები ჩრდილოეთში ყინვასა და ქარბუქში თამაშობენ მოყინულ მოედნებზე".

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არავითარი განსაკუთრებულად შემაწუხებელი სიცხე არ ყოფილა ესპანეთში. იქაური მშრალი, 38 გრადუსიანი სიცხე გაცილებით უფრო იოლი ასატანია, ვიდრე 30 გრადუსი თბილისში.

დიახ, ახლა კვლავ წერენ საბჭოთა ფეხბურთელების დაბალ ტექნიკაზე. თითქოს ახლა აღმოაჩინეს ამერიკა, თითქოს მხოლოდ ახლა დარწმუნდნენ, რომ ჩვენი ფეხბურთელები როგორც ტექნიკურად, ასევე ტაქტიკურად საგრძნობლად ჩამორჩებიან ცნობილ უცხოელ ფეხბურთელებს. ძალზე საგულისხმო წერილების სერია გამოაქვეყნა „სოვეტსკი სპორტში" ვიქტორ პონედელნიკმა. იქვე გამოაქვეყნა ვლადიმერ ემეცის სტატია სათაურით „არ არსებობს ტაქტიკა ტექნიკის გარეშე". ამ სტატიის ავტორიც აბსოლუტურად სწორ მოსაზრებებს გვთავაზობს, მაგრამ ისევ იბადება კითხვა: სად იყავით, ბატონებო, აქამდე? განა თქვენს ხელში არ არის პრესაცა და ფეხბურთის სადავეებიც?

თუ მკითხველი კადნიერებად არ ჩამითვლის, უბრალოდ, ჩემპიონატებს შორის პარალელების გასატარებლად, ჩემს თავს ნებას მივცემ კიდევ ერთი ნაწყვეტი მოვიტანო ჩემი წიგნიდან „მექსიკა ბურთით და უბურთოდ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენში ბევრს წერენ ტექნიკურ ფეხბურთზე. ყოველ სტატიაში თუ ინფორმაციაში ხოტბას ასხამენ ლამაზ, მაღალტექნიკურ ფეხბურთს, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, მოედანზე ისევ ძალისმიერი ფეხბურთელების გამოყვანას ამჯობინებენ ხოლმე. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩვენს პრესაში ისევ გაჩაღდა კამათი. ისევ ბევრი ქომაგი და მოტრფიალე გამოუჩნდა ტექნიკურ, ლამაზ ფეხბურთს, მაგრამ საქმეს მანამდე არაფერი ეშველება, სანამ ჩვენი მსაჯები გულცივად უყურებენ თუ როგორ უსწორდებიან მაღალტექნიკურ ფეხბურთელებს ყოვლად პრიმიტიული, მაგრამ ჯანმაგარი ანტიფეხბურთელები".

ამ ნაწყვეტის მოტანას მხოლოდ ერთი ამოცანა ჰქონდა, მკითხველისათვის შეეხსენებინა, რა სიტუაცია შეიქმნა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ და როგორ ტყუპისცალივით ჰგავს მაშინდელი სურათი დღევანდელს.

მე მინდა ვუსაყვედურო ჩვენს მეგობარს, წარსულში შესანიშნავ ფეხბურთელს და ახლა მშვენიერ ჟურნალისტს ვიქტორ პონედელნიკს, მან, როგორც სპორტულმა ჟურნალისტმა და „სოვეტსკი სპორტის" ფეხბურთის განყოფილების გამგემ რამდენჯერ წამოჭრა საკითხი ტექნიკური ფეხბურთისა და ტექნიკური ფეხბურთელების მხარდასაჭერად და დასაცავად?

ვთქვათ, რაღაც მიზეზებით და მოსაზრებებით, ნაკრების ხელმძღვანელების საქმიანობასა და ცალკეულ ფეხბურთელებს ვერ ვაკრიტიკებდით, რამდენჯერ გამოვექომაგეთ საკლუბო გუნდების ცალკეულ მაღალტექნიკურ ფეხბურთელებს, როცა მათზე მწვანე მოედანზე ნამდვილი ნადირობაა გამართული?

ერთხელ მაინც თუ იანგარიშეს, ყოველი სეზონის მანძილზე რამდენი თვე ვერ თამაშობს ვლადიმერ გუცაევი ან თამაზ კოსტავა? ერთხელ მაინც თუ ავტეხეთ განგაში, რატომ ეთამაშებიან უხეშად ყიფიანს, ბესონოვს, ბურიაკსა თუ სხვა მაღალი კლასის ფეხბურთელებს?

ერთხელ მაინც თუ დავაყენეთ პრესის ფურცლებზე მსაჯობის საკითხი? როცა მსოფლიო ჩემპიონატზე მაყურებელი ასე ხშირად ხედავს ყვითელ და წითელ ბარათებსაც კი, რატომ უჭირთ ჩვენს მსაჯებს ჯიბეში ხელის ჩაყოფა? ძალიან დავალდებულნი ხომ არ არიან მასპინძლებისაგან? როცა დანაშაულისათვის მასპინძელს ვერ სჯი, მსგავს სიტუაციაში სტუმრის დასჯაც გიჭირს და მიდის მოედანზე ნადირობა...

მხოლოდ ერთხელ დაიბეჭდა „სოვეტსკი სპორტში" ვ. პერეტურინის ძალზე სამართლიანი სტატია მსაჯების უსამართლო გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ მარშან ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი მიუღიათ თბილისის „დინამოს", თანაც უმთავრესად თბილისის დინამოელები შეკამათებისათვის დასჯილან. რატომ ეკამათებოდნენ მსაჯს თბილისელები? სამართლიანად წერს პერეტურინი. მსაჯი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა როგორი ხერხებით უმასპინძლდებოდნენ მოწინააღმდეგენი გუცაევს და ბოლოს, როცა ასეთი უხეში თამაშისათვის გუცაევმა პროტესტი გამოთქვა, მსაჯმა შეკამათებისათვის ყვითელი ბარათი ამოუღო!

რას მივაწეროთ მსგავსი სიტუაციები, მსაჯის მიკერძოებას, უძლურებას თუ გაურკვევლობას სათანადო სიტუაციებში?

ამიტომ მეჩვენება მე დღეს ყველა კრიტიკული წერილი დაგვიანებულად.

ვ. ემეცი წერს: „მდიდარი ნაკადულიდან იწყება, ხოლო ფეხბურთელის ტექნიკური მომზადება ადრეული ბავშვობიდან". თუ ვინმეს სურვილი დაებადება გაეცნოს საფეხბურთო სკოლების სამოსწავლო-საწვრთნელ რეჟიმს, მალე დარწმუნდება, რომ იქ ოსტატების მაგალითზე აგებენ საწვრთნელ გაკვეთილებს, გაუმართლებლად მცირე დროა გამოყოფილი ნასწავლი ილეთების გასამეორებლად და ახალი, უფრო რთული ილეთების ასათვისებლად.

მომავალი ფეხბურთელებისათვის ყოველდღიური ტექნიკური მეცადინეობა ბავშვობიდანვე ისევე აუცილებელი კომპონენტი უნდა გახდეს ცხოვრების, როგორც პირის დაბანა ან ჭამაა".

სწორს ბრძანებს ამხანაგი ვ. ემეცი, მაგრამ რატომ ავიწყდება, რომ ამ ჩვევას გამომუშავება სჭირდება, ხოლო მარტო ჩიჩინით ბავშვს ვერაფერს შევაგნებინებთ?

ბავშვებს, მომავალ ფეხბურთელებს, პრესაში ან ტელევიზიაში შევუქმენით კერპები? მივეცით მიმართულება — დღევანდელ ფეხბურთში რა არის მთავარი?

სამწუხაროდ, არამცთუ ვერ შევძელით ცდაც კი არ ყოფილა ამისა.

ბავშვები, მომავალი ფეხბურთელები, მოედანზე თუ ტელევიზიის ეკრანებზე კარგად ხედავენ, როგორ ეთამაშებიან ტექნიკურ ფეხბურთელებს, კარგად ხედავენ, ანტიფეხბურთელთა უხეშობაზე რა რეაქციას ახდენენ მსაჯები, ხოლო შემდეგ იმასაც მშვენივრად კითხულობენ, როგორ ფასდება პრესაში მატჩები, რა ტენდენციებს ამჟღავნებენ სტატიის ავტორები.

ბავშვებს მარტო ჩიჩინით ვერაფერს ჩავაგონებთ, ვერ დავაჯერებთ, ვერ დავარწმუნებთ. მომავალმა ფეხბურთელმა მწვანე მოედანზე თუ

---

ზურაბ ფანჯიკიძე
ფორცა, იტალია!

ტელევიზიის ეკრანზე უნდა დაინახოს მსაჯები როგორ უფრთხილდებიან მაღალტექნიკურ ფეხბურთელებს, როგორი სიმკაცრით სჯიან ანტიფეხბურთელებს, მხოლოდ უხეშობით რომ უნდათ გაანეიტრალონ მოწინააღმდეგის ტექნიკური უპირატესობა.

მომავალი ფეხბურთელები უნდა დარწმუნდნენ ჩვენი სპორტული ჟურნალისტები როგორ იბრძვიან ტექნიკური ფეხბურთის დასაცავად და დასამკვიდრებლად.

ერთი სიტყვით, ბავშვებისათვის თავიდანვე ნათელი უნდა იყოს, სპეციალისტები, მსაჯები, სპორტული ჟურნალისტიკა როგორ ფეხბურთელს და, აქედან გამომდინარე, როგორ ფეხბურთს უჭერენ მხარს.

საბჭოთა ფეხბურთელები ვერ იტყვიან, რომ ესპანეთში ბედმა უმუხთლათ, არ გაუმართლათ. პირიქით, ფორტუნა მათ მხარეს იყო. ჯერ კიდევ დასაწყისში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გათამაშების მეორე ეტაპზე ბრაზილიისა და ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდები გავიდოდნენ. ასეც მოხდა. ხოლო შემდგომ ეტაპზე ა ქვეჯგუფში საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდთან ერთად მოხვდნენ ბელგიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები. ეს ჯგუფი სამ დანარჩენ ჯგუფთან შედარებით ყველაზე სუსტი იყო. ბელგიელები მათი წამყვანი ფეხბურთელების მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ აღარ წარმოადგენდნენ სერიოზულ ძალას, ხოლო პოლონელები ტრადიციულად არ არიან ჩვენთვის ძლიერი მეტოქეები.

აბა რაღა უნდა ვთქვათ ც ჯგუფის შემადგენლობაზე? განა საცოდაობა არ იყო ერთ ჯგუფში მოხვედრილიყვნენ არგენტინის, ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდები, თვითეული ღირსი იმისა, რომ ჩემპიონის გვირგვინი მოეპოვებინათ? ამ სამი გუნდიდან ორი ხომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიდოდა გათამაშების შემდგომ ეტაპზე?

ან გავიხსენოთ როგორი გუნდები მოხვდნენ ბ და დ ქვეჯგუფებში: პირველში — გფრ-ის, ინგლისისა და ესპანეთის, ხოლო მეორეში — საფრანგეთის, ავსტრიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გუნდები! ხომ სულ ადვილი შესაძლებელი იყო, დაგვემარცხებინა პოლონელები? ეს გამარჯვება ხომ მინიმუმ მეოთხე ადგილს მოგვიტანდა?

და ეს მოხდებოდა მაშინ, როცა ბრაზილიის, არგენტინის, ინგლისის და მასპინძლების ეროვნული გუნდები უკვე გამოთიშულნი იქნებოდნენ მსოფლიო ჩემპიონატისაგან.

ერთი სიტყვით, საბჭოთა ნაკრებმა ვერ გაგვიმართლა იმედები.

პირველ რიგში, ვინ უნდა დავადანაშაულოთ მათ წარუმატებლობაში?

მწვრთნელები?

თვითონ ფეხბურთელები?

რასაკვირველია, ერთხიც და მეორენიც.

დიახ, შეგვიძლია დავადანაშაულოთ მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც. მაგრამ შეგვიძლია დავადანაშაულოთ მხოლოდ ერთ რამეში — მათ შეეძლოთ უკეთ ეთამაშათ, გაცილებით უკეთ. თუნდაც ისე, შარშან რომ თამაშობდნენ. ბრაზილიელებთან ძლიერად ჩატარებული მატჩის შემდეგ მოპოვებული სიმპათიები შეეძლოთ წყალში არ გადაეყარათ ახალ ზელანდიელებთან შოტლანდიელებთან, ბელგიელებთან და პოლონელებთან უფერულად, ულიმღამოდ ჩატარებულ ორთაბრძოლებში.

კიდევ ვიმეორებ, შეიძლებოდა საბჭოთა ნაკრები ოთხეულშიც მოხვედრილიყო, მაგრამ ეს იქნებოდა არა მათი კარგი თამაშის შედეგი, არამედ ჩემპიონატის გათამაშების უხეირო სისტემის შედეგი.

აბა, სხვა რა უნდა დაარქვა ამ სისტემას, როცა ერთ ჯგუფში ახვედრებ ბრაზილიას, არგენტინას, იტალიას — რომელთაგან ორი უკვე განწირულია ჩემპიონატის შემდგომი ეტაპისაგან გამოსათიშად.

ბრაზილიის ეროვნული ნაკრები საბჭოთა კავშირის ნაკრებზე უფრო ადრე გაემგზავრა სამშობლოში.

ძნელი აღსაწერია, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, როცა იტალიის ნაკრებმა დაამარცხა ბრაზილია, სიხარულისაგან ტიროდა 18 ათასი ბრაზილიელი, სიხარულისაგან ბღაოდა 23 ათასი იტალიელი. მათ თანაუგრძნობდა თითქმის ყველა სხვა ქვეყნის წარმომადგენელი. მოხდა საოცარი რამ, ჩემპიონატი თითქოს დამთავრდა. შემდგომი მატჩებისადმი ინტერესი თითქოს მთლიანად დაიკარგა.

ბრაზილიელები გააცილეს როგორც მსოფლიო ჩემპიონატებში, ასევე შეხვდნენ თავიანთ საყვარელ ფეხბურთელებს იმედგაცრუებული ბრაზილიელი გულშემატკივრები. წაგებამ ვერაფერი დააკლო მათ ღირსებას, ზღაპრულ ტექნიკას, შემტევ, ლამაზ ფეხბურთს, ასე რომ მოხიბლა მთელი პლანეტის მაყურებელი.

ერთი სიტყვით, წაგება არც ისე საშიში ყოფილა, თუ გუნდი ჭეშმარიტი საფეხბურთო გუნდია.

ბრაზილიელებმა დაკარგეს ჩემპიონის ოქროს მედლები, მაგრამ არ დაუკარგავთ ნამდვილი გულშემატკივრის სიმპათია და სიყვარული მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში. წაგებამ ჩრდილი ვერ მიაყენა მათ სიძლიერეს.

იტალია სამი საყაიმო ანგარიშით მივიდა ფინალამდე და მაინც გახდა მსოფლიო ჩემპიონი. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ერთი წააგო, ერთი მატჩიც ყაიმით დაამთავრა (ალარაფერს ვამბობ ყოვლად სამარცხვინო მატჩზე ავსტრიასთან) და მეორე ადგილზე გავიდა. პოლონეთიც სამი ყაიმით მივიდა ფინალურ ჯგუფამდე. — მესამე ადგილი კი დაიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია, ტრიუმფით რომ მიიწევდა წინ, ოთხი დიდებული გამარჯვების შემდეგ მხოლოდ ერთი წაგებით გამოეთიშა ჩემპიონატს.

ვფიქრობ, საექვო აღარ უნდა იყოს, რა უხეიროა მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების სისტემა.

თუ მათემატიკას მოვიშველიებთ, მგონი, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი მეხუთე ადგილზე (1) აღმოჩნდება. მაგრამ ფეხბურთის გულშემატკივრებს მათემატიკა კი არ უნდათ, ლამაზი, შემტევი, ძლიერი და ტექნიკური ფეხბურთი უნდათ.

კიდევ ვიმეორებ ზემოთქმულს: ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებიც და ფეხბურთელებიც შეგვიძლია მხოლოდ ერთ რამეში დავადანაშაულოთ, ნაკრებს შეეძლო უკეთ ეთამაშა.

ისიც ვთქვათ, უკეთ თამაში მაინც არ იქნებოდა საკმარისი უფრო მაღალი შედეგების და, რაც მთავარია, საყოველთაო სიმპათიების მოსაპოვებლად.

საბჭოთა ფეხბურთის წარუმატებლობის მიზეზები უფრო სხვა სიღრმეებში უნდა ვეძიოთ.

მახვილგონივრულად წერს ვიქტორ პონედელნიკი, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები არის იმ დიდი პირამიდის მახვილი წვერი, რომელსაც საბჭოთა ფეხბურთი ჰქვიაო.

ყველაფერი ფუნდამენტიდან იწყება, ამ დიდი, გრანდიოზული პირამიდის ფუნდამენტიდან.

ფუნდამენტს კი ბავშვები წარმოადგენენ, როგორც ჩვეულებრივი სკოლების, ასევე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების მოსწავლენი. რამდენად სწორად მიმდინარეობს მუშაობა ბავშვებთან? რამდენად დახვეწილია მათი პროგრამა და რამდენად შეესაბამება იგი დღევანდელ დონეს?

ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ხელმძღვანელობენ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს?

რა კრიტერიუმებით ფასდება მათი მუშაობა?

ეტყობა, მხოლოდ საკავშირო შეჯიბრებებზე წარმატებით.

ტარდება კი ეს შეჯიბრება სათანადო დონეზე? რაკი ამ შეჯიბრებებზე წარმატება ქცეულა ერთ-ერთ და, ალბათ, უმთავრეს კრიტერიუმად, ბავშვთა მეტრიკული ამონაწერების გადაკეთება ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ამბად აა ქცეული. ხშირად ბავშვის მეტრიკული ამონაწერი იმდენჯერაა ხოლმე გადაკეთებული, რომ ზოგჯერ აღარც თვით ბავშვმა და აღარც მისმა მშობლებმა აღარ იციან, სინამდვილეში როდისაა ბავშვი დაბადებული. ამას ვინ დაეძებს, პატარა ფეხბურთელი უკვე თავიდანვე ეჩვევა სპორტულ მაქინაციებს.

როგორია სპორტული ინვენტარი, სადაც მომავალი ფეხბურთელები უნდა აღიზარდონ?

აქვთ თუ არა ბავშვებს სათამაშო მოედნები? რას აკეთებენ ამ მხრივ ჩვენი არქიტექტორები და ქალაქთმშენებლები?

ჰყავს თუ არა კლუბებს თავისი სელექციონერები, რომლებიც დადიან ქალაქიდან ქალაქში, სკოლიდან სკოლაში ნიჭიერი ფეხბურთელების შესარჩევად?

ან რა პრინციპით ხდება მათი ჩარიცხვა პირველი და უმაღლესი ლიგის კლუბებში?

აი რას წერს დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" მწვრთნელი ვლადიმერ ემეცი: „დღევანდელ დღემდე არავის განუსაზღვრია, როგორ ტექნიკურ ილეთებს უნდა ფლობდეს ფეხბურთელი უმაღლეს, პირველ ან მეორე ლიგაში. ოსტატთა კოლექტივებში არ არსებობს ასეთი ნორმატივები. სამაგიეროდ, ადგილიდან ხუთმაგი ხტომებია შეტანილი საკონტროლო ნორმატივებში, და ხტუნაობენ ჩვენი ფეხბურთელები წელიწადში ორჯერ. საკითხავია, რაში სჭირდებათ ფეხბურთელებს ეს ხტომები, თუ მას არ შეუძლია უშეცდომოდ გააჩეროს ბურთი, ან არ შეუძლია დროზე გადააწოდოს იგი პარტნიორს ან გაგზავნოს მიზანში?"

საოცარია, რომ დღეს, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ასეთ საკითხებზე გვიხდება მსჯელობა საკავშირო პრესის ფურცლებზე.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არ გვაქვს ისეთი ბაზები (იგულისხმება მთელი კავშირის მასშტაბით), როგორიც აქვთ უცხოეთის მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებს. არ გვაქვს არც მათი მსგავსი საფეხბურთო ორგანიზაცია. უფრო ახლოს უნდა გავეცნოთ საფეხბურთო კლუბების სტრუქტურას, ალბათ ბევრი რამ შეგვეძლება გადმოვიღოთ მათი მუშაობის პრაქტიკიდან.

სხვათა შორის, საკლუბო სისტემის დროს მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას, ფეხბურთელსა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის ორმხრივი ხელშეკრულება იდება.

ასევე ორმხრივია ხელშეკრულებაც ეროვნული ნაკრების დონეზე. მაგალითად, ტელესანტანას თუ გაათავისუფლებენ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან, იგი ოთხი წლის მანძილზე გარანტირებულია იგივე ხელფასით, რაც აქამდე ეძლეოდა. ასეთი ორმხრივი ხელშეკრულება მწვრთნელს უფრო ათამამებს, უფრო გაბედულს ხდის. გაბედულების გარეშე კი მსოფლიო ჩემპიონატზე ძნელია მიაღწიო მნიშვნელოვან შედეგს.

ბარსელონაში, შეიძლება ითქვას, კულტია მათი საკლუბო გუნდისა — „ფ. კ. ბარსელონა". ახალგაზრდები დადიან კლუბის მაისურებში გამოწყობილნი, რომელიც ყველა მაღაზიაში იყიდება. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყიდიან „ბარსელონას" საკლუბო ღერბს და ათასგვარ სუვენირს, რომლებზეც „ფ. კ. ბარსელონაა" ამოტვიფრული. დიდებულია ბარსელონას ახალი სტადიონი „ნოუ კამპი", ან როგორც ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრივი გულშემატკივრები ეძახიან — „ბარსა“, დიდებულია იქვე, ქუჩის გაღმა მისი სავარჯიშო სტადიონი, სადაც ოცი ათასი მაყურებელი ეტევა. საყვარელი ფეხბურთელების ვარჯიშს ყოველთვის ადევნებენ თვალყურს გულშემატკივრები. ერთ მთლიან კომპლექსშია მოქცეული დიდებული საცურაო აუზი და კლუბი, სადაც ქალაქის მკვიდრნი ხვდებიან ფეხბურთელებს. აქვე ეწყობა ათასგვარი ღონისძიება თუ საზეიმო ცერემონიალი.

აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ ვიქტორ პონედელნიკს, რომელიც პირდაპირ აყენებს საკითხს ჩვენში მსგავსი კლუბების შექმნის თაობაზე.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების წაგების შემდეგ ვალენტინ ივანოვმა მითხრა, ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი მანამდე არ განვითარდება, სანამ პირველ ლიგაში ფეხბურთელებს უფრო მეტს უხდიან, ვიდრე უმაღლეს ლიგაშიო.

მართლაცდა, რა მანქანებით ახერხებენ პირველი ლიგის კოლექტივების ხელმძღვანელები, უფრო დიდი გასამრჯელოები გაიღონ ფეხბურთელებისათვის, ვიდრე უმაღლესი ლიგის ტარიფებითაა გათვალისწინებული?

ნამდვილი პროფესიული და პირუთვნელი მსაჯობისათვის უმაღლეს ლიგაშიც კი ვერ მიგვიღწევია, მაგრამ იციან კი სათანადო ორგანოებმა რა დონეზე მიდის მსაჯობა პირველ ლიგაში? უფრო ქვემოთ აღარაფერს მოგახსენებთ!

სტატისტიკა ულმობელია. უმაღლეს ლიგაშიც კი პენალტების 75 პროცენტი მასპინძლების სასარგებლოდ ინიშნება. რასაკვირველია, ამ მოვლენას აქვს ახსნა — მასპინძლები ყოველთვის უტევენ, მოგებაზე თამაშობენ, აქედან გამომდინარე, მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზეც უფრო ხშირად არიან, მაგრამ არც ისეა საქმე, ზემოთ მოყვანილ პროცენტს რომ გამართლება მოვუნახოთ.

როგორ ვუშვებთ ვეტერან ფეხბურთელებს გუნდიდან, როგორ ვზრუნავთ მათი შემდგომი ცხოვრებისათვის? ამ საკითხის მოგვარება აუცილებელია. თორემ როცა ახალგაზრდა ფეხბურთელი ხედავს როგორ ივიწყებენ სახელგანთქმულ, მაგრამ უკვე „ჩამოწერილ“ კოლეგებს, ძნელია მას პატრიოტიზმზე, ქვეყნისა და ერის წინაშე მოვალეობაზე ელაპარაკო. იგი დასაწყისიდანვე იმსჭვალება ერთი აზრით — სანამ ვარ, მანამდე უნდა ამოვქაჩო მაქსიმუმი. ასეთ ფეხბურთელს ველარ მოსთხოვ პატრიოტიზმს, თავდადებას, რისკს, მაღალ იდეალებს.

ფეხბურთი თანდათანობით იპყრობს მთელ პლანეტას. ჩემპიონატის დღეებში 13 ივნისიდან 11 ივლისამდე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ფეხბურთით ცხოვრობდა. ოფიციალური სტატისტიკით მილიარდ შვიდასი მილიონი მაყურებელი უცქერდა საფეხბურთო ტელეგადაცემებს.

ფეხბურთი დღეს მარტო სანახაობა როდია, იგი დიდ სოციალურ მოვლენადაც იქცა. ამიტომაც ჩატარდა მადრიდში სიმპოზიუმი თუ თათბირი, არ ვიცი, რა დავარქვა, რომელიც სწორედ დღევანდელი ფეხბურთის სოციალური არსს მიეძღვნა.

და თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა გვქონდეს დიდი ფეხბურთი, სტადიონებზე ვიხილოთ არა ულირსი ბრძოლა ქულების დატაცებისათვის, არამედ დიდი საფეხბურთო დღესასწაულები. რამდენიმე კაცს ნუ დავაბრალებთ ესპანეთში ჩვენი ნაკრების წარუმატებლობას. გაიხსენეთ წარუმატებლობათა მთელი კრიალოსანი წინა ჩემპიონატებში.

თუ დღესვე არ ჩავდიეთ ყველაფერს ბოლომდე, დღესვე არ გავაანალიზეთ წარუმატებლობის მიზეზები და დღესვე არ მივიღეთ სათანადო ზომები, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ (რასაკვირველია, თუკი მოვიპოვეთ აქ გასამგზავრებელი საგზური) ზუსტად ასეთსავე დღეში აღმოვჩნდებით, როგორშიც დღესა ვართ, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ და როგორც ადრე ვიყავით შვეციის, ჩილეს, ინგლისისა და მექსიკის ჩემპიონატების შემდეგ. სამწუხაროდ, უკვე მივეჩვიეთ, რომ მოვლენები საოცარი მსგავსებით მეორდება.

დრო მიდის, მაგრამ მდგომარეობა არ იცვლება,

დადგა კი დრო, რომ შეიცვალოს!

## მიმქრალი ვარსკვლავები

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებთან წაგების შემდეგ არგენტინელთა მწვრთნელმა ლუის მენოტიმ ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას მხოლოდ ერთი ფრაზით უპასუხა — ადამიანები საოცრად მალე ივიწყებენ წარსულის დამსახურებასო.

არგენტინელთა დიდება კი მართლაც ჩაბარდა წარსულს ბრაზილიელებთან მარცხის შემდეგ.

პრესკონფერენციაზე პირველი შეკითხვები გამარჯვებულთა მწვრთნელს ტელე სანტანას ეკუთვნოდა. მაგრამ ლუის მენოტიმ მოკრძალებით ითხოვა, ძალზე დაღლილი ვარ და ჟურნალისტებს იქნებ პირველი მე წარვუდგეო.

ტელე სანტანამ თავაზიანად დაუთმო პირველობა.

მენოტიმ გულახდილად თქვა: „ბრაზილიელე

ბი ჩვენზე ძლიერნი არიან. ამიტომაც შემთხვევითობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ჩვენ არ შეგვეძლო მათი დამარცხება.

ფეხბურთში ყოველთვის უნდა იფიქრო მომავალზე და არა წარსულზე. ბევრმა მიზეზმა შეგვიშალა ხელი 1978 წლის ჩემპიონატთან შედარებით ნაბიჯი რომ წინ გადაგვედგა. ალბათ შეცდომა ის იყო, რომ ვერ შევძელით განგვესაზღვრა სათანადო შეფარდება ახალგაზრდებსა და იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებმაც გასული ჩემპიონატი მოიგეს. ერთი სიტყვით, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მეგონა, რომ გადაჭრილი მქონდა ყველა პრობლემა".

რა მოხდა?

განა ჩემპიონატის დაწყებამდე არ მივიჩნევდით არგენტინის ნაკრებს ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად?

უბრალოდ, მოხდა ერთი რამ, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გუნდი ოთხი წლით „დაბერდა". შეიძლება ისინი კვლავ ახალგაზრდები არიან, მაგრამ მეორე ჩემპიონატში გასამარჯვებლად ძალა აღარ ეყო არგენტინელთა ძირითად ბირთვს, რომელიც 1978 წლის შემდეგ გუნდში უცვლელი დარჩა.

არგენტინის ჩემპიონატის უპირველესი ვარსკვლავები კემპესი და ბერტონი ესპანეთში მხოლოდ მიმქრალი ვარსკვლავებივითღა ბჟუტავდნენ.

კემპესის თამაში ისეთივე ძველმოდური აღმოჩნდა, როგორც მისი გრძელი თმა.

იყო მეორე მიზეზი მათი მარცხისა (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არგენტინელებმა ესპანეთში სამი თამაში წააგეს, ბელგიელებთან 0:1, იტალიელებთან 1:2 და ბრაზილიელებთან 1:3). არგენტინელები უკანასკნელ ჩემპიონატში ამოხსნილ მათემატიკურ ამოცანას ჰგავდნენ. მენოტიმ ხომ ძირითადად იგივე ფეხბურთელები ჩამოიყვანა ესპანეთში, რომლებითაც წინა ჩემპიონატი მოიგო.

ვინ იცის, რამდენჯერ დაატრიალეს მოწინააღმდეგეებმა არგენტინელთა წინა ჩემპიონატში ჩატარებული მატჩების ვიდეოჩანაწერები.

ერთი სიტყვით, არგენტინელი ფეხბურთელებისგან მოულოდნელს არაფერს ელოდნენ.

— მაგრამ, მარადონა? — ალბათ უმალვე შემახსენებს მკითხველი.

დიახ, მარადონა გახლდათ ის ახალი და მრისხანე იარაღი, ის მთავარი კოზირი, რომელსაც არგენტინელებისათვის გამარჯვება უნდა მოეტანა.

მარადონა იყო ის ფეხბურთელი, რომელსაც თვითონ პირველი სიდიდის ვარსკვლავს, ერთგვარად უნდა განესაზღვრა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატების ვარსკვლავების სიდიდე და საერთოდ დღევანდელი ფეხბურთის დონე.

ამ აზრს როდი იზიარებდა თვით არგენტინელთა მწვრთნელი ლუის მენოტი. ერთხელ ჟურნალისტებმა მათ ჰკითხეს, არის თუ არა მარადონა ახალი პელეო.

მარადონა რომ ახალი პელე გახდეს, ჯერ 1000 ბურთი უნდა გაიტანოსო. — მოკლედ მოუჭრა არგენტინელთა მწვრთნელმა.

ლუის მენოტის არც კი უნდოდა მარადონას ნაკრებში შეყვანა. არ უნდოდა განა იმიტომ, რომ მისი ტალანტისა არ სჯეროდა, არამედ იმიტომ, რომ შესანიშნავად იცოდა ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის ხარბი ბუნებაც. თურმე ჯერ კიდევ 17 წლისაც არ ყოფილა მარადონა, როცა მრავალი ფინანსიური ოპერაცია წამოიწყო მსოფლიოს ცნობილ ფირმებთან.

მე თვითონ ვნახე ესპანეთის ტელეეკრანებზე მარადონასა და „კოკა კოლას" სარეკლამო ორწუთიანი ფილმი. ფილმის სიუჟეტი ასეთია, მარადონა თავით კენწლავს ბურთს. შემდეგ ავტოგრაფებს ურიგებს გულშემატკივრებს და თან საოცარი ნეტარებით სვამს ჩატოვებულ „კოკა კოლას".

მის ასაკში პელეს ბურთის გარდა არაფერი ახსოვდა. იგი ბურთით ცოცხლობდა, ბურთით სუნთქავდა, ბურთით აღამებდა და ათენებდა. მოედანზე ფირმების ჯილდოს კი არა, მხოლოდ მოწინააღმდეგის კარს ხედავდა.

თვრამეტი წლის მარადონამ უკვე მიატოვა თავისი სამშობლო არგენტინა. იგი ესპანეთის „ბარსელონაში" გადაბარგდა. 8 მილიონი დოლარი, რომელიც „ბარსელონამ" გადაიხადა მარადონას შესაძენად, ფანტასტიკურ ციფრად ჟღერს თუნდაც დოლარის დევალვაციის პერიოდში. — როგორ აპირებს ამოდენა თანხის გადახდას? — ეკითხებიან „ფ. კ. ბარსელონას" კლუბის მესვეურებს, ეკითხებიან ჟურნალისტებიც და, რაც მთავარია, ცნობილი საფეხბურთო კლუბების მესვეურებიც. ეშინიათ ფეხბურთის საქმოსნებს. ეშინიათ სამართლიანად. ერთ ფეხბურთელში, თუნდაც დღევანდელი დღის ყველაზე გამორჩეულ ვარსკვლავში ამოდენა თანხის გადახდა ძალზე აამაღლებს ფეხბურთელთა ფასს მსოფლიო ბაზარზე.

„ბარსელონას" ხელმძღვანელები ინიღბებიან, ათასგვარ ფინანსიურ ოპერაციებს იშველიებენ, რათა დაარწმუნონ საფეხბურთო სამყარო, რომ ამ თანხის გადახდა მოხდება რამდენიმე წლის მანძილზე, თანდათანობით, კლუბებს შორის ერთობლივი შეთანხმებით და პირადად ჩემთვის გაუგებარი ფინანსიური ოპერაციებით.

პელეს კი ხანამ შეეძლო გუნდს გამოსდგომოდა, არასდროს მიუტოვებია არამცთუ სამშობლო, თვით მშობლიური კლუბი „სანტოსიც" კი. ერთხელ მასთან ჟურნალისტი მივიდა და ჰკითხა, რამდენ დოლარს ისურვებდით, იტალიაში რომ გადმოსვლიდეთო.

---

ზურაბ ფანჯიკიძე

ფორცა, იტალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პელე წერს: — „განგებ დავასახელე გაუგონარი თანხა — სამასი ათასი დოლარი (1960 წელს ეს მართლაც სარეკორდო თანხა იყო. — გ. ფ.), მეგონა უარს იტყოდნენ. როცა თანხმობა გამიცხადეს, პირში მივახალე, სამშობლოს მიტოვებას არ ვაპირებ-მეთქი.

პელემ მხოლოდ მაშინ დატოვა თავისი „სანტოსი", როცა ჩათვალა, რომ მეტი სარგებლობის მოტანა აღარ შეეძლო მშობლიური კლუბისათვის.

მარადონა სიმაღლით პელეს ოდენაა, მაგრამ უფრო ჩაკუნთული და ძლიერი. მოწინააღმდეგის მცველს კარგად უდგამს მხარს. თამაშობს ორივე ფეხით. აქვს კარგი გარღვევა. უბადლო დრიბლიორია. შესანიშნავად ურტყამს კარში თამაშის პროცესში ასევე ბრწყინვალედ ასრულებს იგი საჯარიმო დარტყმებს. გაიხსენეთ როგორ მოხვდა იტალიელთა კარის ძელს მის მიერ დატრიალებული ბურთი. შეტევის დროს მარადონა მარჯვენა ფრთისკენ გადის და ცდილობს ბურთი იქ მიიღოს. წინასწარ ბოდიში მინდა მოვუხადო მკითხველს, თუ ჩემი დახასიათება სწორი არ იქნება. მე მხოლოდ ორი თამაში ვნახე არგენტინელი ფორვარდისა იტალიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ, ტელევიზიის ეკრანებზე ნანახი თამაშებიდან ძნელია სწორი დასკვნები გამოიტანო. ამ ორი მატჩის მანძილზე მარადონა არ ყოფილა იერიშის ორგანიზატორი, თამაშის კონსტრუქტორი. იგი უფრო ეპილოგის მოთამაშეა. მარადონას თამაში დიდადაა დამოკიდებული პარტნიორებზე. იგი, ფაქტიურად, ელოდება როდის ათამაშებენ, ბურთს როდის მიაწვდიან, სიტუაციას როდის შეუქმნიან. თუ პარტნიორებმა ეს ვერ შეძლეს (და ვერც შეძლეს კიდეც ესპანეთში), არგენტინელი ფორვარდი ბრძოლას ეთიშება. მას არცერთხელ არ გამოუჩენია სურვილი, გამხდარიყო ლიდერი, გამხდარიყო გუნდის ბელადი.

პელე მოქმედებდა მოედნის სამ მეოთხედზე ორთავე ტაიმის მანძილზე. იგი იერიშების დამაგვირგვინებელიც იყო და ორგანიზატორიც. (როგორც მარადონაზე, ასევე პელეზე ვმსჯელობ იმ თამაშებით, რაც ჩემი თვალით მინახავს ჯერ ინგლისის ჩემპიონატში, შემდეგ კი — შოსკოვში და მექსიკაში). იგი თანაბრად ძლიერი იყო ეპიზოდის პროლოგშიც და ეპილოგშიც. უფრო კარგად თამაშობდა თავით. მრავალფეროვანი იყო მისი შეტევა. ორთავე ტაიმის მანძილზე ეძებდა სუსტ ადგილებს. საიდანაც დალაშქრავდა მოწინააღმდეგის კარს. მაშინ როცა მარადონას იერიშები მარჯვენა ფრთიდან სიჯიუტის ელფერს უფრო ატარებდა. პელე იყო არა მარტო დიდებული ფეხბურთელი. არამედ გუნდის ნამდვილი ბელადი.

პელეს თამაში სულ ხუთჯერ ვნახე სხვადასხვა დროს, მარადონასი კი, როგორც ზემოთ ვთქვი, ორჯერ, ბუნებრივია, ჩემი შთაბეჭდილებანი ტელევიზიით ნანახი (განსაკუთრებით პელესი) მატჩებითაც შევავსე, ამიტომაც ვერ დავიჩემებ, რამდენად სწორია ჩემი მოსაზრებანი. მკითხველს ჩემს უშუალო შთაბეჭდილებას ვთავაზობ და მისი ნებაა დამეთანხმება თუ არა.

ერთი კი უნდა ვთქვა, მიუხედავად მარადონას უფერული თამაშისა, მტკიცედ მჯერა, რომ იგი მაინც ყველაზე დიდი ფეხბურთელი იყო ესპანეთის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებს შორის.

მარადონას ჯერ ყველაფერი წინა აქვს.

მარადონა იტყვის თავის სათქმელს.

დარწმუნებული ვარ, იგი ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი იქნება მსოფლიო ფეხბურთისა.

მარადონას უფერულ თამაშს იტალიელთა მცველმა ჯენტილემაც „შეუწყო" ხელი.

გავიხსენოთ, რომ მარადონა ესპანეთში ტრავმირებული ჩამოვიდა. ისიც კი საეჭვო იყო, პირველ მატჩებში გამოვიდოდა მოედანზე თუ არა. პირველი თამაში ძალზე უფერულად ჩაატარა, მაგრამ გავიხსენოთ, როგორ ბრწყინავდა უნგრელებთან ორთაბრძოლისას. ის გასვლები, დრიბლინგი თუ დარტყმები, რომელიც მან შეასრულა, მხოლოდ ფეხბურთის ჭეშმარიტ ვარსკვლავს ძალუძს.

იტალიელებმა მარადონას მეურვეობა ჯენტილეს დაავალეს. ეს ის ჯენტილეა, რომელიც იაპონელმა საქმოსანმა 1.800 000 მარკად შეაფასა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. შედარებისათვის: მის მიერ შედგენილ სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი იყო მარიო კემპესი (2 500 000 მარკა).

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ჩემზე უსიამო შთაბეჭდილება დატოვა იტალიის ნაკრებიდან, სწორედ ჯენტილე იყო. მარადონას წინააღმდეგ უხეში, ხულიგნობამდე მისული თამაშის შემდეგ მას ტრიბუნებზე ყასაბი და ანტიფეხბურთელი შეარქვეს. მარადონა, მგონი, თითქმის იმდენჯერ მოცელა მანაც და სხვებმაც, რამდენჯერაც კი არგენტინელმა ფორვარდმა ბურთი მიიღო.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მარადონა შეისყიდა „ფ. კ. ბარსელონამ", ხოლო მეოთხედფინალური მატჩები იტალიისა და ბრაზილიის წინააღმდეგ სწორედ ბარსელონაში ტარდებოდა კლუბის დირექტორატის თვალწინ. როგორ ფიქრობთ, არ შეახსენებდნენ ისინი მარადონას, ფეხებს გაუფრთხილდი, თვითეულ მათგანში ოთხ-ოთხი მილიონი დოლარია გადახდილიო?

ესპანეთის ჩემპიონატის შემდეგ რატომღაც მიწყნარდა საუბარი მარადონას ბარსელონაში დარჩენის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოხდა?

იქნებ აღარ დაუჯდათ ჭკუაში მისი შეძენა?

ვნახოთ. ალბათ ყველაფერი მალე გაირკვევა.

რაკი საუბარმა ამ თემამდეც მიგვიყვანა, ერთი რამეც მინდა დავძინო. ვფიქრობ, არგენტინელთა თამაშზე გარკვეული გავლენა მოახდინა იმ ფაქტორმაც, რომ თითქმის ყველა ფეხბურთელმა ევროპის სხვადასხვა კლუბთან დადო ხელშეკრულება და ორ კაცს გარდა არგენტინაში არც ერთი აღარ ბრუნდებოდა. ევროპაში რჩება, აგრეთვე, ლუის მენოტიც, მას ხომ დიდი ხანია ესპანეთის „ვალენსიაზე" უჭირავს თვალი.

ბუნებრივია, ყველას სურდა ახალ კლუბში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით მისულიყო. ამისთვის არაფერს არ იშურებდნენ, მაგრამ გარკვეულ ფარგლებს გარდა რისკს, რასაკვირველია, ერიდებოდნენ.

ძველებურად ბრწყინავდნენ პასარელა და არდილესი. კარგად ითამაშა ტარანტინმაც, მაგრამ ბრაზილიელებთან 1:3-ზე წაგებული მატჩის შემდეგ აშკარა იყო, რომ ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინელებს არ შესწევდათ ძალა, მეორედ მოეპოვებინათ მსოფლიოში უძლიერესის წოდება.

12 ათასი არგენტინელი უნდა ჩამოსულიყო ესპანეთში. ფოლკლენდის კუნძულებისათვის ომმა ძალზე ბევრ გულშემატკივარს დაუკარგა მსოფლიო ჩემპიონატზე წამოსვლის ხალისი. საოცარი სევდა ჩამოწვა სტადიონის ტრიბუნებზე, როცა იტალიელებთან მატჩის წინ ფეხზე წამოდგომით და წუთიერი დუმილით პატივი ვეცით ამ ომში დაღუპულ არდილესის ძმის ხსოვნას.

ბრაზილიელებთან მატჩის შემდეგ არგენტინელმა გულშემატკივრებმა ფრთებჩამოყრილებმა დატოვეს მოედანი. ბევრს ტირილისაგან თვალები ჰქონდა დასიებული. ძველებურად აღარ აფრიალებდნენ ეროვნულ ლურჯ-თეთრ ზოლიან დროშებს. იღლიაში საცოდავად ამოეჩარათ დაკეცილი ტრანსპარანტები და ტარზე დახვეული დროშები.

ისინი, მგონი, ფოლკლენდის კუნძულების დაკარგვაზე უფრო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაკარგვას განიცდიდნენ.

## ვენდეტა

1970 წელს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, ფიფას დღევანდელი პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი ჩამოვიდა როგორც ბრაზილიის ფეხბურთის ასოციაციის ლიდერი.

მან გუნდისათვის ყველაფერი გააკეთა რაც საჭირო იყო და ჩემპიონატის გახსნის წინა დღეს ბრაზილიაში დაბრუნდა. გამგზავრების წინ, მეხიკოს აეროპორტში შეკრებილ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „ვიცი, გაოცებული ხართ, რომ სამშობლოში მივემგზავრები საფეხბურთო ფიესტის დაწყების წინ. მაგრამ რას იზამ. სამწუხაროდ, თარსი ფეხი მაქვს. მე ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ვახლდი ინგლისში და ვერ მოვიპოვეთ ჩემპიონის გვირგვინი. ახლა წავალ და ბრაზილიაში ტელევიზიის ეკრანიდან ვადევნებ თვალყურს ჩვენი ნაკრების გამარჯვებას".

მართლაც მთელი მსოფლიო მოხიბლა მექსიკაში ბრაზილიელთა ვირტუოზულმა თამაშმა. სამშობლოში ტრიუმფით დაბრუნებულ მსოფლიოს ჩემპიონებს პირველი მიეგება ჟოაო აველანჟი.

შემდგომ მსოფლიო ჩემპიონატებში კი აველანჟი, ამჯერად უკვე ფიფას პრეზიდენტის როლში, იძულებული იყო ფეხი არსად მოეცვალა. ვერც გერმანიაში და ვერც არგენტინაში ბრაზილიელებმა წარსული დიდება ვეღარ დაიბრუნეს.

იქნებ ესპანეთში გატეხილიყო ნავსი?

ფიფას პრეზიდენტი ბარსელონაში არ ჩამოსულა, როცა ბრაზილიის ნაკრები ჯერ არგენტინას ხვდებოდა, შემდეგ კი იტალიას. მადრიდის თამაშებზე დარჩენა ამჯობინა, თანამემამულენი არ დავთარსოო.

მაგრამ ამაო გამოდგა მისი ზრუნვა და სიფრთხილე!

5 ივლისს ბარსელონას „ესპანიოლის" სტადიონის მწვანე მოედანზე ერთმანეთის წინაშე წარსდგნენ იტალიისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდები.

აი, რა შემადგენლობით გამოიყვანეს გუნდები ტელე სანტანამ და ენცო ბეარზოტიმ:

ბრაზილია: პერესი, ლეანდრო, ოსკარო, ლუიზინიო, ჟუნიორი, ფალკაო, სერეზო, სოკრატესი, ზიკო, სერჟინიო (ისიდორო, 69), ედერი.

იტალია: ძოფი, ჯენტილე, კოლოვატი (ბერგომი, 33), შირეა, კაბრინი, ორიალი, ტარდელი (მარინი, 76) ანტონიონი, კონტი, გრაციანი, როსი.

როგორ მოვიდნენ ამ მატჩამდე ბრაზილიელები?

ნამდვილი ტრიუმფით. მათ არა მარტო დაამარცხეს თავისი მოწინააღმდეგენი (ბრაზილია—სსრკ—2:1) ბრაზილია—შოტლანდია 4:1, ბრაზილია—ახალი ზელანდია 4:0; ბრაზილია—არგე-

გურამ ფანჯიკიძე
ფორცა, იტალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნტინა 3:1), არამედ მაყურებელი მოხიბლეს ჭეშმარიტად ლამაზი ფეხბურთით. არგენტინასთან მათი ლაღი გამარჯვების შემდეგ ათიდან ალბათ ერთს თუ შეეპარებოდა ეჭვი, რომ ჩემპიონი ბრაზილია გახდებოდა. თვალწინ გვიდგას, მაგრამ მაინც გავიხსენოთ ედერის უზადო „ხმელი ფოთოლი", როცა ბურთი ძელს მოხვდა. უკან დაბრუნებულ ბურთს სამნი მივარდნენ; არგენტინელთა მეკარე ფილოლი, სერჟინიო და ზიკო, ყველას ზიკომ დაასწრო — 1:0.

შემდეგ ულამაზესი კომბინაცია ზიკო-ფალკაოსერჟინიო. ამ უკანასკნელმა თავური დარტყმით გაახვია ბურთი არგენტინელთა კარის ბადეში. დაბოლოს მესამე კომბინაცია — ზიკო-ჟუნიორი. მაინც სად დაინახა ზიკომ ის კორიდორი, საიდანაც ბურთი გაუძვრინა სიღრმეში მდგომ ჟუნიორს? ან საიდან იგრძნო ჟუნიორმა, რომ ზიკო სწორედ ასე გაუპრიდა ბურთს წინ?

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს კომბინაცია ფეხშეკრულთა ტელეპატიით იყო ვანპირობებული.

ულამაზესი მესამე გოლი მოედანზე ცეკვით დაგვირგვინა ჟუნიორმა.

არგენტინელებს იტალიელებთან მომქანცველი მატჩის შემდეგ მხოლოდ ორი დღე ჰქონდათ დასასვენებლად, მაგრამ დროდადრო მსოფლიო ჩემპიონები მაინც თამაშობდნენ ისე, ამ ტიტულის მფლობელებს რომ ეკადრებოდათ. პრესტიჟის გოლი გაიტანა დიასმა, რომელმაც მეორე ტაიმში კემპესი შეცვალა (88 წ.). ამ ლამაზმა გოლმა კიდევ უფრო დაამშვენა ისედაც წარმტაცი მატჩი. (ერთი უსიამო ეპიზოდი მაინც დაგვამახსოვრდა ამ დიდებული მატჩიდან, მარადონას ნერვებმა უმტყუნა და ბატისტას უხეშად ეცა... ვფიქრობ, მაინც შეიძლებოდა მსაჯს წითელი ბარათი არ ამოეღო).

შედარებით მოკრძალებული შედეგით წარსდგნენ მრისხანე მოწინააღმდეგის წინაშე იტალიელები, სამი ფრე და ერთი გამარჯვება, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავი გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონებთან — არგენტინელებთან.

უფერული სტარტის შემდეგ იტალიელთა გამარჯვება არგენტინელებთან ნაწილმა შემთხვევითობით ახსნა, ნაწილმა არგენტინელთა უღონობით, ნაწილმა კი მსოფლიო ჩემპიონების სუსტი თამაშით.

ყოველ შემთხვევაში, ვერც სპეციალისტები და ვერც მაყურებლები იტალიის ნაკრებში ჯერ კიდევ ვერ ხედავდნენ არამცთუ მომავალ ჩემპიონს, არამედ ფინალისტსაც კი. გულშემატკივრები (რასაკვირველია, არ ვგულისხმობ იტალიელ გულშემატკივრებს, თუმცა უფერული სტარტის შემდეგ მათ უმრავლესობასაც სჯეროდა, რომ ბრაზილია წერტილს დაუსვამდა მათ წინსვლას) მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მხოლოდ რაიმე გაუგებრობა თუ გადაუღობავდა ბრაზილიელებს გზას ოქროს მედლებისაკენ.

მართლაცდა ბრაზილიელები ამ მატჩამდე მივიდნენ ტრიუმფით, გაიტანეს 13 გოლი, საკუთარ კარში, მიუხედავად იმისა, რომ მას იცავდა ჩემპიონატის მონაწილე ყველა მეკარეს შორის უსუსტესი პერესი, გაუშვეს მხოლოდ სამი ბურთი.

ბრაზილიელებმა, ჯერ კიდევ ესპანეთში ჩამოსვლამდე, ევროპის ქვეყნებში ტურნეს დროს დაიმკვიდრეს უძლიერესის სახელი. შემდეგ ლაღად, თითქმის დაუძაბავად მოგებული სამი მატჩი და ბოლოს ნამდვილი საფეხბურთო ფიესტა, როცა მსოფლიო ჩემპიონები, არგენტინელები, თითქმის ერთთავად გააცამტვერეს. ბრაზილიელებმა მრისხანე მოწინააღმდეგენი დაამარცხეს ყველა რგოლში. მათი აუღელვებელი, საოცრად მშვიდი თამაში, მოედნის ფენომენალური ხედვა, უნაკლო, რთული გადაცემები, აჟურული, მაგრამ არა თვითმიზნური ტექნიკა, უძლიერესი მოჭრილი დარტყმები და ულამაზესი გოლები ეჭვს აღარავის უტოვებდა, რომ ჩემპიონის გვირგვინს ბრაზილიელები არავის დაანებებდნენ.

საცოდაობა კი იყო ამ სამი გუნდის ერთ ჯგუფში მოხვედრა.

სამი ეროვნული ნაკრები, სამივე მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო ორი, იტალია და ბრაზილია, მსოფლიოს ორ-ორგზის ჩემპიონები! ცალ-ცალკე ალბათ ყველა მიაღწევდა ფინალს და ჩემპიონობისათვის საბრძოლველად მეტნაკლებ ყველას ექნებოდა გზა გახსნილი. გათამაშების სისტემის ულმობელმა სქემამ სამიდან ორს ხომ წინასწარ გადაუკეტა გზა ფინალისაკენ.

წინასწარ ვიცოდით ყველამ, რომ ჩემპიონი სწორედ ბარსელონის ჯგუფში თამაშობდა და ყველას გვეგონა, რომ იგი ბრაზილია იქნებოდა.

როდესაც სტადიონისაკენ მივემართებოდით, ანგარიშები ჩამოვწერეთ. თითქმის 99 პროცენტს სჯეროდა, რომ ბრაზილია, მინიმუმ, სამ ბურთს გაიტანდა, თავისთავად ცხადია, სჯეროდა, რომ გამარჯვებაც მათ დარჩებოდათ.

მით უმეტეს, რომ ბრაზილიელებს საყაიმო ანგარიშიც აძლევდათ ხელს.

ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი ბრაზილიელები. ჯერ კიდევ არგენტინასთან მოგებული მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ტელე სანტანას ჰკითხეს, როგორ უცქერით ჯენტილეს თამაშს მარადონას წინააღმდეგ, იგივე ხომ არ განმეორდება იტალიელი მცველის ზიკოსთან ორთაბრძოლის დროსო.

ტელე სანტანამ უპასუხა, ასეთი თამაშისათვის იტალიელები ჯერ არ დასჯილან, მაგრამ იმედი მაქვს რომ ჩვენთან დაისჯებიანო.

მატჩის წინ გაცილებით ფრთხილი იყო სანტანას განცხადება: „იტალიელებთან რთული მატჩი გველის. იტალიელებს უნარი შესწევთ ძალისმიერი თამაშით გაუვალი დაცვა შექმნან. ძალზე სახიფათოა მათი სწრაფი კონტრიერიშები და საოცარი თვისება აქვთ განეწყონ წარმატებებისათვის".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდგომში, დამეთანხმებით, მთლიანად ახლა ტელე სანტანას მოსაზრებანი.

ესპანელთა ყოფილმა მწვრთნელმა ლიუის კუბალამ ასე შეაფასა ბრაზილიელთა ნაკრები: „ბრაზილიელები ფანტასტიკურად ფლობენ ბურთს, ყველაფერს ხედავენ მინდორზე, ნამდვილად ბრძნულ თამაშს გვაჩვენებენ. მართლაც რომ შეუდარებელი გუნდია“.

პელენიო ჰერერამ კი განაცხადა: „არგენტინელთა კარში ბრაზილიელთა მიერ გატანილი გოლები აუცილებლად შევა ფეხბურთის ისტორიაში“.

მანამდე როდის შეხვდნენ ბრაზილიელები და იტალიელები ერთმანეთს უმაღლეს დონეზე?

მე ბედნიერება მქონდა მეხიკოში მენახა ულამაზესი ფინალი ბრაზილიელებსა და იტალიელებს შორის. მაშინ ბრაზილიელთა უპირატესობა აშკარა იყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი გოლი იტალიელებმა გაიტანეს, ბრაზილიელებმა სულ იოლად, ყოველგვარი დაძაბულობის და ნერვიულობის გარეშე გაიტანეს 4 გოლი და მესამედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები.

მეორედ მათი შეხვედრის უშუალო მონაწილე ბუენოს აირესში ვიყავი. ამჯერად ისინი ბრინჯაოს მედლებს და ჩემპიონატის მესამე ადგილს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

პირველი გოლი კვლავ იტალიელებმა გაიტანეს (კაუზიო), მაგრამ ბრაზილიელებმა შემდგომ ორჯერ აიღეს მოწინააღმდეგის კარი (ნელინიო დირსეუ).

და აი, ისინი მსოფლიო ჩემპიონატის დონეზე მესამედ წარსდგნენ ერთმანეთის წინაშე. მართალია, ეს არ იყო ფინალი, არც მატჩი მესამე ადგილისათვის, მაგრამ ყველას ქვეშეცნეულად სჯეროდა, რომ ბარსელონას „ესპანიოლის“ სტადიონზე იტალიელებისა და ბრაზილიელების შეხვედრა იყო არაოფიციალური ფინალი. ვინც გაიმარჯვებდა, მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინსაც ის დაიდგამდა.

მაინც მინდა გავიმეორო: ალბათ ყველას, თვით იტალიელი გულშემატკივრების უმრავლესობასაც კი სჯეროდათ, რომ გამარჯვებული ბრაზილია იქნებოდა.

და აი, მოედანზე გამოსულ ბრაზილიელებს მქუხარე ოვაციებით და „სამბას“ გამაყრუებელი რიტმით მიესალმა 17 ათასი ბრაზილიელი.

რატომღაც ესპანეთის ჩემპიონატის სამი ცენტრალური, სამი დამამშვენებელი მატჩი (არგენტინა-იტალია, ბრაზილია-არგენტინა, და ბრაზილია-იტალია) ბარსელონას ძველ სტადიონზე ტარდებოდა, რომელიც 40 ათასზე ცოტა მეტ მაყურებელს იტევდა. და ეს მაშინ, როცა იქვე, გვერდით იყო ბარსელონას ახალი სტადიონი „ნოუ კამპი“. დარწმუნებული ვარ სამთავე ამ მატჩზე უკლებლივ მოვიდოდა 120 ათასი კაცი და გაუყიდავი არ დარჩებოდა არცერთი ბილეთი.

ბრაზილია-იტალიის ორთაბრძოლის წინ ყოიო აველანჟმა დასვა კიდეც საკითხი, მატჩი დიდ სტადიონზე გადაეტანათ, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა იმდენ სირთულესთან აღმოჩნდა დაკავშირებული, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორები უძლურები აღმოჩნდნენ გამოესწორებინათ თავში დაშვებული შეცდომა.

სტადიონს იმდენი ხალხი აწყდებოდა, ისე ძნელი იყო იქ შესვლა, რომ იძულებული ვიყავით მთელი ორი საათით ადრე დაგვეკავებინა ადგილები ტრიბუნებზე. სიცხეში ამ ორი საათის გატარებაში ხელს გვიწყობდნენ ბრაზილიელი გულშემატკივრები, ბრაზილიის ეროვნული დროშისფერ მომწვანო-მოყვითალო მაისურებში გამოწყობილი ტორსედორები. თამაშიც ყველაზე ლამაზი იციან ბრაზილიელებმა (ტყუილად როდი უწოდებდნენ პრესაში მათ სხვა გალაქტიკიდან ჩამოსულ ფეხბურთელებს) და გულშემატკივრებმაც. დროშები, ტრანსპარანტები... ბევრი მათგანი საგანგებოდ დაფრახტულ გემზე იყვნენ დაბინავებულნი, სადაც სტამბაც მოეწყოთ და პატარა გაზეთსაც უშვებდნენ თანამემამულე გულშემატკივრებისათვის.

ყველაზე მომხიბვლელი მაინც იყო სამბა, სამბა — პირდაპირ ტრიბუნებზე! დიდი ბარაბნებით და ათასგვარი მცირე თუ საშუალო ზომის დასარტყმელი ინსტრუმენტებით აღჭურვილი რამდენიმე ჯგუფი განლაგებულიყო სტადიონის ოთხივე ტრიბუნაზე. ჰქუხდა „სამბასა“ თუ სხვა ცეკვების რიტმები. ცეკვავდნენ ყველანი, დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც. ცეკვავდნენ ადგილზე. მათ შორის ბევრი იყო ისეთი, თავიანთი პლასტიკური, შინაგანი ემოციით დამუხტული როკვით ჭეშმარიტ სიამოვნებას რომ გვანიჭებდნენ.

არგენტინელებთან გამარჯვების შემდეგ მთელი საათი არ გავსულვართ სტადიონიდან. ვიდექით და აღტაცებულნი ვუყურებდით როგორ ხეიმობდნენ ბავშვებივით გახარებული და აცუნდრუკებული ბრაზილიელები. საგანგებოდ მომზადებული არგენტინული სიმღერით გააცილეს თავჩაქინდრული, დაღვრემილი არგენტინელები, მაგრამ ყველაფერი ისე ზრდილობიანად კეთდებოდა, ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა გაუგებრობისა. იტალიასთან მატჩის შემდეგ კი ათასობით ბრაზილიელმა და იტალიელმა გულშემატკივარმა მეგობრულად გაცვალეს მაისურები. ცოტა უცნაური სანახავი კი იყო ქუჩაში მოზეიმე ათასობით იტალიელი გულზე და ზურგზე „ბრაზილია“ რომ ეწერათ და „ფორცა იტალიას“ რომ გაჰყვიროდნენ.

„ესპანიოლის“ ტრიბუნებზე 17 ათას ბრაზილიელს 28 ათასი იტალიელი „დაუპირისპირდა“. ფრიალებდა უთვალავი სამფეროვანი დროშა იტალიისა. სიმრავლისა და იტალიური ტემპერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტის მიუხედავად, მათ გულშემატკივრობაში არ იგრძნობოდა ის ორგანიზაცია და ხელოვნება, ბრაზილიელ გულშემატკივრებს რომ ჰქონდათ.

ისრაელელმა მსაჯმა ა. კლეინმა თამაშის დაწყების ნიშანი მისცა. სტადიონი ერთ წამს გარინდა და კიდევ უფრო გამოიკვეთა სამბას რიტმი, რომელიც, ჩვეულებისამებრ, მატჩის ბოლო წუთამდე არ შეწყვეტილა.

მინდა გავიხსენო ლუის მენოტის სიტყვები. ბრაზილიელებთან დამარცხების შემდეგ რომ თქვა პრესკონფერენციაზე: „... თუ ბრაზილიელები იმოქმედებენ უფრო სწრაფად, მათ დამარცხებას ვერავინ ვერ შეძლებს".

მატჩის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რა სწორი შეფასება მისცა ბრაზილიელთა გუნდს ლუის მენოტიმ.

მატჩის დაწვრილებით აღწერას არ შევუდგები. უბრალოდ, აზრი არა აქვს. იგი ყველა გულშემატკივარმა ნახა. ზოგმა ორჯერაც. ცალკეული ფრაგმენტები ალბათ კიდევ უფრო მეტჯერ. ინფორმაციაც, ანგარიშიც და გამოძახილიც მრავალი გამოქვეყნდა. ვისაც მატჩი არ უნახავს ტელევიზორის ეკრანზე, მას, თუნდაც დაწვრილებით აღწერით, მაინც გაუჭირდება წარმოიდგინოს, „დაინახოს" ამ ორთაბრძოლის ულამაზესი და დრამატული ეპიზოდები.

მაინც გავიხსენოთ როგორ გავიდა ბურთები მოწინააღმდეგეთა კარში.

მეხუთე წუთზე პაოლო როსიმ მიიღო კაბრინის გადაცემა და გახსნა ანგარიში — 1:0;

მეთორმეტე წუთზე ზიკომ მარჯვენა ფრთაზე კარგად გაიყვანა სოკრატესი. იგი ფრთიდან შევიდა კარის სიახლოვეს და საპასუხო გოლი დაბალ კუთხეში გაახვია — 1:1;

ოცდამეხუთე წუთზე სერეზომ ბურთი დუნედ გადააწოდა თანაგუნდელს. არ ეგონა თუ როსი იქვე იდგა. იტალიელმა ფორვარდმა გადაჭრა გადაცემა და მეორე გოლი გაიტანა — 2:1;

სამოცდამერვე წუთზე ფალკაომ წონასწორობა აღადგინა — 2:2;

სამოცდამეთხუთმეტე წუთზე კი პაოლო როსიმ (თავისი რიგით მესამე) გამარჯვების გოლი გაიტანა.

ბრაზილია დამარცხდა!

მოხდა ის, რასაც თითქმის არავინ ელოდა!

რამ გამოიწვია ბრაზილიელთა მარცხი? უბედობამ? დაუდევრობამ?

იქნებ იტალიელები უფრო ძლიერნი იყვნენ და ბრაზილიელთა დამარცხება კანონზომიერი მოვლენა იყო?

მოდით ვიმსჯელოთ.

ბრაზილიელებმა ოთხი ისეთი თამაში მოიგეს. თითქმის ყველანი, სპეციალისტებიც და არასპეციალისტებიც შეაგუეს აზრს, რომ ჩემპიონის გვირგვინი მხოლოდ და მხოლოდ მათი კუთვნილება იქნებოდა.

ტოტალურ-ტექნიკური ფეხბურთი, შესანიშნავი ფიზიკური მომზადება, ბურთის ვირტუოზული ფლობა, ერთმანეთის ჩანაფიქრის ტელეპატიური შეგრძნება, უზუსტესი და ტექნიკურად რთული გადაცემები (თვით ბუცის „შიპებითაც" კი), კარში უძლიერესი და მოჭრილი დარტყმები, თამაშის რიტმის რეგულირება, საჭირო „სიჩქარეების ჩართვა", დრიბლინგი და მრავალფეროვანი ფინტები, თამაშის შესანიშნავი ორგანიზაცია, თამაშის კაუჩუკივით მოქნილი სტილი, გამარჯვების რწმენა, სიმშვიდე და სიდარბაისლე...

კიდევ რაღა დარჩა?

ნგონი, ალარაფერი.

იყო ყველა რგოლი ბრაზილიის ნაკრებში თანაბარი? — ვფიქრობ, ლოგიკური იქნება ასეთი შეკითხვა.

— არ იყო!

ბრაზილიელთა კარს იცავდა ჩემპიონატის ყველაზე სუსტი მეკარე. პერესმა გაუშვა თითქმის ყველა ბურთი, რომელიც კი მის კარში დაარტყეს! იგი იტალიელებს გოლის გატანაში „დაეხმარა" მაშინაც, როცა სულ არ იყო საგოლე მომენტი და, საერთოდ, არ ემუქრებოდა საფრთხე ბრაზილიელთა კარს. თანაც რომელი გოლის, მესამე, იტალიელთა საბოლოო გამარჯვების მაუწყებელი გოლის გატანაში.

სრულიად მშვიდ სიტუაციაში ლუიზინიომ კუთხურის ხაზისაკენ მეკარეს უკან მიაწოდა ბურთი. პერესი ჯერ უძრავად იდგა კარში. მერე თითქოს ერთბაშად მიხვდა, რომ ბურთი თუ ხაზს გადაკვეთდა, კუთხური იქნებოდა. გამოფხიზლებული სწრაფად გადახტა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ბურთი ხაზს იქით დაიჭირა. სწორედ ამ კუთხურს მოჰყვა პაოლო როსის მესამე გოლი.

ერთი შეხედვით, მეორე და მესამე გოლი ბრაზილიელთა შეცდომების შედეგად გავიდა, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, გოლის გატანის რა რეალური შესაძლებლობები დაკარგეს იტალიელებმა.

მეორე სუსტი ადგილი, ჩემის აზრით, ბრაზილიის ნაკრებში იყო ცენტრალური თავდამსხმელი სერჟინიო. ეს ათლეტური და ეგზოტიკური ფეხბურთელი სრულიად ამოვარდნილი იყო ჩვენა ბრაზილიური ფეხბურთის სტილიდან.

სერჟინიოს ყველა როდი უცქერდა ჩემი თვალით. მაგალითად, ედუარდ სტრელცოვი წერს: „სხვებისა არ ვიცი და, მე ძალიან მესიმპათიურება ბრაზილიელთა ცენტრფორვარდი სერჟინიო. მას, უბრალოდ, ფენომენალური მონაცემები აქვს ცენტრფორვარდის ამპლუისათვის: იგი მაღალია, ჩაკუნთული, ფეხმაგარი, აქვს ბუნებით მომადლებული სისწრაფე, შესანიშნავად თამაშობს თავით.

ეს მასიური ცენტრალური თავდამსხმელი სხვა ბრაზილიელი ფეხბურთელებისაგან განსხვავებით (მე, რასაკვირველია, მხედველობაში არ მყავს ზიკო და ედერი), კარგად გრძნობს საგო-

ლე სიტუაციებს, რაც მას არა აქვს, მგონი, ესაა პაოლო როსის აზარტი".

ვერ დავეთანხმები ედუარდ ხტრელცოვს. შეიძლება ბრაზილიელი ფორვარდი კარგად გრძნობს ხაგოლე სიტუაციებს, მაგრამ სერჟინიომ ვერ გამოიყენა ვერც თავისი მძლავრი და მაღალი ტანი და ვერც სისწრაფე. იგი მოშვებული სიმივით იყო კარგად აწყობილ გიტარაზე. როდესაც ცრუ მოძრაობით მოწინააღმდეგეს წონასწორობიდან გამოიყვანდა, მძიმე სხეულს ველარ იმორჩილებდა და საბოლოოდ ბურთს მაინც კარგავდა.

სხვა სუსტი ადგილი გუნდს არ ჰქონია, ოღონდ, თავისთავად ცხადია, განსხვავება მაინც იგრძნობოდა ფეხბურთელთა შორის. ბრაზილიელთა უპირველესი ვარსკვლავები მაინც იყვნენ ზიკო, ფალკაო, სოკრატესი, ედერი, ჟუნიორი, სერეზო.

ექვსი ვარსკვლავი, ექვსი უბრწყინვალესი ფეხბურთელი, რომლებმაც დაამშვენეს მთელი ჩემპიონატი.

მაინც რა იყო ბრაზილიელთა მარცხის უმთავრესი მიზეზი?

ვფიქრობ, ზედმეტი თვითდაჯერებულობა, ზედმეტი რწმენა.

არც ერთხელ წარბი არ შეუხრიათ, როცა მათ კარში პირველი ბურთი გადიოდა.

ისინი დინჯად, მეთოდურად ავითარებდნენ შეტევებს. მაყურებელიც მიეჩვია, რომ პირველი გაშვებული ბურთი ბრაზილიელებისათვის არაფერს არ ნიშნავდა, თვით იტალიასთანაც კი, სულ ბოლო მომენტამდე, სანამ მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა არ გაისმა, რჩებოდა იმედი, რომ ბრაზილიელები ანგარიშს გაათანაბრებდნენ და გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდოდნენ.

როცა ფალკაომ მეორე ბურთი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა, ყველა დარწმუნდა, რომ ბრაზილიამ გადაჭრა „იტალიის პრობლემა".

თამაშის დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა. ბრაზილიელებს შეეძლოთ ამ მომენტში კონტრშეტევებით ეთამაშათ და საკუთარი კარი მეტი ძალებით დაეცვათ. ფრე ხომ მათ გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ არა, ისინი მაინც უტევდნენ, ისინი მაინც ბოლომდე ერთგული დარჩნენ ლამაზი და შემტევი ფეხბურთისა. ისინი მხოლოდ მოგებისათვის იბრძოდნენ და... დაისაჯნენ.

მაგონდება სოკრატესის სიტყვები, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე რომ განაცხადა: „ჩვენი „საიდუმლო" სრულიად უბრალოა, შეგვიძლია გავიტანოთ მოწინააღმდეგეზე ერთი ბურთით მეტი, ესაა და ეს!"

ვფიქრობ, ამ ერთ ბურთს რომ არ გამოჰკიდებოდნენ, ბრაზილიელებს შეეძლოთ იოლად შეენარჩუნებინათ გამარჯვების ტოლფასი საყაიმო ანგარიში.

ვფიქრობ, სწორი იყო ბრაზილიური „ჟორნალ დე ტარდეს" სპორტული მიმომხილველი სერჟის ბალკანოსი, როცა თქვა: სანტანას უნდა ჰქონოდა მარაგში თავდაცვითი ვარიანტიც, რომელიც ბრაზილიელებს საშუალებას მისცემდა შეენარჩუნებინათ საყაიმო ანგარიშიო. მანვე თქვა, ჩემპიონატის დაწყებამდე ბრაზილიის სპორტული პრესა და სპეციალისტები ძალზე აკრიტიკებდნენ ნაკრების მწვრთნელს შემტევი და მეტისმეტად ღია თამაშისათვის.

სწორია ბრაზილიელი სპეციალისტი. როცა საქმე საქმეზე მიდგა და მხოლოდ წუთებილა რჩებოდა, ალბათ უფრო ფრთხილი თამაში იყო საჭირო.

მთელი ჩემპიონატის მანძილზე მხოლოდ იტალიელებთან დარჩენილი 15 წუთი იყო, როცა ბრაზილიელებმა დამარცხების საშიშროება იგრძნეს და იტალიელთა კარს სტიქიურად შეუტიეს. აღარ იგრძნობოდა ფორვარდთა „გამომგონებლობა", აღარ იყო მახვილგონივრული პასები და კომბინაციები. ბურთს ძირითადად შორიდან ჰკიდებდნენ იტალიელთა საჯარიმო მოედანზე. სოკრატესმა წინ გადაინაცვლა, ამით დაპატარავდა და დავიწროვდა მისი სამოქმედო დიაპაზონი, აღარც ედერს გამოსდიოდა „ხმელ ფოთოლი", თუმცა იგი მაინც ჯიუტად ურტყამდა საჯარიმოებს.

სულ ბოლო წამებში მაინც იყო გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა, მაგრამ პაპა დინომ, როგორც მასეძახიან იტალიელები, შეხძლო შეუძლებელი, ზედ ხაზზე გააქვავა ბურთი.

ბრაზილიელთა ნაკლი იყო ისიც, რომ კონტრშეტევაზე ძალზე ნელა გადადიოდნენ. არ ცდილობდნენ გამოეყენებინათ რაოდენობრივი უპირატესობანი, როცა იტალიელთა შეტევას დაშლიდნენ ხოლმე. ბრაზილიელები შეტევაზე ნელა გადადიოდნენ, ბურთს მოედნის ცენტრში აგორავებდნენ და ისე უახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგეს (ამ შემთხვევაში იტალიელთა) კარს. იტალიელები თავისუფლად ასწრებდნენ უკან ჩასვლას და კარის მისადგომების გამაგრებას.

რატომ?

ალბათ ზედმეტად სჯეროდათ თავიანთი ტექნიკური უპირატესობა. სჯეროდათ, რომ მათთვის არაფერს არ ნიშნავდა, კარისაკენ იერიშზე მიმავალთ თუ რამდენი მცველი გადაეღობებოდათ წინ.

იტალიელებმა კი პირიქით, სწრაფ კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. ამ სისწრაფესა და მოწინააღმდეგის კარზე ელვისებური იერიშის ტანის წყალობით თითქმის ყოველთვის შეინარჩუნეს შეტევის დროს რიცხობრივი უპირატესობა.

და კიდევ ერთი რამ, ჩემის აზრით ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი — ბრაზილიელ ფეხბურთელებს თითქოს არ ეტყობოდათ ყიში, გამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჯვებისაკენ თავგანწირული ლტოლვა, რაც ასე უხვად ჰქონდათ იტალიელებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელ ფეხბურთში ალპათრენა ისეთივე კომპონენტი გახდა ფეხბურთისა, როგორც, ვთქვათ, ტექნიკა ან თამაშის ორგანიზაცია.

დავუშვათ სამი დღის შემდეგ ისევ შეხვდნენ ბრაზილიელები იტალიელებს, ვფიქრობდი ავტობუსში შინისაკენ მიმავალი, — როგორ დამთავრდება მათი მეორე შეხვედრა? რა დასკვნებს გააკეთებდნენ და როგორ წარმართავდნენ ისინი შეტევებს? გამოგიტყდებით და, გულში უპირატესობას ბრაზილიელებს ვაძლევდი. მაგრამ ფეხბურთში ასეთი რამ არ ხდება, მათი „მეორე შეხვედრა“ მხოლოდ ფანტაზიისა და ჩემი საოცარი სურვილის შედეგი იყო, კარგად გავრკვეულიყავი, სჯობდა თუ არა იტალიის ნაკრები ბრაზილიის ნაკრებს.

მალე დავრწმუნდი, ასეთი სურვილი მარტო მე არ დამბადებია. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები და სპეციალისტები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ტელე სანტანას. მქუხარე ტაშითვე გააცილეს ბრაზილიელთა მწვრთნელი პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ. ამით მადლობა გადაუხადეს მათ ლამაზი, შემტევი, მთელი ჩემპიონატის დამამშვენებელი მატჩებისათვის, გადაუხადეს დიდი, ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის, რომელსაც ამდენი სიხარული მოაქვს მილიარდობით ადამიანისათვის. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ იტალია-ბრაზილიის მატჩის შემდეგ თითქოს დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი. უმრავლესობა აღარც კი ელოდა დიდი ინტერესით შემდგომ მატჩებს და ფინალურ ორთაბრძოლას.

ხალხი ხელახლა მოეგო გონს და მსოფლიო ჩემპიონატი კვლავ გაახსენდა საფრანგეთისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების ულამაზესი და საფრანგეთისათვის ტრაგიკული მატჩის შემდეგ.

არ დამავიწყდება მატჩის დასასრული. გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. 28 ათასმა იტალიელმა გამარჯვების ყიჟინა დასცა. ტრიბუნაზე გაქვავებული იდგა 18 ათასი ბრაზილიელი. თვალებში, ჩემს ირგვლივ ვინც იდგნენ, ყველას ცრემლი უბრწყინავდა. ბევრი ხმამაღლა ტიროდა.

პაოლო როსის მესამე გოლმა შეაჩერა მათი ძლევამოსილი წინსვლა. იტალიელთა გამარჯვებამ გაანაწყენა სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით გულშემატკივარი. იმიტომ კი არა, რომ იტალიელები ძლიერ ფეხბურთელებად არ მიაჩნდათ, იმიტომ, რომ შინაგანად ყველას სჯეროდა ბრაზილიელთა გამარჯვებისა და რაღაც საოცარი ნეტარებით ელოდნენ კიდევ ორ მატჩს, განსაკუთრებით კი ფინალს ტყავის ბურთის ჯადოქრების მონაწილეობით.

მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე სოკრატესმა ტაშით მიულოცა იტალიელებს გამარჯვება. სოკრატესთან ერთად ყველა ბრაზილიელმა შეძლო შეეკავებინა თვალზე მომდგარი ცრემლი და ვნებათა ღელვანი, ისინი ღირსეულად, როგორც ჭეშმარიტ ფეხბურთელებს შეშვენის, მიესალმნენ გამარჯვებულ იტალიელებს და ნაღვლიანად დატოვეს მწვანე მოედანი.

ალბათ ადვილი წარმოსადგენია, რა ცეცხლი ტრიალებდა მათ გულში.

ისინი, თუ არ ვცდები, მეორე დღესვე გაემგზავრნენ სამშობლოში. გაემგზავრნენ და თან გაიყოლიეს მილიონობით გულშემატკივრის სინანული, წავიდნენ ღირსეულად და ვაჟკაცურად. წაგებამ ვერაფერი დააკლო მათი თამაშის სილამაზეს, მათ სიძლიერეს.

შედეგმა ვერ აჯობა ხელოვნებას.

შედეგი ხშირად შეიძლება შემთხვევითი იყოს, განპირობებული უიღბლობით, გათამაშების სისტემის უვარგისობით, ცუდი მსაჯობით, მიკერძოებით და სხვა ათასგვარი მიზეზით.

შემთხვევითი ხელოვნება კი არ არსებობს.

ჩემპიონატის დაწყებიდან სულ რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ შეიძლება ზოგიერთი მატჩის ცალკეული ეპიზოდებიც ვეღარ აღვადგინო გონებაში.

ბრაზილიელთა თამაში კი ისე გვახსოვს, როგორც კინოფილმები, კაცობრიობამ რომ შედევრებად აღიარა.

ეტყობა, ასეთ წაგებასაც ჰქონია თავისი სილამაზე.

სინანულით აღავსო მილიონობით ადამიანი, უკვე დიდი გამარჯვებაა.

დიდი გამარჯვება და თან მშვენიერი დასტური იმისა, თუ როგორი ფეხბურთი ჰყვარებიათ გულშემატკივრებს!

## გაუხუნარი პელე

ყოველ ჩემპიონატს თან ახლავს მსოფლიოში ცნობილი ფირმების სარეკლამო ორთაბრძოლები. ამის თაობაზე სხვა, უფრო ადრე დაწერილ ნარკვევებში მაქვს მოთხრობილი და აქ თავს აღარ შეგაწყენთ.

მხოლოდ ერთი საგულისხმო ამბავი მინდა გიამბოთ. ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს ყველაზე დიდი შემოსავალი მაინც ფირმების სარეკლამო ალბომმა შემოუტანა — მთელი თანხის 80 პროცენტი.

საფეხბურთო მოედნის მიღმა, სატელევიზიო კამერების პირდაპირ რეკლამების განლაგების უფლება მოიპოვეს „კოკა-კოლამ“, „ჟილეტმა“, „კანონმა“ (ფოტოაპარატურა), „ელესმა“ (სპორტსაქონელი), „მეტაქსამ“ (ალკოჰოლური სასმელები), „რეინოლდსმა“ (თამბაქო). მაგრამ როგორც მოედნის ირგვლივ ყველაზე თვალსაჩინო ადგილები და ასევე ცაც დირიჟაბლებით ძირითადად დაიპყრო „უესტ-ნელლიმ“, მონაკოში არსებულმა ძალიან მოკრძალებულმა ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმამ, რომელიც 1976 წლის 8 თებერვლიდან აღიარა კანონიერად მონაკოს კომერციულმა სასამართლომ. ფირმას ძალზე ცოტა, მსოფლიო ასპარეზზე გასახვლეილად სახაცილოდ ცოტა თანხა ჰქონია ბრუნუსში, სულ რაღაც ნახევარი მილიონი ფრანკი. ფირმის მფლობელები არიან ინგლისური გაზეთის — „ტაიმსის" ყოფილი კორესპონდენტი პიტერ უესტი და რეკლამის სპეციალისტი პატრიკ ნელლი.

მაშ როგორ შეძლო ამ ფირმამ გამხდარიყო ესპანეთის ჩემპიონატის „ჩემპიონი" ფირმებს შორის?

როგორც შემდგომ გაირკვა, ფირმის უკან იდგნენ „ადიდასი" და „კოკა-კოლა".

ესპანეთის გზებზე და ქალაქებში ბევრ ადგილზე ჰქონდათ აგებული სპეციალური გიგანტური სტენდები (10X5 მმ), სადაც გამოეკრათ უმშვენიერეს პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი პლაკატები, როგორ თამაშობენ ესპანელი ფეხბურთელები ფეხბურთს... რომელიღაც ფირმის კოსტუმებსა და ფეხსაცმელებში გამოწყობილნი!

ასევე როგორ სვამენ ისინი „კოკა-კოლას" ან ლუდს.

ერთი სიტყვით, ამ გიგანტური სარეკლამო პლაკატების გამოფენის უფლება მოიპოვეს ტანსაცმლის, „კოკა-კოლასა" და ლუდის მეწარმეთა ფირმებმა. მაგრამ რაკი ესპანეთში იმ დღეებში ესპანელ ფეხბურთელებზე პოპულარულნი არავინ იყვნენ, პლაკატებზე მხოლოდ ესპანეთის ნაკრების მოთამაშენი იყვნენ გამოსახულნი.

იყო კიდევ ერთი დიდი პლაკატი ესპანეთის ავტოსტრადებზე და ქალაქებში, იმავე ზომის გიგანტური სარეკლამო პლაკატი. მასზე გამოსახული იყო ლეგენდარული პელე ყავის პატარა ფინჯნით ხელში. მხოლოდ ბრაზილიელებმა შესძლეს ესპანური ფირმების ტოლფასოვნად გაეწიათ რეკლამა ბრაზილიური ყავისათვის.

ერთ მშვენიერ დღეს ესპანელები „სანტიაგო პერნაბეუს" დიდებულ სტადიონზე გამოეთიშნენ მსოფლიო პირველობას, ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში ჩავარდნენ ესპანელი გულშემატკივრები. იმ დღეს ადრე დაიკეტა რესტორნები, ბარები. ადრე ჩაქვდა სიცოცხლე ღამის ცხოვრებით სახელგანთქმულ ქუჩებში და კვარტალებში. ესპანეთი გლოვობდა საკუთარ სახლში გამარჯვების ხელიდან გაშვებულ შანსს. ამიტომაც იყო, რომ ფინალური მატჩის ბილეთების ფასმა შავ ბაზარზე მხოლოდ 150 დოლარს მიაღწია, მაშინ როცა, ოთხი წლით ადრე, ბუენოს აირესში ფინალური მატჩის ბილეთი შავ ბაზარზე 1000 დოლარი ღირდა.

მეორე დილა, ჩვეულებრივ, კალელას დიდებულ პლაჟზე გავატარეთ, ნაშუადღევს კი ბარსელონაში გავემგზავრეთ მორიგ ექსკურსიაზე.

შევნიშნე, რომ გზაში აღარსად იყო ესპანელი ფეხბურთელების სარეკლამო პლაკატები, პირველად ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი. ორმოცდათხუთმეტ კილომეტრიან ტრასაზე და თვით ბარსელონაშიც კარგად მახსოვდა ამ სარეკლამო პლაკატების ადგილმდებარეობა.

არ მოვტყუებულვარ. ყველგან ცარიელი სტენდების რკინის ჩონჩხი იდგა. სარეკლამო პლაკატები თურმე შუაღამისას ჩამოეხსნათ. ჩამოეხსნათ. სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ესპანელები ისე იყვნენ გაცოფებულნი თავიანთ ფეხბურთელებზე, გუშინდელი რეკლამა უმალვე იქცა ანტირეკლამად.

მხოლოდ ბრაზილიური ყავის რეკლამები იდგა ხელუხლებლად, საიდანაც იცქირებოდა მომღიმარი პელე, მარად გაუხუნარი პელე ყავის ფინჯნით ხელში...

## ფორცა, იტალია!

1982 წლის 11 ივლისი.

მადრიდი, „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონი.

მსოფლიოს XII საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალი.

ასი ათასი მაყურებლის თანდასწრებით ერთმანეთის წინაშე წარსდგნენ მსოფლიოს ორ-ორ გზის ჩემპიონები: იტალიისა და დასავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელები.

იტალია ასეთი შემადგენლობით გამოვიდა მწვანე მოედანზე: ძოფი, ბერგომი, კაბრინი, კოლოვატი, ჯენტილე, შირეა, ორიალი, ტარდელი, კონტი, გრაციანი (ალტობელი, კაუზიო), როსი.

გერმანელები: შუმახერი, კალცი, შტილიკე, ბრიგელი, ბრაიტნერი, კ. ფორსტერი, ბ. ფორსტერი, დრემლერი (ჰრუბეში), ლიტბარსკი, ფიშერი, რუმენიგე (მიულერი).

ესპანეთის პრესამ ფინალის წინ საგანგებოდ გამოაქვეყნა ადრინდელი, ფინალური თამაშების წინ გამოთქმული პროგნოზები. აღმოჩნდა, რომ ნახევარფინალისტთა შორის არ დაუსახელებიათ არც იტალიელები, არც ფრანგები და პოლონელები. მხოლოდ გფრ-ის ფეხბურთელებს მიიჩნევდნენ ოქროს მედლების მოპოვების შესაძლო პრეტენდენტებად.

საერთოდ, მომავალი ჩემპიონატის პროგნოზებს წინა ჩემპიონატის შედეგები განსაზღვრავს ხოლმე, ამიტომაც იხსენიებდნენ ფავორიტებს შორის არგენტინას, ბრაზილიას, გფრ-ს, იტალიას. მაგრამ იტალია თავიდანვე ჩამოწერეს... მოდით და ნუ ჩამოწერდით: „სკუადრა ძზურა" საოცრად უფერულად გამოვიდა ქვეჯგუფში. გავიხსენოთ ანგარიშები: იტალია-პოლონეთი 0:0; იტალია-პერუ 1:1; იტალია-კამერუნი 1:1(!).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიელებმა ქვეჯგუფში მეორე ადგილი მხოლოდ გატანილი ბურთების წყალობით დაიკავეს (2:2) და გადაასწრეს კამერუნელებს, რომელთა ბურთების შეფარდება იყო 1:1.

გავიხსენოთ იტალიელთა გამოსვლა წინა, არგენტინის ჩემპიონატზე. იტალიელებმა თავიდანვე მოხიბლეს მაყურებელიც და სპეციალისტებიც ტექნიკური, სწრაფი, შემტევი და ლამაზი ფეხბურთით. მათ ერთბაშად გადაავიწყეს ხალხს აღიარებული ფავორიტები: მასპინძლები, არგენტინელები, ბრაზილიელები, გერმანელები და ჰოლანდიელები. იტალიელები გახდნენ ჩემპიონატის № 1 პრეტენდენტები.

მაგრამ შუა ჩემპიონატში, განსაკუთრებით ჰოლანდიელებთან ჩატარებული მატჩის მეორე ტაიმში (პირველი ტაიმი ისე ბრწყინვალედ ითამაშეს, შესვენების დროს ბობი ჩარლტონმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, იტალიელები მარტო ამ მატჩს კი არა, ჩემპიონატს მოიგებენო) უკვე იგრძნობოდა, რომ გუნდი გადაიღალა, ვერ გაუძლო ჩემპიონატის დაძაბულ რიტმს. პირველი ხამი დიდებულად მოგებული თამაშის შემდეგ ვერ მოუგეს გერმანელებს (0:0), წააგეს ჰოლანდიელებთან (1:2) და ბოლოს ბრაზილიელებთან პირველი ტაიმის მოგების შემდეგ (1:0) ფარ-ხმალი დაყარეს მეორე ტაიმში — 1:2.

ესპანეთში ყველაფერი პირიქით მოხდა. ქვეჯგუფში ულიმღამოდ ჩატარებული სამი მატჩის შემდეგ დაიწყო გამარჯვებათა ბრწყინვალე სერია: იტალია-არგენტინა 2:1, იტალია-ბრაზილია — 3:2, იტალია-პოლონეთი 2:0 და ბოლოს ფინალი.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც სპეციალისტებს და გულშემატკივრებს არ მიაჩნდათ იტალია ჩემპიონატის ფავორიტად. ორი წლის უკან იტალიელებმა ევროპის თასის გათამაშების დროს საკუთარ სახლში არამცთუ ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს, მხოლოდ მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ამიტომაც იყო, რომ არგენტინელთა და გერმანელთა შემდეგ იტალიელებს იხსენიებდნენ ინგლისთან, საფრანგეთთან, საბჭოთა კავშირთან და შოტლანდიასთან ერთად.

სანამ ახალი ჩემპიონების ღირსებებზე ვილაპარაკებდეთ, ჯერ გავიხსენოთ ფინალური მატჩის საკვანძო ეპიზოდები.

თამაშის დაწყებამდე იტალიელთა მწვრთნელმა ენცო ბეარზოტიმ იცოდა, რომ ანტონიონი ვერ ითამაშებდა. ეს დიდი დანაკლისი იყო ცისფერი გუნდისათვის. ბუნებრივია, ბეარზოტიმ მატჩის წინ არ იცოდა, რომ პირველსავე წუთებში გრაციანი დაიმტვრეოდა.

ენცო ბეარზოტიმ ისიც იცოდა, რომ დერვალი არ აპირებდა ტრავმირებული რუმენიგეს გამოყვანას. მაგრამ იტალიელთა მთავარსარდალი არ ენდობოდა დერვალის განცხადებას და გერმანელებთან ბრძოლის ორ სტრატეგიულ მოდელს აგებდა, ერთს იმ შემთხვევისათვის, თუ მოედანზე რუმენიგე გამოვიდოდა, მეორეს კი — თუ მოწინააღმდეგე რუმენიგეს სათადარიგოთა სკამზე დასვამდა. ბეარზოტიმ განაცხადა, მტკიცედ მჯეროდა, რომ რუმენიგე მოედანზე პირველი წუთებიდანვე გამოვიდოდაო.

გამართლდა ენცო ბეარზოტის ვარაუდი. თავის მხრივ, დერვალმა მას შემდეგ გადაწყვიტა მოედანზე ტრავმირებული რუმენიგეს გამოყვანა, როცა გაიგო, ანტონიონი ვერ ითამაშებსო.

იყო ერთი მოულოდნელობაც, ყველას ეგონა, რუმენიგეს ჯენტილე დაიჭერდა. სინამდვილეში ჯენტილე ლიტბარსკის მიუჩინეს, ხოლო რუმენიგეს ბერგომი დასდევდა აჩრდილივით.

კიდევ ერთი სიურპრიზი; ათლეტურ და ძალისმიერ ბრიგელს მომცრო ტანის დრიბლიორი კონტი მიუჩინეს. ამიტომაც იყო, პირველ ტაიმში კონტი ძირითადად დაცვაში ტრიალებდა. მიუხედავად ამისა, ბრიგელი პირველ ტაიმშივე გახდა იძულებული, აკრძალული ხერხით წაექცია საჯარიმო მოედანზე შეჭრილი კონტი. (შეგახსენებთ: პენალტი ვერ გამოიყენა იტალიელმა კაბრინიმ). ბრიგელი ცდილობდა, გრძელი გარღვევებით დაეღალა კონტა. მოხდა პირიქით, მეორე ტაიმში უკვე გერმანელი მცველების წინაშე დადგა კონტის იერიშების მოგერიების პრობლემა.

ერთი სიტყვით, იტალიელთა მიერ ჩატარებულ წინა მატჩებთან შედარებით, თამაში გარკვეული სტრატეგიული სიახლეებით დაიწყო.

პირველი ტაიმი თითქმის არ გვიქადდა ლამაზ და ემოციურ ფეხბურთს. ფეხბურთელები, განსაკუთრებით გერმანელები, არც უხეშობას თაკილობდნენ. მსაჯს მატჩის მანძილზე ხუთჯერ დასჭირდა ყვითელი ბარათის ამოღება (კონტი, ორიალი, დრემლერი, შტილიკე, ლიტბარსკი).

ასპარეზობის დასაწყისშივე დაიმტვრა გრაციანი. მის ნაცვლად მოედანზე გამოვიდა ალტობელი. იგი პირველი წუთებიდანვე „ჩაჯდა“ კოლექტივში და უბრწყინვალესი გოლიც (რიგით მესამე) გაიტანა გერმანელთა კარში.

როცა ოცდამეოთხე წუთზე ბრიგელმა მოცელა საჯარიმო მოედანზე შეჭრილი კონტი (მან გადაცემა ალტობელისაგან მიიღო) მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

იტალიელი ტიფოზები წინასწარ ზეიმობდნენ გატანილ გოლს, მაგრამ კაბრინიმ ყველას ცივი წყალი გადაასხა.

როცა ბურთი კარს ასცდა, არც ერთ იტალიელ ფეხბურთელს უბრალო ჟესტითაც კი არ გამოუხატავს უკმაყოფილება. თამაში ისე გააგრძელეს, ვითომ არაფერი მომხდარიყოს.

ზოგიერთმა ღიმილით გაამხნევა კიდეც გულდაწყვეტილი მეგობარი.

არადა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საყაიმო ანგარიშის დროს პენალტის გაფუჭება თითქმის წაგებას უდრიდა.

პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა.

მეორე ნახევარში იტალიელებმა თავიდანვე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეუტიეს და თანდათანობით გამოიკვეთა კიდეც მათი ტექნიკური უპირატესობა.

მეექვსე წუთზე ჯენტილეს გადაცემის შემდეგ როსის თავით გააქვს ბურთი.

ოცდამესამე წუთზე უკვე შირეას გადაცემის შემდეგ ტარდელიმ მეორედ გაახვია ბურთი გერმანელთა კარის ბადეში, ოცდამეთექვსმეტე წუთზე ალტობელიმ მოატყუა რამდენიმე მცველი, მეკარე შუმახერი და ულამაზესი გოლი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

მხოლოდ ოცდამეთვრამეტე წუთზე შეძლო ბრაიტნერმა ერთადერთი ბურთის გაქვითვა. ეს იყო და ეს.

იტალიამ მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

არის თუ არა იტალია ღირსეული მსოფლიო ჩემპიონი? იქნებ სხვა რომელიმე გუნდი, თუნდაც ბრაზილია, უფრო იმსახურებდა კალიერესის გვირგვინს?

იტალიელი ფეხბურთელები ინდივიდუალურად ასე ძლიერები არიან დანარჩენი ფავორიტების წარმომადგენლებზე?

აი, რა კითხვები წამოიჭრა ჩემპიონატის დამთავრებისთანავე.

ვფიქრობ, ამ შეკითხვების დაბადებას გააჩნია თავისი ობიექტური მიზეზები.

მე ჩემს აზრს მოგახსენებთ, იტალია ნამდვილად ღირსეული ჩემპიონია. თუმცა, გამოგიტყდებით, ჩემი სიმპათიები მაინც ბრაზილიის ნაკრების მხარესაა.

იტალიელებმა შეძლეს დაემარცხებინათ მსოფლიოს სამი უძლიერესი გუნდი, მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინის ნაკრები, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და 1980 წლის ევროპის ჩემპიონი გფრ-ის ნაკრები.

შემთხვევით, იღბლით თუ ძალების მაქსიმალური დაძაბვით შეიძლება მოიგო ერთი თამაში, მაგრამ გამარჯვებათა ასეთ სერიას მიკერძოებული კაციც კი ვერ მიაწერს იღბალს და შემთხვევითობას.

იყვნენ თუ არა იტალიელი ფეხბურთელები უფრო ძლიერნი, ვთქვათ, ვიდრე მარადონა, ზიკო, ფალკაო, პლატინი და სხვანი და სხვანი?

პაოლო როსი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ზომბარდიერის პრიზიც მას მიენიჭა, ბოლო სამ თამაშში იტალიელმა თავდამსხმელმა ექვსი — ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა.

ერთი იაპონელი ბიზნესმენის საუბარი მაგონდება დასავლეთ გერმანელ ჟურნალისტთან. ეს საუბარი, რომელიც შემდეგ გაზეთში გამოქვეყნდა, არგენტინაში შედგა, წინა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ.

იაპონელმა თქვა, 15 მილიონ მარკად (დასავლეთგერმანული მარკებით) არგენტინის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებისაგან კარგ ნაკრებს შევადგენდიო. და მან ჩამოთვალა, ვის შეიყვანდა მსოფლიო ნაკრებში, თანაც ყოველი მათგანის ღირებულებაც იქვე დაასახელა. ყველაზე იაფად არგენტინელი მეკარე ფილოლი შეაფასა — 500 000 მარკად (სხვათა შორის, მან იტალიელი ჯენტილეც შეიყვანა ნაკრებში — 1.800 000 მარკა). ყველაზე ძვირად კი — კემპესი — 2.500.000 მარკად.

თან დასძინა: ცენტრალურ თავდამსხმელად იტალიელ პაოლო როსის ავიყვანდი, მაგრამ მისი ფასი სხვებთან შედარებით განუზომლად დიდია — 12 მილიონი მარკა — და ჩემს 15 მილიონში ვეღარ ჩავეტევიო. ეს იყო ოთხი წლის წინ, არგენტინაში.

დღეს, კი, იტალიელი როსი ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. იგი მართლაც დიდებული ფეხბურთელია, მებრძოლი, მოქნილი, ტექნიკური, მამაცი, ალღოიანი...

მაგრამ მე მაინც ვფიქრობ (მკითხველმა მომიტევოს ჩემი საკუთარი აზრი, რომელსაც არავის არ ვახვევ თავზე), იგი წინ ვერ გადაასწრებს მარადონასა და ზიკოს.

პაოლო როსის საყოველთაო აღიარებაში, რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშა იტალიის ნაკრების გამარჯვებამაც და ყველაზე მეტმა გატანილმა გოლმაც.

და, საერთოდ, (შეიძლება ასეც დავაყენოთ საკითხი) იტალიის ნაკრების ვარსკვლავები უფრო კაშკაშებენ, ვიდრე ვთქვათ: პლატინი, რუმენიგე, ტრეზორი, შტილიკე, ბრაიტნერი, როშტო, ამორო, ბონიეკი, არდილესი, პასარელა, სტრათანი, ფალკაო, სოკრატესი, ედერი, ჟუნიორი, სერეზო?

ვფიქრობ, ყველა აქ ჩამოთვლილი ფეხბურთელი იტალიელ ფეხბურთელებს ტოლს არაფერში დაუდებენ.

მაგრამ, ეტყობა, გამარჯვებას სხვა ფაქტორებიც სჭირდება.

გავიხსენოთ ენცო ბეარზოტის სიტყვები. „რა თავში ვიხლი 22 სუპერვარსკვლავს, თუ ისინი ერთი მიზნის მისაღწევად არ იქნებიან გაერთიანებულნი?"

როდესაც მოედანზე თანაბარი ძალის გუნდები თამაშობენ, ბევრი რამ არის დამოკიდებული ფეხბურთელთა აღმაფრენაზე, ერთსულოვნებაზე, ნერვებზე, რწმენაზე... ბევრი რამ იყო აგრეთვე დამოკიდებული, ბეარზოტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ენერგიის განაწილების კანონზე...

იტალიამ ტექნიკური, მოქნილი, მძლავრი და სწრაფი ფეხბურთი ითამაშა, სხვანაირად იგი ვერც იოცნებებდა ჩემპიონობაზე, ვერ დადგებოდა სხვა ძლიერი გუნდების გვერდით.

და თუ „სკუადრა აძურამ" საბოლოო გამარ-

---

გურამ ფანჯიკიძე
ფორცა, იტალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვებას მიაღწია, და თანაც როგორი გამარჯვება — უშედავათო ბრძოლებში წამოაჩოქა მრისხანე მეტოქეები! — მიაღწია იმიტომ, რომ გუნდმა და მისმა სტრატეგმა, ენცო ბეარზოტმ ყველაზე კარგად გადაჭრეს ენერგიის განაწილების კანონი, თამაშის ბოლო წუთებამდე შეინარჩუნეს მოგების დაუოკებელი ჟინი და აღმაფრენა, ყველაზე უკეთ დაიმორჩილეს ნერვები, შეინარჩუნეს ურთიერთშორის კეთილი, მეგობრული განწყობილება და ყველაზე საბედისწერო ეპიზოდების დროსაც კი არ დაკარგეს გამარჯვების რწმენა.

აი, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა განაპირობა, რომ დაცვითი ფეხბურთით ცნობილ იტალიელებს ეთამაშათ სწრაფი, შემტევი ფეხბურთი, მოეხიბლათ მაყურებელი ელვისებური გადაცემებით, კარში ბრწყინვალე დარტყმებით, ტექნიკური ილეთების უსწრაფესი შესრულებით.

იტალიელებმა შეასრულეს ზემოამოცანა სხვებისაგან განსხვავებით (იგულისხმებიან ჩემპიონატში მონაწილე უძლიერესი გუნდები) საკუთარი შესაძლებლობებიდან ამოქაჩეს მაქსიმუმი.

წარმოვიდგინოთ თანაბარი სიმძიმეებით გაწონასწორებული სასწორის პინები. ერთი მეასედი მილიგრამიც კი საკმარისია დაემატოს რომელიმე პინას, რომ იმავე წამში დაირღვეს წონასწორობა.

როცა მოედანზე ორი თანაბარი გუნდი იბრძვის და მათ შესაძლებლობებს შორის ბალანსი მყარდება, მრავალ საფეხბურთო კომპონენტთაგან ერთ მათგანში უპირატესობის მიღწევაც კმარა ამ ბალანსის დასარღვევად.

არის კიდევ ორი დიდი ფაქტორი, ურომლისოდაც, ეტყობა, არ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინზე იოცნებო, ესაა რწმენა და რისკი.

რასაკვირველია, ლაპარაკია რეალურ საფუძველზე დაყრდნობილ რწმენასა და რისკზე.

ამიტომაცაა უსაზღვროდ ბევრი რამ დამოკიდებული მწვრთნელზე, მის ალღოზე, შემართებაზე, რწმენასა და რისკზე.

გავიხსენოთ იგივე იტალიის მაგალითი ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე. „სკუადრა აძურას" სათავეში ედგა ცნობილი სპეციალისტი ფაბრი. გუნდის შემადგენლობაში კი იყვნენ მაშინდელი ფეხბურთის ვარსკვლავები: ფაკეტი და რივერა, მაცოლა და ბულგარელი, ბურგნიჩი და პასკუტი...

სამი თამაშიდან იტალიელებმა წააგეს ორი, მათ შორის ერთი კორეის ნაკრებთან!

რა მოხდა, რა დაემართათ იტალიელებს? — გაოცებას ვერ მალავდა სპორტული პრესა.

შემდგომ გამოირკვა, რომ მატჩების წინ იტალიელთა მწვრთნელი შიშმა შეიპყრო, დაიბნა, აღარ იცოდა, მოედანზე ვინ გამოეყვანა. თურმე უკანასკნელ წუთებამდე ვერ ახერხებდა შემადგენლობას. ფაბრის მ[illegible] ფეხბურთელებსაც გადაედოთ და შედეგმაც არ დააყოვნა... მსოფლიო ჩემპიონობის აღიარებული ფავორიტი ქვეჯგუფიდანაც ვერ გავიდა.

ესპანეთში მოპოვებულ გამარჯვებაში კი უსაზღვროდ დიდია იტალიელთა მწვრთნელის ენცო ბეარზოტის დამსახურება. იგი 1977 წლიდანაა „სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელი. მანამდეც დიდხანს მუშაობდა გუნდში ფ. ბერნარდინის თანაშემწედ.

ალბათ, არც ერთ მწვრთნელს არ დასტეხია თავზე იმდენი კრიტიკა, რამდენიც ენცო ბეარზოტის. ბევრი მის ადგილზე გადაყენებასაც მოითხოვდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, საკუთარ სახლში რომ ევროპის ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს. ჩემპიონობას ვინ დაეძებდა, მხოლოდ მეოთხე ადგილი ერგოთ წილად.

მტრებიც და მოყვრებიც ურჩევდნენ იტალიელთა მწვრთნელს, პაოლო როსის ნუ წაიყვან, ეგ უკვე ჩამოწერილი ფეხბურთელია, აღარ გამოგადგებაო. ენცო ბეარზოტი ყურს შორს იყურებოდა. იგი, რასაკვირველია, ხედავდა, რომ პაოლო როსი აშკარად ვერ თამაშობდა. სპორტულ მაქინაციებში მონაწილეობისათვის მას ხომ ორი წლით ჰქონდა აკრძალული მწვანე მოედანზე, გამოსვლა. ამ ორმა წელმა ბუნებრივია, თავისი დაღი დაამჩნია იტალიელი ფორვარდის თამაშს. როსი ხუსტად გამოვიდა ქვეჯგუფში, ხოლო იტალიელები რა ვაი-ვაგლახით გავიდნენ ფინალში, ამაზე უკვე ვთქვით ზემოთ.

კვლავ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ბეარზოტი, კვლავ მოითხოვეს პაოლო როსი აღარ გამოეყვანა მოედანზე. ბეარზოტს წარბიც არ შეუხრია, ერთი წუთითაც არ შეუყოყმანებულა. იგი კვლავ ერთგული რჩებოდა თავისი ერთი თვის წინანდელი წინასწარმეტყველებისა. ქვეჯგუფიდან აუცილებლად გავალთ, ხოლო შემდგომი ეტაპისათვის პაოლო როსი უკვე თავის საუკეთესო თამაშს გვიჩვენებსო.

საოცარი სიზუსტით ახდა ენცო ბეარზოტის წინასწარმეტყველება. როსი გახდა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და პირველი გოლეადორი!

მაგრამ, განა იოლი იყო ასეთ რისკზე წასვლა? ვთქვათ არ გაემართლებინა როსის, ვთქვათ, იტალიას ვერ მოეპოვებინა ჩემპიონობა ანდა რომელიმე საპრიზო ადგილი.

რა მოხდებოდა მაშინ?

გაბედავდა ენცო ბეარზოტი იტალიაში დაბრუნებას?

ჩემის აზრით, იტალიელი მწვრთნელის ინტუიცია დიდ პროფესიონალიზმად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მისი რწმენა, რისკი და წარბშეუხრელობა — გმირობად!

წელან, ჩვენ ენერგიის განაწილების კანონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახსენეთ. ენცო ბეარზოტიმ შესანიშნავად გაითვალისწინა არგენტინის ჩემპიონატის მწარე გაკვეთილები და შეძლო გუნდს ძალა შეენარჩუნებინა გადამწყვეტი მატჩებისათვის.

ერთი სიტყვით, ნა წლის ენცო ბეარზოტიმ გადალახა ყველა ფსიქოლოგიური ბარიერი, გაუძლო ყველაზე მძლავრ კრიტიკას, რომლის მსგავსი ჩემპიონატის დაწყებამდე და ჩემპიონატის დროს თავზე არ დასტეხია არც ერთ მწვრთნელს. შექმნა მონოლითური, მეგობრული კოლექტივი და გუნდი აიყვანა დიდების ოლიმპზე.

იტალიამ მესამედ მოიგო მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი (პირველად 1934 წელს, მეორედ — 1938 წელს). 1982 წლის ჩემპიონატის ოქროს თასი იტალიელებს საზეიმოდ გადასცა ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა.

ოქროს მედლების გადაცემის ცერემონიალი კი დაევალა ფიფას პრეზიდენტს ჟოაო აველანჟს.

შორიდან მოწყენილი ჩანდა ფიფას პრეზიდენტი, სევდანარევი ღიმილით ულოცავდა იტალიელებს გამარჯვებას.

არ იქნა და არ გატყდა ნავსი, კიდევ ერთხელ ჩაეფუშა ოცნება, თავისი თანამემამულეებისათვის მიელოცა დიდი გამარჯვება.

## ინტერვიუ ჩემპიონატის შემდეგ

ზურაბ ფანჯიკიძე — კანონზომიერი იყო თუ არა საბჭოთა ფეხბურთელების ულიმღამო თამაში ესპანეთში?

ალექსანდრე ჩივაძე — სამწუხაროდ, საკვსებით კანონზომიერი მოვლენა გახლდათ.

ზ. ფ. — მიზეზებს ხომ ვერ მოგვახსენებთ?

ა. ჩ. — წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მე მაინც მგონია მომზადების დროს დაშვებული შეცდომები იყო. არ იყო საჭირო არგენტინაში გამგზავრება. არც ორჯერ ჩასვლა ესპანეთში ორ-ორი კვირით. ფეხბურთელები საკუთარ კლუბებში გაცილებით უკეთ ემზადებიან. შარშან ჩვენი ნაკრები ცალკე არ მომზადებულა და გაცილებით უკეთ ვთამაშობდით.

ყველა იტალიელი ფეხბურთელი თავის კლუბში მოემზადა, ვფიქრობ, ბევრის მეტყველი ფაქტია.

არც მწვრთნელთა ტრიუმვირატი იყო საჭირო, თურქეთის ნაკრებთან თამაშის შემდეგ რომ შეიქმნა. არ ვიცი, რა მოსაზრებით გააკეთეს ეს, ფაქტი ერთია, გუნდზე სამმა მწვრთნელმა მხოლოდ უარყოფითად იმოქმედა. ისიც უნდა ვთქვა, ნოდარ ახალკაცი მაინცდამაინც არ ერეოდა საქმეებში.

ზ. ფ. — ვთქვათ, თქვენს მიერ ჩამოთვლილი შეცდომები არ ყოფილიყო. მიაღწევდით უკეთეს შედეგს?

ა. ჩ. — არა მგონია. უცხოეთში ახლა ნამდვილი პროფესიონალები არიან ამ სიტყვის პროფესიული გაგებით. მათ ჩვენსავით არ სჭირდებათ კრებები, ჩიჩინი, ყოველ წუთს ჭკუის დარიგება... ისინი ბიზნესმენებიც არიან, ამიტომ კარგად იციან როდის ჭამონ, როდის დაიძინონ, რამდენი ივარჯიშონ. ეგრეთწოდებული ალმზრდელობითი მუშაობა მათთან საჭირო არ არის. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ბიზნესმენები გახდნენ, მაგრამ თუ გვინდა მივაღწიოთ მათ დონეს, გარკვეული პროფესიონალიზმი ჩვენშიც უნდა დაინერგოს. მათ მსგავსად საბჭოთა კავშირშიც უნდა შეიქმნას კლუბები.

ზ. ფ. — კიდევ რა უშლის ხელს ჩვენი ფეხბურთის განვითარებას?

ა. ჩ. — ყველაფერი ის, რაც თქვენ გამოაქვეყნეთ გაზეთ „კომუნისტში". მხოლოდ დავუმატებ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის სატურნირო კალენდარი. ხშირად ყოველი სამი დღის შემდეგ ვთამაშობთ, ხშირად ათდღიანი შესვენებებიცა გვაქვს.

იტალიელი, ინგლისელი თუ გერმანელი ფეხბურთელები, აღარაფერს ვამბობ პატარა ქვეყნის ფეხბურთელებზე, მატჩის დამთავრებისთანავე შინ ბრუნდებიან ავტობუსებით. ჩვენ კი ორი ათას კილომეტრიანი ტრასებით უნდა ვიფრინოთ ქალაქიდან ქალაქში. სასტუმროები, აეროპორტში ლოდინი; დროში განსხვავება და კუჭის ცუდი მუშაობა, კიდევ ბევრი სხვა მიზეზი გვთრგუნავს, ხალისს გვიკარგავს, დგება მომენტი, როცა მოედანზე გასვლაც კი გზარავს, ისე გენატრება შინ დაბრუნება, ოჯახური ატმოსფერო, სითბო...

ზ. ფ. — თქვენი აზრით, როგორი უნდა ყოფილიყო პირველი ოთხეული?

ა. ჩ. — იტალია, საფრანგეთი, ბრაზილია, გფრ.

ზ. ფ. — საფრანგეთსაც უფრო მაღლა აყენებთ, ვიდრე ბრაზილიას?

ა. ჩ. — ბრაზილიელები დაღუპა თვითდაჯერებამ. ისინი მხოლოდ უტევდნენ, ძალიან ცოტას ფიქრობდნენ დაცვაზე. ჩემის აზრით, უნაკლოდ ითამაშეს სოკრატესმა, ფალკაომ, სერეზომ და ზიკომ. აგრეთვე ედერმა. ჟუნიორი ეფექტურია თავდასხმაში, დაცვაში კი ვერაა ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

ზ. ფ. — იტალიაზე რას იტყვით?

ა. ჩ. — ღირსეული ჩემპიონია. საერთოდ,

---

ზურაბ ფანჯიკიძე
ფორცა, იტალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იტალიას ძლიერი კლუბები ჰყავს და მათი ტურნირი ძალზე მაღალ დონეზე მიმდინარეობს. იტალიელებმა კარგად ითამაშეს კონტრშეტევაზე, ჰქონდათ კარგი ორგანიზაცია და შესაბამისი ტექნიკა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს კონტიმ, ტარდელიმ, ანტონიონიმ, კაბრინიმ, კოლოვატიმ და შირეამ.**

გ. ფ. — პაოლო როსიზე რას გვეტყვით?

**ა. ჩ. — ეპილოგის მოთამაშეა. ძალზე ძლიერი აქვს დიდი ინტუიცია და, რაც მთავარია, იცის გოლის გატანა.**

გ. ფ. — პირადად ჩემზე ზიკომ უფრო დიდი შთაბეჭდილება დატოვა. მან ოთხი გოლი გაიტანა, მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, ორი თამაშით ნაკლები ითამაშა როსიზე. ბრაზილია რომ ფინალამდე მისულიყო, ვინ იცის, ზიკო კიდევ რამდენ გოლს გაიტანდა. თან იგი მრავალმხრივი ფეხბურთელია, შესანიშნავი დრიბლიორი და კონსტრუქტორი. გავიხსენოთ, რამდენი გოლი გავიდა მისი ბრწყინვალე და მახვილგონივრული გადაცემის შემდეგ.

**ა. ჩ. — მეც ალბათ ზიკოს ვამჯობინებდი, ერთს კი დავძენ, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე არც ერთ ფეხბურთელს არ შეუსრულებია ისეთი დიდი სამუშაო, როგორიც კემპესმა შეასრულა არგენტინის ჩემპიონატზე. თანაც რა დიდებული ტექნიკით...**

გ. ფ. — რაკი სიტყვა კემპესზე ჩამოვარდა, რას იტყვით არგენტინის ნაკრებზე?

**ა. ჩ. — ზუსტად იმასვე, რასაც თქვენ ამბობთ. გამეორება არ ღირს.**

გ. ფ. — უმთავრეს ტენდენციას როგორ განსაზღვრავდით ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატისას?

**ა. ჩ. — გაიმარჯვა შემოქმედებითმა ფეხბურთმა. უფრო გამიზნული გახდა გადაცემები. არ იყო ისეთი მტვრევა და ჭუჭყიანი თამაში, როგორც სხვა ჩემპიონატებზე. გამონაკლისი მარტო იტალიელი ჯენტილე გახლდათ, რომელიც გმირად სწორედ უხეში თამაშისათვის აღიარეს.**

გ. ფ. — აღიარეს იტალიელებმა. ტრიბუნებზე ჯენტილეს ყასაბი შეარქვეს.

**ა. ჩ. — ყასბობასაც, ეტყობა, ოსტატობა სჭირდება. მან „კარგად გაართვა“ თავი საქმეს.**

გ. ფ. — ვალენტინ ივანოვი „სოვეტსკი სპორტში“ წერდა: „ამჟამად ჩვენთან უნივერსალურ ფეხბურთელებზე იღებენ ორიენტირს. ერთ კრამოლურ აზრს მოგახსენებთ, აუცილებელია კი ·ეს? არა სჯობია, ორი საშუალო უნივერსალის მაგივრად გყავდეს ერთი ნამდვილი მცველი, რომელსაც შეეძლება კარგად ითამაშოს თავის საჯარიმო მოედანზე და ერთი ნამდვილი თავდამსხმელი, რომელსაც შეეძლება მწვავე იერიში მიიტანოს მოწინააღმდეგის კარზე?“

ვფიქრობ. ვ. ივანოვი რაღაცაში მართალია. უნივერსალიზმის დროშის ქვეშ ხომ არ დაიირაზმნენ ფსევდოუნივერსალები?

**ა. ჩ. — თუკი ლაპარაკია ფსევდოუნივერსალიზმზე, რასაკვირველია, ვ. ივანოვი მართალია, მაგრამ თუკი ნამდვილი უნივერსალები გვეყოლება, მაშინ, როგორ გგონიათ, არ შეიცვლება სურათი?**

გ. ფ. — დიდი თავდამსხმელები, ნახევარმცველები ან მცველები თითზე ჩამოსათვლელები არიან. მით უფრო იშვიათი იქნება ისეთი ფეხბურთელი, ნამდვილ უნივერსალად რომ მოგვევლინება, იგი, ვთქვათ, ერთდროულად უნდა იყოს დიდი თავდამსხმელიც და დიდი ნახევარმცველიც. ამიტომაც მეჩვენება, რომ ნამდვილი უნივერსალი ძალზე იშვიათი მოვლენაა. ყოველ შემთხვევაში, მე ბობი ჩარლტონისა და თითო-ოროლას გარდა არავინ მაგონდება. სამაგიეროდ, ბევრნი არიან ნახევრად უნივერსალები, ან, რაც იგივეა, ფსევდოუნივერსალები. ჩემის აზრით, ამ ნახევრადუნივერსალებს სჯობია გამოკვეთილი მცველები, ნახევარმცველები და თავდამსხმელები. ყოველ შემთხვევაში, საფეხბურთო სტრატეგიის უნივერსალურ ფეხბურთელებზე აგება არ გამოგვადგება სრულიად იოლად გასაგები მიზეზების გამო. უბრალოდ, ნამდვილ უნივერსალებს ვერ მოვნახავთ, ან თუ თითო-ოროლას ვიპოვით, ამით ამინდი არ შეიცვლება.

**ა. ჩ. — მართალი ბრძანდებით. ფეხბურთელი ძირითადად თავის ადგილზე უნდა იყოს ძლიერი. თუმცა, ვფიქრობ, მისი ღირსებები კიდევ უფრო გაიზრდება, თუ შირეასავით, ტარდელივით ან კაბრინივით ეფექტურად ჩაერთვებიან თავდასხმაში.**

გ. ფ. — ან თუნდაც ისე, როგორც თქვენ უტევთ ხოლმე მოწინააღმდეგის კარს. მაგრამ მე ვფიქრობ, ეს მაინც უნდა იყოს სიტუაციით ნაკარნახევი ეპიზოდები და არა მთავარი სტრატეგიული ხაზი.

**ა. ჩ. — რასაკვირველია, ფეხბურთელთა უნივერსალიზმი, ამ სიტყვის სრული გაგებით, ალბათ მხოლოდ თეორიული ცნებაა.**

გ. ფ. — ფეხბურთში დატვირთვები ძალიან გაიზარდა. სრულიადაც არ მეჩვენება გადაჭარბებულად თუ ვიტყვი, რომ არაადამიანურ საზღვრებს მიაღწია. გაიზარდა ვარჯიშის დრო და, რაც მთავარია, ინტენსიობა. დღევანდელი ერთი საათის დატვირთვა ათი წლის წინანდელი სამი საათის დატვირთვის ტოლფასია. მართალია, შესაბამისად წინ წავიდა სპორტული მედიცინა, გაუმჯობესდა პირობები, შეიქმნა სარეაბილიტაციო ცენტრები, მაგრამ ასეთმა დიდმა გადატვირთვამ თავისი უარყოფითი შედეგებიც გამოიღო. მარტო ტრავმებს და ნერვიულ გადაღლას არ ვგულისხმობ. ფეხბურთელებს ძალზე გადაეტვირთათ გულები, გაუდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დდათ ღვიძლები. თითქმის ყველას ღვიძლი დაბლა აქვს დაწეული.

როცა ესპანეთში ავთანდილ ჭკუასელს ამის თაობაზე საუბარი ჩამოვუგდე, მან მითხრა, მქონია შემთხვევა, როცა სათამაშოდ პირდაპირ რესტორნიდან წავსულვართო.

რასაკვირველია, ასეთი გადაჭარბება იმის ხაზგასასმელად დასჭირდა, თვალნათლივ დამენახა, ამ ოცდაათი წლის მანძილზე როგორ გაიზარდა საწვრთნელი დატვირთვები, როგორ გამკაცრდა რეჟიმი.

ავთანდილ ჭკუასელი მაინც ფიქრობს, რომ ჯერ ზღვრისათვის არ მიგვიღწევია, და რომ 10-15 წლის მანძილზე კვლავ გაიზრდება ფეხბურთელების დატვირთვა, იზიარებთ თუ არა ჩვენი ვეტერანის მოსაზრებებს?

**ა. ჩ. — ვიზიარებ. ფეხბურთში დატვირთვები კვლავ გაიზრდება. რასაკვირველია, მედიცინა და უფრო სრულყოფილი სარეაბილიტაციო ცენტრები მომავალში ფეხბურთელებს უკეთ შეუწყობენ ხელს აღიდგინონ ენერგია. მატჩების დროს კი ფეხბურთელებმა სრულყოფილი ტექნიკის ხარჯზე უნდა შეძლონ ენერგიის განაწილება და დაზოგვა.**

გ. ფ. — რაკი ტექნიკა ახსენეთ, ვფიქრობ, დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ მომავალიც ტექნიკური ფეხბურთისაა. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

**ა. ჩ. — მართალი ბრძანდებით. რაც დრო გავა, ტექნიკური ფეხბურთის უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იქნება, სრულიად ვიზიარებ თქვენს აზრს; არ დავივიწყოთ, აფრიკამ სერიოზულად დაიწყო ფეხბურთის თამაში!**

## მცირეოდენი დასკვნები

**ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილებად იქცა. ჩემპიონატის ირგვლივ საუბარი და ცხარე, პროფესიული თუ არაპროფესიული ლაპარაკი ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა პრესაში, ტელევიზიაში, სპეციალისტებს თუ ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის.**

**მწვრთნელები და ფეხბურთელები ისევ ატრიალებენ ჩემპიონატის მატჩების ვიდეოჩანაწერებს, ისევ „იმეორებენ“ ესპანეთის გაკვეთილებს.**

**ჩემს თავს ნებას მივცემ, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ მცირეოდენი დასკვნები მეც გავაკეთო.**

**არის თუ არა იტალია ღირსეული ჩემპიონი? — ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის ნაცნობებსაც და უცნობებსაც.**

**ჩემის აზრით, იგი ღირსეული ჩემპიონია. უფერული სტარტის მიუხედავად, შემდეგ მატჩებში მან დაამარცხა არგენტინა, ბრაზილია, პოლონეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ყოველი მათგანი დაამარცხა უკომპრომისო, დაძაბულ ბრძოლაში. იტალიელებმა მოხიბლეს ფეხბურთის გულშემატკივრები შესანიშნავი ტექნიკით, სისწრაფით, კომბინაციური თამაშით, უბადლო გადაცემებით, ალმაფრენით, გამარჯვების დაუოკებელი ჟინით.**

**მსოფლიოს ნამდვილად ღირსეული ჩემპიონი ჰყავს.**

**დანარჩენი გუნდებიდან ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მსოფლიო ჩემპიონი? ვინ მიგვაჩნია იტალიის ტოლფერ გუნდად? —**

**ბუნებრივი მეჩვენება ასეთი შეკითხვაც.**

**პირადად მე ასეთი გუნდი მგონია ბრაზილია და მხოლოდ და მხოლოდ ბრაზილია!**

**ეს ორი გუნდი აშკარად ძლიერი იყო არგენტინაზე, საფრანგეთის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებზე.**

მესამე ადგილის ღირსეული კონკურენტები იყვნენ არგენტინა და საფრანგეთი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და პოლონეთს, ალბათ, თანმიმდევრულად ერგებოდათ მომდევნო ადგილები.

მოვიშველიებ რუმენიგეს გამონათქვამს, რომელიც ნაწილობრივ ამართლებს ჩემს მოსაზრებას.

გერმანელთა კაპიტანს ინტერვიუ ჩამოართვა იტალიურმა გაზეთმა „გაზეტ დელა სპორტ“, კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა: „ჩვენი სტილი ძალზე ცნობილი გახდა მოწინააღმდეგეთათვის. თან ახლა ძალზე მძიმედ ვთამაშობთ. თითქოს სისწრაფე დავკარგეთ, ესპანეთში ჩვენ, უბრალოდ, გაგვიმართლა, წესით მეოთხე ადგილზე უნდა გამოვსულიყავით. პირველი სამეული კი უნდა შეედგინათ ბრაზილიას, იტალიას და საფრანგეთს.

გავიხსენოთ, ფრანგებმა ყველა რგოლში აჯობეს გერმანელებს. იმათმა ლამაზმა თამაშმა ხომ კვლავ გამოაცოცხლა ჩემპიონატი, ბრაზილიელთა მარცხის შემდეგ რომ ერთგვარად დაკარგა ინტერესი.

უპირატესობა ანგარიშშიც გამოიხატა 3:1 და რაც არ უნდა პარადოქსალურად მოგვეჩვენოს, ამ ანგარიშმა განაპირობა მათი დამარცხებაც. დარწმუნებული ვარ, ფრანგებს რომ მესამე ბურთი არ გაეტანათ, მატჩის უკანასკნელ წუთამდე არ შეწყვეტდნენ ბრძოლას. მესამე ბურთმა ისინი დაამშვიდა და, გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებულნი, ელოდნენ დარჩენილი წუთების გასვლას. სწორედ ამ მომენტში გამო-

---

გურამ ფანჯიკიძე

ფორცა, იტალია!

ვიდა რუმენიგე მოედანზე და მისი მეთაურობით გერმანელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

ძვირად დაუჯდათ ფრანგებს ნაადრევი დამშვიდება.

პენალტების სერიის შესრულებისას ფორტუნამ გერმანელებს გაუღიმა.

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატმა მოგვიტანა რაიმე სიახლე? — ბევრჯერ დაისვა ასეთი შეკითხვაც პრესაში, ტელევიზიაში, სპეციალისტთა სამყაროში და გულშემატკივართა შორისაც.

ბევრი თვლის, რომ ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატს არავითარი სიახლე არ მოუტანია დღევანდელ ფეხბურთში.

ჩემს თავს ნებას მივცემ, არ დავეთანხმო ამ მოსაზრებას.

რასაკვირველია, საფეხბურთო სტრატეგიაში არ მომხდარა ისეთი „რევოლუცია", რომლის მოწმენიც ჩვენ შვეციის მსოფლიო ჩემპიონატზე გახლდით.

ასეთი „გადატრიალებები" ფეხბურთში მომავალშიც ძალზე იშვიათად თუ მოხდება.

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატმა მაინც მოგვიტანა გარკვეული სიახლეები.

თუნდაც დავიწყოთ ფეხბურთისადმი დამოკიდებულებით.

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი შემობრუნების პერიოდი იყო ძალისმიერი ფეხბურთიდან ტექნიკური ფეხბურთისაკენ.

მაშინ მაინც ბევრი რამ დარჩა სადავო. ბევრს მიაჩნდა, რომ ჰოლანდიამ შემთხვევით წააგო არგენტინასთან. რესენბრიკის ბურთი რომ ძელს არ მოხვედროდა და კარში გასულიყო... (ავიწყდებოდათ მეორე შესაძლებლობაც. რესენბრიკის ბურთი ძელს რომ არ მოხვედროდა და კარს ასცილებოდა...) მაშინ ვნახავდით, ვინ იქნებოდა მსოფლიო ჩემპიონი.

ასეთ მსჯელობას, ბუნებრივია ცალმხრივობისა და გულუბრყვილობის ბეჭედი აზის.

ჩემპიონატზე არავინ არ ითვლის, რამდენჯერ მოხვდა ბურთი ძელს და რა მოჰყვებოდა ამ ბურთის კარში გასვლას.

ჩემპიონატზე ითვლიან... რამდენი ბურთი გავიდა მოწინააღმდეგეთა კარში.

რასაკვირველია, უიღბლობას არავინ გამორიცხავს. მაგრამ იგი მთლიანობაში არასდროს არ ყოფილა გადამწყვეტი ფაქტორი.

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ფეხბურთი მარტო ბრძოლა როდია, ფეხბურთი აგრეთვე სანახაობაა, ამიტომაც ხიბლავს იგიც მილიონობით გულშემატკივარს.

ვინ მოიპოვა მსოფლიოში ყველაზე დიდი სიყვარული?

იტალიამ, ბრაზილიამ, საფრანგეთმა, არგენტინამ, იმ გუნდებმა, რომლებმაც ყველაზე ტექნიკური და ლამაზი ფეხბურთი ითამაშეს.

დიდი სიმპათიები მოიპოვეს თვით [illegible]იდერმაც კი (ალჟირი, კამერუნი, ჰონდურასი, კუვეიტი), რომლებმაც მიუხედავად დაბალი სპორტული მაჩვენებლებისა და სატურნირო ბრძოლებში გამოუცდელობისა, ლამაზი ტექნიკური ფეხბურთით მოხიბლეს მაყურებელი. ამ აზრს იზიარებენ მენოტი, იდალგო, სანტანა და თითქმის ყველა მწვრთნელი.

ალარაფერს ვამბობთ ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებზე.

დაბოლოს, სტატისტიკაც ხომ ამაგრებს ჩვენს მოსაზრებას. ტექნიკური საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებმა ცხრაჯერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. (ბრაზილია —3, იტალია — 3, ურუგვაი —2, არგენტინა —1), ხოლო ძალისმიერი ფეხბურთის მამამთავრებმა მხოლოდ სამჯერ (გფრ — 2, ინგლისი — 1).

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე სიახლედ მიმაჩნია პასის, გადაცემის მიზანდასახულობა.

მკითხველი შეიძლება შემომედავოს, ეს სიახლე კი არ არის, არამედ, უბრალოდ, ფეხბურთის კლასის ამაღლებაო.

არ ვდაობ, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ფაქტი ერთია, არც ერთ ჩემპიონატზე არ ყოფილა ასეთი გააზრებული და იდეის მატარებელი გადაცემები, როგორიც ამ უკანასკნელ ესპანეთის ჩემპიონატზე.

კიდევ ერთ სიახლეზე მინდა ვილაპარაკო, თუმცა იგი საფეხბურთო სტრატეგიას და ტაქტიკას პირდაპირ არ ეხება.

ესაა მსაჯობა.

თამამად შემიძლია ვთქვა, დღეს მსაჯობის პროფესიონალური ზრდის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება ფეხბურთის განვითარების ტემპს.

მიკერძოებას არ ვგულისხმობ. მიკერძოება მორალის, სინდისის საქმეა და არა პროფესიონალიზმისა.

მსაჯები დღეს აშკარად ვერ ერკვევიან თანამედროვე ფეხბურთის რთულ სიტუაციებში. უმთავრესად ისინი მოვლენების ფიქსატორები არიან და სულაც არ ცდილობენ, ან უნარი არ შეწევთ, გაერკვნენ ამ მოვლენების გამომწვევ მიზეზებში.

მაგალითების მოყვანაც ბევრი შეიძლება. უბრალოდ, მკითხველს არ დავღლი იმ ფაქტებით, რაც თვითონაც მშვენივრად იცის.

დღეს მსაჯი უნდა იყოს არა მარტო ტექნიკური ფიქსატორი სამატჩო მოვლენებისა, არამედ წარმმართველიც.

დიახ, წარმმართველი!

ორიგინალობას ვერ დავიჩემებ. ეს მოსაზრება ჩემპიონატის დღეებში სხვადასხვა ფორმით გამოითქვა კიდეც მსოფლიო სპორტულ პრესაში.

დღეს იმდენად სწრაფი გახდა ფეხბურთი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმდენად რთული სიტუაციები იქმნება მოედანზე, რომ ზოგიერთებმა, მათ შორის პელემაც, წინადადება წამოაყენეს, ხომ არ აჯობებდა მოედანზე ორი მთავარი მსაჯი გამოვიყვანოთო. ზოგიერთები გარკვეული ცვლილების მომხრენიც არიან საფეხბურთო წესებისა.

ძალზე შთამბეჭდავია და, ჩემის აზრით, სამართლიანიც აველანჟის პასუხი: ფეხბურთი დაბადებიდანვე ისეთი ჯანმრთელი ბიჭუნაა, წესების არავითარ შეცვლას არ საჭიროებსო.

სულ სხვაა უკანასკნელი ჩემპიონატის გათამაშების სისტემა. თავში ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, იგი სერიოზულ კორექტივს საჭიროებს. განა მომავალში დაზღვეულნი ვართ, რომ ერთ ქვეჯგუფში კვლავ არ მოხვდებიან იტალიის, ბრაზილიის და არგენტინის მსგავსი ძლიერი გუნდები? სამი უძლიერესი ნაკრებიდან წინასწარ რატომ უნდა იყოს განწირული ორი გუნდი, როცა ზოგიერთ ქვეჯგუფში სუსტ გუნდს თითქმის მწვანე გზა ექმნება ფინალური მატჩებისაკენ?

და კიდევ ერთი რამ: ალჟირელების და კამერუნელების თამაშები ჩემპიონატზე გაისმა როგორც გაფრთხილება: „ყურადღება, აფრიკა!“

დარწმუნებული ვარ, აფრიკელები თუ კოლუმბიის ჩემპიონატზე არა, შემდგომ ჩემპიონატზე აუცილებლად იტყვიან თავიანთ სიტყვას.

ფინალური მატჩის შემდეგ დღესასწაულ „ფლამენგოზე“ მიგვიწვიეს ესპანელი ბობების რესტორანში. ღამის პირველ საათზე კი ინტერნაციონალურ შოუზე მადრიდის თანამედროვე და ყველაზე უბრწყინვალეს სასახლე „სკალაში“.

ჩვენი ავტობუსი ძლივს მიიკვლევდა გზას მოზეიმე მადრიდის ქუჩებში. — „ფორცა იტალია!“ — ძლივსღა ბღაოდნენ ხმაჩახლეჩილი იტალიელები. დილის ხუთ საათზე, ინტერნაციონალური შოუს დამთავრებისთანავე ავტობუსში ჩაგვსვეს და გეზი აეროპორტისაკენ ავიღეთ. დრო კიდევ გვქონდა, ორი საათი ფირმის წარმომადგენელმა შემოგვთავაზა ღამის მადრიდი დაგვეთვალიერებინა. ბუნებრივია, დიდი სიხარულით დავთანხმდით.

მადრიდის დიდებულ ქუჩებში ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. უჩვეულოდ გვეჩვენებოდა ასეთი სიჩუმე წუხანდელი ვნებათა ღელვების შემდეგ. თითქოს აღელვებული, აბობოქრებული ოკეანე ერთბაშად დაცხრა და გაირინდა.

ამ საოცარმა სიჩუმემ თვალნათლივ გვაგრძნობინა, რომ ისტორიის კუთვნილებად იქცა მსოფლიოს მეთორმეტე საფეხბურთო ჩემპიონატი.

დიახ, ახლა უკვე ისტორიაა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატი და მისი ვნებათა ღელვით აღსავსე ბატალიები, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მორიგ ჩემპიონატამდე, ე. ი. ოთხი წლის მანძილზე საფეხბურთო მსოფლიოს თავზე იფრიალებს იტალიის სამფეროვანი დროშა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ «ცისკრის» 1982 წლის ნომრების შინაარსი

## მოთხრობა, რომანი, ნოველა

**აბაშიძე მერაბ** — მოთხრობები, № 5

**ადეიშვილი ავთანდილ** — ალალი. მოთხრობა, № 8

**ბრეგვაძე ლალი** — ვინ წაგიძღვება ილუმენამდე? მოთხრობა, № 5

**ბუაჩიძე თენგიზ** — გზა ბავშვობისაკენ, რომანი, № 1, 2, 8

**გელაშვილი ნაირა** — მივემგზავრები მადრიდს. მოთხრობა, № 10

**დეკანოსიძე ლალი** — თალალე. მოთხრობა, № 2

**დოჩანაშვილი გურამ** — განსმდგომი შუაკაცი. მოთხრობა, № 9

**თურმანაული გიორგი** — მონადირული მოთხრობები, № 6

**იორამაშვილი ნანო** — მოთხრობები, № 3

**კობერიძე კარლო** — სამხიარული მოთხრობები, № 5

**კობიძე რამაზ** — თეთრკაბიანი გოგონა. მოთხრობა, № 5

**კობიაშვილი გულო** — მოთხრობები, № 9

**კლდიაშვილი რევაზ** — მოთხრობები, № 7

**ლაბაძე გიორგი** — თოვლი. რომანი, № 7

**მიშველაძე რევაზ** — ნოველები, № 11

**მირიანაშვილი დიმიტრი** — ხავსიანი ბილიკი, მოთხრობა, № 5

**მიქიაშვილი ვიტალი** — ქალი და... მახინჯი ანგელოსი. მოთხრობა, № 2

**მუხურაძე აკაკი** — გამჭვირვალე ნილბები, № 7

**ნოდია ოთარ** — მოთხრობები, № 7

**ომანაშვილი ემზარ** — ზნე. მოთხრობა, № 8

**პეტრიაშვილი გურამ** — ზღაპრები, № 3

**ტალიაშვილი ირინე** — მოთხრობები, № 12

**ტიკარაძე ჯუმბერ** — სასწაულები. რომანი. 1981 წლის № 11, 12, 1982 წლის 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10

**ქარჩხაძე ჯემალ** — ქარავანი. რომანი, № 9, 10, 11, 12

**ფირალიშვილი ზაზა** — ბალი. მოთხრობა, № 8

**ფხოველი ჯარჯი** — რამეთუ მიწა ხარ. მოთხრობა, № 8

**ქორიძე ჯანეტა** — ...და სიხარული. პირველ ყოვლისა. მოთხრობა, № 7

**ქემაშვილი ლეილა** — დამარცხებული გამარჯვებული ანუ ჩვეულებრივი ამბავი. მოთხრობა, № 4

**ჩახავა მურთაზ** — ნუ შიშობ, ჯიჯინო! მოთხრობა, № 6

**ჩხიკვაძე ვანო** — მოთხრობები, № 11

**ჩხეიძე ოთარ** — სამი ეტიუდი, № 4

**ჩიგოგიძე თამაზ** — კიტოული — წითელი სოფელი. მოთხრობა, № 4

**ცომაია ლეილა** — მოთხრობები, № 3

**ჰეიშვილი რეზო** — კვამლი, მოთხრობა, № 1

**ჰანტურია გიორგი** — მოთხრობები, № 11

**ხორგუაშვილი გიორგი** — შესდექ, სატანავ, მოთხრობა, № 11

**ხერგიანი მირონ** — დამრჩომნი. მოთხრობა, № 6

**ჯანელიძე ლიანა** — რატომ ტიროდა მარიამი, მოთხრობა, № 5

**ჯაფარიძე სიმონ** — ბიჭი, მოთხრობა, № 2

## ლექსები, პოემები

**აბულაშვილი ანზორ** — ლექსები, № 1, № 11

**აბრამიშვილი მიხეილ** — ლექსი, № 5

**აბულაძე თეიმურაზ** — ლექსები, № 2

**არაბული ალუდა** — ლექსები, № 1

**არაბული ბალათერ** — ლექსები, № 4

**არაბული შაბურა** — ლექსები, № 8

**არაბული მინდია** — ლექსები, № 3

**აროხია ილია** — გზა გასავლელი, ლექსი, № 2

**ბარათაშვილი მარიკა** — ნატვრა. ლექსი, № 2

**ბართაია ევგენი** — ლექსები, № 4

**ბართაია ნომადი** — ლექსები, № 8

**ბაბუხადია ლევან** — ლექსები, № 7

**ბალარჯიშვილი ბაადურ** — ლექსები, № 1

**ბაზაძე ირაკლი** — ლექსები № 8

**ბაძაღუა თამაზ** — ლექსები, № 12

**ბობოხიძე კალე** — ლექსი, № 7

**ბერიაშვილი ბერდია** — ლექსები, № 4

**გაგუა ხუტა** — ლექსები, № 3

**გიგაური გიორგი** — ლექსები, № 7

**გოგოლაშვილი ვახტანგ** — ლექსები, № 2

**გოგიჩაშვილი ნანა** — ლექსები, № 2

**გორგანელი ვახტანგ** — ლექსი, № 5

**დანელია რევაზ** — ლექსები, № 10

**დავითაშვილი შალვა** — ლექსები, № 6

**დუმბაძე ლევან** — ლექსები, № 6

**ებანოიძე ზაალ** — ლექსები, № 8

**ერისთავი თამარ** — ლექსები, № 11

**ვახაძე აკაკი** — ლექსები, № 3

**ზოიძე შოთა** — ლექსი, № 7

**თოიძე მალვინა** — ლექსები, № 1.

**თურმანაული ოთარ** — ლექსები, № 11

**კალაძე ამირან** — ლექსები, № 2

**კახიძე მედეა** — ლექსები, № 9

**კალანდია რენე** — ლექსები, № 10

**კვანტალიანი შარლოტა** — ლექსი, № 3

**კუხიანიძე ზურაბ** — დილის ხანძარი. პოემა, № 7

**კობერიძე ნუგზარ** — ლექსები, № 12

**კიწერაძე ზაქრო** — ლექსი, № 5

**ლომსაძე შოთა** — ლექსები, № 11

**მაღრაძე დათო** — ლექსები, № 6

**მახაური ამირან** — ლექსები, № 7

**მჭედლური დავით** — ლექსები, № 9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მებალიშვილი ვახტანგ** — ლექსი, № 2
**მიმინოშვილი რომან** — ლექსები, № 4
**მილდიანი ჯულიეტა** — ლექსები, № 4
**ნადირაძე კოლაუ** — ლექსები, № 6, № 10
**ნაცვლიშვილი პაატა** — ლექსები, № 6
**ოდიშარია გურამ** — ლექსები, № 1
**სვანაძე ბადრი** — ლტოლვა — ლექსი, № 2
**ქემერტელიძე იორამ** — ლექსები, № 6
**შალვაშვილი ბელა** — ლექსები, № 9
**შალამბერიძე ოთარ** — ლექსები, № 3, № 5
**ჩახავა ჯემალ** — ლექსები, № 2
**ჩილაჩავა რაულ** — ლექსები, № 1
**ჩხეტიანი მზია** — ლექსები, № 4
**ციგროშვილი ირაკლი** — ლექსები, № 7
**ხარჩილავა ვახტანგ** — ლექსები, № 8
**ხეთაგური მზია** — ლექსი, № 2
**ხორნაული ვაჟა** — ლექსები, № 12
**წერეთელი ნუგზარ** — ლექსები, № 7
**ჯანელიძე ჯანო** — ლექსები, № 12
**ჯალალონია ნოდარ** — ლექსები, № 2
**ჯახუა იმედი** — ლექსები, № 2
**ჯულუხიძე გრიგოლ** — ლექსები, № 4
**ჯგუბურია მურმან** — ლექსები, № 12
**ჯიქია შუკო** — ლექსები, № 11

## ჟუჟუნა წვიმა მოვიდა

აბულაძე თამარ, აბრამიშვილი მანანა, ასათიანი ლია, ბარათაშვილი ლინა, ბატიაშვილი დარეჯან, გოდერძიშვილი ზუმრუდ, გოგეშვილი ცირა, დვალი გულიკო, კალანდარიშვილი ელისო, მეგრელიშვილი ნათელა, მუკბანიანი მალვინა, მდივანი ნინო, ნადირაშვილი ელენე, ნაჭყებია მერი, ოქროუაშვილი ნანა, სხირტლაძე ლალი, ფიროსმანაშვილი დალი, ფოცხვერაშვილი მარინე, ყალაბეგაშვილი ნუნუ, შალაშვილი ცირა, შევარდნაძე ციცინო, ჩხაიძე ნათელა, ჩაჩავა ნელი, ჩიქავა იამზე, ჰედია ნაზი, ჰინჭარაული ქრისტინე, ხარაძე იმერი, ხუციშვილი ლილი, ხელაია ნაზი, წიკლაური დიანა, ჯოჯუა ტერეზა

## ფანდური

ლეონიდ ხარებათი, ჰაფეზი, ისიდორ კოზათი, გიორგი ბესთაუთი, რევაზ ასაევი, კოსტა მარდიევი — ლექსები — თარგმნეს: ჯემალ ჰელიძემ, იმედი ჯახუამ, ჯარჯი ფხოველმა, ნოდარ ნარსიამ, გივი ძნელაძემ, შადიმან შამანაძემ, ელდარ კერძევაძემ, № 5

**ალექსი ბუკულოვი** — „მეოცნებე", იუმორისტული მოთხრობა, თარგმნეს: **ჯემალ ჰელიძემ** და **ვაჟა ჩორდელმა**, № 5

**ბულვათი მიხეილ** — გედის სიმღერა, № 5

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა, პუბლიკაცია

**აბზიანიძე ზაზა** — სამი უცნაური კაცი, № 11

**ალფენიძე ვლადიმერ** — ტრადიციული ნოვატორი, № 9

**ანდრონიკაშვილი ნიკო** — „საშინელი ფილოსოფოსი", № 12

**ბრეგაძე ლევან** — „გზა, ხვალის დღეში გადასახედი", № 9

**ბენაშვილი გურამ** — პოეტური სულის გამოსხივებანი, № 11

**გამსახურდია სვიმონ** — კვლავ გიორგი საააკაძის შესახებ, № 4

**გამყრელიძე გელა** — საქართველოს არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიიდან, № 8

**გაჩეჩილაძე გიორგი** — ასოციაციური პარალელები, № 12

**გუბელიძე ბორის** — მშრომელთა ინტერნაციონალური ბრძოლის შესანიშნავი ფურცლები, № 11

**გომართელი ამირან** — „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა....", № 9

**დოიაშვილი თეიმურაზ** — „მატერიაზე გავლით — სულობისაკენ!", № 1, **ნუგზარ შატაიძის** მოთხრობები, № 10

**ვასაძე თამაზ** — „საგნები თოვლში", № 10

**თვარაძე რევაზ** — ქართული დამწერლობის სათავეებთან, № 3

**კილაძე ზაურ** — „გული, ცნობა და გონება"..., № 4

**მარგიანი გრიგოლ** — ხევსურული საუნჯე № 12

**მჭედლური დავით** — გადავიხედოთ გალავნის შიგნით, № 12

**მონიავა მანანა** — ლიტერატურული რემარკები აკაკი წერეთლის ადრეულ პუბლიცისტიკაში, № 4

**მიქაძე მაკა** — მალკოლმ იქსი, ელდრიჯ კლივერი, ჯეიმს ბოლდუინი, ალექს ჰეილი, № 12

**პეტრიაშვილი რობერტ** — მონატრებული სამყაროს ძახილი, № 11

**რუჟევიჩი თადეუშ** — შესაძლებელია მუზის შანტაჟი და რა მოაქვს ამას? თარგმნა **გიორგი მაჭუტაძემ**, № 8

**სარჯველაძე ზურაბ** — ფრთხილად. ძნელი საქმეა, № 4

**სირაძე რევაზ** — ა. ლოსევი და ქართული რენესანსის პრობლემები, № 7

**ტუხაშვილი ლოვარდ** — „იქმენინ ნათელი, იქმენინ ქართველი, იქმენინ საქართველო...", № 5

**ქურდიანი მიხეილ** — საუკუნის დასაწყისი, № 5

**ქვლივიძე მიხეილ** — საუბარი ბულატ ოკუჯავასთან, № 12

**ყორანაშვილი გურამ** — ბუნება და ისტორია, № 6

**შენგელია მზია** — უცნაური პოემა, № 5

**ჩხეიძე როსტომ** — საბურველს მიღმა, № 9

**ჩხარტიშვილი რევაზ** — რაც დავიწყებით არ იბინდება, № 5

**ცოტა რამ „ცისკრის" ახალგაზრდა ავტორებზე**, № 8, 9, 10, 11, 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ციციშვილი ოთარ** — სახელოვანი ცხოვრების გზა, № 5
**ჭავჭავაძე ზურაბ** — რა გვაცინებს? № 8
**ჭანტურიშვილი სიმონ** — ოჯახი და საოჯახო ყოფის ზოგიერთი საკითხი V-X სს. საქართველოში, № 4
**ჭინჭარაული ალექსი** — „პირველითგან იყო სიტყუაჲ...“, № 9
**ხინთიბიძე ელგუჯა** — „შემომხედნა, მოვეწონე...“ № 6
**ხოტივარი-იუნგერი შტეფი** — „დიონისიას ღიმილის“ სტრუქტურა და ფილოსოფიური ძირები; № 10
**ჯაში ნიკოლოზ** — სოციალისტური რეალიზმის გზით, № 4

გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

**ალექსანდრ პუშკინი, თეოდორ ტიუტჩევი, მიხეილ ლერმონტოვი, ანდრეი ბელი, ალექსანდრ ბლოკი, კონსტანტინ ბალმონტი, კორნეი ჩუკოვსკი, ალექსანდრ ტვარდოვსკი, სერგეი ბარუზდინი, ვასილი ფეოდოროვი, დავით სომოილოვი, ალექსანდრ კუშნერი, ევგენი ევტუშენკო, ანდრეი ვოზნესენსკი, ლარისა ვასილიევა** — ლექსები. თარგმნეს: მორის ფოცხიშვილმა, რომან კიკალიშვილმა, ანდრო ბუაჩიძემ, გივი ალხაზაშვილმა, ვაჟა ყუბუსიძემ, გივი ძნელაძემ, ელდარ კერძევაძემ, თედო ბექიშვილმა, ვახტანგ ხარჩილავამ, შადიმან შამანაძემ, № 6
**ვიკენტი ვერესაევი** — ლეგენდა. თარგმნა **ჯონდი ქილარჯიანმა**, № 6
**ევგენი კუტუზოვი** — ლენინგრადელები, თარგმნა **მიხო ბეროშვილმა**, № 6
**მარკ ზლატკინი** — გმირობა პოეტიკა, № 6
**მეტრეველი გურამ** — ხრესილის ტრაგედია, № 8
**სიხარულიძე ფრიდონ** — „სვესენწკა“ — ქართული კულტურის კერა მოსკოვში, № 6
**ხოსიტაშვილი სერგო** — რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, № 7

მოწინავე

**ახალი დადგენილება — ახალი მიზნები**, №9
**ასე სავსე და ლამაზი არ ყოფილხარ არასოდეს!..** № 5
**იდიდე, სამშობლოვ, იდიდე!** — № 4
**ლორთქიფანიძე ვაჟა** — წინ, კომკავშირო, წინ! № 3
**„რევოლუციურს, ჯერ არნახულს“...** № 2
**სამშობლოა თქვენი მეკვლე**, № 1
**საბჭოთა ერების ზეიმი**, № 12
**სკკპ ცენტრალურ კომიტეტში**, № 9
**უკვდავი თარიღი** — № 11
სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს **მიმართვა** კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს — № 11
**საინფორმაციო** ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, № 11
ამხანაგ **ი. ვ. ანდროპოვის** სიტყვა, № 11
ამხანაგ **კ. უ. ჩერნენკოს** სიტყვა — № 11
**იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი** — № 11

კომუნისტური აღზრდის ტრიბუნა

**ლაბარტყავა ტრისტან** — იდეოლოგიური ბრძოლის ზემოქმედება აღზრდის პროცესზე № 3

საქართველოს კომკავშირის XXXII

ყრილობის დელეგატები „ცისკარში“

**ბედიანიძე დალილა,, ბოკუჩავა ბადრი, ზაქარაია ფარნა, თავზარაძე ირმა, კაპანაძე ნინო, ფრანგიშვილი დავით** — № 3

ახალი სახელები

**ლებანიძე თამარ** — ლექსები, № 1
**მუჯირი გია** — ლექსები, № 5
**ჩხეტიანი თემურ** — ლექსები, № 10

ახალი თარგმანები

**ალექსანდრ ბლოკი** — ლექსები. თარგმნა გივი ალხაზიშვილმა, № 4
**ანტონ ჩეხოვი** — თაღლითები. თარგმნა **ზაალ ბოტკოველმა**, № 11
**სარვეშვარ დაიალ საქსენა** — შვება. მოთხრობა. ჰინდურიდან თარგმნა **ნიკოლოზ კენჭოშვილმა**, № 2
**ფრანსუა ვიიონი** — ლექსი. თარგმნა **დავით წერედიანმა**, № 4
**ტადეუშ რუჟევიჩი** — ლექსები. თარგმნა **ჯემალ ჭელიძემ**, № 4

ნარკვევი

**ვართაგავა ავთანდილ, ვართაგავა ტარიელ** — ბორბლებზე შემდგარი საუკუნე, ანუ „სეზამ, გაიღე!“, № 3
**კერძევაძე ელდარ** — ვინ არის ბედნიერი... № 3
**მრელაშვილი ლადო** — რიყრაყიდან რიყრაყამდე, № 1
**მურმანიშვილი დავით** — მეცხოველეთა ხვალინდელი დღე, № 3
**ოთარაშვილი ვაჟა** — ფურცელ-ფურცელ აკინძული ცხოვრება, № 7
**ფრუიძე ლევან** — დედავ, იხსენი რაჭა, № 4

ქარიშხლიანი დღეების ექო

**კონჯარია ბენო** — ტყვე: მოთხრობა, № 5
**ჯანგულაშვილი თეიმურაზ** — ომის წლები მაგონდება. ლექსი, № 5

მეგობრობა გზად და ხიდად

**კალაძე ამირან** — ანტონ ჰანსენ-ტამსაარე და საქართველო № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძოლა მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ

**ცერცვაძე ამირან** — გარდატეხის პერიოდი, № 2

## უცხოეთის გზებზე

**აბაშიძე ზურაბ** — იოგას პირველი გაკვეთილი, № 2

## პორტრეტები

**პაპკორია ოტია** — მოყვასი ჩემი, № 5

## ხელოვნება

**ბარამიძე გივი** — მზიური ფუნჯის დიდოსტატი, № 11

**ბუაჩიძე ანდრო** — რუსუდან ფეტვიაშვილი, № 8

**ბუზუკაშვილი მარინე** — „პარადოქსი მსახიობზე“, № 2

**ქარჩხაძე ჯემალ** — ფანტაზია საკვირველ ფენომენზე, № 8

**შავგულიძე ეთერ** — უსასრულობა, № 4

## იუბილეები

### სსრკ 60 წელი

**ვლადისლავ შოშინი, ილია ფონიაკოვი, ტატიანა ბეკი** — ლექსები თარგმნეს: **ჯემალ აჯიაშვილმა, ემზარ კვიტაიშვილმა, ტაგუ მებურიშვილმა**, № 8

**სერგეი ვორონინი, გენადი გორი** — მოთხრობები. თარგმნეს: **ჯაბა ასათიანმა, მზია გელაშვილმა**, № 8

**იან კუპალა, კნუტ სკუიენიეკსი, ჯუბან მოლდაგალიევი, ვლადიმერ ბეეკმანი, ევფრატ სევაქარეცი** — ლექსები. თარგმნეს: **თედო ბექიშვილმა, რენე კალანდიამ, ბათუ დანელიამ, თეიმურაზ აბულაძემ, ზეზვა მედულაშვილმა**, № 9

**ჯაბირ ნოვრუზი, ხოორონბაი ჯუსოევი, მარგარიტა ვალიევა-რობაქიძე, ანაიდა სევაკიანი** — ლექსები. თარგმნეს: **ლეილა ერაძემ, ამირან ასანიძემ, კონსტანტინე ამირიძემ**, № 12

**იან პეტერი** — ალავერდი სტუმარს. ლატვიურიდან თარგმნა **უშანგი სალთხუციშვილმა**, № 12

**სერგეი დონბაი, ესენგულ იბრაევი, ალგიმანტას ბალტაკისი, ჯორჯე მენიუკი** — ლექსები. თარგმნეს **ვახტანგ ხარჩილავამ, გივი ალხაზიშვილმა, ბათუ დანელიამ, გია კაპანაძემ**, № 10.

### 25 — „ცისკარი“ — 25

**ნოდარ დუმბაძე, ვახტანგ ჭელიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, მორის ფოცხიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ემზარ კვიტაიშვილი, ბადრი ჭოხონელიძე** — მილოცვები, № 12

### „ცისკრის“ კალენდარი

**სერგი ჭილაია** — 70, № 12
**მურმან ლებანიძე** — 60, № 12
**გიორგი ციციშვილი** — 60, № 12

### 100 — რუსთაველის თეატრი — 100

**ბათიაშვილი გურამ, გორდეზიანი რისმაგ, წულეისკირი ნოდარ** — მილოცვები, № 1

### ჭაბუა ამირეჯიბი 60 წლისაა

**გოგელია არჩილ, კვერნაძე ბიძინა, თვარაძე რევაზ, მჭედლური დავით, ფირცხალავა გიგლა, ხარჩილავა ვახტანგ** — მილოცვები, № 1

### 80 — ალექსანდრე ბარამიძე — 80

**ასათიანი გურამ** — სიტყვა ალექსანდრე ბარამიძეს, **გვახარია ალექსანდრე** — ბატონო ალექსანდრე! **გუგუშვილი მერი** — მეცნიერი, მოქალაქე, მამულიშვილი, **კვიტაიშვილი ემზარ** — კვლავაც ასეთად გვეგულებოდე, **ონიანი შერმადინ** — გამოჩენილი მეცნიერი — მილოცვები, № 6

### 50 — ტარიელ ჭანტურია — 50

**გაჩეჩილაძე გიორგი** — პოეტი-დუელიანტი, **გეგეჭკორი გივი** — სამშობლოს ერთი მეციხოვნე, **კალანდია ზაურ** — ფრთხილად — ტარიელ ჭანტურიაა, **ჩარკვიანი ჯანსუღ** — ჩემო კარგო ტარია! — მილოცვები, № 10

**ჭანტურია ტარიელ** — ლექსები, № 10

### 100 — ნიკო ლორთქიფანიძე — 100

**იაშვილი პაოლო** — ნიკო ლორთქიფანიძეს. ლექსი, № 10

**დიდი მასწავლებელი**, № 10

**დანელია ბათუ** — გაფრთხილება. **ჯოხაძე მაკა** —არქაული მხრებით, № 10

### 90 — გალაკტიონი — 90

**ალხაზიშვილი გივი** — გალაკტიონის ტყვეობაში.

**მჭედლური დავით** — „დაწერილი სისხლის წვეთით“... **შალიმან შამანაძე** — გალაკტიონის სავარჯიშოები, **ხარჩილავა ვახტანგ** — „მე ვხედავ სიზმრებს არამიწიერს...“ **წიკლაური მამუკა** — ო, კოსმიურო, ერთადერთო, მძლავრო მუსიკა! **ჯგუბურია მურმან** — რუსთველი — გალაკტიონი, № 11

## გამოსათხოვარი

**აბაშიძე ირაკლი** — უნიჭიერესი მეცნიერი, **ბექიშვილი თედო** — ღირსეულად განვლილი სიცოცხლე, **წიკლაური მამუკა** — მწერლის სიცოცხლესა და სიკვდილს მისგან დაწერილი სი-

ტყვე განსაზღვრავს. ჟოხონელიძე ბადრი — აუნაზღაურებელი დანაკლისი, № 10

გახსენება

ამისულაშვილი შალვა — სიკვდილის კომიკი, ლექსი, № 5
აფრიდონიძე შუქია — ბიძინა ფოჩხუას ხსოვნას, № 6
მაღლაკელიძე გურამ — ლექსები, № 4

ჩვენი კალენდარი

მახარაძე ფილიპე — ლეგენდად ქცეული ადამიანი, № 5
ტაბაღუა ილია — სახელოვანი მამულიშვილი, № 4

საინტერესო ამბების სამყაროში

საბაშვილი შალვა — ვინ აწყობს „პლანეტების პარადს“, № 8

სპორტი

ფანჯიკიძე გურამ — ფორცა, იტალია! № 12
ნიჟარაძე ენვერ — „ტორპედოს“ დაბრუნება, № 3, ექო, № 4
ჰელიძე დავით — გზის გამკვალავი, № 9

სატირა, იუმორი, პაროდია

ბართაია ნომადი — ჯანდაბას დავწერ, № 3
კახნიაშვილი ვიქტორ — პროფესორი და მინისტრი, № 3, ცინცაძე ვანო — განცხადებები, № 3, თანამედროვე ზღაპრები, № 5

## ცოტა რამ „ცისკრის“ ახალგაზრდა ავტორებზე

თამაზ ბაძაღუა დაიბადა 1959 წელს გეგეჭკორის რაიონის ს. ნაჭუნაოში. 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1982 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული „მესამე ზარი“.

ამჟამად მუშაობს მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში.

●

ვაჟა ხორნაული დაიბადა 1948 წელს დუშეთის რაიონის ს. კაწალხევში. 1966 წელს დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი, ხოლო 1972 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული.

ამჟამად მუშაობს გამომცემლობა „მერანში“.

ნუგზარ კობერიძე დაიბადა 1950 წელს თბილისში, დაამთავრა პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგია-მუსიკის მცოდნეობის ფაკულტეტი.

ლექსების ორი წიგნის ავტორია.

ამჟამად მუშაობს თეატრალურ საზოგადოებაში.

●

მაკა მიქაძე დაიბადა 1948 წელს ქ. თბილისში. 1970 წელს დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ინგლისური ენის განყოფილება. ამჟამად მუშაობს თსუ ჟურნალისტიკის კათედრაზე.

რესპუბლიკურ პერიოდულ პრესაში აქვეყნებს წერილებს თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაზე.

„ცისკარში“ იბეჭდება პირველად.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-80, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 18. 10. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 12. 82 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-საგ. თაბახი 15. 85. შეკვ. № 2486. უე 01017. ტირაჟი 52.350.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ძვირფასო მკითხველო

„ცისკარი" 1988 წელს გთავაზობთ გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და ახალგაზრდა ავტორების პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს.

ჟურნალი მოაწყობს დისკუსიას ახალგაზრდა ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების შემოქმედებაზე.

გამოქვეყნდება პუბლიცისტური წერილები ლიტერატურული ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე; ცნობილი მეცნიერების და მწერლების დიალოგი საქართველოს დემოგრაფიის, ბუნების დაცვისა და კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის პრობლემებზე.

1236

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ